




მოსე ჭანუკვილიძე



საინჟინრო





წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო  
ანსრათ ომარაშვილმა

პირველი გამოცემა

სამოცდაცხრამეტი წელი არც ისე ცოტა დროა, მაგრამ მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოსე ჯანაშვილს მოესწრო ის, რისი გაკეთებაც მას მიზნად ჰქონდა დასახული. მიზანი კი საოცრად შორს მიმავალი და გრანდიოზული იყო. მისი დაძლევა დიდ რუდუნებასა და ტიტანურ შრომას მოითხოვდა.

დაახლოებით ჩვიდმეტი წლამდე იზრდებოდა მოსე მშობლიურ საინგილოში: ჩვიდმეტი გაზაფხულის მზის ამოსვლას მიეგება იგი ამ მაღლცხებულ მიწაზე, ხოლო ცხოვრების დანარჩენ წლებში სხვადასხვა ადგილსა და გარემოში ხვდებოდა მზის ათინათს, რომელსაც ყოველთვის თან გააყოლებდა მშობლიურ კუთხეზე მონატრებულ ალერსს, რათა მიეწვდინა ხმა კავკასიონის ფერდობებზე მიმოფანტული ინგილოური სოფლებისა თუ ალაზნის სანაპიროზე გაფენილი ნაცნობი ჭალებისათვის.

მოსეს გული სამშობლოზე ზრუნვასა და ქართული მეცნიერების სამსახურში დაიფერფლა. ამ ორ ბომონს შესწირა თავი. მისი ნეტარი სული, გულზე დაყრილი ერთი მუჭა ინგილოური მიწით კურთხეული, მთაწმინდის მიწამ მიიბარა სამარადისოდ. მ. ჯანაშვილის სახელი მჭიდროდ შეერწყა ქართველი ერის გამოჩენილ ისტორიკოსთა პლეადას.

XIX საუკუნის საინგილოს ზოგადი თუ კონკრეტული საკითხის გასაშუქებლად, მისი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გასათვალისწინებლად აუცილებელია, საარქივო ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, იმდროინდელი პრესის მოშველიებაც. პრესამ და წიგნის ფურცლებმა შემოგვინახეს უნიკალური მასალები, რომელთა შეკრება და გამომზეურება დაკავშირებულია დიმიტრი ჯანაშვილის სახელთან. სამართლიანად შენიშნავდა მოსე ჯანაშვილი: „მან გააცნო საქართველოს (პირველმან) მისგან შავთა დროთა მანქანებით მოწყვეტილი ვრცელი კუნჭული, მარად მზიანი ჩვენი საინგილო“

(ეურნ. „განათლება“, 1917, № 3, გვ. 174). დ. ჯანაშვილის ამ შესანიშნავ წამოწყებას მხარი აუბეს შემდგომში მ. ჯანაშვილმა, დ. ბაქრაძემ, ა. ხახანაშვილმა, ი. ელიაშვილმა, ზ. გულიაშვილმა, ზ. ელილაშვილმა და სხვ.

ქურმუხის ვიწრო ხეობასა და ამაყი კავკასიონის ქედიდან ჩამოწოლილ მაღალ კალთებს შორის გაფენილია დაბა კაკი. სოფლის ზემოთ, იქ, სადაც ორივე მხრიდან მთები ისე ვიწროვდებიან, რომ თითქმის უახლოვდებიან ერთმანეთს და სულ მცირე მანძილითაა არიან განცალკევებული, მოჰქუხს მდინარე ქურმუხი. კავკასიონის ამ უმშვენიერეს ზღაპრულ ხეობაში 1855 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, 19 მარტს (ძველი სტილით) ინგილო გლეხის გიორგი ჯანაშვილის ეზოში თოფის გრიალი გაისმა. დაფრთხა ქედმაღალ უღუბაშის მწვერვალზე მიძინებული არწივი. ოჯახს ვაყი შეეძინა, რომელსაც ამ კუთხეში იშვიათი სახელი, მოსე დაარქვეს. ეს ალბათ წინათგრძნობა თუ იყო თანამოძმეთა, ახალშობილის სახეში შეეცნოთ ამ კუთხის მოამაგისა და დაუღალავი მზრუნველის მოვლენა ამქვეყნად.

იმყამინდელ საინგილოში საშინელი სიღარიბე სუფევდა. უჭირდა ჯანაშვილების ოჯახსაც. მარიამი და გიორგი დღე და ღამეს შრომაში ატარებდნენ და ტანჯვა-წვალებით მოპოვებული ლუკმაპური ირჩინდნენ თავს. პატარა მოსე ადრიდანვე ჩაება ოჯახურ საქმიანობაში. ის ისევე, როგორც სხვა მისი თანატოლი ინგილო ბავშვები, დილაუთენია, ნახევრად მძინარე, ნახირს მიერეკებოდა სოფლის საძოვარზე. საღამოს კი დაღლილ-დაქანცული, მხარზე შეშის კონამოკიდებული ბრუნდებოდა შინ. ხშირად ხელში პურის ნატეხით ჩასძინებია და, ვინ იცის, რა ჯადოსნურ, საოცრებებით აღსავსე სიზმრებს ხედავდა. ვენახის სამუშაოებშიც შველოდა მამამისს. მრისხანე ელისოს სულთანს გამოქცეული გიორგის შეჭმუხნული, დაღარული შუბლი, შრომაში გართული სვედიანი ღიღინი, მძლავრად დაკოყრილი ხელები მხოლოდ მაშინ შეჩერდებოდა, როდესაც ვენახის თავში მარიამის შეძახილს გაიგონებდა. საოცრად მომხიბვლელი იყო პატარა ონაეარის ბავშვური ტიტინი ღედასთან. ოჯახის სიხარული მძლავრ ნაკადად იღვრებოდა კობალის წყლით მორწყულ და მცხუნვარე მზით გათანგულ ინგილოურ მიწაზე.

გიორგი ჯანაშვილმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ქრისტიანობისათვის ბრძოლა ამ კუთხეში. მან და ბევრმა მისმა თანამოძმემ

ფეხით გადმოლახეს შორი გზა და ფეხით ჩამოვიდნენ თბილისში. 1850 წელს ისინი პირადად ვორონცოვმა მონათლა სიონის ტაძარში.

დაბალი სოციალური წარმოშობის მიუხედავად, მოსეს მშობლები გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო ბავშვს სწავლა-განათლება მიეღო. 1865 წელს მოსე მიაბარეს კახის ახლადგახსნილ სამრევლო სკოლაში, სადაც ისევე, როგორც ეკლესიებთან არსებულ სხვა სკოლებში, საღმრთო რჯულთან ერთად ისწავლებოდა ქართული ენა, არითმეტიკა და სხვა საგნები.

კახის სამრევლო სკოლაში მოსეს ასწავლიდა ცნობილი ინგილო მღვდელი მიხეილ ყულოშვილი, რომელმაც თავისი უანგარო, თავდადებული საქმიანობით ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. აი, რას აუწყებდა ვინმე „ინგილოელი“ „დროების“ (1878 წლის № 45) მკითხველს: „დიაკვანი (მიხეილი) 6 წლის განმავლობაში უფასოდ ასწავლიდა. მისი ნამოსწავლები ზოგი სად გაიგზავნა, ზოგი სად. კახში ვინც დარჩა, მათ კარგად იციან წერა-კითხვა“.

1868 წელს მოსემ სწავლა განაგრძო ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში. იქ მკაცრი რეჟიმი სუფევდა. სწავლა ძველ სქოლასტიკურ მეთოდებს ემყარებოდა. მიუხედავად ამისა, მოსემ აქ ბევრი რამ გაიგო და შეისწავლა. იგი პირველ შეგირდად ითვლებოდა სასწავლებელში. ქართულს მათ ასწავლიდა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი მამა გრიგორიევი (სოლომონ გრიგორაშვილი-ა. ო). მისი დახმარებით შეიცნო ახალგაზრდა მოსემ მშობლიური ლიტერატურის ხიბლი. მოსწავლეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა ნაამბობმა აკაკის შესახებ. უკვე ხანდაზმულობაში მეცნიერი იგონებდა: „დაირეკა. გაკვეთილი გათავდა. მასწავლებელი წავიდა, ჩვენ კი ერთხმად წამოვიძახეთ ჩვენებურ კილოზე — „ნეტა ჩონც ნოხავთა ჰაკაკის?“ (გაზ. „საეაჭრო გზა“, 1908, № 25, გვ. 2).

მოსემ სასწავლებელი 1872 წელს დაამთავრა. მას დაუოკებელი სურვილი ჰქონდა სწავლის გაგრძელებისა. ბიძაშვილმა დიმიტრი ჯანაშვილმა იგი თბილისში ჩამოიყვანა, რათა სემინარიაში მიება-რებიანა. აქაც კვლავ წინააღმდეგობას წააწყდა. მას არ იღებდნენ, რადგანაც საერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. საქმეში ჩაერივნენ სასწავლებლის მოწინავე პედაგოგები: ნიკო ცხვე-დაძე, თომა ტურიაშვილი, გიორგი იოსელიანი და პეტრე კონჭო-

შვილი. მათი უშუალო დახმარებით მოსე ჩაირიცხა სემინარიაში. თუ როგორ აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ იმდროინდელი სემინარიელები, ამას თვით მოსეს ნაწერი გვამცნობს: „სამინელი სიღარიბე სუფევდა მაშინ სემინარიელთა შორის, ისეთი სიღარიბე, რომ ხშირად ზამთრის სუსხშიც მოწაფეები აბანოში დაიარებოდნენ ფეხშიშველა, ზაფხულის გაცრეცილი ხალათებით. საჭმლის სიღუბჭირეს ხომ ნუღარ იკითხავთ. სოფლელი მას ვერ ეკარებოდა და თუ საკუთარი გროშებით არ იყიდდა, მუდამ მშვიერი რჩებოდა“ (გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908, № 25, გვ.2-3). იტანდა ამ გაჭირვებას ნახევრად მშვიერი ინგილო სემინარიელიც. მისთვის მთავარი მაინც ცოდნის საფუძვლების დაუფლება იყო. დღე-ღამეში 5-6 საათი თუ ეძინა, დანარჩენ დროს სწავლას ანდომებდა. მოსეს თვითგანათლებას ხელი შეუწყო აგრეთვე სემინარიის მდიდარმა ბიბლიოთეკამ, რომლის არც ერთი წიგნი არ დარჩენია წაუკითხავი. იგი არა მარტო კითხულობდა, არამედ, როგორც თვითონ ამბობს: „ყველას ხალისიანად ვსწავლობდი... წაკითხულს ჩემს თავს ვუამბობდი ხოლმე. ამის გარდა, ქართულს გაზეთს არასოდეს ვიშორებდი ჯიბე-უბიდან (იხ. „სავაჭრო გზა“, 1908, № 25). ასეთ ცოდნამოწყურებულ ინგილოს სემინარია მეოთხე კლასიდან დაატოვებინეს. მიზეზი? უკეთესია ამაზე მოსეს ხელნაწერი მოვიშველიოთ, რომელსაც „ჩემი ცხოვრება“ ეწოდება: „ტფილისს ჩამოვიდა გენატე იოსელიანი და ჩამოიტანა სკივრებით აკრძალული ლიტერატურა, რომლის გაცნობამ შეგვებორკა სემინარიელები, განსაკუთრებით გვიზიდავდა ჩერნიშევსკის „Что делать“, ბაკუნინი და სხვა. მისი საგრძნობი ნაწილი გაუგზავნეთ კახის მასწავლებელს ივანე როსტომაშვილს. მთავრობამ „სუნით“ იგრძნო, რაშიც იყო საქმე, ჟანდარმმაც პასუხი მოგვთხოვა მე, დ. ჯანაშვილს და ივ.როსტომაშვილს, რომელიც „კარეტით“ ტფილისის ციხეში“ ჩამოიყვანეს. ბოლოს სემინარიიდან გამოვედი „ოთხით“ ყოფაქცევაში“.

ამით დამთავრდა მ. ჯანაშვილის სწავლა-განათლება. იგი სამი წლის შემდეგ, 1875 წელს, ქალაქ ქუთაისში მინა პეტრიაშვილის პანსიონში იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. მოსე მიიწვიეს ქუთაისის პროგიმნაზიაში, სადაც ცოდნა-განათლებას იღებდა შემდგომში ცნობილი მრავალი საზოგადო მოღვაწე: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ელიაშვილი, იასონ

ლორთქიფანიძე, ილია ნაკაშიძე და სხვ. დასავლეთ საქართველოს თვალწარმტაცმა ბუნებამ და ქუთაისურმა კოლორიტმა ერთგვარი იმპულსური ასახვა პპოვა მოსეს ნაწერებში.

მოსეს გული თბილისისაკენ მოუწევდა. 1878 წელს იგი ახერხებს თბილისში გადმოსვლას და იმავე წელს მასწავლებლად ინიშნება თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მუშაობდა 1901 წლამდე. 1892 წლიდან მ. ჯანაშვილი ქართულ ენას ასწავლიდა რეალურ სასწავლებელშიც. გადმოცემებით, მოსეს საინტერესო და მომხიბვლელი გაკვეთილი ჰქონდა, რომლებსაც ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ძალზე მძიმე პირობებში უხდებოდა მ. ჯანაშვილს პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ბობოქარი ცხოვრება არაერთ მნიშვნელოვან ფაქტთანაა დაკავშირებული; მათზე უბრალო თვალის გადავლევაც კი წარმოაჩენს ჩვენ წინაშე მოძღვარს, ერის დაუღალავ მუშაკს. უკეთესია, ამაზე თვით მოსეს მოგონებას მივმართოთ: „მთელი ეს დრო (23 წელიწადი) მე გავატარე უკუღმართობასთან ბრძოლაში. საკუთარ მოვალეობას პირწმინდად და ჩინებულად ვასრულებდი, თორემ არ დამინდობდნენ და დამითხოვდნენ უწყალოდ. ამ ხნის განმავლობაში ჩემ ხელში გაიარა მრავალმა მოწაფემ. მშველელი და მფარველი ვიყავი უფრო ისეთი მოწაფეებისა, რომლებიც მოდიოდნენ საქართველოს განაპირებიდან: საუდოდან, საინგილოდან, აფხაზეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ბორჩალოდან, ოსეთიდან. მთიულეთიდან და საზოგადოდ კი, ყველასი... ვაჩუქებდი წიგნებს, ვახალისებდი სწავლისათვის, ხშირად საკუთარ ბინაზე ვინახავდი და ფულს ვაძლევდი მშვიერს.“

ძნელი და რთული პირობების მიუხედავად მ. ჯანაშვილი 45 წლის განმავლობაში დაუღალავად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მედგარ დარაჯად ედგა გამოჩენილ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ჩვენი ერის სულიერ კულტურას.

პირველი რევოლუციის შემდეგ, 1909 წელს, მოსე ქართულს ასწავლიდა წმინდა ნინოს სასწავლებელში, საიდანაც ერთი წლის შემდეგ იგი მიიწვიეს მეხუთე ქალთა გიმნაზიაში. თებერვლის რევოლუციამდე მოსე აქ მუშაობდა. ამასთანავე, ერთხანს, რეალურ სასწავლებლიდან წამოსვლის შემდეგ, მოღვაწეობდა როგორც მიწისმზობელთა სასწავლებელში, ისე მეექვსე ვაჟთა გიმნაზიაში.

მ. ჯანაშვილს 1895-1917 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის

საგამოცდო კომიტეტის წევრ-ევზამინატორის თანამდებობაზეც ვხედავთ.

1920 წელს მოსე ჯანაშვილი ქართული ენის ლექტორად მიიწვიეს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

თუ თვალს გადავუვლებთ მოსეს ბიოგრაფიას, დავინახავთ, რომ იგი არ იყო შემოფარგლული მარტო პედაგოგიური მოღვაწეობით, საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა. იყო წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი (1891 წ.), არქივის, სიძველეთსაცავის თანამშრომელი. მან შრომატევადი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოაწესრიგა და მწყობრში ჩააყენა თბილისის მაზრის აქივი (1810-1850 წწ.), სადაც მანამდე უცნობ მრავალ შექანიშნავ სიგელ-გუჯარს მიაგნო. ფასდაუდებელია მოსეს დეაწლი ერის სიძველის მოპოვების, დაცვისა და შესწავლის საშვილიშვილო საქმეში. 1889 წელს თბილისში დაარსდა სიძველეთსაცავი. მოსე ყოველდღიური საქმიანობით იყო მასთან დაკავშირებული. 1899 წლიდან კი სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა მას. მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც აქვე ეწეოდა. 1921 წელს ეს სიძველეთსაცავი უნივერსიტეტმა ჩაიბარა. იგი შემდგომ საფუძვლად დაედო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, რომელიც შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტად იქცა.

1897 წლიდან 1926 წლამდე მოსე ჯანაშვილი იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი და გამგე, ამავე დროს სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი და ზოგი მათგანის უშუალო დამაარსებელთაგანიც.

1930წელს დიდი ზეიმით აღინიშნა მოსე ჯანაშვილის საიუბილეო თარიღი (75 წ.). სხდომას თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი. სიტყვები წარმოთქვამს აკაკი შანიძემ, არნ. ჩიქობავამ და სხვ. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი აირჩია დამსახურებულ პროფესორად, დაენიშნა პერსონალური პენსია. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მოსე ჯანაშვილის სახელი ეწოდა.

სიცოცხლე უნდოდა, რომ მრავალი გამოკვლევა თუ ჩანაფიქრი ქალღმერთად გადაეტანა. სიკვდილმა არ აცალა. იმ დროს ეწვია, როცა არ ელოდა, თუმცა ბოლო ხანებში ერთგვარ სისუსტეს უჩიოდა.

1934 წლის 19 აპრილი; თითქოსდა სიმბოლური იყო რიცხვი 19.

გაზაფხულის საღამოს ჩამავალი მზის სხივები საამურად ეალერსებოდა ძველი თბილისის სანახებს. მძლავრად ჩქეფდა ქალაქური სიცოცხლის არტერია. მხოლოდ ერთი სახლის ჭერ ქვეშ ებრძოდა სიკვდილი მარადიულ სიცოცხლეს. მომაკვდავის თვალთახედვის არეალში ერთმანეთს ენაცვლებოდა საინგილოს მეწამული ცის კაბადონზე აღმართული ყუმისა და ფიფინეთის ეკლესიათა მრუმე კონტურები. საშინელი სიკვდილის გამარჯვების დასტურად ქალის გულსაკლავმა კივილმა შეძრა არემარე. იმ დამეს ცას მოკაშკაშე ვარსკვლავი მოსწყდა და კავკასიონის ქედს მიღმა გაქრა. დადუმდა ქურმუხის ეკლესიის ოქროს მამალი. შავი ღრუბელი გადაეფარა საინგილოს ზეცას. კახის თავში გულშემზარავად ყმუოდა ძაღლი.

მცოვან მეცნიერს დალეული ხელიდან ძლივს გამოაცალეს მაგრად ჩაბღუჯული კალამი...

სამგლოვიარო დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროფესორ მოსე ჯანაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად მისი სახელობის სამი სტიპენდია დააწესა ისტორიულ-ლიტერატურულ ფაკულტეტზე. გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა აკაკი შანიძის წერილი „დამსახურებული პროფესორი მოსე ჯანაშვილი“. მიმოიხილავდა რა განსვენებულის შემოქმედებას, ჩვენი სასიქადულო მეცნიერი თავისი წერილის დასასრულს შენიშნავდა: „საბჭოთა მეცნიერების ვალია, კრიტიკულად დაამუშაოს ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც პროფესორმა მოსე ჯანაშვილმა დატოვა თავისი ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად... მას ბევრნი მოიგონებენ, როგორც ძვირფას მასწავლებელს და მეცნიერებისათვის უაღრესად თავდადებულ ადამიანს“ (გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 94).

მოსე ჯანაშვილს მაშინ მოუწია სამეცნიერო მოღვაწეობამ, როცა საქართველოში მეცნიერება ერთგვარი „ღულილის“ პროცესში იმყოფებოდა. ჯერ არ არსებობდა სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერებს ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სფეროში უხდებოდათ მუშაობა, რაც მათგან განათლების ფართო დიაპაზონს მოითხოვდა. მოსე ჯანაშვილის მემკვიდრეობა, აკად. ვ.თოფურიას გამოანგარიშებით, 1665-მდე შრომას მოიცავს, რომელთაგან 71 წიგნია. გამოუქვეყნებელია 300-მდე ნაშრომი. მეცნიერის ეს მდიდარი მემკვიდრეობა ნაწილობრივადაა შესწავლილი, დიდი ნაწილი კი მეცნიერულ შესწავლას მოელის.



ჩვენ აქ ზოგადად წარმოვადგენთ მოსე ჯანაშვილის საქმიანობას მეცნიერების სხვადასხვა სფეროში.

მოსე ჯანაშვილის, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსის კალამს, არა ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო თუ გამოკვლევა ეკუთვნის. საყურადღებოა 1884 წელს გამოცემული მისი „საქართველოს ისტორია“, რომლის მეორე გამოცემა მოხერხდა 1895 წელს. ამ წიგნის შესახებ გიორგი წერეთელი იმდროინდელ პრესაში წერდა: „ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა, ახლად შემუშავებული და შევსებული საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭიროებდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს ლოცვანივით“ („კვალი“, 1895, № 12). აგრეთვე ისტორიის დამხმარე დარგების, ქრონოლოგიისა და ნუმისმატიკის კვლევა-ძიებას მიუძღვნა ნაშრომები: „ქორონიკონები“ (1903), „წელთა და ჟამთა აღრიცხვა ქართული“ და მისი ვრცელი რეცენზია „ქართული ფული“, რომელიც ეძღვნებოდა მიხ. ბარათაშვილის ნაშრომს „Нумизматические факты грузинского царство.“

მოსე ჯანაშვილი, როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიის წყაროთა მოძიებასა და შესწავლაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხუროთმოძღვრების ძეგლებს. ამ მხრივ საყურადღებოა: „მცირე შენიშვნა“ წრომის ტაძრის შესახებ (1882), „დათვალიერება მეტეხის ტაძრისა“ (1884), „ქართველების კვალი საჩხერაში“ (1884), „წმინდა ადგილი“ სვეტიცხოვლის განახლების გამო და სხვ.

მოსემ კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა წერილობითი წყაროების მოძიება და სათანადოდ კომპენტირება, ამიტომაც იგი საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლას ყველაზე დიდ დროს ანდომებდა. მან საეკლესიო მუზეუმში მუშაობისას აღმოაჩინა „სერაპიონ ხარზმელის ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრების“ მანამდე უცნობი ხელნაწერი, რომელიც დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში „ჯანაშვილისეულის“ სახელითაა ცნობილი. იგი იხილავდა თამარის ისტორიკოსებს და ფარსადან გორგიჯანიძის შრომებს საქართველოს ისტორიისათვის.

ენათმეცნიერების დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მისი „ქართული გრამატიკა“ (1906), რომელშიც შედარებულია ქართულ-მეგრულ-სვანური მასალები. გრამატიკას დადებით

შეფასებას აძლევდნენ ისეთი საზოგადო მოღვაწეები, როგორც იყვნენ ლუარსაბ ბოცვაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, იუსტინე აბულაძე.

განუზომლად დიდია მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობა დიალექტოლოგიასა და ქართული ლექსიკონების შედგენის საქმეში. დღემდე ანგარიშგასაწვეია მისეული ეტიმოლოგიური ახსნები. სამართლიანად აღნიშნავდა პროფესორი შოთა ძიძიგური: „ქართული დიალექტების საფუძვლიან შესწავლას სათავე დაუდო მოსე ჯანაშვილმა. ამდენად მისი ღვაწლი ქართულ დიალექტოლოგიაში დიდია“ („მ. ჯანაშვილი როგორც ქართული ენის მკვლევარი“, წიგნში „მოსე ჯანაშვილი“, თბ., 1956).

1896 წელს გამოვიდა მ. ჯანაშვილის „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, რომელსაც დამატების სახით ერთვის კაკელისენში შეკრებილი მასალები. მეცნიერებაში ცნობილია, თუ რაოდენ ფასეულია ჩატარებული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება და ამ კუთხით გამოთქმული მოსაზრებანი: „კილოკავების უგულებელყოფა, კარჩაკეტილობა მათ შესწავლაში მანებელია იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ კილოკავებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შენახულია მრავალი, ძველისძველადგანვე, ქართველებისაგან შეძენილი სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საჭიროა გამოშხვედეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საეროვნო ენას... კილოკავები და ეგრეთწოდებული „გაქვავებული“ სიტყვები უშრეტე წყაროა სამწერლო ენისა. როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემორევნით, ისე ენაც, თავისი წინსვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თავის კილოკავებიდან. უამისოდ იგი დიდ მანძილს ვერ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გაღატაკდება და სწორედ ის დაეშართება, რაც ქვიშნარში მიმდინარე ხევს, რომელიც სათავეებში წყარო-ნაკადულების სიცოტავის გამო ზღვამდის ვერ აღწევს“. მანვე შეადგინა ვრცელი ქართული ლექსიკონი, სადაც შეტანილია 105 ათასამდე სიტყვა, ასევე „კეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, ინგილოური ლექსიკონი და სხვ. (სამწუხაროდ, ეს ლექსიკონები დღემდე გამოუცემელია).

ქართველური და სლავური ენების ურთიერთობის ზოგ საკითხს შეეხო შრომაში: „Картвельский язык и славяно-русский“. ქართული ენის პროულარიზაციის მიზნით მჭიდრო კონტაქტები

ქონდა დამყარებული საზღვარგარეთელ გამოჩენილ ენათმეცნიერებთან (პ. შუხარდტი, ლ. ჰაუპტი, რ. ერკერტი). მათი მეგობრული ურთიერთობის დამადასტურებელია ის წერილები, როქლებიც ინახება მ. ჯანაშვილის პირად არქივში.

მ. ჯანაშვილი ინტენსიურად იკვლევდა ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. იგი 1898 წლიდან საეკლესიო მუზეუმის გამგედ დაინიშნა, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო, გულდასმით შეესწავლა ქართული ხელნაწერები. ამ წლიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე საკუთარი ოჯახივით ზრუნავდო მუზეუმისათვის და იქ თავმოყრილ ქართულ ხელნაწერებს სამართლიანად „ქართველთა მილიონებსაც“ კი უწოდებდა („ივერია“, 1894, № 135).

მოსემ ქართულად თარგმნა ისეთი ლიტერატურული ძეგლი, როგორცაა „ათას ერთი ღამე“, აინტერესებდა ბიბლიის ორიგინალობის საკითხი. ნათარგმნი აგიოგრაფიული ძეგლებიდან დაინტერესებული იყო გიორგი მთაწმინდელის „დიდი სვინაქსარი“. ჰიმნოგრაფიას მიმოიხილავს შრომაში — „საუნჯე მეთე საუკუნისა“ (1891), სადაც აანალიზებს მიქელ მოდრეკილის იადიგარს. საერო ლიტერატურის საკითხებს აშუქებდა 1895 წელს გამოცემულ ნარკვევში „მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“. როგორც მოსალოდნელი იყო, მკვლევრის კვლევა-ძიების ცენტრში იდგა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც საკმაოდ ბევრი გამოკვლევა მიუძღვნა. 1904 წელს იბეჭდება მისი სტატიები — „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“ („მოამბე“, № 2, 3, 4), 1910 წელს „ნაშრომის“ მესამე წიგნში შეიტანა წერილი „რუსთაველის გარშემო“. 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ დაბეჭდა წერილების სერია სათაურით „თამარ მეფის მეხოტბენი“. რუსთველოლოგიაში მომუშავენი ყოველთვის დიდი მადლიერებით მოიხსენიებენ მოსე ჯანაშვილისეულ ამა თუ იმ მოსაზრებებს, პოემის კლარჯულ-ინგილოურ გლოსებს და არაბიზმებს.

ასევე გარკვეული წვლილი შეიტანა მოსე ჯანაშვილმა ქართულ ფოლკლორისტიკაში. იგი შემკრებლობით მუშაობასთან ერთად ეწეოდა მათ გამოძხურებასაც. მეცნიერულ კომენტირებას უკეთებდა არაერთ ხალხურ შემოქმედებით მარგალიტს. ესენია: „ფარავანა“ („სახალხო ფურცელი“, 1915, № 256); „მზე“ („ივერია“, 1909, № 14) და სხვ. თარგმნა და გამოაქვეყნა რუსულად ექვსი ინგილოური

ზღაპარი (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXXII).

მოსე ჯანაშვილი თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ეხებოდა არქეოლოგიურ საკითხებსაც. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „სასახლეები საქართველოში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №№ 289, 291), „არქეოლოგიურ კრებაზე“ („დროება“, 1881, № 199), „ანჩისხატის ეკლესია“ („დროება“, 1889, № 83), „საინგილო (არქეოლოგია)“ („ივერია“, 1894, № 168) და სხვ. მის შრომებს დიდ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი არქეოლოგები: უვაროვა, ანუჩინი, ტრუტოვსკი და სხვ.

მოსე ჯანაშვილის არქეოლოგიური კუთხით გაწეული ამაგი უყურადღებოდ არ დაუტოვებია მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას, რომელმაც იგი 1894 წელს თავის წევრ-კორესპონდენტად აირჩია.

მოსე ჯანაშვილის მეცნიერული კვლევის სფეროში შედიოდა გეოგრაფიული მეცნიერებაც. ამ მიმართულებით მკვლევარმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. ნაშრომი „მსოფლიო და საქართველოს გეოგრაფია“ სახელოვანმა მეცნიერმა არ გამოსცა. ამის მიზეზი ის იყო, რომ „ვახუშტის გეოგრაფია შექმულია დიდის ღირსებით და ეს გეოგრაფოსი დაწერილებითაც აღწერს ყოველ კუთხეს და ადგილს საქართველოსასა, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი შრომის დაბეჭდვა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია. I წიგნი, სამცხე, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფ. 1892). მ. ჯანაშვილს სწორედაც რომ ერთგვარი მეცნიერული სინდისი კარნახობდა, გულდასმით გასცნობოდა ვახუშტის ნაშრომს, ჩასწვდომოდა ამა თუ იმ მონაცემს, გაეკეთებინა უამრავი შენიშვნა და სოლიდური გამოკვლევის შემდეგ 1904 წელს გამოეცა იგი. იმავე წელს მოსემ რუსულადაც თარგმნა ზემოაღნიშნული ნაშრომი, დაურთო ვრცელი გამოკვლევა და დაბეჭდა (ЗКОРГО, вып. v, кн. XXIV).

აქვე უნდა გავიხსენოთ მისი სხვა ნაშრომები, რომლებშიაც მიმოხილულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეები: „საქართველოს დედაქალაქი თბილისი“ (1883), „მესხეთი“ (1915), „მცხეთა და მისი მიდამონი“ (1918, ხელნაწერი), „არავჯის ხეობა“, «Абхазия и абхазцы» (ЗКОРГО, кн. XVI, 1893), „Горн и его окрестности» (Сборник матер. для описания местностей и племен Кавказа, вып. XXXIV...) და სხვ.

მოსე მთელი ენერგიითა და მონდომებით ცდილობდა საქართველოს ყოველი კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლას. ამ მიმართულებითაც ბევრი რამის გაკეთება შეძლო, მაგრამ ამ საქმეში ერთი კაცი ვერას ვახდებოდა. აუცილებელი იყო ფართო მასების ჩაბმა. ამიტომაც იგი მოუწოდებდა „ჩავჭილოთ ხელი ერთმანეთს და პატიოსანი შრომით აღვაყვავილოთ ჩვენი მარადმზიანი ტურფა სამშობლო“ („მესხეთი“, თბ., 1915). მას აქვს მთელი რიგი საინტერესო წერილები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესახებ: „ბაძბა და მისი მოშენება“ (1889), „აბრეშუმის მრეწველობა საინგილოში“ („ივერია“, 1886, №№ 87, 92, 112, 116), „Волошский орех и его культура“ (Кавказское сельское хозяйство, 1894, № 48), «Культура риса в Закатальском округе» (Труды Кавказ. Общества сельского хозяйства, 1889, № 12) და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ გაზეთ „მეურნის“ 1889 წლის ის ნომრები (18-34), რომლებსაც იმდროინდელი რედაქტორის ვ.სულხანიშვილის დავალებით მოსე უძღვებოდა და აქვეყნებდა შესანიშნავ სტატიებს: „ამერიკის ვაზი“, „ნიორი“, „ჩალთუკი“ (ბრინჯი), „ნესვი და სასამთრო“, „აღუბალი, კომში, ატაძი, ნუში“, „კინკრუჯა“, „ზეთისხილი“, „სასარგებლო მცენარენი“, „ტყის მეურნეობის შესახებ“, „პირუტყვის ავადმყოფობა“ და სხვ.

მოსემ 1881 წელს გამოსცა პატარა მოცულობის ბროშურა „მერცხალი“, რომელიც, ჩვენს აზრით, გადმოკეთებულია შმიდტის მოთხრობიდან. პროფესორი არჩილ ჯანაშვილი ამ ნაწარმოებს სამართლიანად მიიჩნევდა მოსე ჯანაშვილის ნაშრომთა შორის პირველ თხზულებად.

მოსე ჯანაშვილის მეცნიერული კვლევის ფართოპლანიან განასერში ქართული ეთნოგრაფიის შესწავლას ერთ-ერთი საპატიო ადგილი კვაყა. ცარიზმის შავბნელ მარწუხებში მოქცეული ქართველი ერის გამოსაფხიხლებლად საჭირო იყო ყოველგვარი ხერხის მომარჯვება, იქნებოდა ეს მეცნიერულ-პედაგოგიური შემოქმედება თუ საზოგადოებრივი საქმიანობა. ჩვენი მოწინავე ინტელეგენციის წარმომადგენლებმა პ.იოსელიანმა, რ.ერისთავმა, პ.ჭარაიამ აქტიურად მიჰყვეს ხელი ჟურნალ-გაზეთებში ეთნოგრაფიული მასალების გამოქვეყნებას. მოსე ჯანაშვილი ამ საერთო ეროვნულ წამოწყებას ხელუხვი მასალებით შეეგება. და აქაც,

უპირველეს ყოვლისა, ქართველთა გათვითცნობიერებას იწყებს საქართველოს განაპირა კუთხის — საინგილოს ყოფა-ცხოვრების აღწერით: „საცოლნად კარგია ვიცოდეთ ჩვენი ხალხის ავი და კარგი თვისება, მეტადრე ზოგიერთის ჩვენი ქვეყნის მიყრუებულის ადგილისა: ამგვარი ადგილი არის ალაზანს გაღმა ზაქათალისა-კენ მდებარე ადგილი საინგილო“. ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტორი, რადგანაც ჯერ კიდევ გულში ღრმად შთაბეჭდილი ჰქონდა გაზეთ „დროების“ რედაქტორთან ს.მესხთან პირველი შეხვედრა, მათი გულთბილი საუბარი. ახალგაზრდა მოსეს მაშინ ბევრი რამ უკვირდა, აოცებდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტების არცოდნა, რაც მას ვერ წარმოედგინა. იფეთქა ბავშვობის დროინდელმა მოგონებებმა. ფრთა გაშალა მოსეს მხატვრულმა ფანტაზიამ. ამიტომაცაა, რომ მის მიერ აღწერილი ესა თუ ის მოვლენა მხატვრულ-ემოციური განცდებილია და ხუნძლული. იგი აღწერისას ამა თუ იმ ფაქტის ახსნა-განმარტებასაც გვთავაზობდა, რათა მკითხველს გაუგებარი არ დარჩენოდა უმნიშვნელო დეტალიც. ითვალისწინებდა რა რუს მკითხველს და ამავე დროს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისადმი დიდ ინტერესს სხვა ერებისაგან, რუსულადაც აქვეყნებდა მასალებს. 1887 წელს ჟურნალ „Труды Кавказского о-ва сельского хозяйства“ № 3-ში დაბეჭდა წერილი «Краткий очерк Кахкского участка», 1892 წელს — «Абхазия и абхазцы» — этнографический очерк (Записки КОРГО, кн. XVI), მის ნაწერებს შეხვდებოდათ აგრეთვე იმხანად თბილისში გამოცემულ რუსულ ჟურნალსა და კრებულებში „Записки“ და «Известия Кавказского географического о-ва», «сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа».

ერთგვარი ინტერესი გამოიწვია მისმა ეთნოგრაფიულმა ნარკვევმა «Картвельская поверья»-მ, რომელშიც მიმოხილულია ხალხური რწმენა და წარმოდგენა სამყაროს შექმნაზე, ადამიანის წარმოშობაზე, ბუნების მოვლენებზე და სხვ.

მ. ჯანაშვილმა შეადგინა პროგრამა ეთნოგრაფიული მასალების შეკრებისა, რომლითაც ხელმძღვანელობდა და ამავე დროს სხვებსაც მოუწოდებდა საერთო საქმეში ჩასაბმელად. პროგრამა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიის“ 1902 წლის № 4-ში შემდეგი სათაურით: „Программа для собирания этнографических предметов.“ ვფიქრობთ, ამ პროგრამამ გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენში ამ დარგის შემდგომ განვითარებაში.

მ.ჯანაშვილის მრავალრიცხოვან ნაწერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის ცნობილ ფუნდამენტურ ნაშრომს „საინგილოს“. ავტორის სპეტაკი მეცნიერული აღლო და უსაზღვრო სიყვარული მშობლიური მიწისადმი იგრძნობა ამ ნაწერის ყოველ გვერდზე. ნათელ სარკესავით მოჩანს საქართველოს ამ განაპირა კუთხის შუქ-ჩრდილები. იგი პირველი სრულყოფილი ნაშრომია ქართულ მეცნიერებაში ამ კუთხეზე. მას თავისი მეცნიერული დანიშნულება დღესაც არ დაუკარგავს.

„საინგილო“ 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო კრებულში დაიბეჭდა („ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. IV, ეთნოგრაფია, გვ. 51-276). ამის შემდეგ ნაშრომი არ გამოქვეყნებულა.

„საინგილომ“ გამოცემისთანავე მიიქცია ყურადღება. იმდროინდელმა მოწინავე ინტელიგენციამ ბევრი რამ შეიტყო უცხო გარემოცვაში მოხვედრილ თანამოძმეთა შესახებ. თერგდალეულთა რაზმიდანაც გაისმა მათთვის ჩვეული ეროვნული მოწოდება. მოსეს პირად არქივში შემონახულია „რამდენიმე მოგონება, რომელსაც კავშირი აქვს ნეტარხსენებულ აკაკის ბრწყინვალე ხსოვნასთან“. ერთ-ერთ ჩანაწერში აკაკი იძლევა ნაშრომ „საინგილოს“ შეფასებას: „შენი (იგულისხმება მ. ჯანაშვილი — ა. ო.) წვლილი მეტად დიდია. ფასდაუდებელია თუ გინდ მარტო შენი „საინგილო“. ყველა კუთხე-ყურეს რომ ეგეთი აღწერა ჰქონოდა, მთელი საქართველო თვალწინ გვექნებოდა წიგნად“ (გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, მ. ჯანაშვილის ფონდი, ხელნაწ. № 21660). ხელნაწერი უთარიღოა. აკაკი წერეთლის შეფასება სამართლიანი და ობიექტურია. იგი დღემდე ძალაშია.

პირველი მეცნიერული შემფასებელი მ. ჯანაშვილის „საინგილოსი“ იყო პროფ. ა. შანიძე. მან გულდასმით, შორს გამიზნული ენათმეცნიერული თვალთახედვით განჭვრიტა ქართული ენის ინგილოური დიალექტის აქ წარმოდგენილი ნიმუშების მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის და მისთვის ჩვეული პირუთენელი დასკვნაც გააკეთა: „Тем не менее, труд М. Г. Джанашвили является важным приобретением для грузинской диалектологии. Раньше у нас не было почти никаких сведений об ингилойском говоре, приходилось лишь догадываться о гро-

მადიომ его значени по случайным заметком самого М. Джанашивили и любителя-этнографа З. Эдили. Тепер же этот интересный говор известен в общих чертах и настоятельно требует дальнейшего детального обследования. Можно сказать, что ни в одном грузинском говоре нет такого своеобразия, как в ингилойском» (Записки Вост. От. Импер. Русского Археологич. Общ., т. XXII, вып. III—IV, Петроград, 1915).

ძალზე დიდი იყო რეცენზენტის ენათმეცნიერული ინტერესი. მან შენიშვნები გაუკეთა ნაშრომში წარმოდგენილ გრამატიკულ ნაწილს. მიუთითა უ+ა>ო (ყოვ, გორ) და ვ+ა>ო (გაყონ) კომპლექსების, ასევე უ(უმარცვლო) უკანიდან ხან შუაში გადმონაცვლება, მის შეერთებას ე-სთან, ან ი-სთან (ლელ, ნეს). ყურადღება გამახვილებული იყო სიტყვა „ღმერთიმას“ წარმომავლობაზე (ღმერთიმა<ღმერთი [ს] მა [დლმან] (მა [დლსა]).

ასევე გამოთქვამდა დიდ სურვილს, ლექსიკური თვალსაზრისით ინგილოური შედარებულიყო ქართული ენის სხვა კილოებთან: ხევსურულთან, თუშურთან, ფშაურთან და ქიზიყურთან.

სწორედ რომ ლექსიკურმა ინტერესმა წარმოშვა ა.შანიძის საკმაოდ მოზრდილი ინგილოური ლექსიკონი (305 ერთეული), რომელიც ავტორმა შენიშნა „при чтении книги, но пропущения в глосари». აღნიშნული ლექსიკონი რეცენზიას ერთვის, სამწუხაროა, რომ ენათმეცნიერთათვის ეს ფრიად საჭირო ლექსიკონი ერთობ ძნელად მისაგნებია.

მკვლევარნი, რომლებიც მ. ჯანაშვილის შემოქმედებას მიმოიხილავენ ამა თუ იმ კუთხით, თითქმის ყველანი ერთხმად მიუთითებენ ნაშრომ „საინგილოს“ მაღალ ღირსებაზე. აი, რას წერდა გამოჩენილი ეთნოგრაფი ს. მაკალათია: „ეს მონოგრაფიული ნაშრომი უნდა ჩაითვალოს ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში საუკეთესო და სანიმუშო თხზულებად... ამ ნაშრომით მოსე ჯანაშვილმა საფუძველი განუმტკიცა ქართულ ეთნოგრაფიას და იგი ითვლება ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად“ (მ. ჯანაშვილი და ქართული ეთნოგრაფია. წიგნ. „მოსე ჯანაშვილი“, თბ., 1956), ისტორიკოსი კ. გრიგოლია: „ამ მხრივ მისი „Абхазия и абхазцы—этнографический очерк (1893), „მესხეთი“ (1915) და „საინგილო“ (1913) განსაკუთრებული ღირებულებისანი არიან დღესაც. რაც მთავარია, დასახელებულ ნაშრომებში მკვლე-



ვარი მეცნიერული დაკვირვებისა და ეთნოგრაფიული აღწერის ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა ყველგან“ (მ. ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი, წიგნ. მ. ჯანაშვილი, თბ., 1956). აკად. ვარლამ თოფურია შენიშნავდა: „ცნობილია მოსე ჯანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევები ეთნოგრაფიაში „საინგილო“. იგი საინტერესოდაა აგებული, მასში ვრცლად არის მოცემული საინგილოს გეოგრაფია, ისტორია, მოსახლეობა.... ასეთი შედგენილობით სრული ნარკვევი მანამდე უცნობი იყო. მისი მნიშვნელობა დღესაც დიდია (მ. ჯანაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, წიგნ. მ. ჯანაშვილი, თბ., 1956). შ. ძიძიგური ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილავეს რა მ. ჯანაშვილის ენათმეცნიერულ საქმიანობას, საგანგებოდ ჩერდება ნაშრომ „საინგილოზე“: „მართალია, გრამატიკული ინტერპრეტაციები ავტორისა არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, ასევე არც ლექსიკონია უნაკლოდ შედგენილი. მაგრამ ეს მაინც არ ამცირებს ღირებულებას ამ ნაშრომისას, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ცხოველ ინტერესს საენათმეცნიერო ლიტერატურაში... უკანასკნელ ხანების ჩანაწერებმა ცხადყო, რომ ჯანაშვილისეული ტექსტები აკადემიური ხასიათისაა, სიზუსტის თვალსაზრისით ძირითადად ეჭვმიუტანელია, და ის სხვაობანი, რომლებიც შეიმჩნევა ამჟამად ფიქსირებულ ტექსტებში, უმთავრესად მაჩვენებელია ამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დიალექტის სახეცვლილებებისა. ეს კიდევ უფრო ზრდის მოსე ჯანაშვილის ნაშრომის მნიშვნელობას, რამდენადაც მასში აღნუსხულია ის ფორმები, რომლებიც დიალექტის განვითარების დღევანდელ საფეხურზე განსხვავებულ სახით წარმოგვიდგება“ (მ. ჯანაშვილი როგორც ქართული ენის მკვლევარი, წიგნ. მ. ჯანაშვილი, თბ., 1956). თუ რაოდენ უტყუარია მეცნიერის ზემოაღნიშნული მოსაზრება, ამას თავად მკითხველი მიხვდება ნაშრომის გაცნობის შემდეგ.

„საინგილოში“ წარმოდგენილია, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ასევე ენობრივი თვალთახედვა. მას ახლავს ინგილოური დიალექტის ენათმეცნიერული ანალიზი და ლექსიკონი.

წიგნი „საინგილო“ შედგება 8 თავისაგან. I თავი ეთმობა საინგილოს ზოგად ისტორიულ ასპექტში გაშუქებას. II თავში აღწერილია სახლ-კარ-მამული. მიმოხილული აქვს მევენახეობასთან დაკავშირებული შრომა-საქმიანობა. III თავი ეთმობა მინ-

დორ-ველს. საინგილოს ფლორისა და ფაუნის გადმოცემისას ჩინებულ ცოდნას ამჟღავნებს ავტორი. IV. აბრეშუმის მოყვანა-მრეწველობა. ამ საკითხის ირგვლივ ავტორს არა ერთი ნაწერი ჰქონდა გამოქვეყნებული პრესაში. შესანიშნავად განმარტავს აბრეშუმის მოვლა-პატრონობას და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. V თავი — შინაური ყოფა-ცხოვრება — გვამცნობს იმჟამინდელ ინგილოთა ცხოვრების ისეთ მხარეებს, როგორცაა: შობა და აღზრდა, ნიშნობა, დაკრძალვის წესები, გორი (საიქიო), ცრუმორწმუნეობანი, დღეობები და გაყრა. ავტორი არა მარტო მისთვის ჩვეული მონდომებით აღწერს, არამედ ხშირ შემთხვევაში განმარტავს ამა თუ იმ წესის მნიშვნელობას. VI თავი დათმობილი აქვს ინგილოურ ზღაპრებსა და თქმულებებს. ნაშრომის ამ ნაწილში შეტანილია 17 სახელწოდების ზღაპარი თუ თქმულება, რომელთა შეკრებაშიც დახმარება გაუწევიათ ვ. ოთარაშვილსა და თ. ჯანაშვილს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზღაპრების ენა ინგილოური დიალექტის კაკური თქმის უნიკალურ ნიმუშებს შეადგენენ, ხოლო რაც შეეხება „მოლა ნასრედინის“ ციკლით მოყვანილ გადმოცემებს, ისინი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვითაა ფიქსირებულნი. VII თავი დიალექტის ენათმეცნიერული კვლევის ერთგვარ ცდას წარმოადგენს. ესაა ინგილოთა ლოდათი ანუ კილოკავი და მისი გრამატიკა, რომელსაც VIII თავად მოსდევს ვრცელი ლექსიკონი. „შესწორებანი და დამატებანი“ ნაშრომის გვერდების უშუალო გაგრძელებას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი მოთავსებულია სხვა ადგილას, კერძოდ 350-352 გვერდებზე. ამ ლაფსუსის შესახებ სამართლიან საყვედურს გამოთქვამდა თავის დროზე პროფ. ა. შანიძე რედაქციის მიმართ: «В заключение хотелось бы обратить внимание редакции, где напечатана труд М. Джанашвили, не желательность сохранения журнальной пагинации в отдельных отисках» (იხ. ა. შანიძის დასახ. რეცენზია, გვ. 357).

ქართულ მეცნიერებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო ნაშრომი „საინგილო“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამწუხაროდ; დღემდე იშვიათობას წარმოადგენდა. წინამდებარე კრეულის ტექსტს ისევე უცვლელად ვბეჭდავთ, როგორც ეს იყო ავტორის სიცოცხლეში. დღევანდლობის თვალსაზრისით შენიშნული ზოგიერთი უზუსტობანი, აქა-იქ გაპარულ ლაფსუსებსა და გამომცემელთა მიერ დაშვებულ კორექტურულ შეცდომებს შენიშვსების სახით

წიგნს ბოლოში ვურთავთ. ჩვენი ამგვარი გადაწყვეტილება განპირობებულია ნაშრომის სრულყოფის აუცილებლობით. ვუიქრობთ, მოსე ჯანაშიელის „საინგილო“ სამართლიანად ამოუდგება გვერდით და დაამშვენებს ამ სერიით გამიცემულ „თუშეთს“, „ხევსურეთს“, „ფშავს“ და „რაჭას“.

„საინგილო“ ყველა ქართულ ოჯახში შეიტანს მისთვის ჩვეულ თავისებურ ინგილოურ სიტბოსა და სიყვარულს, დიადი მამულიშვილური გრძნობით აღავსებს ჩვენს ახალგაზრდობას, ნეტარი სხივით გააცისკროვნებს მრავალტანჯულ თანამოძმეთა წარსულის დიად ფურცლებს; წუთით მკითხველს რაღაცაზე ჩააფიქრებს, ააღელვებს, გულის ძარღვს აუტოკებს. ჩვენი მიზანიც ესაა.

საინგილოს ისტორიული ძეგლების და ენთოგრაფიული ყოფაცხოვრების ამსახველი ფოტო-მასალის ვისარგებლეთ ილია ადამიას წიგნიდან „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. საინგილო“, რისთვისაც გარდაცვლილი მეცნიერის ოჯახს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ასრ ათ) ომარაშვილი



# I

## საზოგადო ბანხილვა

ადგილ-მდებარეობა. პავა. მცენარეულობა. პირუტყვი. ფრინველი. მდინარეები. სამკურნალო წყლები. მანეულობა. გზები. მცხოვრებნი. წმ. ნინო. თომა მოციქულის მოწაფის ელისეს მოსვლა გიუს. შაკიხ (შაქინუხი) — წუქეთ-ელისენის სამწყსო. ქრისტიანობა მირიანის დროს. წმ. არჩილ მუჟე. კახთა მთავრები და მეფეები. ღვინის ჩამოსახლება და ბატონობა. ჭარის რესპუბლიკა და მისი წეს-წყობილება. ელისოს სასულთნო. ანტონ კათალიკოსის ნაამბობი ამ ძირობის შესახებ. წამებულნი. თათრობა. ქართველთა კულტურა. ძველი ნაშთები. ცხოვრება — ბრძოლა. ქრისტიანობის აშკარათ აღვიარება. კვლავ გადადგომა. ინგილოთა რიცხვი და სოფლები. უმთავრესი დაბა-ქალაქები. მოღვაწენი. ელისოს სულთნების შთამომავლობა. ზოგიერთ სახელის განმარტება.

საინგილო შიგნით-კახეთის ნაწილია და, მაშასადამე, მდებარებს მდინ. ალაზნის ხეობაში. დღეს მას შეადგენს სიღნაღისა და ნუხის მაზრების და აგრეთვე დაღისტნის მომიჯნავე

ზაქათალის მაზრა<sup>1</sup>, რომელსაც ჩრდ.-აღმ. მხრით აჰყუდებია კავკასიონი, დას.-სამხ. მხრით კი შემორტყმიან ალაზანი და შავიმთა, ნაწყვეტი სიღნაღზე მომამავალ ცივ-გომბორის კვერნაქისა. სივრცე მისი უღრის 73.78 ოთხკუთხ მილს ანუ 3571.34 ოთხკ. ვერსს. ალაზნიდამ კავკასიონის ძირობამდე ველი ხან იშლება, ფართოვდება, და ხან ვიწროვდება, ასე რომ ამ მდინარითგან ხსენებულ მთის ძირობამდე ზოგან 30 — 40-ოდე და ზოგან 20 — 25-ოდე ვერსი ძლივს იქნება. სიმაღლე და სიდაბლე ადგილისა განსაცვიფრებელია: ერთის მხრით, ალაზნის ჩავარდნილ ხრამამდე დაქანებული ველი და, მეორეს მხრით, კავკასიონის წყალთა გამყოფი უმაღლესი მწვერვალი! ამისთანა ადგილ-მდებარეობის გამო ნაირ-ნაირია ჰავაც: იგი ცხელია და ხაშშიანი ალაზნის ხრამის მიდამოს, ხოლო ცივი და საღი აღმართ-აღმართ კავკასიონის მწვერვალამდე.

ადგილისა და ჰავის მიხედვით ირჩევა მცენარეულობაც, პირუტყვეულობაც და ფრინველიც. ატამი, ლეღვი, ბროწეული, წაბლი, ყურძენი და მათებრი თბილი ქვეყნის მცენარეულობა ზეგანებსა და აღმართებზე ვერ ხარობენ და უფრო მაღლა, მწვერვლებზე ხომ სხვა მცენარეულობაც ვერ უძლებს ზამთრის სუსხს, იქაურ მიმდემ აუღებელს თოვლსა და ყინვას. ამგვარადვე კამეჩულობა, ხოხობი, ფუტკარი, პარკის ჭია და სხ., რაც ალაზანს ჰშორდები, ილევა, სწყდება.

ალაზანსა და კავკასიონს შორის მთელი ველი, — სიგანით 20 — 40 და სიგრძით 80-მდე ვერსი, — წარმოადგენს ერთს განუწყვეტელს მუხისა, რცხილისა; წიფლისა, ნაკენჩლისა, წაბლთხილ-სხალ ნარევე ტყესა და ჭალებს, რომელთა შორის აქა-იქ

<sup>1</sup> ზაქათალის მაზრის (საინგილოს საზოგადოდ) შესასწავლად საკმაო მასალა მოიპოვება სხვა და სხვა თხზულებებში, რომელთაგან აქ დიმიტრი ჯანაშვილისა, ი. ს. ვილიაშვილისა, ზ. გულიაშვილისა და ზ. ედილაშვილის ფასიან ნაწერებს გარდა, ღვაასახელებთ კიდევ ზოგიერთს. ესენია: დ. ბაქრაძის «Замѣтки о Закавказском округѣ» (ადგილობრივს გეოგრ. საზ. მე-XIV წ., გამოც. 1), წერილები ფონ-პლოტოსი (Сборн. свѣд. о кавк. горцахъ, VI გამოც.), ი. ლინვეჩინისა (იქვე, მე-VII გამოც.), პასერ ბსკისა, ზისერმანისტა, „Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ» (ორი წიგნი), აგრეთვე თხზ. ბროსესი, ბუტკოვისა, ბატონიშვილის ეიდავითისა, ანტონი კათალიკოზის მემუარები (ჯერ დაუბეჭდავი სრულად), მასალები არქეოგრ. კომ. ოქმებში, ქართლ. ცხ., ვახუშტის გეოგრაფია და სხ.

მხოლოდ მოჩანს სოფლები, სათესი მინდვრები და აგრეთვე რი-  
ყები კავკასიონიდან ალაზანში ჩამომდინარე ხევებისა.

უდიდესი მდინარეებია ქურმუხი, მუხახის-წყალი, ჭარის-წყალი, მაწეხ-კატეხის წყალი, ბელაქნის წყალი და მაწის-წყალი (მაზიმ-  
ჩი): ყველა ამ წყლებს უჭერიათ დიდი და ღრმა დელეები კავ-  
კასიონისა, დაქანებულად დაბლა მორბიან, მოხშუვიან, გაზაფხულ-  
სა და, საზოგადოდ, დიდი წვიმების დროს მეტად დელდებიან,  
მოხუვიან საზარლად, მოაგორებენ უზარმაზარ ქეებს, ანგრევენ არე-  
მარეს, აფუჭებენ სოფლებს და, ხშირად, რიყედ აქცევენ ნათესებსა  
და მობიბინე ნაფუძერებს. ამ მხრივ მეტად დიდი ზარალი მოაქვს  
ქურმუხს—კაკში, ჭარის-წყალს—თალასა და ჭარში და კატეხის-  
წყალს — მაწეხ-კატეხში. ვერც გოდორ-ყურემ და ვერც სხვა ღონის-  
ძიებამ ამ წყლების ლალი ზვირთები ვერ შეიკავა და ყოველ წლივ  
მათი ისეც უშველებლად ვრცელი რიყე იზრდება, განიერდება, ფარ-  
თოვდება. მაგიერად, უამწყლებოდ აქაური მთის ძირობის მოსახ-  
ლეობა გზას ვერ წავიღოდა, რადგან სხვა წყაროების უქონლო-  
ბისა გამო ვერც არას მოირწყავდა და ვერც არას დაღვედა. ალა-  
ზნის პირებისაკენ კი ბევრია წყაროები, მაგრამ მათი წყალი მოდის  
ჭაობებიდამ, დამპალ ადგილებიდან, ჩვეულებრივ—თბილია, ჭიანი,  
მოშავო ფერი დაჰკრავს, რის გამო შავ-წყალს ეძახიან. წყლის ამგეა-  
რი თვისების გამო მთელს ალაზნის-პირა ადგილებსაც ეძახიან ყარა-  
სავს (—შავს). ყარასაველები ზაფხულობით სასმელად რჩეობენ  
მთიდგან მომდინარე ხევების წყალს და არა ყაფი-ჩაისას, რომელში-  
აც წყალი გროვდება ჭაობებიდამ გამონაჟონ წყაროებით.

სამკურნალო წყლებიც არ აკლია მაზრას. ქურმუხის ხეობა-  
ში ჰამამ-დერას (აბანოს ხეობაში), ელისოღგან 10 ვერსის მან-  
ძილზე არის თბილი წყალი — ჰამამი (აბანო). მის ახლოს მოხ-  
ბულადი, ალიბეგლოს ქვემო ცივი სამკ. აბანო ყაინათმა. აქვე  
იპოვება აგრეთვე მადნები სპილენძისა (ბელაქანში), რკინისა  
(იქვე), ტყვიისა (მუხახში), ვერცხლისა (იქვე). ამ და სხვა მად-  
ნეულობათ უჩვენებენ აგრეთვე ელისოს, ყუმს და სხ.

მაზრას ამ პირით (მაზიმ-ჩი ლაგოდებსა და ბელაქანს შო-  
რის) იმ პირამდის (ყანი-ყობი კავსა და ნუხს შორის) გადას-  
ჭრის ფართო გზატკეცილი, ორივე მხრით შემორგული კაკლის  
ხეებით. მეტად საამურია მგზავრობა ამ გზაზე, მეტადრე ზაფ-  
ხულის პაპანაქებაში, როდესაც გზის მთელი მანძილი ერთ უზარ-

მაზარ საჩრდილობელს წარმოადგენს. ეს შვენიერი გზა გაიყვანეს თვით მცხოვრებლებმა 1870 წლებში მაზრის უფროსის ბ. მ. შელკოვნიკოვის ხელმძღვანელობით. უწინ საფოსტო გზას სულ სხვა მიმართულება ჰქონდა: ნუკრიანიდამ (სიღნაღის უბანია) მოდიოდა დედოფლის-წყაროს (თუქურმიშას), იქიდან ჩამოდიოდა ალაზნის მარჯვენა კიდეზე, გადიოდა აღმალოს ხიდეზე და მიდიოდა ქალაქ ნუხს. ახლა კი ფოსტა სიღნაღის მაზრის სადგურ წნორ-ჭიაურ-ლაგოდეხიდან შემოდის საინგილოში და აქ ხვდება მას სადგურები ბელაქანი, ზაქათალა, გულუგი(-ვარდიანი და კაკი(-კახი).

1886 წელს მაზრაში იყო 74.449 მცხოვრები. მათგან 39.948 მამაკაცი (53.60%) და 34.501 დედა-კაცი (46.40%); გვარტომობით: 40.225 ლეკი, 21.090 თათარი (მულალი), 12.430 ქართველი, 521 სომეხი, 167 რუსი, 9 პოლონელი და 8 ურია.

უწინ მთელი ეს ძირობა, მთელი ეს კუთხე ეჭირა ქართველობას. გზა აქეთ ჰქონდა წმ. ნინოს, ვიდრე შეუბრუნდებოდა ქცელ-ლაბას და მიიძინებდა ბოღბეში. წმ. გიორგი, ვით საქართველოს დანაშთენ 365 ადგილების წმ.გიორგი, ნინოს დროებითგანვე შეიქმნა საერო გმირად, მაგალითად, უშიშარ რაინდობისა და ბრძოლისა საერთო თავისუფლებისათვის. აქაური ეკლესია წმ. ნინოს უნდა დაემყარებინოს ელისეს მიერ განთესილ თესლზე და, ვფიქრობთ, რომ ამ მოციქულის სახელი დღევანდლამდე შერჩენია აქაურ ელისენს (ელისენი — ალიაბათის სამოურავო) და ელისოს (ერთხანს სამთავრო დაბად იყო).

ელისე, როგორც მოწმობს კალანთკატვაწი, იყო თომა მოციქულის მოწაფე. მეფე სანატრუნემა რომ აწამა თომა, ელისე დაბრუნდა იერუსალიმს; აქ იგი ეპისკოპოსად აკურთხა უფლის ძმამ იაკობმა, რომელიც იყო პირველი ეპისკოპოსი იერუსალიმისა. იგი სპარსეთით, სომხეთის მიუკარებლათ — „*ИЗБИГЯ Арменій*“<sup>1</sup> მივიდა მასკუტებში და დაიწყო ქადაგება ჩოღას ანუ ჩორას — ჩურულს, ე.ი. დარუბანდის არემარეს, იქიდან ჩამოვიდა უდოს (საუდოს) სამის მოწაფით, რომელთაგან ერთი მოჰკლეს მისმავე ნათესავებმა და ორნი კი თვითონვე გაეცალნენ მოძღვარს. მარტოდ დარჩენილი ელისე მივიდა გიშს (ნუხიდგან კაკისკენ 8 — 10 ვერსის

<sup>1</sup>კალანთკატვაწი, *Исторія Арванъ*, გვ. 6.

მანძილზეა), ააშენა ეკლესია, დასაბამი ყველა აქაურ ეკლესიათა. საყურადღებო კიდევ ის არის, რომ ამავე მასკუტების (მასაგეთების) სახელი გვხვდება იმ მთიელების სიაში, რომელთა ქვეყანაშიაც შევიდა წმ. ნინო და უქადაგაო ქრისტეს სჯული. მაგრამ ეს სჯული, როგორც წინათაც გვითქვამს, სამოციქულო ხანაში განმტკიცებული ვერ იქნებოდა. ჯერ ისევ მირიანი უანდერძებდა თავისს შვილს: კერპობა და კერპ-თაყვანისმცემლობა კავკასიაში. მალე არ გადავიარდებო, საცა ნახო ასეთი კერპები, იგინი დასწვი, ნაცრათ აქციე და მათი ნაცარ-ტუტა შეასვი იმათ, რომელნიც ამ კერპების დამხობას იგლოვებენო. შემდეგ, მეფე არჩილი რომ მოვიდა წუქეთს (საინგილოს), აქ ააშენა კასრის საყდარი და აგრეთვე ქალაქი ნუხ-პატისი. აქაურები მაშინ იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი და არჩილმა იძულებით მონათლა იგინი. და ამ დროითგან აქ დაწესდა კათედრა გიშელისა, რომელიც მწყსიდა შაკიხს (შაქს-ნუხს), წუქეთს და ელისენს. ქალკიდონის მსოფლიო კრების დადგენილება გიშელეზმაც არ მიიღეს და ერი მართლმადიდებლად მოაქცია მხოლოდ დინარ დედოფალმა მეათე საუკუნეში.

ესე იყო მეშვიდე საუკუნის გასულს და ამ დროს წუქეთი, ხუნძახი და თუშეთი ებარა ერთს მმართველს — აბუხვასროს, რომელსაც მეფე არჩილმა წინანდელი თანამდებობა („ერისთაობა თუშთა, ხუნძთა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა“) დაუმტკიცა.

მაგრამ არაბების შემოსევამ დაასუსტა საქართველოს მეფის ძალა და აფხაზეთის ერისთავის განდგომის (786 წ.) წლის თავზე განდგა კახეთის ერისთავი გრიგოლიც და მის შემდეგ 1800 წლამდე მხოლოდ დრო-გამოშვებით მოსპობილა დამოუკიდებელი არსებობა კახეთისა, რომლის აღმოსავლეთი მიჯნა ებჯინებოდა საუდოს მთებს (ნუხის მაზრა), საცა იყო სამოსამზღვრე ციხე ყ ა ბ ა ლ ა, მაგარი და ძლიერი. ალაზან გაღმა მხრის (საინგილოს საზოგადოდ) სამმართველო ადგილებად შეიქმნენ ბელაქანი, მაჭი (მაწეხი, ჭარი), კაკი (შემდეგ ელისენი (აწ ალიაბათი) და გიში (აწ ქიში და ნუხი). აქაურ მეფეებს ზოგჯერ დიდი ძლიერებაც შეუძენიათ, მეტადრე კვირიკეებს და ახსართანებს. ერთ ახსართანის ციხე დღესაც არსებობს მაწისწყლის ხეობაში ლაგოდების თავს, თოლას, და მის ამბავს გადმოგვცემს ციხისავე ქვა-სვეტის ასომთავრული გრძელი წარწერა, სამწუხაროდ, საკმაოდ დაზიანებული.



1117 წელს წუქეთს მთავრობდნენ ასამ და შოთა გრიგოლისძენი. ამავე წელს დავით აღმაშენებელი მოვიდა გიშს და განუხს, დაიჭირა ყაბალა. მე-XIII ს. აქ მთავრობდა შოთა კუბრი.

გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) და მის მომდევნო მეფეების დროს აქ ქართველობა და ქრისტიანობა ძლიერი იყო. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ლანგთემურამდე (გამოჩნდა 1384 წ.) მახლობელი ლეკები ისევ ქრისტიანები იყვნენ და სცვიდნენ ენასა ქართულსა. მხოლოდ მან დაუდგინა მოლანი და არაბული წერა. შემოიღო, ქართული ენა და წერა კი აღკრძალაო. მაგრამ მაინც ენა ქართული კიდევ დაშთაო ანწუხელ ლეკებში და ამ ენაზე დღესაც ლაპარაკობენო. ლეკეთში ძველად ნაშენი საყდრები და მონასტრები არიანო, ზოგი თლილის ქვისა. ბევრი მათგან მეჩითებად გადააქეთესო და სხვები ოხრად შეთენილანო. მეფე ალექსანდრემ (1414 – 1442) მოლანი გარეკაო და ლეკნი პირველსავე წესს დაუბრუნაო. ლევან მეფემ (1520 – 1574) დაღისტნის შამხლის ქალი შეირთო ცოლად და ლეკები დაასახლა ჭარის უბან ფიფინეთში 1549 წელს (ქ. ცხ., 107). გიორგი მეფემ გადამახარში წინანდელ საერისთაოების მაგიერ დაადგინა მოურავები ელისენს, წუქეთს და ჭიაურს. ლეკები მოვალენი იყვნენ კახეთის მეფეებისათვის ზაფხულობით ყინული ეზიდნათ. ეს იყო მათზე გაკვეთილი ხარკი.

გარემოება იცვალა: საქართველოს დაუძინებელ მტერმა შაჰ-აბაზმა 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს ჩამოართო კაკელიენი, წინანდელი მოურავი ვახახიშვილი<sup>1</sup> გაამაჰმადიანა, სახელად უწოდა ალი-ბეგი და ეს ალი-ბეგი დაადგინა აქ სულტანად. ამიტომაც მას ეწოდა აგრეთვე ალისულტანი. ასეა ეს ვახუშტის სიტყვით, მაგრამ იმავე 1587 წლ. ყაენის ბრძანებაში სწერია: კაკის ბატონის ქართველის გურამოდლის შვილების მამული მივუბოძე საქართველოს მეფე სვიმონს (1558-1600), ხოლო აწ ამავე მამულს ვუბრუნებ გურამოდლის შვილებს. მისი ფირმანი 1620 წლითგან: „ძველი დროითგანვე გურამოდლის კუთვნილ მამულს ამიერიდან ვუბოძებ გურამოდლის შვილებს ზაალბეგს და კისუბეგს. ამათ საბატონოს გლეხნი, საცა უნდა იყვნენ იგინი, ისევ დაბრუნდნენ თა-

<sup>1</sup>1674 წელს დავით ვახახიშვილს მეფე არჩილმა დაუმტკიცა სოფ. შალაური (ფურცლაძე, Груз. дворян. грамоты, გვ. 8).

ვიანთ მამულებში, ემსახურონ მათ და დაემორჩილნენ, ვითარცა ემორჩილებოდნენ თვით გურამიშვილს“.

ქართველთა მპყრობელობას დაღისტანელთა თვალში სახელი გაუტეხა აგრეთვე იმანაც, რომ გამაჰმადიანებულმა კოსტანტინე ბატონიშვილმა, მოსულმა საინგილოს სოფელ ბაზარს შაჰ-აბაზის ჯარით, მოიწვია აქ თავისი მამა და ძმა, ღალატით დახოცა იგინი (1605 წ.) და თავისი რძლის ქეთევანის ცოლად შერთვა მოინდომა.

ლეკები ცხადად ხედავდნენ საქართველოს სიძაბუნეს, ქურდულად ჩამოდიდნენ და იკლებდნენ კახეთს. მათ დასაშინებლად მეფე თეიმურაზმა დაღისტანში შეგზავნა (1612 წ.) თავისი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი. ლეკებმა, დაინახეს რა ქართველთა ლაშქარი თავიანთ მთებში, შეშინდნენ და დაშოშმინდნენ.

მაგრამ შაჰ-აბაზს არ ეძინა. 1615-1616 წ.წ. მან ლეკებს შეუთვალა: მოვდივარ საქართველოს ასაკლებად და თქვენც გიბრძანებთ, დაჰკარით მანდედგანო.

მართლაც, ყენი მოვიდა. აიკლო და ააფორიაქა კახეთი, ხალხი ზოგი გაჟლიტა, ზოგი აპყარა და დედაბუდიანად სპარსეთს გადაასახლა; ქართველობა მთელს გაღმამხარს ლაგოდებს იქით სოფელ ვართაშენამდე დარჩა მხოლოდ ვაკე-ელისენს და თითო-ოროლაც აქა-იქ კიდევ.

დაცარიელებული ქვეყანა გაივსო ლეკობით. ბელაქანი და ჭარი იქცა დედაბუდედ დაღისტნელთა ბელადებისა და ავაზაკებისა. მათ შეელოდნენ ყარაღაჯის ხანებიც, რომელთაც ყენი ნიშნავდა კახეთის უწინდელ მეფეების მაგიერ. ქართველებმა ვეღარ მოითმინეს მათი ავაზაკობა და განიზრახეს (1688 წ.) დარბევა ჭარისა. ეს დაწყობილობა ჩაიშალა თამაზ სპასპეტის ღალატით და დუშია მოურავის უკუდგომით. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო, კახელებმა იერიში მიიტანეს ჭარზე (1695 წ.), აიღეს, დაიმორჩილეს, ალაფით აივსნენ, გამარჯვებით კი ვერ ისარგებლეს: იქ გამაგრების მაგიერ ნაწილ-ნაწილ დაბრუნება იწყეს. დანარჩენებს ლეკები მოულოდნელად დაეცნენ, დაამარცხეს და ნატყვენავიც დააყრევინეს (ინგილო ხუციშვილის ხელნაწერის წარწერა ამ დამარცხებას მიაკუთვნებს 1698 წ.).

ინგილოებისათვის მეტად უბედური იყო 1706 წელი. ყარაღაჯში განცხრებოდა კახეთის მეფე იმანყულიხანი და საინგილოს კი არბევდნენ ჭარელები. მერე თვით ალაზან გაღმა ქიზიყსაც რომ

დაუწყეს რბევა, იმანყულიმ მოიყვანა კახ-თუშ-ფშავ-ხეცსურნი, დადგა ვარდიანს (აწ გულუგი) და ჯარი შეუსია ჩარდახს და ააოხრებინა გარემო ვიდრე კავკასიონის მწვერვალამდე. ვიდრე ჯარი დაბრუნდებოდა, თვით მეფე იდგა ვარდიანის ბანაკში და ერთობოდა ქოს-დაბდაბუკის დაყვირებით. უდარდელ მეფე იმანყულის მიუხტა ჭარელთა რაზმი და შეება. მეფის ამაღლა შეშინდა და გამოიქცა. თუშებმა თვით მეფეც გამოიტაცეს და ძლივს მოაბრძანეს ყარაღაჯს. ამისთანა მარცხმა მეფის დანარჩენ ჯარსაც თავზარი დასცა. იგინიც ივლტნენ და გამოასწიეს ჭარიდამ. გამარჯვებამ ააფრთოვანა ლეკობა. იგინი მკვიდრად გაბატონდნენ საინგილოში. მათი შიშით იმანყულიხანი ყარაღაჯს ვედარ დადგა, აიყარა და თელავს წავიდა (იხ. ჩვენი „საქარ. ისტ.“, გვ. 382).

1739 წელს ჭარი მოსწვა და ააოხრა თეიმურაზ მეფემ, მაგრამ ესეთი მიხდომ-მოხდომა უფრო აბრაზებდა ლეკობას.

1750 წ. ჭარელებმა გამოგზავენეს ტფილისში თავისი ქეთხუდები და აგრეთვე ელისოს სულტანი მაჰმად-ხანი და ითხოვეს ერეკლე-თეიმურაზისაგან შერიგება. დათანხმდნენ. მეფეებმა შვეულად დატოვეს მაჰმადხანი. ქეთხუდები რომ დაბრუნდნენ, ჭარბელაქნელებმა უკუაგდეს თავისივე თხოვნა და დიდის ლაშქრით შემოებრძოლენ ქიზიყს. მეფეები წავიდნენ, ეცნენ. ლეკები ალაზანს გავიდნენ და ეგრიზე გამაგრდნენ. ერეკლემ გადავიდა და შეებრძოლა. გაიმარჯვა მეფემ. 700 ლეკი დახოცა და დაატყვევა და 1500 ცხენიც გამოირეკა. თავზარი დაეცათ ლეკებს, მაგრამ ამ მარცხის მაგიერ მიაგეს ერეკლეს ჭარელებმა მეორე წელიწადსავე. ერეკლემ განიზრახა თვით ჭარში შესვლა. ნუხის ხანი აჯიჩალაბი თავის შვილის ალაქიშის პირით ერთგულებას უცხადებდა. ერეკლემ ალაზანზე ხიდის გაღება რომ იწყო, აჯიჩალაბმა შემოუთვალა, მეც ჭარელებთან და კაკის სულტანთან ერთად დაგიხვდებითო. ერეკლემ იწყინა და აჯიჩალაბისკენ წავიდა და ეგრიზე შეება ჭარ-კაკ-ნუხის კავშირს. ერეკლეს ძალიან გაემარჯვა. მაგრამ აჯიჩალაბის დამალული ჯარი რომ მოესია, მოკავშირე ხანებმა უღალატეს ერეკლეს. ქართველები გამოიქცნენ და ძლივს გამოასწრეს ალაზანს. ბევრი დაიდუპა წყალსა თუ ბრძოლაში. ლეკებს უფრო შეესხათ ფრთები. ამის შემდეგ 10 და 20 ათასობით ილაშქრებდნენ და აოხრებდნენ ჩვენს ქვეყანას. ყველა ამას ზედ მოჰყვა ალამაჰმადხანის შემოსევა და ტფილისის აოხრება. ჭარბელაქანი სრულიად განმტკიცდა.

საქართველოს ცარცვა-რბევამ ჭარელ ლეკების მიერ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საუკუნეს გასტანა დაახლოებით. 1803 წელს რუსის ჯარი ციცინოვმა შეუსია ჭარელებს. მაშინ კაკის სულთანად იყო ალი-სულტანი. 17 აპრილს იმავე წელს ჭარის რესპუბლიკამ და ალი-სულტანმა რუსის ქვეშევრდომობა მიიღეს და დაიხარკეს თავი: პირობისამებრ, 1-ლ ავვისტოდამ 1 ნოემბრამდის ყოველ წლივ ხარკად გაიკვეთეს 1100 ლიტრა აბრეშუმში (მაშინ ლიტრა აბრეშუმში ღირდა 12 მან.). პირობა დაუდეს ახალ მთავრობას, რომ დაღისტნელ ბელადებსა და მეომრებს ბინას არ მისცემენ და აქედგან არ გაატარებენ საქართველოს დასარბევად და ალიაბათის (ელისენის) ინგილოებს არ დაუშლიან თავისუფლად აღასრულონ თავისი საქრისტიანო წეს-ჩვეულებანი. მიუხედავად ამისა, იმავე წელიწადს რესპუბლიკამ თავისი პირობა დაარღვია. ციცინოვმა გაგზავნა ჯარი გულიაკოვის წინამძღოლობით. ლეკები დამარცხდნენ, თუმცა გულიაკოვი კი მოკლეს ფიცხელ ბრძოლის დროს (მისი საფლავი ზაქათალის ციხეშია, ეკლესიის გვერდით). 1830 წელს ლეკებმა კიდევ სცადეს ურჩობა და ხარკის ძლევა აღკვეთეს. დელვა იმავე წელს დააცხრო მთავარ-მართველ პასკევიჩმა და მერე შეუდგა ციხის აგებას და უწოდა მას ახალი ზაქათალა (აწინდელი ზაქათალა). იმავე წლის 24 ივნისის თარიღით გამოსულ უმაღლეს ბრძანების თანახმად დაარსდა სალგოს საკარდონო სამანი (ლეზგინსკაია კორდონნაია ლინია) და აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ოლქი; ამას მიეწერა აგრეთვე ელისოს სასულთნო. დაუტოვეს თავისი სამართალი — შარიათი, მაგრამ იმ პირობით, რომ მათი ამორჩეული კაცების გადაწყვეტილება დაემტკიცებინა მთავრობის წარმომადგენელს. 1831 წ. ჭარელები კიდევ აჯანყდნენ და ამის გამო მათ ჩამოართვეს მათი კუთვნილი რაიები (ინგილოები და მულალები) და ამ უკანასკნელების თანასწორად იგინიც დახარკეს.

ელისოს სულტანი ჭარელების მოძრაობა-ამბოხებაში მონაწილეობას არ იღებდა და ამის გამო რუსები მის შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ, თუმცა, როგორც ვთქვით, მისი სასულთნო ჭარ-ბელაქნის საოლქოს მიაკუთვნეს. ამ დროს სულთანად იყო დანიელბეგი, რომელსაც გენერლის ჩინი მიებოძა. მან ითხოვა მთავრობისაგან თავადის ხარისხი. თხოვნა არ შეიწყნარეს. ამის გამო 1844 წელს ეს დანიელ სულტანი („ბატონი“ ინგილოურად) განუდგა რუსეთს და შამილს მიემხრო და მრავალ სხვა ბეგებითურთ მასთან

გაიქცა დაღისტანს. მთავრობამ სასულთნო გააუქმა და შეუერთა იგი ჭარ-ბელაქნის ოლქს „ელისოს ნაწილი“-ს ზედ წოდებით. ნასულთნარის უფლებაში მყოფი ყველა მიწები და აგრეთვე მასთან ერთად გაქცეულ ბეგების მამულები სახაზინოდ გამოაცხადეს. შემდეგში ზოგმა შეინარჩუნა და ამასთანებს მამულები ისევ დაუბრუნეს. ზოგი რამ ეწყალობათ აგრეთვე დანიელ ბეგის შთამომავლებს ელისოსა, ალათემურსა და სხ. დღეს სულტნის წარმომადგენლად ითვლება ხალილ-ბეგი, რომელსაც ლამაზი სასახლე აქვს ელისოს და ბლომა შვილები ჰყავს. ელისოს სულთნების სრულ სიას მათდამი ბოძებულ ფირმანებითურთ ვბეჭდავთ ქვემოთ, ამ თავის დასასრულს.

1826 წ. კოცებუ ჭარის შესახებ გადმოგვცემს შემდეგ საყურადღებო ცნობებს: „ქვეყანა, რომელსაც ჰქვიან ჭარი, გუთუნის 5 საზოგადოებას — ჭარისას; ბელაქნისას, თალისას, მუხახისას და ჯინიხისას. ესენი მფლობელი საზოგადოებანია და სხვანი — ამათ ქვეშევრდომნი. მფლობელნი სულ ლეკნია — მპყრობელნი, ხოლო ქვეშევრდომნი — დაპყრობილი სოფლები ინგილოებისა და მუღალებისა. ქვეშევრდომი სოფლები ხარკს აძლევენ იმ საზოგადოებას, რომელსაც გუთუნიან. ჭარი, ზაქათალა და გოგამი ერთი მფლობელი საზოგადოებაა და მასში 1200 კომლი მოსახლეა, ხოლო მას გუთუნის 20 სოფელი. კატეხი და მაწეხი არც ერთ საზოგადოებას არ გუთუნიან და ამათ თვითონ არა ჰყავთ ქვეშევრდომი სოფლები. მთის ძირობაზე მოსახლე მფლობელ ლეკებმა, დაიპყრეს-რა ალაზნის-პირა მიწები, დააარსეს ფედერატიულ რესპუბლიკისებრი მმართველობა, რომელშიაც მამასახლისის ღირსებას საკმაო მნიშვნელობა მიენიჭა: ყოველ სოფელში ყოველ წლივ ირჩევენ ერთს მამასახლისს იმ გვარიდამ, რომელსაც მემკვიდრეობით ამის უფლება აქვს. საქმე, რომელიც შეეხება ყველა საზოგადოებათ, ირჩევა საერთო კრებაზე ცის ქვეშ აღდამს, რომელიც მუხახის ახლოა. ყოველ არჩეულ მამასახლისს ეძლევა 30 ცხენოსანი (იასაული) და ესენი მის განკარგულებას აბარებენ დანიშნულებისამებრ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. პოლიტიკურ უფლების მინიჭებას მამასახლისთათვის დროებითი მნიშვნელობა აქვს და დამოკიდებულია ხალხისაგან. მამასახლისთა ყოველ წლიურ არჩევით ცხადათ ჩანს ხალხის მპყრობელობის სიბრწყინვალე. უმაღლესს სამართალში ერთის წლით არჩეული მამასახლისები თანამდე-

ბობის აღსრულებას შეუდგებიან ხოლმე ისე არა, თუ არა ხალხის დასტურით.

ინგილოებსა და მულალებს არავითარი მონაწილეობა არა აქვთ თავისუფალ საზოგადოებათა საქმეებში.

ხუთ საზოგადოებათაგან ყველაზე ძლიერი და გავლენიანია ჭარისა. მის დაუდასტურებლად ელისოს სულთნებიც მათდა მემკვიდრეობით კუთვნილ სასულთნოს მართვა-გამგეობას ხელს ვერ მოჰკიდებენ ხოლმე. და თვით ნუხის ხანებიც, ხშირად, თავიანთ დამტკიცებას მოელიან ჭარიდგან.

ჭარელთ თავგასულობა იქამდე მისულიყო, რომ მათ ელისოს სულთნებს წაართვეს მათი კუთვნილი სოფლები ყორაღანი, შოთავარი და ბაბალო“.

ჯერ ხნობით ვკმაყოფილდებით ამ მოკლე ცნობებით. უფრო დაწვრილებითი მოთხოვნა ცალკე გამოკვლევის საქმეა და მოითხოვს დიდს დროს, ადგილობრივ აქივებისა და სხვ. წყაროების გულდასმით გამოკვლევას. მხოლოდ არ შემძლია აქ არ ჩავურთო ანტონი კათალიკოზის მიერ 1777 წ. შეკრებილი ცნობები შესახებ კაკ-ელისენისა, ნუხისა, ჭარ-ბელაქნისა, ხუნძახისა და ფუშ-ფუშავ-ხევსურეთისა.

## ანტონი II-ის ნაამბობი 1757 წელს<sup>1</sup>

### აღწერა შაქისა

შაქის ხანი, რომლისა პაპას ჰაჯი ჩალაბი ერქვა, და ამ ჰაჯი ჩალაბის მამა სომხის ხუცესი იყო, და თვთონ ჰაჯი ჩალაბი გარდაქცეულ იყო მაჰმადიანობასა ზედა და ვერაგობითა რომლითამე დაიჭირა ადგილი იგი ჰაჯი ჩალაბმან. ძველადგან ადგილი ესე კახეთის სამეფოს ნაწილი ყოფილა და ძალით წართმევიათ მაჰმა-

---

<sup>1</sup> ხელნაწერი „საქართველოს მეფეთა შთამოება“ გადმოგვცა დიდად პატიეცემულმა ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავმა. მასში მრავალი საინტერესო ცნობაა არა თუ საქართველოს, არამედ მაშინდელ ყველა სახანოების და სამელიქოების შესახებაც. იგი დაუწერია ავტორს ყიზლარის კამენდანტის იუან ფროუნდორფის ბრძანებით. მისი პირველი ნაწილი (საქართ. მეფეების შესახებ) დაბეჭდილია „ივერიაში“ (1880 წ., №111).

დიანთაგან დროთა შაჰაბაზ პირველისა სპარსეთის კელმწიფისათა. ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტიანენი: სომეხნი — ცხადად და ქართუჭლნი — ფარულად მამამდიანთა შიშითა. ძეს ქვეყანა ესე შირვანისა შემოდევნებით იალბუზის კალთის ქვეშე და კახეთის დასწორებით მიდევნებითა. მთად იალბუზი აქვს და ბარიცა აქჲს, რომელიცა კახეთზედ აღმოსავლით კერძო ძეს. შემძლებული არის თავისავე ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა. დღევანდლამდის ჩვენსა და იმათში დიდი მტერობა იყო, ხანდახან და ოდესმე მშუდობა და შერიგება იყო.

### აღწერა ალისულტნისა, ჰარელთა და იმ ძირობისა

ალი-სულტანი, რომელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი არის და კახის სულტნად სახელდებული და დროთა ჟამთა შაჰაბაზ პირველისათა გამამდიანებულნი და გამდგარი კახეთის სამეფოსაგან. და ესეც აღმოსავლით ძეს კახეთზე. ჯინიხის ხეობა, თალის ხეობა, ჭარის ხეობა, ბელაქნის ხეობა — ესენი უბატონონი არიან და ამით ხალხი კაკის რაიათი თარაქამა, რომელშიაც იპოებიან მცირენი ქრისტიანენი: ზოგნი მართლ-მადიდებელნი ფარულად და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად. ძველად ეს ადგილები სულ კახეთის სამეფოს ნაწილები არიან და ამ მახლობელს ჟამებში მრავალჯერ უმსახურნიათ კახეთის მეპატრონეთათვის; და ესე ადგილები, აოხრებული შაჰაბაზ პირველის დროთ და ამ აოხრებულს ადგილებზედ ზოგი თათარი თვთონ დაუსახლებია შაჰაბაზს და ზოგნი ლეკნი თვთონ გადმოსახლებულან და დაშენებულან. ამათ დადისტნის იალბუზზედ უყუდიათ ზურგი და ძალაც იმათგან აქჲსთ. შიგა და შიგ ის ქვეყნები ხან შემორიგებულნი არიან საქართველოს მეფესთან და ხან აშლილნი. შამახიილამ ბელაქნამდის მრავალჯერ საქართველოს მტრობაზედ ერთნი ყოფილან. დადისტნის ძალს გარდა შეუძლიათ ამ ძირობასა მეომრის კაცის გამოყვანა ხუთის-ექვსის ათასისა. ესენი სულ კახეთის მიწაში სახლობენ, ქისიყისა ესრეთ ახლო მეზობელნი არიან, რომ სოფლით სოფლამდი ზოგი ოცდა ათი ვერსი არის და ზოგი ოცდა ხუთისა. და არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ წყლიანი და მაგარი.

კუნძახის მთავარი, რომელიც არის დაღისტანში, და არს ქვეყანა ამისი მთის ადგილი. თავის ყმა მეომარი გამოვა ათასხუთასი და როდესაც მოინდომებს, დაღისტანში იშოვნის თხუთმეტს-თექვსმეტს ათასს კაცს. და არს კახეთზედ აღმოსავალსა და ჩრდილოს საშუალ. ძველად კახეთის მეფის ერისთავი ყოფილა; ჟამთა ვითარებისაგან და მაჰმადიანთ ძალისაგან სხუა ადგილებიც მრავალი ჩამორთმევიათ კახეთსა და ესეც მიღებია. ესენი წინა ხანებში ხან შემორიგებული იყო საქართველოს მეფეს ირაკლისთან და ხან არა. მასჟან დიდი მტრობა მოინდომა ჩვენზედა, დაღისტნის ჯარით მოვიდა უეცრათ და ქართლში ერთს ციხეს შემოადგა; შევებებით და დიდად დამარცხდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან ძალითა ღუთისათა, და მრავალნი ამოწყენენ. მეორეს წელიწადზედ კიდევ შური იძია საქართველოზედ და მეფეს ირაკლიზედ, და მეორედ წამოვიდა კიდევ დაღისტნის ოცდა ორი ათასი ლეკით და რაც კახეთის მეზობლები იყვნენ შირვანს ზევით ანუ განჯელნი, ამათაც ძალი მოსცეს, ჰაჯი ჩალაბის შვილი და აღის-სულტანი თითონ იყვნენ, ჭარელნი, თალელნი და სრულიად იმ ძირობის კაცნი, — ეს იც იქნებოდნენ ათი ათასი კაცი. და კახეთის ერთს ციხეს<sup>1</sup> შეადგნენ, სანამდის მეფე ირაკლი ჯარს შემოიყრიდა, მეფის მისვლამდის წინათვე ჯარი მიეშველა მეფის ირაკლისაგან, და ციხიდან მრავალი კაცი ამოუწყდათ და სირცხვილქულები გაბრუნდნენ. შემდგომად შემორიგება მოინდომა მეფის ირაკლისაგან და შერიგება მოხდა და მცირე რამე ჯამაგირი მიეცა

<sup>1</sup> აქ დედანში (გვ. 45) ავტორი შენიშნავს: „ციხე ესე არს ალაზნანს მდინარეს გაღმა, რომელ არს სახელით ჯვარელი“. — ჯვარელის ბრძოლა ქართლის ცხოვრებით მოხდა 1755 წელს. ომში მონაწილეობას იღებდნენ დაღისტნის მთავარი ომარ-ხანი, ნუხის ხანი აღაქიში, კაკის სულტანი მაჰმად-ხანი და ჭარ-ბელაქენელი; მთელ ამ კავშირს 20.000 მებრძოლი ჰყვანდა. შემოურტყნენ ციხეს. ერთ მუჭა მეციხოვნეთ შემოაკლდათ სურსათი და ტყვია-წამალი. 130 ქართველ ვაჟაცმა თავს იღო მეციხოვნეთა მიშველება. ერეკლეს ნებართვით ესენი გმირულად მიუბტნენ მტერს, გაარღვიეს მისი რაზმები და საჭირო ტყვია-წამლით შეცვიდნენ ციხეში. ერეკლემაც უხერხა მოქსულ მტერებს: ვაგზაუნა თავისი ლაშქარი ჭარს და გადააწვეინა იქაურობა. ბელაქენელ-ჭარელნი გაბრუნდნენ თავიანთ სარჩო-საბადებელის საშველად. მათ მიჰყვნენ დანარჩენებიც.



მეფის ირაკლისაგან. კახეთის სამზღდურიდამ ოთხის დღის სავალი გზა არის. თუმცა თვითონ ეს ხუნძახის მთავარი შემორიგებული არის, მაგრამ იმას რაც კაცი ჰყავს, ისინი კი ქურდულად მტრობენ ქართლსა და კახეთსა.

აღწერა დიდო, ქისტისა, ლლიღვისა, ზურზუქისა,  
შავ-ხევისურისა და ხევისა

კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთზედ ჩრდილოს კერძო არიან — ოთხი თემი: დიდოეთი, ქისტო, ლლიღვი და ზურზუქი ლეკთაგან მიგვხმნიან და გაუმაჰმადიანებიათ; ახლა ცდილობენ და სურისთ, რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ხვეცი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შემოსავალ-გასავალი გზა არის, ესეც დაიპყრან და თავიანთ სარწმუნოებაზედ მიიზიდონ. და იმათი ჰაზრიც ეს არის: რომელნიც ნათესავნი არიან ოსნი და ანუ სხუა გვარნი ამ მთებში იმყოფებიან, ესენი ყირიმამდის გაამახმადიანონ, და მთასა შინა არა მცირედნი არიან ახლად მიქცეულნი იმათს სარწმუნოებაზედ და ნიადაგცა აქცევენ; და ეს გზა რომ დაგვიწერია, ეგების რუსეთის სახელმწიფოში ასე განცხადებული იყოს, რომ ასეთი რამ იყოს, რომ გაკეთებაზედ ბევრი სასჯელი მოუნდეს; ამისი გაკეთება ჩვენგან ადვილად შეიძლება და ამ გზაზედ ჩიმი სოფელი არის, რომელიც სახლვარი არის. აქილამ მოკიდებული რაც მთა არის, ორმოცი ვერსი იქნება და ამ ორმოცს ვერსს იქით და აქეთ სულ ვაკე არის და ამ ორმოცის ვერსის მთის გზაზედ შიგა და შიგ ვაკე უფრო ბევრი არის<sup>1</sup>.

დასასრულ კიდევ ორიოდე მოგონება. საქართველოსაგან მოწყვეტილ ერთ მუჭა ქართველობის ყოფა საინგილოში ფრიად მძიმე იყო: ახალი ბატონები ბუნებით ლად და თავისუფლების მოყვარე ქართველობისაგან მოითხოვდნენ სიტყვა-შეუბრუნებელს მორჩილებას, წარბებში შეჭვრეტით იმის გამოცნობას, რაც ესიამოვნებოდა გუშინდელ მისს მონას, ყმას. და ვაჟ მას, ვინც დროით ვერ გამოიცნობდა და დაიგვიანებდა აესრულებინა მტარვალის

<sup>1</sup> აქ მოყვანილი აღწერილობა შაქისა, ალისულტნისა, ხუნძახისა, დიდო-ქისტისა და სხვა თუმცა ზოგიერთ ხელნაწერებში მისდევს შემოკლებულ ისტორიას ანტონ I-ის კათალიკოსისას, მაგრამ ანტონ I-ს არ ეუთვნის, არამედ დავით რექტორს მესხიშვილს, როგორც მოწმობენ მრავალნი ხელთნაწერები.

მოთხოვნა: წამება, ხერცთა და სახნობელთა მზათ იყო ამისთანაებისთვის. აწამებდნენ იმისთვისაც, თუ ქართველთ, რომელთა საყდრები უკვე გაუქმებულ იყო და დედლებიც ამოწყვეტილი, გამოეჩინათ თვისი ქრისტიანობა (ფარულად ქრისტიანობდნენ და ცხადლივ მაჰმადიანობდნენ), მარხვის შენახვასა თუ სანთლის დანთებაში მოესწროთ. წამებულთაგან ინგილოებს ახსოვთ ხუციშვილების წინაპარი და აგრეთვე ზილფი ჯანაშვილი, რომელიც, ლეკების მიერ დატყვევებული, შამფურებით დახვრიტეს ჭარულ დედაკაცებმა; მოწამეთა შორის შეირაცხნენ აგრეთვე ჭარელებისაგან დახოცილი აბელ მოურავი და სახლთხუცესი ზურაბ ჩოლოყაშვილი (იხ. ჩვენი საქ. ისტ., გვ. 380).

ლეკები უდიერად ეყრობოდნენ არა თუ მარტო აქაურ ქართველობას, არამედ აქაურ თათრობასაც. ეს თათრები (მონგოლები) მაზრაში დამკვიდრნენ ჯერ ისევ 13-14 საუკ.-ში. იგინი არიან ნაშთნი ბერქა-ყაენის, ალათემურის, ლანგთემურის და მონგოლთა სხვა მკერობელების ლაშქრისა. მათი სახელები დღესაც შერჩენიან სოფლებს ალათემურს, ემირ-ჯანლოს, მუღანლოს, ფალდარლოს, ალიაბათს და სხ.

ქართველების მტრებმა პირველ დასცეს მათი მფლობელობა, მათი საყდრები, მაგრამ მათი სახელი ვერ ამოაგდეს, მათს კულტურას თვითვე დაემორჩილნენ მწირ დაღისტნითგან ჩამოცვივნილი „წუნკალა ბურჯადლები“. ლეკების სოფლებში დღეს ქართველობა აღარ არის, მაგრამ მათს წყლებს, მიწებს, მთებს, სოფლებს, სახნავ იარაღებს და სხვ. უწინდელივე სახელები ჰქვიათ. გუთანა — ქოთან, ხევი — ხი, არხი — არხ, წერეთლის-ტახტი (მთაა), წერეთლის-წყალი, გურჯიდაღ, წილბანი, ჭარი, წინდა — წინდა, წაბლი — წაბულ, მუხა — მუკ და სხ., — ყველა ეს ქართულია და ქართველებისაგან შეთვისებული ლეკების მიერ. ქართველების სისხლის გავლენაც კი ცხადად დასტყობია აქაურ ლეკობას: მათი ბუნებრივ ულაზათო სახე გამოფაქიზებულა, გალადებულა. ეს, რასაკვირველია, შედეგია ქართველ ქალებისა და ვაყების მოტაცებისა და გაღკეპისა.

სიტყვით, ყოველ ფეხის გადადგმაზე გხვდებით აქ ქართველობის უწინდელ დიდებულების ნაშთი: ციხეები, საყდრები, ნიშები, სასაფლაოები, ნასოფლარები და სხ. უღრანს ტყეში ნახავთ დიდებულს საყდარს; შედიხარ ვითომ დაბურულს ტყეში და იქ კი აქეთიქითობამდე სამაროვანი გხვდებით.

გულსაკლავია ყველა ამის ხილვა არა იმიტომ მარტო, რომ

ქართველის ნაშთია, არამედ უფრო იმიტომ; რომ მტარვალს მის გარშემო მჩქეფარე თავისუფალი სული მოუსპია, ცხოვრება დაუვსია. თითქო ჰაერი და მიწა ცოტა იყო, რომ შეშურებია ქართველობისათვის მისი ოფლით მონაგარი, მისი წილი და კუთვნილი ჰაერი, წყალი და ქვეყანა! მაგრამ... ცხოვრება ბრძოლაა და ვაჟ მას, ვინც დროით გამჭრიახობას ვერ გამოიჩინესო, ამბობენ ინგილოები. და მართალნიც არიან: მთელს 3-4 საუკუნის ვაჟ-უშველებელს მათ თავი გმირულათ გამოახწიეს და დაიცვეს არა თუ თავისი ვინაობა, არამედ ქართველობის სახსენებელიც აქაურ ძირობაზე.

ცოტა მოეფონათ თუ არა, ინგილოებმა გამოგზავნეს ქალაქს (1849 წ.) თვისი წინამძღოლები (ივან-ბაბა ბულულაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ბულულაშვილი და კიდევ 4 სხვა) და გამოუცხადეს მთავარ-მართებელ ვარანცოვს — ჩვენ ქრისტიანები ვართო და გამოგვიგზავნეთ ქართველი ღვდლები, რომ „მონათლავი ქრისტიანები“ მოგვნათლონო. რაღა თქმა უნდა, იმ შამილობის დროს მთავრობას ძლიერ ესჯამოვნა ინგილოთა მოხსენება, ქართველობა ხომ მეტად გახარებული იყო დიდის ხნის დაკარგულ ძმების პოვნის გამო. მოსულები მაშინათვე მონათლეს სიონის ტაძარში (გ. ჯანაშვილის მიმრქმელად იყო თვით ვარანცოვი, ხოლო ი.ბულულაშვილისა — მისი მეუღლე). მეორე წელიწადს ამავე ინგილოებმა ქალაქში ჩამოიყვანეს კიდევ 70 კაცი (მათ შორის 9 წლის დიმიტრი ჯანაშვილიც), ესენიც მონათლეს და ქართველ სამღვდლოებით დაბრუნდნენ და გააქრისტიანეს ყველა ქართველობა. გაისმა ისევ ზარის ხმა. ერის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მალე ისევ მოხდა ლეკების ლეღვა (აჯი-მურთუხას ამბოხი 1862 წ.), ინგილოებს ემუქრებოდნენ, გაგწყვეტავთ, თუ არ გამაჰმადიანდითო. მუქარამ ბევრი შეარყია: ალიაბათი, მოსული, ჰენგიანი და სხ. გადადგნენ. ქრისტიანობა დარჩა მხოლოდ კაკს, ყორაღანს, ალიბეგლოს, ქოთუქლოს, მეშაბაშს და თითო-ოროლაც ზოგიერთ სხვა სოფლებში. მაჰმადიანად დარჩენილები ღდეს თითქმის უარწყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრისა და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ. მხოლოდ ასეთი უარყოფა თავის-თავისა ცოტათი შეაჩერა ეხლახან აჭარიდან მოსულმა ქართველმა მოლამ. მან ყველას ჩააგონაო, იწერებიან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და მხოლოდ რჯულით მაჰმადიანებიო, ჩვენ ჩვენის ქართველობით და ქართულ ენით კიდევ უნდა ვიამაყოთო.

ინგილოთა რიცხვი ზაქათალის მაზრაში

	1859 წ. კომ- მლევურ აღწერით.	1871 წლ. აღწერით.		1886 წლ. აღწერით.		1897 წ. ერთ- დღიურ სახე- ლმწიფო აღ- წერით.
	კომლი	კომ- ლი	რიცხვი	კომ- ლი	რიცხვი	რიცხვი საზოგად.
ზაქათალა . . . . .				4	15 ქ.	3009
ითი-თალა . . . . .		36	154 ქ. მ.	68	362 იბ.	538 მაკმ
ყენდახი . . . . .	97 ქ. მ.	127	599 ქ. მ.	156	871 თ.	778 "
ცენგინი . . . . .	57 თათ.	74	377 თათ.	94	414 იბ.	
ქაანახჩი . . . . .	37 ქ. მ.	53	247 ქ. მ.	65	358 თ.	
მოსული . . . . .	193 თათ.	239	1167 თ.	261	1255 იბ.	1330 "
ალიაბათი (ელი- სენი)	617 ქ. მ.	688	3805 ქ. მ.	790	4351 იბ.	4166 "
ვერხიანი . . . . .	185 თათ.	231	1558 თ.	280	1945 თ.	1808 "
ზაგანი . . . . .	86 ქ. მ.	94	605 ქ. მ.	106	790 იბ.	774 "
თასმალო . . . . .	85 "	92	460 "	85	553 "	610 "
ლალაფაშა . . . . .	31 "	32	175 "	35	185 "	
მარსანი . . . . .	47 "	60	287 "	63	316 "	
სოსკანი . . . . .	20 "	26	110 "	7	34 "	
კაკიკახი . . . . .	160 ქ. კრ.	249	1944 ქ. კ.	308	2148 .	2111 კრ
მეშაბაში . . . . .	16 "	22	113 "	23	129 "	
ყორალანი . . . . .	69	115	626	125		
	35 ქ. ქ.		268 ქ. ქ.		320 კრ.	
	34 ქ. მ.		358 ქ. მ.		434 მაკმ.	502 მაკმ.
შოთაევარი . . . . .	35 ქ. მ.	56	305 ქ. მ.	56	350 ავ. მულ	
ალობეგლო . . . . .	83 კრ.	104	636 ქ. ქ.	118	857 კარ.	888 კრ. 202 მაკმ.
ქოთუქლო . . . . .	28 კრ.	30	155 ქ. ქ.	38	227 კარ.	
ბელაქანი . . . . .					12 კრ.	7629 მაკმ.
ახ სულ . . . . .	1846:	2304	13331		15924	
ქართ. მაკმად	1089		7113		12750 (ქართვ.)	
ქართ. კრისტ	322		3116			
თათარი . . . . .	435		3102		3174 (თ.)	

ამ ცხრილებით ცხადად ჩანს, თუ რა გვარად არეულია ეს თვლარიცხვი: ყანდახში 1859 და 1871 წლ. ანგარიშით სულ ქართველობაა, 1886 და 1897 წლ. ანგარიშით კი თათრობა, ამგვარადვე არეულია ჭენგიანის თვლარიცხვმა, ალიბეგლოსი, ყორაღანისა, ვერხიანისა, საცა არც ერთი ქართველი არ არის ნაჩვენები. ყორაღანში სულ ქართველობაა და სტატისტიკოსებს კი ამათგან ქრისტიანები ჩაუთვლიათ ქართველებად (грузины) და მაჰმადიანები ჭენგილოებად (енгилойцы), ამგვარადვე მოქცეულან სხვაგანაც, მაგ. კაკელი, ალიბეგლოელი, ქოთუქლოელი და სხ. ქრისტიანი ინგილოები ქართველებად დაუწერიათ, ხოლო ალიაბათისა, მოსულისა და სხ. ინგილოები აღუნიშნავთ ჭენგილოებად. 1897 წლის აღწერით ზაქათალის მაზრაში ქართული ენა შშობლიურ ენად ეთვლება 12,394 სულს (6.602 მამაკაცს და 5987 დედაკაცს).

#### შსანიშნავი სოფლები და ძალაქები

კაკი (კულმუხი — ქურმუხი), რომელშიაც შაჰაბაზმა 1602 წელს კახეთის მეფეს შეაძლია 7000 თუმანი, შეფენილია ქურმუხის ვიწრო ხეობაში, კავკასიონიდან ჩამოწოლილ საქმად მალალ კალთებ შორის. ხეობა, რომელიც დასაწყისს (სოფლის ბოლო) ერთი მთიდან მეორემდე იქნება სულ 4-5 ვერსი, თანდათან ვიწროვდება ისე, რომ ელისოს ბოლოს, სადამდე კაკიდან არის ათი ვერსის მანძილი, ორივე მთები ერთმანეთს უახლოვდებიან, მათ შორის რჩება მხოლოდ რაღაც 40-50 საფ. სივრცე, საცა ორივე მხრით მალალი კონცხებია და მათზე გადაკიდულია მაგარი ხიდი, რომლის ქვეშ ღრიალით მიხუვის კავკასიონიდან მორბენალი მდ. ქურმუხი. ხიდს ცოტა ზევით, ქურმუხის მარცხენა მხრის ფერდობი იზნიქება მარცხნივ, ჩნდება მომრგვალო ტაფობი, საცა გაშენებულია სოფელი ელისო, სატახტო დაბა სასულთნოს უკანასკნელ მთავრებისა (სულთნებისა). დაბა დასახლებულია ლეკებით, რომელნიც თათრულად ლაპარაკობენ. ადგილი ფრიად მწირია და მოსახლეობა ღარიბი. მათ ცხოვრება საინგილოდამ აქვთ. უკანასკნელ სულთნის დანიებლკის შთამომავალს ხალილბეკს ბლომა შეილები ჰყავს, ერთი მათგანი (ჯაფარი) ამ წინაზედ სწავლობდა ტყვილ. სათავად-აზნაურო სასწავლებელში, შვენეირად შეითვისა ქართული ენა, მაგრამ უდროვოდ

დააბრუნეს შინ: გააქრისტიანებნო. მათ ელისოში აქვთ მშენი-  
ერი სასახლე. ელისოს ზევით, ვიწრო დელეში არის ფრიად ცხელი  
წყლის აბანო, რომელიც ზაფხულობით იზიდავს მრავალს ავად-  
მყოფს. აბანო თუმცა მოუწყობელია, მაგრამ მაინც ბევრს ჰკურნებს  
მრავალგვარ სენისაგან.


დაბა კაკის სიგრძე 5 — 6 ვერსია, ხოლო სიგანე 2 — 3. მარ-  
ცხნით მთის პირობაზე ჩამოდის ქურმუხი, რომლის რიყე ელისოს  
ხიდს ქვემო თანდათან ფართოვდება და 1 — 2 ვერსის სიგანეზე  
იშლება. მისგან სოფელში შემოდის ორი ხევი — ემირჯანლოსი  
და თათრისა. მარჯვნივ მთის ძირში ჩამორბის ხევი კობალა<sup>1</sup>, რო-  
მელსაც სათავე აქვს ახჩიის ვიწრო ხეობაში. ამ ხეების წყალი  
არა თუ რწყავს მთელის სოფლის მიწებს, არამედ აბრუნებს მრავალ  
წისქვილებსაც და ჩალთუქის საცეხეავ დინგებს. ბოლოდამ თა-  
ვამდის დაბას ჰყოფს ორ ნაწილად სწორე შარა, რომელსაც საყდრის  
ზემო ეყრება აგრეთვე ბაზრის გზა და ბაზრის ბოლოში სახელმ-  
წიფო გზა-ტკეცილი, გადაჭიმული ზაქათალასა და ნუხს შორის.  
სოფლის შუაგულში არის საკმაოდ დიდი ბაზარი, საცა ვაჭ-  
რობენ სომხები, მაჰმადიანები და თითო-ოროლა ინგილოები.  
კაკ-ელისენში ასრეთი ბაზარი არსად არ არსებობს, ასე რომ აქაური  
ვაჭრობა აკმაყოფილებს მთელის ამ კუთხის საჭიროებას. ბაზარს  
გარდა; დანაშეთნი ადგილი უკავია მკვიდრთა სახლ-კარს. მთელი  
დაბა, საზოგადოდ, კაცს შორიდამ შეენიერ წალკოტად ეჩვენება:  
აქაურობა იფლობა ბალ-ვენახებში. დაბას აქვს ორი სასწავლებელი,  
ორი საყდარი, სანაიბო, სასამართლო და საფოსტო დაწესებულე-  
ბანი. ამას გარდა აქაურ თათრებს (მულალებს) აქვთ კიდევ თავი-  
ანთი მეჩითები, ხოლო ვაჭარ-სომხებსაც თავისი საყდარი. გადმო-  
ცემით, უწინ კაკი ყოფილა 1000 კომლოვანი ქალაქი, რომელსაც  
ჰრქმევია თორადა. ეს გადმოცემა მტკიცდება ისტორიულ ცნო-  
ბითაც: თორადას (თორდას) დიდი ციხეები ჰქონია კიდევ ლაგო-  
დების და კახეთის სხვა მთებში და ზოგი მათგანი დღეს იწოდება  
თოლად, თორლად. თამარ მეფის ჟამს თორდაისძენი იყვნენ „თავნი  
კახეთისანი“ (ქ. ცხ., 217).

<sup>1</sup>მსგავსი სახელები ვხვდვართ არის საქართველოში: კობლიანთ კარი, კობლიანთ-  
ხევი (მესხეთში), კობალია (აჭარაში), კობლიანიძე, კობალი (ჭიაურის ახლოს), კა-  
ბალა (საულოში).

დაბა სავსეა ძველის ნაშთებით, რომელთა შორის შესანიშნავია კასრის-საყდარი, ქურმუხის-საყდარი, ბარბარეს-საყდარი, ჭანდარა-საყდარი და სხ.

კასრის-საყდარი, როგორც უკვე ვთქვით, ააშენა მეფე არჩილმა († 718 წ.). „ქართლის ცხოვრება“ იტყვის: „და დაჯდა არჩილ მეფე წუქეთს და აღაშენა კასრი, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოდა ვახტანგ გორგასალს წუქეთი; და იყო მაშინ, — რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნზთა (ხუნძახი) ზედა და ყოველთა წარმართთა მთისათა, — სახელით აბუხვასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ქალაქი ნუხპატის (ნუხი). ნუხპატელნი იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“. კასრის საყდარი იყო მცირე, მაგრამ დაინგრა. მის ეზოში არის უზარმაზარი ქვევრი, რომელსაც გვერდიდამ მღვიმე აქვს გაკეთებული. მთელი ეს ეზო წარმოადგენს მცირე ტაფობს საყარეულე-კასრის საყდრის ფერდობზე. დანგრეული კელესია განაახლდა ადგილობრივ მღვდელმა მიხეილ ყულოშვილმა. კელესია დიდებულად გადმოჰყურებს არა თუ მთელს სოფელს, არამედ მთელს მის წინ მდებარე საინგილოსაც აღიაზნამდე და მასაც იქით შავმთამდე და დედოფლის-წყარომდე. განახლებულ კელესიის გვერდით გამოჩნდა დიდი აკლდამა, სავსე ადამიანის ძვლებით. იქვე იმავე დამსახურებულ მღვდელ ყულოშვილმა იპოვა ქვა ასომთავრულ დაზიანებულ წარწერით, რომელიც გადმოგვიცემს ამას: „ესე თვალისაშვილ ქრისტესიამ შესანდოთ შვილთა და ვით და იოანესი და ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუენც მოგიხსენოს ღმერთმან სასუფეველსა შინა. მოიკსენოს უფალმან სასუფეველსა შავროდან-მზე, სასუფეველსა შეუნდნეს“. ეს საფლავის ქვის წარწერაა, და საფლავები კი იქ სხვაც ბევრია. თვით სოფლის სასაფლაო კი მთის ძირშია და ჰქვიან „სანების სამარვანი“ (სანება — სამება, რადგან კასრი სამების საყდარი ყოფილა). კასრის-საყდრის ეზოში მყოფ ქვევრის შესახებ ადგილობრივი გადმოცემა ამბობს ამას: ქვევრში 1000 ჩაფი ღვინო ისხმოდაო ყოველ წლივ, ე.ი. კომლზე თითო ჩაფი. შემოდგომაზე მოიტანდნენ, გაავსებდნენ და დაკრძალავდნენ. კვირადლობას (— კვირაცხოველობას) კი ყველანი მოვიდოდნენ სალოცავად სანოვაგით, ახდიდნენ და იზიარებდნენ ერთად ძმურადო.

ქურმუხის საყდარი დაბა კაკის იქით კავკასიონის გამო-



• ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძრის საერთო ხედი გუმბათის აღდგენის შემდეგ

შეერილს ფერდობზეა და დაჰყურებს თვალ-უწვდენელ სივრცეს. იგი ერთი უზარმაზარი მთლიანი კლდეა, საყდრის სახით შემოკვერცხილი. მის თავზე რაღაც ნაშენობის ნაშთიც არის: ამბობენ, ზედ კიდევ ნიში იქნებოდაო. ქურმუხის საყდარი ანუ ქურმუხის წმ. გიორგი მეტად სწამს აქაურ ხალხს, თვით მაჰმადიანებიც კი ხანდახან მოდიან მის სალოცავად. მისი პატივი ისე ძლიერია აქ, რომ ინგილო საკლავს ისე არ დაჰკლავს, რომ ღმერთის შემდეგ არ ახსენოს ქურმუხის-საყდარი: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, შენ შეგ'უწყალ“, — წარმოსთქვამს ინგილო და დანას გამოუსომს ქურმუხის საყდრისკენ პირმიქცეულად წამოქცეულ „სამხტოს“ ანუ თუნდ საკორცეს, ქათამს და სხ. საკლავს. ქურმუხის საყდრისკენ მიდის მთა-მთა ფართო ბილიკი. მის შესახებ არსებობს მრავალი თქმულება. შიგ საყდარში (კლდეში) არისო მღვიმე, რომელშიაც იმყოფებაო ოქროს მამალი; ის რომ დაიყვილებს, მაშინ სხვა მამლებიც გაიგებენ, შუაღამეაო და ყივილს მორთავენო. მის კარიბირიღამ



თუთია (წმ. მიწა) რომ იქონიო და წყალში ხალესი დალიო, გარ-  
გებსო და სხვა და სხვა სნეულება ვერ შეგაწუხებსო. ბილიკის  
ქვემო ფერდობზე ჰყრია დიდრონი კონცხები; ეს აქლემები არიანო:  
ურწმუნო მებაქლემეს გაუქვავდნენო. დღეობას (10 გიორგ.) დიდ-  
ბულად გადიხდიან ხოლმე ყველა სოფლებიდან სამხტო-საკლავე-  
ბით მოსული ინგილოები.

ბარბარეს საყდარი, ჭანდარა საყდარი (კეჭენს მთაზე) და  
სხ. მთლად დანგრეულებია. პირველი აბარია ქიტიანთაშვილებს.

მეტის-მეტ სათაყვანოდ ითვლება აგრეთვე ხუციშვილების ოჯახ-  
ში შენახული საეკლესიო და სამღვდლო საწმინდენი „ხუციანთ-  
ოთხთავი“ და სხ. ნივთები.

როდესაც ამ მშვენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარვა-  
ლობდნენ ელისოს სულთანნი, „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ერთად-  
ერთი ნავთ-საყუდელი აქაურ ქრისტიანებისა, იგი იყო მათი ნუგე-  
შინის მცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვა-  
ნის-საცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუცი-  
ანთ ოჯახში, აქ ანთებდნენ სანთელს, აკმეკდნენ საკმეველს და ღმო-  
ბიურებით ითხოვდნენ შველასა და შემწეობას. ღირსია ყურადღებისა,  
რომ ამ „ხუციანთ ოთხთავის“ წინაშე დასაკლავად ყველაზედ  
უკეთესს მსხვერპლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხ რქიანი  
ვერძი, ანუ ოთხ რქიანი ვაცი. ამგვარ „სამხტოს“ შესაძენად ინ-  
გილო არ იშურებდა თავისს ქონებას, რადგან იგი დაიმედებული  
იყო, რომ ასრეთ მსხვერპლს შეიწირავდა უფალი. „ხუციანთ ოთხ-  
თავის“ ბრალია უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად  
არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ხალხოსნობა —  
ქართველობა, თვისი ენა და რჯული; მისივე ბრალია, რომ ლეკთა  
ძალ-მომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მიუჭა ხალხი, და ინგილო  
ისევ დაშთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს „ხუციანთ ოთხთავს“ ქართვე-  
ლობის წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია ყურადღებისა.

გადმოცემის მიხედვით, ხუციშვილების წინაპარი ყოფილა  
მღვდელი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელნი ხუცი-  
შვილნი, მცხოვრებნი სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს,  
როგორც ყველა ინგილოებს, ისე ხუციშვილებსაც გარეგნულად  
მიუღიათ მამადიასობა. მიუხედავად ამისა, ინგილოთ ქრისტეს  
სარწმუნოება არ დაუტოვებიათ და ფარულად უსრულებიათ ყოველი

ქრისტიანქბრივი წეს-რიგი და ზღოცნიათ ქურმუხის წმ. გიორგი და „ხუციანთ ოჯახი“, რომელშიაც კრძალვით შეუნახავთ ყოველი სამღვდელო ნივთი. აი რა და რაა დაცული ხუციშვილების ოჯახში.

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდილი ტფილისში. სახარებას აწერია: „საღთო და საღვდელო სახარება, აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ჟამსა ამბლღებულისა და სახელგვანისა საქართველოს მეფისა უფლის უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან-სოლომონიანისა შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლ-მადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს გამგებლისა ბატონიშვილისა და თვით უფალ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა... ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ორბელისშვილისათა. კელითა მესტამბე მიხიელ სტეფანეშვილის უნგრო ვლახელისა ქალაქსა ტფილისისასა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებელი, რომელიც შეიცავს: ლოცვანს, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს. აშიაზე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი“; „უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უღირსი ამ წიგნის მხიბბავი ლავრენტი მონაზონი, ჯვარისშამას აღსრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

„იწყების ქორონიკონი ესე: ტოზ (1689 წ.).

„ამავე ქორონიკონსა გამეფდა ერეკლე ქართლს.

„ამავე ქორონიკონსა კახნი ჭარს მოუხდნენ<sup>1</sup> და გატეხეს და მრავალი ხიანი უყვეს; და ჩვენ მოგვიკლეს ენდრონიკაშვილი აბელ

---

<sup>1</sup> მეფის ერეკლეს ტფილისში შესვლას ვახუშტი უწყებებს 1688 წელს. კახთა ჭარს მიხტომის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ელისენსა შინა. კვედრნენ ჭარულნი და აღუთქმიდნენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ. ესე არ ინებეს კახთა და შეუბტნენ. ვერ წინა-აღუდგნენ ჭარულნი და ამათ ამოსწყვიტნეს და შეეხსრნეს სიმაგრენი მათნი და ნაალაფვენი დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განესრახათ სამ დღე მუნიდამ რბევა და ტყვეთა მარად-დღე. არამედ გლჳხთა რა იხილეს ალაფი დიდი, აღიტვირთნენ და წამოვიდნენ. აღუძნდათ ესე მთავართა ფრიად, გარნა არღარა უსმინეს. ამის მხილველთა ჭარულთა უწყეს თვითოეულმან ცემა თოფთა, მოკლეს დუშია მოურავი და მრავალნი წარჩინებულნი და ივლტოდნენ კახნი“. ეს ამბავი ქართლის ცხოვრებით მომხდარა 1695 წ.



თალიანი ქვის ხიდი მდ. ქურმუხზე

მოურავი, და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთხუცის შვილი და იქმნენ მოწამეთა თანახიარ თვესა 15, დღესა კვირიაკესა.

„ამავე ქორნიკონსა დაჯდა აღექსანდრე... ..ქორნიკონსა ტაზ (1699 წ.) მეფის ერეკლეს ჟამში.

„ქ: ღმერთმა:- ბედნიერის:- გელმწიფის:- ჭირი:- და:- სატკივა-რი“- მისცეს:- აბრამ მღვდელს:- ქ: ა: ბ:... ღმერთო:- მიეც გულის:- ყური:- ისწავოს და გემსახუროს: ამინ:- და კირიელეისონ“.

3. კონდაკი, 4. კურთხევაანი, 5. კონდაკი, 6. დაუჯდომელი, 7. ფეშხუმი, 8. ბარძიმი მინანქრიანი, 9. დრუბელი, 10. სამირვენეები ჩინური თიხისა, 11. სანაწილე, მსგავსი საათისა, 12. სეფისკვერის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, ზედ-წარწერით: „იესო ქრისტე ძლევა“, 13. ჯვარი ვერცხლისა დროშაზე გასაკეთებლად, ხუთის თვლით, 14. ჯვარი პატარა ყვითელის თითბრისა, 15. ჯვარი პატარა, გულზედ საკიდი და 16. ბარძიმი ვერცხლისა, ზედ-წარწერით: „ქ: შემომიწირავს: მე: ნაცვალს: ბერუკას: ესე: ბარძიმ-

ფეშხუმი: ყოვლად წმიდის: ღვთის: მშობლისათვის: ჯიმშიტას: სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობლათა“.

ვინ არიან ბერუკა, ჯიმშიტა, აბრამ მღვდელი, ლავრენტი მონაზონი, დიაკონი იოსები, ქართლის ცხოვრებიდამ არა სჩანს. არც ზეპირ გადმოცემას შეუნახავს მათ შესახებ ცნობა.

ამ ნივთების შენახვისათვის ერთი ხუციშვილთაგანი ელისოს სულთანს უწამებია: შარა გზაზე ჩამოუციდნია.

ბევრია კიდევ აქ ძველი ნაშთები, მაგ. ალავერდის წმ. გიორგი, რომელიც სოფელმა ნგრეულობითგან ალაღვინა ამ რამდენიმე წლის წინად. იღდესასწაულების კახეთის განთქმულ ალავერდობა დღეს — 14 სეკდენბერს.

კაკის უბნად ითვლება სოფ. ახნაური (იქვე ქურმუხის იქით ნაპირას) და ბინებად კი ყარამეშა, ალათემური, ქეშხუთანი და ბახთალა, საცა შევნიერად შენახულა ძველი საყდარი.

წმინდი ღიღი სოფელია კაკიდან 5 — 6 ვერსის მანძილზე ყუმისწყლის ხეობაში. ადგილი შევნიერია, მდიდარი მცენარეულობით. აქ არის ნანგრევი დიდებულის საყდრისა. დღეს მასში ლეკები მოსახლეობენ და იქიდგან ცდილობენ ინგილოების პატარა სოფ. სოსკანშიაც გაბატონდნენ. გადმოცემით, ყუმის ქვემო ნაწილი ყოფილა კუთვნილება ჯანაშვილებისა. შაჰაბაზი რომ მოსულა, 7 ძმა ჯანაშვილი მას შებრძოლებია ძლიერად. ექვსი დახოცილა ბრძოლაში და მეშვიდე შერმაზანი კი ტყვედ ჩავარდნია შაჰაბაზს. იგი სიკვდილისაგან გადურჩენია წახურელს კამაზ-ოღლის. მოუხსენებია მტარვლისათვის: მაგის მეტი ჯანაშვილი აღარ გადარჩა, ნუ მოჰკლავო. რა უნარი აქვსო, უკითხავს შაჰს. მთელს შენს ლაშქარს ლავაშითა და თაფლით დააძღობს, ისეთი შემძლებელიაო. მართლაც გამასპინძლებია. შაჰს აღარ მოუკლავს, მხოლოდ თავადობის ღირსება მოუშლია და უჩუქებია თავად კამაზაშვილისთვის. შერმაზანის ჩამომავლებს აუშენებიათ კაკში ციხე მათეს-ყალა ფანცაურის მიდამოს. ციხე დღეს აღარ არის, ხოლო მთელს ველს ისევ მათეს-ყალა ჰქვიათ. აქედგან აყრილან ზოგი ჯანაშვილები, წასულან მოსულს და იქ დღესაც მოსახლეობენ მათეშვილების სახელწოდებით (იხ. დ. ჯანაშვილის „ჭერეთის აღწერა“, მოგზაური, 1901 წ., № XII, გვ. 1130).

ს(ო)სკანნი, საცა ცხოვრობენ გამაჰმადიანებული ჯანაშვილები და სხ. ინგილოები, წინად ყოფილა ბინა კაკისა, რომელსაც შორავს

ნ ვერსიით. 1850 წელს ამ სოფელს თავს დაესხა 500 აკარელი და ყუმელი ლეკო. მაშინ ნაიბად კაკში იყო სისსერმანი. ეს მღვვრად გამოვიდა. მაგრამ ნახა-რა, რომ ლეკები ტყვითა და ნადავლით უკვე მიდიან ყუმისკენ და ძლიერ შეიარაღებულ არიან, უკანვე დაბრუნდა<sup>1</sup>. ტყვეები და მათ შორის ერთი ჯანაშვილი დედაბერიც შემდეგ გაშოისყიდეს მათ ვადარჩენილ ჭირისუფლებმა. სოსკანი კი მთლათ გადაეწოთ და მაშინვე გადაიწვაო, ამბობს ვადმოცემა, ჯანაშვილების უწინდელი საგვარეულო სიკელი.

მ(რ)აღან(ი) ორპირად გაშენებული სოფელი კაკ-აღიბეგლოს გზაზედ. მასში 756 მცხოვრებია, მათგან 322 ქრისტიანი ინგილო და 434 მაჰმადიანი ინგილო. სამოვრები აქვთ ბლიძად, სასმელი წყალი უვარგისი და ციებ-ცხელება გახშირებულია საფხულობით. ყორაღნელებს აქვთ ეკლესია და სკოლა.

აღიბებლ(ი) კაკ-ყორაღანს შუა მდებარეობს. შესანიშნავია სამკურნალო წყლით, რომელსაც ჰქვიათ „ყაინაშია“. სამკურნალო წყალი ლაკოშია. რამდენიც უნდა ამოიღო, მაინც არ დააკლიდება. საბანაოდ მოდიან ყოვლის მხრით. წყალს აცხელებებს გახურებულ ქვით ნავებში. არჩენს ბუერს, ქარებიანს. ამ სოფელში 865 ქრისტიანი ინგილოა. აქვთ ეკლესია და სკოლა.

მ(რ)იშქლ(ი) აშენებულია ყორაღანივით ორპირად. მასში 227 ქრ. ინგილოა. აქვთ ეკლესია, სკოლა.

ლემქეთი შვენეირს ხეობაშია. იქვეა სოფ. შარნა. პირველში არის რამდენიმე საყდარი ჯგუფად, ნაშენსი თლილის ქვითა, აკლდამებიანნი, ლამაზ და ვიწრო სარკმელიანები, მაგრამ საკმაოდ დაზიანებულნი. 1878 წელს უმთავრეს ტაძრის კედელზე კარგად მოჩანდა ღვთის მშობელი და მის წიაღში ქრისტე იესო. საყდრების გზაზე გავერანებული მარანია. იქვეა ერთი უხარმახარი ქვა, რომელიც ვადმოცემით, ხაზინას პირს ადევსო. ტაძრების ეზოში საფლავეებია, და ჩამორბის ანკარა წყარო — არხი. შარნას საყდარი ისევ მთელია.

მარღიან(ი) ლექეთს იქითაა. უწინდელი ციხე-ნასახლარები (შიაკუთვნებენ თამარ მეფეს) მაღლა მთაზეა, თვით სოფელი კი დაბლა მთის ძირობაზე. 1706 წელს აქ ისევ ქართველობა იყო, ხოლო ამ წელს მუნ დამარცხდა კახეთის მეფე დავითი (იმანყული-

<sup>1</sup>А. Зиссермань. Двадцать пять летъ на Кавказѣ. В. 1, гл. 313



სოფ. ყუმი. ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერი

ხანი) და მას აქეთ ქართველობაც ამოვარდა და მათი ადგილი დაიკავეს მუღალეებმა და თვით სოფელსაც შეუცვალეს სახელი და დაარქვეს გულლუგი (თათრ. გ'ულ-ვარდი, გ'ულლუგ — ვარდიანი). ვარდიანს იქით სოფ. მამრეხია, ჩარდახი, მუხახი და სხ.

თასმალო ბაღ-ვენახებით შემკულია. აქაურებს აქვთ კვლესია და მეჩითი. ქრისტიანობას ძალიან უჭირს აქაურობაში, მეტადრე ზაგანსა, ალიაბასა და სხვა ამ მისადევრის სოფლებში.

ალბაბათი ( ელისენი) დიდი სოფელია (4351 სული.) მთლად იფლობა ბაღ-ვენახებში, აქვს შვენიერი მეჩითი, ლაპარაკობენ

მცხოვრებნი წმინდა ქართულს ენაზე და რჯულით კი მაჰმადიანობენ.

ბაზბარი შორავს ზაქათალას 12 ვერსით, მუდანლოს ხიდის გზის გაყოლებაზეა. ლეკები მას უწოდებენ თორფაღყალას. შენახულა შვენიერი დიდი საყდარი ღვთის-მშობლის აგებული ლეონ მეფის მიერ (XVI ს.) ქართულ აგურით. გუმბათიანია, შიგ მოხატული. მის ეზოში აღიბათიელ ინგილოებმა ხენის დროს იპოვნეს ზარი ლეონ მეფის წარწერით (ზარი ეხლა ტფილ. სახემწ. მუზეუმშია). აქ 1605 წელს იდგა გამაჰმადიანებული კონსტანტინე, რომელმაც შაჰაბაზის ჩაგონებით მოიწვია თვისი მამა და ძმა, დახოცა და თავის რძალს ქეთევან დედოფალს შეუთავალა, ჩემზე გამოთხოვდიო. ქეთევანმა იგი დაამარცხა და მოკლა. თვითონ ფერიხანუმი კი (ქეთევან დედოფ.) თორფაღყალას ჩაიკეტაო. მეტის-მეტად ლამაზი იყო. მისი სილამაზის ნახვა მოინდომა შაჰაბაზმაო. მკალავს შაგირდათ გამოჰყვაო. ფერიხანუმს ქვაბები დაუკალა და თავის შაგირდითურთ ფულის მისაღებად იახლაო ფერიხანუმს. შაჰაბაზი გადარიოო მისმა სილამაზემ. დედოფალსაც უთხრეს, მკალავთან ეროდ თვითონ შაჰაბაზი იყოო. გამოუყენა მღევარი. შაჰაბაზმა გაასწრო. მეორე წელიწადს (აღბად 1615-ს) მოვიდაო ლაშქრით, შემოებრძოლა ბახარს, გატეხა მისი ციხეც. ფერიხანუმ კი ხელთ ეერ ივდო: იგი ციხიდან ძირს გადმოეშვა, მოიკლა თავიო.

0)ალაში 2838 მცხ. თათარია. სოფელი გავერანებულ დაბას ჰგავს, თუმცა შიგ შეგხვდებათ შვენიერი სასახლეებიც, რომელნიც ადგილობრივ გადატაკებულ ბეგებს ეკუთვნით. ჭარ-თალის წყალს ბეყრი ლამაზი ადგილები გაუოხრებია.

ზაქათალა (ზაქართალა) კოხტა ქალაქია, რომელშიც 1886 წ. ითვლებოდა 1231 მცხოვრები. აშენებულაა (1830 წელს) სოფელ ჭარის წინ. აქვე მაგარი და მიუდგომელი ციხეა, რომელშიაც არის ლამაზი საყდარი და მარის უფროსის სადგომი. ციხე ბორცვზეა, ხოლო მის დაბლა ვაკეზე თვით ქალაქი მოზრდილი ბაზრითა, სკოლებითა და ყაზარმებით. ციხის უკან სახელმწიფო ბაღია, შემკული ხილნარით. სახლები სულ ქვითკირისაა, თეთრი. ქალაქი შვენიერ სანახაობას წარმოადგენს, როდესაც დასცქერი აქაურ მოთბილამ, რომელნიც სამის მხრივ მას შემორტყმია.

ჭარი ზაქათალის თავშია. დასახლებულია ლეკებით და შესდგება 14 უბნიდამ. მასში 4010 მცხოვრებია. აქ მრავალია წაბლი,

მსხალი, კაკალი, ზღმარტლი და სხ. ხალხი ამაყია, შრომის უჩვევი. მამაკაცობას უყვარს ცხენოსნობა. დედაკაცობა ყოველ საქმეს ასრულებს. მათ ხშირად ნახავ ზაქათალაშიაც, საცა ყიდიან ზღმარტლს და სხ. ხილეულობას. ქალებს აცვიათ ძველ ქართულად. აქაურ ერთს უბანს ჰქვიან წინუბანი, ანუ წილბანი. 1797 წელს შინაყმებმა აღამაჰმადხანი რომ მოჰკლეს, მისი თავი გამოიტაცეს ჭარს. ჭარელებმა იწყინეს, როგორ თუ მეფეს უღალატეთო, მკვლელები დასაჯეს, ხოლო აღამაჰმადხანის თავი დიდებულად დამარხეს თავიანთ სოფელში.


მანუხი 507 სულისაგან შესდგება. აქ ბევრია ძველი ნანგრევები. მის წინ კორკორაზე (მრგვალ გორაკზე) არის ციხე, რომელშიაც, გადმოცემით, უნდა მსხდარიყვნენ ქართველ მეფეთა მაჭის ერისთავები. ციხე საკმაოდ დიდია და დღეს ტყეს დაუცია.

პატმხი მაწეხს იქითი სოფელია, 1060 მცხოვრები ლეკით. მე-XI საუკუნეში კათალიკოზ მქედქისედექმა მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა კატეხის საყდარი მისის შემოსავლით და დიდი მონასტერი წერეთისა.

ბელაქანში 7629 მცხოვრებია, მათგან მხოლოდ 12-ოდე სული ქრისტიანია (ვახსაძე-გალაჯოვები) და დანაშთენი — სულ ლეკობაა. შიგ და გარშემო მრავალი ს. ქრისტიანო ნაშთია: მონასტრები, საყდრები. აქვე და აგრეთვე კაცების ბოლოს შენახულა აგრედ-წოდებულ დარუბანდის კედლის ნაშთი. იგი ააშენა ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში და ხალხის გადმოცემა კი მის აგებას მიაწერს ფერიფადინას (თამარ მეფეს).

1292 წელს ბელაქანს ბრწყინავდნენ პიმენ სალოსი და ანტონი ნაოხრებულისძე... პიმენი გარეჯით წამოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს ქვაბსა რასამე და ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰვიან სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა. მასთანვე მოღვაწეობდა ანტონი ნაოხრებულისძე მესხი. დიმიტრი მეფემ (1270 — 1289) სადუნ მანკაბერდელს ჩააბარა გამგეობა თელავისა და ბელაქნისა (ქ. ცხ., 412). 1604 წ. თინათინ დედოფალმა შუამთას შესწირა ბელაქნის მცხოვრებნი: 6 კომლი ურია და ორი კომლი ქართველი (ფურცელაძე დ. გუჯრები, გვ. 85), სათავად-აზნაურო სიით, რომელიც შეადგინა ირაკლი მეფემ, წერეთელი იმერეთს გადასახლებულან „ლეკეთიდან“. ალბად ბელაქნიდამ, საცა დევანდლაძდე დაშთენილა სახელები წერეთლის ტახტი, წერეთლის





სოფ. ალიბეგლო. ნინოწმინდის საყდრის საერთო ხედი სამხრეთ-კოსავ-  
ლეთიდან

წყალი, დარბაზ-ქილისა. აქვე არის ქვა, რომელზედაც ასომთავრუ-  
ლით სწერია სიტყვები: „ქრისტე, მოივსენე სული ბირთველისა.  
ესე ქვაჲ მისი არს“. ბელაქანს, კატეხს და სხ. მგზავრი დღესაც  
ნახავს ეგრედწოდებულ დარუბანდის კედლის ნაშთს. 1263 წელს  
აქაურობა ააოხრა მონგოლთა მხედარ ალათემურმა, რომელიც კამ-  
ბეჩოვანიდამ (ქაზიყიდამ) წამოვიდა და ბელაქანის გზით გადავიდა  
ხუნძახს (ქართ. ცხ., 399).

ბანუხი (გემანუგი) კაკსა და ნუხს შორის პატარა, მაგრამ  
ლამაზი ადგილია. მცხეთის სვეტიცხოველს მე-XI საუკ. აქ ჰყვანდა  
50 სული გლეხი (Hist. de la Gé., 2 livr., CXIX). 1118 წელს აქ  
დაიბანაკა დავით აღმაშენებელმა. 1613 წელს აქ მობრძანდა მეფე  
თეიმურაზი და კულმუხელებს და სხ. დაურიგა 100 ტყავი, მრ.  
ძვირფასეული, შვენიერი ცხენები და 60 აქლემის საპალნე აბრე-  
შუმი, (არჩილიანი, 44 – 60). 1633 წელს იმავე მეფეს აქ უჯდა  
ქევხად (მამასახლისად) ჯანდიერი (დ. ფურცელაძე. Груз. двор.  
грамоты, გვ. 5).

ნუხი დღეს საინგილოს ადარ ეკუთვნის, მაგრამ უწინ კი მის ნაწილს შეადგენდა. მასში 1886 წელს 27 000 მცხოვრები იყო. გაშენებულია კავკასიონის ფერდობზე დაბახანის-ხევის გაყოლება. მდებარეობა აქვს შვენიერი. დაპყურებს ალაზნის ველს და შირაქის მიწდრებს. ადგილი აქვს მთა-გორიანი. უმთავრეს ქუჩას გარდა დანაშთენი შუკები ვიწროა, მოუწყობელი. აღმართ-დაღმართების გამო ეტლით სიარული მეტად გასაჭირია. შვენიერ ევროპულ ყაიდაზე აშენებულ სახლების გვერდით შეგვხვდება მამა-პაპური ქოხ-მახებიც, ალაჩულა სახლები. ბაზარი დიდია. მანჯანიკები და ქარხნები ბლომად. ამ მანჯანიკებსა და ორთქლით მშობრავ ჩარხებზე ყოველ წლივ იხვევა 20 009 ფუთამდე აბრეშუმი. ყოველს ამისთანა ქარხანაში მუშაობს 160-170 კაცი. ბაზარში მოვაჭრენი არიან სპარსელები და სომხები. სავაჭროს ზოგს ადგილობრივ აკეთებენ და დანარჩენი მოაქვთ რუსეთიდან და სპარსეთიდან. აქვე მაუდის ნაკერ ბალიშის პირებს იყიდით 3 — 4 მანეთად. აღებ-მიცემობა მეტად გაცხოველებულია. ყოველ წლივ აქედგან გააქვთ დიდძალი აბრეშუმი, მატყლი, თრიმლი, თხილი, ხორბალი და სხ. მის უბანს სიგზიდს და გიშს არის ძველი დროის მონასტრების ნაშთები. გიშში მაკურთხებლობდა გიშელი. ვახუშტი (გვ. 147): „გიში არს მთის ძირს. რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოსი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხის, არამედ მიუხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულთნოდ და ამას ეწოდა წუქეთი და აწ უწოდებენ ალი-სულთნად“. გიშს 1853 წლიდან დაჰპატრონებიან სომხები. დღეს ამ მაზრაში მართლ-მადიდებლად დარჩენილან მხოლოდ უდები ვართაშნის საზოგადოებაში. ძველ ნაშთა შორის შესანიშნავია ხანთა სასახლე ქალაქის ზემო ნაწილს. გარშემო არტყია მაგარი ციხე-გალავანი. სასახლის ეზოში 2 — 3 ჩინარია, რომლებზედაც ხანები ჩამოახრჩობდნენ ხოლმე დამნაშავეთ. ციხის აგების შესახებ გარდმოცემა ამბობს: ციხის აგება ხანმა რომ განიზრახა, დაეკითხა მკითხავს. უთხრა: „მაგარი ციხე გამოგივა, ისეთი მაგარი, შენს შთამომავლობას კარს რომ მტერი მოადგება, გაქცევასაც კი ვეღარ მოახერხებსო“. „აღსრულდეს ნება უფლისაო“, ბრძანა ხანმა და ააშენა ციხე. რუსები რომ შემოერტყნენ ციხეს, შეიპყრეს გაქცევის ვერ მომსწრე ხანი და ნუხიც დაიჭირეს.

აქ გვაგონდება შირიკული ამბავი, ყვარყვარე († 1500 წ.) ათაბაგის დროისა. მესხი მოვიდა ნუხს აბრეშუმის საყიდლად. აქაური ვაჭარი მას წაეჩხუბა, ყველაფერი წაართო და სცემა. მესხი დაემუქრა ათაბაგის სახელით და წავიდა. მიმავალს ვაჭარმა მიადახა: „არ მიმიბას ყური სამსჭვლითა დუქანსა ჩემსა და მიცეს წიხლი ღარბახსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთვის!“ მესხი დაბრუნდა ახალციხეს და შესჩივლა ათაბაგს. ყვარყვარე 500 ცხენოსნით გაემურა ნუხისკენ, მივიდა და „უყო ყოველნივე თქმულნი ვაჭარსა მას შაქელსა და მისცა მესხსა ქონება თვისი, გარნა სხვა არა რაჲ ავნო ქვეყანათა და მოქალაქეთა“, და მერე ჩამოიარა შირაქსე, გავლო ქართლი და დაბრუნდა ახალციხეს გამარჯვებული.

## შაკიხის — შაქის (ნუხის) მფლობელები

### 1. მთავრები:

ადარნასე ბრმის ძმისწულეები არჩილ მეფის († 718 წ.) ბრძანებით. გრიგოლი

ასამ შოთა. 1117 წ. ესენი შეიპყრა დავ. აღმაშენებელმა. მისმა ძემ დიმიტრიმ აიღო საუდოს ძლიერი ციხე ქალაძორი (უღურად ქალაჯორი — უმთავრესი ჯვარი). დაიპყრა მთელი შირვანი, შამახია, შირვანის თავადი სახლი გულისტანი, აქაურობაში ჩააყენა ქართველთ (მერ-კახთ) ლაშქარი (ქ. ცხ. 245, 251). მისი ქალი თამარ აქვე იჯდა დედოფლად (გვ. 245).

ვარდან კოლონკელისძე (გიორგი III მეფობაში, ქ. ცხ. 269).

სადირ კოლონკელისძე (თამარის მეფობაში).

ასათ გრიგოლისძე (ქ. ცხ. 283).

გრიგოლი II თამარის მიერ ერისთავი.

შოთა კუპრი (XIII ს. ქ. ცხ. 362). 1393 წელს შაქს მოვიდა ლანგ-თემური და თან ტყვედ მოიყვანა ბაგრატ მეფე და უბრძანა გამაჰმადიანდი. თუ არა, საქართველოს მთლად ავაოხრებო. ვამაჰმადიანდა. წამოიყვანა 12000 მეომარი მულალი და ტფილისის ახლოს ამოაწყვეტინა თავის, შკილის გიორგის ლაშქარს (ქ. ცხ., გვ. 457).



ჰასან-ალა.

15. ალა ქიში. ჯაფარ-ალა. 17. აჯი-აბდულ-ყადირბეკი  
† 1783.

16. ჰუსეინ-ხან † 1776.

18. მაჰმად ჰასან ხან (თვალი დასიხარა აღამაჰმადხანმა).  
მისი ძმები 19. ფათალიხანი. 20. სალიმ ხანი.

ჰუსეინ-ხან † 1831.

მისი შვილები: აბდულა ალი, აბდურ რაჰიმ, ჰაშიმ, თუთი-  
ალა, სეკინე-ხანუმ (სცხ. ნუსში).

21. ჯაფარ-ყული-ხანი გენერ.-ლეიტენ. † 22 აგვ. 1814 წ.

22. იზმაილ-ფაშა. ამას და მის მამას რუსეთის ხელმწიფემ მიუ-  
ბოძა ბრილიანტებით მოჭედული კალამი ნიშნად სახანო ღირსებისა.

ვართაშენი ნუხს შორავს 30 ვერსით. იგი უდთა უმთავრესი  
სოფელია. მისვე ახლოს არის შესანიშნავი სიმაგრეები ხალხალი  
(ხილხალი) და ყაბალა. ამ უკანასკნელს სტრაბონი იხსენიებს ალბა-  
ნიის დედა ქალაქად. (Gabalica). ქართ. ცხოვრება მას სთვლის  
შირვანის ქალაქად. იგი ამბობს (გვ. 248): „მოვიდეს (1120 წელს)  
ღანუხს (ქართველობა) და მასვე შვიდეულისა, პირმარხვასა დღესა  
აღილო (დავ. აღმაშენებელმა) შირვანისა ქალაქი ყაბალა და ადავსო  
სამეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა  
და წარმოვიდა ქართლს“. არაბელ-სპარსელი მწერლები კაბალაში  
უჩვენებენ ქართველ მთავარს. 1221 — 1222 წელს კაბალას ქართველ  
მთავარს შემოკობდნენ ყიფჩაღნი. დარუბანდის და განჯის მთავ-  
რის დახმარებით დაამარცხეს. მაგრამ მერე ქართველებმა დიდი  
ზიანი მიაყენეს მათ და უკუაქციეს<sup>1</sup> (Journ. Asiat., 1897 წლ.:  
„არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული  
ცნობანი საქართველოს შესახებ“, თარგმანი მ. დეფრემერისა).  
საქართველოს მიჯნად იწოდება ხალხალი (ხილხალი) არა თუ ქარ-  
თლის ცხოვრების მიერ (გვ. 272), არამედ სომეხთა ისტორიკოსე-  
ბის ელიშეს (მე-X ს.) და კადანთკატეაწის (X ს.) მიერაც (ელიშე,

<sup>1</sup> ნიშნად ქართველების ამ ბრძოლისა ყიფჩაღებთან დაშთენილა საინგილოში  
სოფელი ყ ი უ ხ ა ღ ი. მისი მცხოვრებნი გამარჯვებულ ქართველებმა, ალბად, ტყვედ  
წამოიყვანეს და აქ დაასახლეს.

გვ. 124, კდანთ., გვ. 86). აქედგან დღევანდელ საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნამდე (კახამდე) 80-დე ვერსია. მთელ ამ მანძილზე ქართველობა აღარ არის. უღთა რიცხვი ნუხის მაზრაში 7000-მდე უწევს. ზოგი მათგან მართლმადიდებელია, ზოგი მაჰმადიანი, ზოგი ურია და ზოგი სომეხი. მათი ენა წააგავს ლეკურს. უმთავრესი მათი სოფლებია ვართაშენი, საცა ცხოვრობენ ბეჟანიშვილები, ჩიკვაიძეები, ჯეირანიშვილები, კოტიაშვილები, ტუკუშაშვილები, პაჭკიაშვილები, ნიჟი(შეად. ქართულს ნიჟგორი) და სხ. მართლმადიდებელ უღთა შორის 20-მდე საშუალო სწავლა-მიღებული ითვლება. მათი მამა-მთავარი სტეფანე ბეჟანიშვილი მოამბეობდა ცხონებულ ს. მესხის „დროებაში“.

ელისოს და წახურის სულთნებისათვის ბოძებული ვირმნები და მათი შთამომავლობა<sup>1</sup>.

თამაზ-შაჰის შირმანი წახურის მფლობელ აღიკურკულუ-ბეკისადმი 1562 წ.: „ეს მფლობელი ჩვენი ერთგული ყმათაგანია. მისდამი ჩვენის მოწყალების გამო მის მიწებს ნურავინ შეეხება საქართველოს სამეფოს მოხელეთაგან, ერიდონ მის ჩივილსა და უკმაყოფილებას. საქართველოს მთავარს ლევენდ-ხანს ევალება, ყური უგდოს, რათა აღსრულებულ იქმნეს ეს ჩვენი ბრძანება.“

ოსმალეთის ხონთქრის შირმანი (1607 წ., ბანაჰი კუნია) ალი-სულთან წახურელისადმი: „თქვენის ერთგულების გამო ჩვენის ტახტისადმი და აგრეთვე თქვენის ღირსებისა ჩვენ გიწყალობებთ სოფლებს მეშაბაშს, კახს, ზერნას, ყუმს, ლეკეთს და ალაგიოზს. დღეიდგან ეს სოფლები მემკვიდრეობით გვეუთვნით თქვენ და სხვათაგან ხელშეუხებლად უნდა დაიცვათ იგინი.“

შაჰ-აბაზისაგან წახურის მფლობელს ალი სულთანს (1616 წ.): „თქვენი ერთგული სამსახური ჩვენის ტახტისადმი კვლავ გვეუწყა. ქება და მაღლი თქვენ! თქვენ აასრულეთ თქვენი მოვალეობა ერთგულობისა და განაცოცხლეთ სახელი თქვენის წინააღრებისა, რომელნიც ჩვენი მომხრენი იყვნენ. ამით მიიქცეთ ჩვენი უურადლება. განაგრძეთ იგეთივე სამსახური. მოვა შირვანის ბეგ-

<sup>1</sup> არქეოგრ. კომ. ოქმები, ტ. 11, გვ. 1085 – 1094.

ლარ-ბეგი იუსუფი და მასთან ერთად განაგრძეთ ჩვენი სამსახური.“

შაჰსეჟის შირმანი (1632 წ.) მამედ-ხან-ბეკ წახსურელი-საღმი): „რადგან თეიმურაზმა შეირცხვინა თავი, საქართველოს სამეფო მივეციტ რუსტემ-ხანს. იქითკენ ჯერ გავისტუმრეთ ეს რუსტემ-ხანი და ჩვენი ბანაკიც დაიძვრება მალე და მიჰყვება მას. მანამდე თქვენ გვეალებათ წაიყვანოთ სურხაა-ბეგი და ამირხან-ბეგი და ჩვენის ღროშების მოწვენამდე გააოხროთ და დააქციოთ ქართლი და კახეთი, და იცოდეთ, თქვენი სამსახური ჩვენის მხრივ უმოწყალოდ არ დარჩება.“

მისბანვე (1635 წ.): „თქვენი თხოვნა ჩვენის კარისადმი მოვიდა. დაიმედებული იყავით ჩვენის მოწყალებით და იცოდეთ, რომ საქართველოს, ქართლის და კახეთის სამეფო ჩავაბარეთ ჩვენს ძმას რუსტემ-ხანს, საქართველოს მეფეს. ისე იმოქმედეთ და მოიქეციტ, რომ იგი კმაყოფილი იყოს.“

შაჰ-აბაზისაგან ხალილ-ბეკ მამედ-ხანის ძეს, წახურის მფლობელს ენიშნება (1642) 155 თავრიზული თუმანი და შირვანის მფლობელს ევალება წახურის სამფლობელო მის კუთვნილებად იცნონ და ჯამაგირიც აძლიონ.“

შაჰ-სეჟისა მისაღმივე (1642): „რუსტემ-ხანმა, საქართველოს მეფემ მაცნობა, ზაალ ერისთავი ყარაყალხანისა და ნუგზარ გაიქცნენ კახეთს. მიიღებ-რა ამ უმაღლეს ბრძანებას, შეესიე კახეთს და დაარბიე.“



შაჰ სულტან-ჰუსეინისა ალი-სულტან წახსურელისაღმი (1695 წ.): „აწ გიგზავნიტ სიგელს და ხალათს — მფლობელობის ნიშნად — ჩვენის შიკრიკის მურტუქს-ყული ბეკის ხელიტ. არხეინად იყავით ჩვენის მოწყალებით.“

მისბანვე მისაღმი (1701 წ.): „...ცო 000 რუსი ჩამოდგაო თერგს. დაღისტნის შამხალს მიეშველქო მათ წინააღმდეგ.“

ხონთპრის შირმანი ალი-სულტან შაჰქელისაღმი (1722 წ.): „გამოცდილს, ახოვანს და კეთილმორწმუნე დაღისტნის ემირს გნიშნავთ შექის და წახურის სანჯაყის ბეგლარ-ბეგად. იმოქმედეთ თანახმად შირვანის ბეგლარ-ბეგის ჰაჯი დაუთხანისა.“

იბრაიმ-შაჰისა აჰმედ-ხანისაღმი (1747 წ.): „ეცნობება სულტან აჰმედ-ხანს, რომ იბრეიმი გამეფდა და უბრძანებს იგი მოიხსენიონ მეფედ მჭითებსა და მიზგითებში და აგრეთვე მისი მოჭრილი ფული იხმარონ. ეგზავნება სულტანს ბრწყინვალე ხალათი.“

სულტან აჰმად-ხანი 27 იან. 1807 წელს თავის 13 წლის შვილით მოვიდა ტფილისს მორჩილების გამოსაცხადებლად. მას ქვეშევრდომად ჰყვანდა 2 000 კომლამდე. მას მიეცა პოლკოვნიკობა (327).  
 ყურთავ აქვე ამ სულთნების საგვარეულო სიას, რომელიც დაბეჭდილია არქეოგრ. კომ. ოქმების მე-V ტომში (გვ. 1121).



ემირ ჰამზა-აღა.



ა. აღზახ- ბეკ. + ახალ- ციხის აღე- ბაში მოიყ- ლა. ფახაი- ბიქასავან ნაშობი, ფე- რი-ჯუქან- ხანუმას' დი- სა	ბ. მურად- სულტან- ბეკ ფერი- ჯან ხანუ- მისავან. + ყმაწვი- ლობაში.	ვ. ალი- ბეკთუ- თა-ბი ქასავან + ყმაწ.	დ. მურ თუს ალი- ბეკ თუთა- ბიქისავან + ყმაწ.	ე. ჯფარ- ყული-ბეკ. თუთა-ბი- ქასავან. + ყმაწ.	ვ. იმრან- ბეკ. ცო- ლად ბანუ ხანუმ, ხა- ლით. ბეგის ქალი
--	--	--	---	--	---

ზ. მუსაბეკ. მამის სიკვდილის შემ- დეგ სულტანად გამოცხადებული მამათავან. მოწამ- ლული, გადმოცე- მით, დანიელ სულ- ტნისავან. ცოლად ქალები: ასლიანხან ყაზიყუმუხელისა და პაჯახან შექე- ლისა.	ც დანიელ ბეკ. თუთა- ბიქასავან, ასლიანხან ყუმუხელის დისა.	თ. ხალილ- ბეკ + და- ნიელ ბეკი- სავან ცო- ლად შა- ქარ-ხანუმ.	ი. მამად ბეკ + და- ნიელ ბეკი- სავან. ცო- ლად ბიქა- აბი, ასე- ლი ბალია- ალასი	ია. ემირხან-ბეკ. მსახურებდა სამე- გრელოს პოლკში. დანიელის ჩაგო- ნებით მოწამლა სპარსელ ექიმმა. ცოლად ჰყვანდა ძმების ქვრივები შაქარ-ხანუმი და ბიქა-აბი.
--	---	--	---	--

დანიელ სულტანის შვილები.

მუსა-ბეკ	ნენე-ხა ნუმ	ბეგუმ ბიქა	ქერიმეტ- ბიქა	სენე- ბიქა
მაჰმუდ ბეკ და ასული ბიქა.	მურ. თუზალი და უმში გულსუმ- ბიქა.	ომარ- ბეკ და აბბას- ბეკ და უმად სულტან.		

ემირხან-ბეგის შვილები:

მამად-ბეკ	ხალილ-ბეკ
ბიქა-აბასა- ვან. + ყმაწ.	შაქარ-ხა- ნუმი-სავან იყო ბელაქ- ნის ნაიბად. ცოლად- ნა ხანუმ, პორუნიკ ალა- ქიში-ბეკ ნუხელის ქა- ლი.

მაჰმად-ბეგ. სწავლო- ბდა მოსკ. სამხედ. გემნაზ.	მურად. სულტან ბეკ	პაჯი- ხან ბეკ.	ემირ- ხან ბეკ	ყაფლან ბეკ	ფაფარ ყუ- ლი ბეკ სწავლობდა ტფილისის სათ. აზ. სას.	ფერი-ჯან ხანუმ.
---	-------------------------	-------------------	------------------	---------------	---	--------------------

## ზოგიერთ სახელის განმარტება

ჭარი. საქმეში ჩაუხედავ კაცების განმარტებით ჭარი უნდა ნიშნავდეს ჯარს (ჭარი — ჯარი!). ამისთანებს ავიწყდებათ, რომ ქართულს წყაროებში ჭარი მუდამ ჭარად იხსენიების და მხოლოდ რუსები მას სწერენ ჯარად. ზაქათალის გარემო დღესაც იწოდება ჭარად და ჭარ-თალად (ჭარიც და თალაც დიდი სოფლებია). ამგვარივე სახელებია საქართ. სხვა ნაწილებშიაც: ჭარ-თალი (დუშეთ. მასრ.), აჭარა და სხ. ჭარის უბანს ერქვა ფიფინეთი. შეად. ამას გვარი „ფიფინაშვილი“. ჭარი — ჭაობიანი ადგილი — ჭარი რაჭულად. ასეთია მართლაც.

ბელაქანი მოსახელეა საქართ. სხვა კუთხეების ადგილებისა, — შეად. ბელაგორი. იყო აგრეთვე ქალაქი ბაჟლაკანი არეზ-მტკვრის შესართავთან. ეს ბაჟლაკანი ქართველთა ლაშქარმა დაიპყრო 1241წ. მცხოვრებნი ამოწყვიტა. ბაჟლაკანის მეფე უზბეკ ფაჰლავანისძე მაშინ თავრიზში იყო (იხ. არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფ. და ისტორ. ცნობანი საქართველოს შესახებ, თარგმ. მ. დეფრემერისა Journai asiatique-ში 1849 წ.). ბაჟლაკანი ხსენებულ ადგილას დღეს აღარ არის. ამ შორეულ ბაჟლაკანს (— ბეჟლაკანს) ზოგი მკვლევარი ვერ არჩევს საქართველოს ბელაქნისაგან და იმის შესახებ ცნობებს ამას აწერენ.

ლაბ(ო)ღეხი (ლაგოეთი, ლაკვასტი). ლაგოდები არის ცვლილება მის თავდაპირვანდელ სახელისა ლაკვასტი, ხოლო ლაკვა (ინგ. ლაკო) ნიშნავს წყარო-ორმოს, წყალ-საგუბარს, ჯურღმულს, რომელშიაც იკონება წყალი. სწორედ ასეთია დღესაც ლაგოდები და მისი არე-მარე: ლაკვებით სავსეა აქაურობა. „ლაკო“, „ლაკვასტი“, უეჭველია, უახლოვდება ლათინურს lacus — ტბა, lacustris — პატარა ტბა.

მუხახი, მამრეხი, კატეხი, მაწეხი, ქურმუხი, შაქიხი (— შაქი) იმავე დაბოლოების სახელებია, რა დაბოლოებისაც კოლხი, კახი, მესხი (მოსხი), კარღუხი, ტაოხი — ტაო და სხ.

შაქი (შაკიხი), შესაძლებელია, იყოს იგივე საკი (ძველად საკა-დ იწოდებოდნენ სკვითები და სკლავები — სლავები). ბერძენ-რომაელთა მწერლები რანის მოსახლე ერს უწოდებდნენ საკაშენ-ად (საკა-შენი, ვით თამარა-შენი, ვარდთა-შენი და სხ.). სოფ. კახის



სოფ. კახისტავი. პატარა ალავერდის საერთო ხედი დასავლეთიდან

გვერდით ხეობაში არის მცირე სოფელი საკანი (საკანი — სკვითები (საკა-ნი) თუ საკანი, მაგარი „საკანი“ ადგილი?).

ყუმი შეად. ყუმის-თავს (იმერეთშია).

ბაპი — ბახი. შეად. კაკას-ხიდი (მესხ.), კახათი, კაკაბეთი და სხ. მისი უბანია ფანცაური (შეად. ფანცხავა და სხ.).

ინგილო — ჭინბილო. ამ სახელს ჩვენ და ჩვენ შემდეგ სხვებიც ხსნიდნენ თათრ. სიტყვიდამ ჰინბი — მერმე, შემდეგ, ჰინბილ — მერმის, ჰინბილან — ხელ-ახლა. ინგილო, ვითომ, ხელ-ახლა მოქცეული, გადარჯულებულიო. ესრეთი ახსნა, ცოტა არ იყოს, აჩქარებულია. ჯერ ერთი, რომ აქაურ სოფელსაც ჰქვიან ჰენგიანი და არა ჰენგილო და მეორეც, ზემოთ ითქვა, ბევრი აქაური სახელები იგივეა, როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში. აქ მარსანი (სოფ.), იქ მარშანია (გვარი), დახალ — დოხორე (მეგ.), თოლი, წკინვა, მოფეხვა — მაფახ (სვ.), ჰუჭენა — უჭიანა, ბია და მრ. სხ. საერთოა საინგილოსა და საიმერეთოში საზოგადოდ. ეს ცოტაა კიდევ. აქაურს უმთავრეს მდინარესა და სამეგრელოს უპირველესს მდინარეს ერთი და იგივე სა-

ხელი ჰქვიანთ: ეგრის-წყალი ანუ ეგრი — აგრი ( — იგივე ენგური — ინგური და ინგირი მეგრ. გამოთქმ.).

ყველა ამის გამო „ინგილო“ ჩვენ მიგვაჩნია ანუ იმავე ინგირ-ად ე.ი. ეგრელად და ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის მწერლები (მე-V ს. ქრ. წ.) იხსენიებენ ფოთ-სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ ტენიოხ-ად, ე.ი. „მეეტლედ“, „მე-ჰუნეიდ“<sup>1</sup>). შესაძლებელია, ნაბუქუდერ-ასარიისა და სხ. მტარვალების მიერ მთელის ხალხების ცნობილ აყრა-დაყრის დროს ეს ტენიოხები გადმოტყორცნილ ყოფილიყვნენ დღევანდელს საინგილოში და აქ თვისი თავდაპირვანდელი სახელი მიეკუთვნებინოთ ღანუხ — განუხისთვის, ნუხისთვის ( — ნოხ-პატო — ნუხ-პატო) და სოფ. პენგიანისთვის და თვითონაც სახელი პენიოხი გადასცვიოდეთ პენგილოდ — ინგილოდ. ესეთი ჩვენი მოსაზრება მით უმეტეს ჭკუაზე ახლოა, რომ საინგილოში დღესაც სიტყვა პენგა ნიშნავს ცხენოსან ქალს, რომელიც მყარი-ონით სხვა პენგებთან ერთად მიდის პატარძლის („პატას“ სააღერ-სოდ რომ ვთქვათ) მოსაყვანად. ძველი ჰუნები — ჰუნეთი ადვილად გადაიქცეოდა ნუხად, ღანუხად; პენგელ, პენგილოდ (შეად. ჰუნე და მერე უნაგირი — უნაგრი — მეგრ. ონაგერი — სვან. ჰუნგირ). ასეა თუ ისე, პენგიანი (სოფ.) უნდა ნიშნავდეს სა-პენგებოს, საამორ-ძლო — „საამაზონკო“ ქვეყანას.

## ინგილოთა მოღვაწენი

მლ. დიმიტრი ჯანაშვილი. დიმ. იოსების ძე ჯანაშვილი დაიბადა კახში 1840 წ. მაშინ ჯერ ისევ სულთნობა იყო და „სულთ-ნობა“ კი ინგილოებისთვის მტარვალობას ნიშნავდა. ცოტაოდენი შეღავათი ჰქონდათ სულთნებისაგან მხოლოდ დიდ; ძლიერ და შეძლებულ გვარეულობებს და ისიც მისთვის, რომ ჰქონდათ მათ-გან საკმაო გამორჩეობა: წელიწადში ერთხელ-ორჯერ ეწვეოდნენ ხოლმე მთელის სახლობითა და ამალით, სჭამდნენ, სვამდნენ,


<sup>1</sup> დიოსკურია (ბიჰკანტა) ააშენეს ზეკასმა და კერკიმ და ამათგან წარმოს-დგნენ ტენიოხები („ВОЗНИКЪ“), — ირწმუნებიან ბერძნთ მწერლები (ვანი, გვ. 60, 61 105, 183, 207).

მთვრალობდნენ და ძღვენ-საჩუქრებით ბრუნდებოდნენ ელისოს. შემძლებელ და შეძლებულ ოჯახთაგანი იყო აგრეთვე ბაჰრამ-ალი (სოლომონ) ჯანაშვილის სახლობაც. ერთხელ სულთანი დიდს მტარვლობას უპირებდა თურქე ინგილოებს. ბაჰრამ-ალი და სხვა წარჩინებული ინგილოები გამოეცხადნენ მრისხანე სულთანს და მოახსენეს: თუ შევბა არ მოგვეცა შენგან, ჩვენ ავიყრებით დედაბუდიანად, გადავალთ ალაზანზე და შევეურთდებით ჩვენ მოძმე ქართველებსო. სულთანი თურქე მოლბა და დაპირებული პატივი ააცილა საინგილოს.

დიმიტრი ჯერ ცხრა წლისა იყო, რომ ბიძა მისმა გიორგიმ ჩამოიყვანა ტფილისს და მონათლა. შემდეგ იგი, ათიოდე სხვა ინგილო ყმაწვილებთან ერთად ჩაიყვანეს დედოფლის-წყაროს სამხედრო სასწავლებელში, რომლიდამაც მალე გადაიყვანეს ტფილ. სასულ. სემინარიაში. სწავლაში მაღალ-ნიჭიერი იყო, ისე — გულადი, გამბედავი, დაურიდებელი, სიმართლის მოყვარე. ამისთანა თვისებამ ერთხელ კინალამ არ დადუბა იგი. რექტორ კიკტორინს რაღაც უკიახობა ეთქვა, მას ვერ მოეთმინა, მივარდნოდა და ეცემნა. არ გამოერიცხნათ მხოლოდ მისთვის, რომ წარჩინებული ქართველები მიშველებოდნენ როგორც საინგილოს ერთად-ერთ წარმომადგენელს. გულკეთილი რექტორიც აღარ გამოჰკიდებოდა და ეპატიებინა დიდსულოვნად.

კურსი დაასრულა დიმიტრიმ 1865 წ. სტუდენტად და აკადემიაში სწავლის გასაგრძობად ვერ წავიდა ჯერ ერთი მისთვის, რომ მეტად ღარიბი დედ-მამა ჰყვანდა და მეორეც კიდევ მისთვის, რომ ტფილელ მოწინავე კაცებმა სთხოვეს საინგილოში ემსახურნა და იქაური ქართველობა დაეახლოვებინა დანარჩენ ქართველობისთვის. იგიც დამორჩილდა. ქიზიყში ცოლად შეირთო ერთი მეოჯახის ქალი ელენე და მღვდლად ეკურთხა საინგილოს სოფელ ყორადანს.

მხნედ მუშაობდა ამ სოფელში ახალგაზრდა მღვდელი. აქაური ქართველობა ორად იყო გაყოფილი: ნახევარი სოფლისა ქრისტიანობდა, ნახევარი მაჰმადიანობდა. მას უნდოდა ესენიც მოექცია. უქადაგებდა, ასწავლიდა, ასმენდა, არიგებდა. მის ნათქვამს არ ისმენდნენ ლეკების მოღების ჩაგონებითა თუ მუქარით. მისი მოწამლვაც კი განიზრახეს. მაგრამ მქადაგებელი ძმობისა იღვატინივით მაგრა. ერთხელ შეიყარა მაჰმადიანობა ღამე ტყის პირას და დაიწყო საუბარი იმაზედ, რომ სრულიად ჩამოშორებოდნენ ქარ-



დიმიტრი ვანაშვილი

თველობას. დიმიტრი მარტოდ-მარტო მივიდა, ყრილობაში შევიდა და დაუწყო ტკბილი ლაპარაკი. ვიღაც ფანატიკოსმა უკანიდამ ჯოხი შემოჰკრა. „დამკარ და იცოდე კი, რომ შენ ქართველი ხარ და ქართველად დარჩებიო“, სათნოიანათ უთხრა მას მოძღვარმა.


ამისთანა ბედშავობას დაემატა კიდევ უარესიც. მას გარდაეცვალა (19 თებ. 1867 წ.) მეუღლე ელენე, ერთად-ერთი მისი ნუგეში.

ობლად დარჩენილ მღვდელს თავისი მოღვაწეობა გადააქვს ზაქათალას (1870 წ.), იქ მსახურობს საღმთო სჯულის მასწავლებლად და მერე გაბრიელ ეპისკოპოსისა და კალანდარიშვილის მიწვევით მიდის ქუთაისს ქართულ ენის მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში. იქაც დიდს უნარსა და ნიჭს იჩენს ამ ენის სწავლებაში და იმსახურებს ყურადღებას როგორც ნეტარ-ხსენებულ გაბრიელისა, ისე ზედამხედველების კალანდარიშვილისა და მიხ. ასათიანის და აგრეთვე მთელის საზოგადოების. 1878 წ. დიმიტრი მიდის მოსკოვს სწავლის გასაგრძობად სასულიერო აკადემიაში. იქიდგან ბრუნდება 1880 წ. და მასწავლებლობს სათ.-ასნ. სასწავლებელში, მერე მისიონერად საინგილოში, შემდეგ მღვდლობს ნუხში, ვართაშენში, ალიბეგლოში და ბოდბისხევეში, საცა შორდება (7 ოკტ. 1905 წ.) ამ სოფელს საუკუნოდ 64 წლისა დაბადებიდგან.

ლიტერატურული მისი მოღვაწეობა მრავალნაირია.

საქართველოს ისტორიის სახალხო ენით ხალხისთვის გადაცემაში მას მხოლოდ ეკუთვნის პირველობა. ამგვარი წერა მან დაიწყო ს.მესხის გაზ. „დროებაში“, ფრიად საყურადღებო და საგულისხმეო წერილები დაბეჭდა აგრეთვე „მნათობში“. შემდეგ იგი იყო მუდმივი თანამშრომელი „ივერიისა“, „მოგზაურისა“, „მოამბესი“, ძველ „ცისკრისა“. კარგად სწერდა რუსულადაც. მის ნაშრომთაგან უფრო თვალსაჩინოა „ქართველ ქალის ისტორია“, „ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი“, „ჰერეთის აღწერა“ („მოგზაურში“) და სხ.

ტფილისში მყოფობისას იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ საწაღმართო საქმეში და აგრეთვე ერთხანს წ.-კით. საზოგადოების გამგეობის წევრადაც იყო. საინგილოში ხომ მის მიერ დათესილი ამაგი მეტის-მეტად დიდია. იგი იქ ფარავით უდგა ქართველობას, მაგრამ ისე კი, რომ სხვა ტომის ხალხს არა სწყენოდა რა. მისი დევნი იეს იყო: „ქართველობას ქართული, დანარჩენ თესლმოდგმას ყველას თავიანთი; ნუ შემეცილები, არც გეცილები“.



ძიხელ ეულშვილი



ამის გამო იგი უყვარდა ყველას ერთნაირად და აკი ამიტომაც უკვე მკვდარი დიდის ამბით მიასვენეს კაკს, საერთოდ დაიტირეს ქართველებმა, ლეკებმა, თათრებმა, სომხებმა, დამარხეს კრძალვით და მის საფლავს დააფრქვიეს თბილი და ტკბილი ცრემლები. მისი მახვილი სიტყვები და ანექდოტები ანდაზად დარჩენიათ და საშვილი-შვილო სამკვიდროდ.

სამწუხაროდ. ამდენ მოამბედარ კაცის სამარე ჯერ ისევ ობლად უძგლოდ გამოიყურება. ქართველი საზოგადოება მოვალეა მოიგონოს თავისი განაპირა კუთხის შვილის საფლავიც.

მღვდ. მიხეილ ყულაშვილი მოლად იყო. მოინათლა 17 აგვ. 1857 წელს. შინაურულად აღზრდილია. სამშობლო ენის გარდა იცის თათრული, უდური, სომხური და რუსული და წერა-კითხვა ყველა ამ ენებზე. მსახურობდა დიაკვნად ბელაქანში, შემდეგ მსახურებდა მარსანსა და კაკში. მთავრობა მიიღო 1866 წ., მღვდლობა 1870 წ. მეტის-მეტად მშრომელი კაცია, მხნე, ღამაზად მწირველი, შეენივრად მგალობელი, თავმდაბალი და კარგი მქადაგებელი. შინაურობაში მას შეუსწავლია მკურნალობაც და რაოდენიმე სხვა ხელოვნება. ავადმყოფნი, უძღურნი, გაჭირებულნი სასოებით მიდიან მასთან და იგიც უსასყიდლოდ ეხმარება ყველას. 1865-1870 წლებში უსასყიდლოდ ასწავლიდა ინგილოთა შვილებს და მათ შორის ამ სტრიქონების დამწერსაც.

ესლა ხანს არჩილ მეფის მიერ აგებულ კასრის-საყდრის ნანგრევის საძირკველზე ააგო შეენიერი ტაძარი თავის საკუთარი საფასით.

ჭეშმარიტს მღვდელს უყვარს ერი და ერსაც უყვარს თავისი კეთილი მწყემსი. ნეტარ არს კაცი, რომელიც შეყვარებით შეიყვარების.

მოლებად იყვნენ აგრეთვე მღვდლები ზილფი (იოანე) გამხარა-შვილი და ალექსანდრე ივანიცკი. ეს უკანასკნელი შამილობას იმამის მიურიდიც იყო. კაი ქართველი იყო სიმონ ტოპალაშვილიც, მაგრამ უდროოდ გარდაიცვალა.

ბადრაშაშვილი აბელი იყო კორესპონდენტი ნიკოლაძის „*Онѣри*“-ისა და თავის წერილებს ფსევდონიმად „აზიელი“-ს აწერდა. ქართულ გაზეთებშიაც შრომობდა. მისი შვილი კოწია, უნივერსიტეტის სტუდენტი, დაიდუპა ადესას 1905 წ., ხოლო თვითონ გარდაიცვალა 1908 წ. მისი ქალიშვილი ასრულებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელს პეტერბურგში.



კოტე ტარტარაშვილი

ხუციშვილი ბაბო ცნობილია მთელს მახრაში როგორც მეგვარტომეა ჭირისუფალი, მოენე და დამცველი. იგი ცნობილია საქედავლიო მწერლობაშიაც. შვილები (რაქდნი და სხ.) ესრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში.

დარქანოშვილი არჩილ სწავლული მებაღეა და ცნობილია თავის 20-მდე სამეურნეო გამოცემებით. შვილები ესრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებელში.

ტარტარაშვილი კოტე კაკის მნათეს შიოს შვილი, უმაღლეს სწავლა მიღებული. ერთი უკეთესი ინგილოთავანია, უერთულებსი წინამძღოლი თავის ერისა.


ბამხარაშვილი სიმონიანი კი ხელმძღვანელობას უწყვედა ინგილოთა მოსწავლე ყმაწვილებს ზაქათალაში. მისმა შვილმა გიორგიმ დაასრულა უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი მოსკოვს.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ კიდევ რამდენიმე სხვა ინგილონი, ჯანაშვილები, ივანიცკები, პაპიაშვილი და სხ. საშუალო სწავლა-მიღებულია და ქართულ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ხომ მრავალია და ეს სულ რაღაც ერთის-ორის თაობის განმავლობაში და ისიც სულ მთლად აქაურ გლეხკაცობაში (საინგილო თავად-ახსაურობას მოკლებულია).

საზოგადოდ ინგილოებს ძრეელ ემარჯვებათ სწავლა, მეტადრე კაკელებს, რომელთავანი არის აგრეთვე უმაღლეს სწავლა-მიღებული მაჰმადიანი ჰამზათ-ბეკ ყაბულივი. სწავლა-განათლების მხრივ სოფ. კაკი მისაბამავია საქართველოს ბევრ დაბა-სოფელთათვის.

აქაურ ხალხს კარგად ახასიათებს მათივე მამა-პაპური თქმულება: „ნასწავლ კაც ასლანი (ლომია), არ ნასწავლ კი — ზროხაჲს“. ცუდამშრადობა, მცონარება, დაყინებრობა, ცუდმედიდურობა სმულს ინგილოს, გამრჯელობა, მხნეობა, ჰომობა (რუდუნება) კი უყვარს.





## II

### სახლ-კარ-მამული

სახლი და მისი მოწყობილება. კერა და მისი სიწმინდავე. აყარი — როგორც ბედელი და საკუჭნაო. კერია და მისი მოწყობილება. ღირე და მისი მოწყობილება. დედაბოძი. ნეჭა. ეზო და მისი მოწყობილება. პატარა სახლი (ქოხი). ხერხლები. ქათამი. ვენახი. ბოსტანი. თხილნარი და სხ. სასუქი. სხვადასხვა გვარ ყურძნის სახელი. სოველი. დაწურვა. გადაღება. ჩურჩა ქლიავი. თხილი. მარილზე გაცველა. ქლიავი. შინდი. თუთის არაყი. ვაშლი. სხალი. ბალი. ატამი. ნიგოზი. საბოსტნე. ლობიო. ბოსტანი ნაფუძვრებში. კიტრი. გოგრა. ხახვი.

საინგილოში სახლებს აშენებენ ქვითკირისას და ხისას, დაქანებულის სარქველით, დახურულს ჩალითა და ანუ კრამიტით. აქაიქ იციან აგრეთვე ბანიანი დახალები. სახლები სივრძით 8-20 ადლამდეა, სივრძით 5 — 10-მდე, ყველა ერთ-სართულიანი, ერთ-ოთახიანი, ხშირად სამ-კარიანი, უფანჯრებო, უბეხრო, უიატაკო. სინათლის გულისთვის კარები ზამთარშიაც ღია რჩება. შუა ადგილას ცეცხლი ინთება. ბოლი საკვამლედამ ადის მაღლა და ავსებს აყარს (სხვენს), ზამთრის გრძელ ღამეებში კი ავსებს მთელს

სახლს, ახრჩოლებს ისე, რომ კაცს სუნთქვა კვერის, თვალების ავადმყოფობას აჩენს.


ცეცხლა-პირი\* წმინდა ადგილია, მეტადრე საპატიოა მისი დედა-ბოძის მხარე. მის გარშემო ყველა სახლის-წულობა სხდება დიდ-წვრილობის მიხედვით: მარჯვნივ მამა-კაცობა და მარცხნივ დედა-კაცობა. სულ ბოლოში კი მოსამსახურენი, მოჯამაგირენი. იგი იმავე დროს საკუჭნაოდაც ითვლება: მასზე ხარშავენ, სწვენ, ახალევენ, აღუდებენ სარეცხის წყალს.

კერაზედ ცეცხლის გაქრობა ცოდვად ითვლება. ცეცხლი მუდამ გუზგუზებს და ღვივის და სწვავს დიდძალ შიშას (შეშას) და მრავალ ქოთუქებს (ტივებს), რომელსაც მოზიდავენ ხოლმე ადრე შემოდგომითვე შეშასა და სანათთან\* ერთად (სანათად იწოდება ქორაფისა და სხ. ხეების ხმელი ტოტების ნამტვრევები).

აყარზე, რომლის იატაკი ტალახით გალესილია, ინახება ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჩალთუქი (გამოუბრევებელი ბრინჯი), კაკალი, თხილი, ხმელი შვინდი, ქლიაფი, (ჩურჩა-ქლიაფ), ხახვი, ნიგორი (ნიორი), სიმინდი, ერბოს ქილები, ყახაჯი (ლორად გამოსული ცხვრისა და ძროხის ხორცი), სხვა და სხვა ახალი იარაღი. სიტყვით, აყარი არის ამბარიც და სარდაფიც.

ყახაჯსა, ჭიჭნაგურს (ძეხვებს) და ტარბაკებს\* ამზადებენ შემოდგომაზე სახორცეს ხორციდამა, ნაწლავებიდამა და ფაშ-ფუშიდამ, მერე ჰკიდებენ აყარზე და ბოლი ახმობს. ძნელად იქნება ისეთი ინგილო, რომ საყახაჯეთ ერთი ყოჩი მაინც არ დაეკლას, ან და ისეთი შუათანა შეძლებული, რომ ერთი სახორცე (რქიანი საქონელი) არ დაელორებინოს და მის ხორცით აყარი არ გაეკოსოს. შეძლებულები კი ამავე მიზნით სახორცეს ხუთიოდე ცხვარსაც ზედ ატანენ ხოლმე. ჭიჭნაგურს და ტარბაკებს დიდის ხელოვნებით აზავებენ მრავალნაირ სურნელოვანებით და შემწვარი ანუ მოხარშული ჭიჭნაგური მეტად გემრიელი და ნოყიერი საჭმელია.

შიგ სახლში, მის აღმოსავლეთის მხრის კედლის გაყოლება მიდგმულია მთლიანად ხიდგან გამოჭრილი კორთე\* (თახჩა), რომლის წინაპირზე ხელოვნურად გამოჭრილია სხვა და სხვა სახეები: ჩონგურისა, ჯამებისა, ნალებისა, ხელისა, თავისა და სხ. კორთეზედ ამწკრივებენ სუფთად დარეცხილ და მოკალულ ჭურჭლეულობას: არყისა და საჭმლის ქვაბებს, აბრეშუმის სახვეველ თიანებს (დიდრონ ტაშტებს), ლანგრებს, ჯამებს, ბადიებს, ორყურებს და



სოფ. კახ-ინგილო. მისიე ჯანაშვილის აწეილაღური ტიპის საცხოვრებელი სახლი.

სხ. აქვე იატაკზე დაინახავთ სადღობლებს, თუნგებს, რძისა და დოს ქოთნებს და შერე დედა-ბოდის 'ზურგის მხარეს სავარცლეს და ვარცლს, რომელშიაც ინახვენ პურს (შოთოებს).

დედა-ბოდის მარცხენა კედლის ჩამკვება დიდი საკანი (ბუდელი), რომელშიაც ინახვენ ფქვილს, მარილის კასრი და სხვა კასრები, მარჯვენა კედლის ჩასწვრივ ღირაზედ აწევია სკივრები, რომელშიაც ინახება ქალების საცმელი, ძაფი და სხ.: შერე ლამზად დაკეცილი ჟიუიმები (ჯეჯიმები), ვერდნები (საბნები), ბოლო კედლის ჩაყოლება კი დაინახავთ ხოკრებს სარეცხისას, გორგლებისას, მატყლისას, აგრეთვე საბლებს, თოფებს, იქვე სხვა და სხვა იარაღს. ქვემო ბოდისა და აქა-იქ ხეებზე\* ჰკიდია თოფები, ტყავეები, ნაბდები, წოხები. ხელსაბანი წუშწუმის ადგილი ქვემო ბოდთანაა: ხოლო ჩონგური საპატიო კუთხეში სკივრებთან და ამის გასწვრივ მარჯვენა კუთხეში კი, მაღლა, ჭერის ქვეშ „წმინდა კიღბანი“, რომელიც მეტად პაწიაა და საოჯახო სიწმინდეთ ითვლება და, გარდა მამისა და ანუ მის მემკვიდრე ვაჟისა, მას ვერავინ შეეხება. მასში ინახვენ საკმელს, ბამბას, ცვინს.\* საახალწლოთა და საადღომოთ მამა ამოიღებს ცვინსა და ბამბას, ცოლს მისცემს, ესეც ჩამოქნის სანთლებს, შერე მამა აანთებს. მიაკრავს „კიღბანს“ და ყველანი წინ ჩამომწვრივებიან და დაიწყებენ ლოცვას.

სახლის აივნებში აწევია ან აყუდია რკინის ბარები, ხის ნიჩბები (კალოს ნიჩბები სადმე აყარზე შენახულია), ნაეები, დიდ-

რონი გოდრები, საბუდრები, დიდრონი კასრები და სხ. წინა-აი-ვანში ხშირად ნახავთ ხის ლოგინს (— კრაოტს), რომელზედაც იძინებს სახლის უფროსი (ხშირად სამთარშიაც კი).

სახლის უკანა აივანში თითქმის მუდამ ინახვენ ნეჭებს. ნეჭები სქლად დაწნულია ხმელ და გრძელ ნამჯისაგან თუთის ხის ქერქით. ნეჭა ორი კაცის სიგრძე მაინც იქნება. ქვეშაგების გაშლის დროს ჯერ მას შლიან და ისე, რომ მისი ნახევარი ისევ დაკეცილად რჩება და კაი მუთაქის მაგივრობას ეწევა.

აყარს ორი კარები აქვს: ერთი ზემო მხრიდან და ერთი ბოლო მხრიდან. ერთ-ერთ ამ კარებს მიდგმული აქვს ხის კიბე.

სახლის თავს ეზოში ჩვეულებრივ ჩარგულია ქვევრები, ქოცოები (ჭურები) და მათში იწურება და ინახება ღვინო. ეს „მარანი“ გადაუხურავია. სავსე ქვევრს პირზე ადებენ თავშავასაგან გაკეთებულ რგოლს საპირეს, მერე სიპს (ქვის ბრტყელ ფიცარს) და ზედ ბლომა მიწას აყრიან. ზამთრის სუსხებში ამას ემატება კიდევ ფიჩხისა ანუ წალმის კონები.

ქვევრების მიდამოშივე თორნეა; მიწაში კი არა, მიწის პირზე 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ალაბის სიმაღლეზე ამოყვანილი, გარშემოწნული. მტკავლის მანძილზე მიწით ამოვსებულია თონესა და ამ ამოწნულს შუა ადგილი. თონეს ხურავენ ფიცრებს. იქვე ნახავთ სანხრეკელს, ასტამს, სანაცრეს. თონის გვერდზე დალაგებულია ფიჩხისა და, ხშირად, წალმის კონები, რომლითაც ახურებენ თონეს. კარგად გამომწვარ თონის გასახურებლად 3—4 კონა კმარა. რაღა თქმა უნდა, თონეს თვითონვე დგმენ თორნის მიწის გუნდებით.

აქ აცხობენ ხმალივით გრძელ პურებს, რომლებსაც შოთს უწოდებენ, აგრეთვე ლაეაშებს და ნახუქებს (ნახუქი — ნახუქი. რადგან ერბოთი ნახუქია).

აქვე სადმე ჩაყუდებულია მენა, რომელშიაც ღებვენ ანუ ტიტბენ ძაფეულობასა და შალესაც.

სახლის პირდაპირ, ეზოს მეორე მხარეს „პატარა სახლია“ ანუ საზროხე ქოხი, რომელიც ისრევე შენდება, როგორც „დიდი სახლი“. მხოლოდ მასში ინახავენ საქონელს და მის აყარზე კი — ბზეს, თივას, ქერს. საჭმელი საქონელს ეძლევა დიდრონ ნავებში. საქონლის განავალი ყოველ დღე იხვეტება და იწმინდება.

ეზოს ქვემო მხარეს დაწყობილია შეშა, იქვე გაკეთებულია საქონლის საზაფხულო შესამწყვდევი ადილი (— მეგრ. ქართი). იქვე ნახავთ ურმებს, მარხილს, ქოთუქებს, აჩენას\* და სხ.



ღობზე ნაძვიდებული კარი „კაწ“.

ქნის შუაგულში შეძლებულებს აქვთ ცალკე ფარდულები, საცა მაღალი და დიდრიზი კასრებია. სავსე ხორბლეულით და სხვა მარცვლეულით.

ესო თითქმის ყოველთვის ოთხკუთხეა, ტყრუშულ ღობითა ანუ ქვითკირის კედლებით შემორტყმული და გავსილი მრავალგვარ ხეხილით, რომელთა შორის უეჭველად ხუთიოდ-ათიოდე ნამყენი თუთაა, ამდენივე ვაშლის ხე, მსხალი, ალუბალი, ბალი, ჭერამი და სხ. ესო მუდამ იგვება, სუფთად ინახება, ზაფხულობით ირწყვის და საამურად ბიბინებს. მის ერთ გვერდზე არხი გადის და გაკეთებულია ჩაღარღანა, რომელზედაც წყალი ჩახრიანებს და ატკობს ყურთა სქენას, მეტადრე ზაფხულის წყნარ დაძებობით.

ესოში შემოსასვლელი კარები ხერხლებით\* იკეტება: ხერხლებს აუყრიან და მერე მარჯვენა მხრის ბოძის ხვერდებში სოლებით



მაგრა მისჭედვენ, დილით კი ხერხლებს ისევ ჩამოუყრიან ხოლმე. უმეტესობამ ამ ბოლო დროს ხერხლები ფიცრისაგან გაკეთებულ დიდრონ კარებად შესცვალა. ეს კარები შიგნიდან იკეტება ან ურდულით, ან რაზით.


ეზოს მუდმივ სამკაულს შეადგენენ აგრეთვე ბლომა ქათამი (ზოგს 100 – 200 ფთამდე ჰყავს) და ეზოს ძაღლები.

საქათმე არ იციან და ქათმები ზამთარსა და ზაფხულს ეზოს რომელიმე მაღალ ხეზე ბუდობენ ღამ-ღამე. ძაღლებს კარჯა ინახავენ, პატრონობენ, ხშირად საბუნაგედ ნეჭასაც უშლიან, მერე უფრო საძროხესა და ეზოს კარების ახლოს: მათ სიფრთხილეზე დამოკიდებულია, ხშირად, პატრონის ავლა-დიდების ხელ-უხლებლობა ღამის რაინდთაგან, რომელთა რიცხვი აქ ცოტა არ არის.

ეზოს წინ-უკან მიჰყვებიან მენახი (ვენახი), ბაღჩე (ფურცლის ბალი პარკის ჭიისთვის), თხილნარი, დილლიგი (ბოსტანი) და ხანდახან საბალახე ყოროლი (ყორული) ხბორებისა და შესაბამელ საქონლისა და ცხენებისთვის. ვენახი და ბაღჩე სრელებად დაყოფილია. სრელებსა და სრელებ შუა ნახავთ ვარდის ბუჩქებს ან და კიტრისა და ფაყლის\* (ლობიოს) ჯერგებს. თხილის ბუჩქები რიგზედ ჩამწკრივებულია. მთელი ბაღ-ვენახი ხეხილებით სავსეა, მათ შორის უმეტესობა ატამია, ქლიავი, ბალი, მსხალი, შვინდი, კაკალი. მთელ მამულს გარშემო ღობე მოსდევს. ღობეში ხარობს მრავალი ხე (იფანი, თელა და სხ.), რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ჭიგოდ იკაფება.

ვენახი აქ სულ დაბლარია. აქა-იქ მაღლარიც არის, მაგრამ იმის ყურძენს საჭმელად ხმარობენ.

ვენახს ადრე გაზაფხულზე სხლავენ და ორს-ოთხს რქას უნარ-ჩუნებენ ყოველ ვაზს. ჭიგოს ბევრს ხმარობენ. თითო ვაზს 3-4-ს უყუდებენ, მათგან ერთს შუაში, რომელზედაც აკვრენ თვით ვაზს და დანარჩენებზე მის რქებს. შესარვას ინგილოები აგებას ეძახიან. შესაყელავად ხმარობენ ლარტის (ნაკაფ კაკლის ყლორტების) ქერქს. ლარტს ადრე გაზაფხულზევე სჭრიან, ტყავს ხდიან, ბტყელ და გრძელ ძაფად ხევენ, კონებად ჰკვრენ და ახმობენ, შეყელვის დროს კი წყალში ჰყრიან და ალბობენ. ძირიდან ამოხეთქილ ყლორტებს გადააწვენ ხოლმე ცალკე ვაზად. ფურჩქნა არ იციან, მაგიერად ხოროლაებს\* (უნაყოფო ყლორტებს) მოგლეჯენ ხოლმე და მაღლა წასულ რქებსაც წვერებში მოჰკაფვენ, რომ ვაზშივე ძალა დატრი-



ხის საწნახელი

აღდეს და მტევნები დასხვილდეს. ყოველი ვენახი ზაფხულობით ერთხელ ან ორჯერ ირწყვის არხის წყლით. ვენახსა, ბაღჩასა და ხეივანებსაც უსასუქოდ არ სტოვებენ. ამისთვის იხმარება საქონლის განავალი, რომელიც შემოდგომითვე გოდრებით შემოაქვთ ვენახში და უყრიან ყველა ვაზს. სასუქის დაყრას კისრულობენ დანისტნიდამ ჩამოსული ლექები, რომელნიც ამის გასამრჯელოდ იღებენ ნიორს, საქალამნეს, ფქვილს ანუ ფულს.

აქაურ ვენახებში სხვა და სხვა ნაირი ყურძენი ხარობს, სახელდობრ: მელაპულა (კახური რქა-წითელი). მისი მარცვალი მელის კუდივით მოყვანილია, უმთავრეს ჯურის ყურძნად ითვლება და უკეთესს ღვინოს იძლევა; თხლასა — თხელ კანიანი მომრგვალო მარცვალი აქვს, სიმწიფისას მეტად ტკბილია; მირანდო — მოწითურ-მოშავოდ მწიფდება, მაგარი კანი აქვს, სხვილი მარცვალი, დიდრონი მტევნები, ღვინოდ არ ვარგა, საჭმელად იხმარება; ძიშშიშა — მწიფობისასაც მეტად მწვანე ფერი აქვს, მკვახე გვეთება. მაგრამ პირში რომ ჩაიდებ, ქიშმიშივით ტკბილია; დევის-თვალა — დიდრონი მტევნები აქვს, მრგვალი დიდრონი მარცვლები, ღვინოდ არ ვარგა; საშარაპი — შავად მწიფდება, შავს ღვინოს იძლევა, თეთრი ღვინის საფერავად იხმარება; საპმულა — სურნელოვანი გემოს ყურძენია, ნაზი, მწყაზარი; ძიჩი-ემშაბი (იგივე თითა) და ბენჰური (განჯური ყურძენი). ამას გარდა იცის აგრეთვე ბურზლში (— კრიკინა), რომელიც გარეულ ყურძნად ითვლება, რადგან ტყესა და ველს ხარობს და ჰბურავს ლემ-

ბასა, ბრუელსა (დაბურულს ბარდანს) და სხვა ხეებსა და ბუჩქებს.

ვენაჯებს კრეფენ ენკენისთვეში. ყურძენი ვოდრებით გამოაქვთ ეზოში და ჰყრიან „ყურზნი ნავში“. ნავი რომ გაივსება, ერთი მასაკაცთან იხდის ფეხს, კარგა იბანს და ნავში ჩადის და ჭყლეტავს ყურძენს. კარგა რომ დაიჭყელიტება და დაიწურება, „ჭეჭას“ ნინებით იღებენ და ჰყრიან ცალკე ნავში ანუ ქვევრში. ამ ჭაჭისაგან მერე არაყს ხდიან. ტკბილით კი ავსებენ ქვევრებს, რომელსაც წინათვე რეცხავენ სარცხით და თუ საღმე გაბზარულია, ხიზს (თხის ქონს) ავლებენ, რომ ღვინო არ გაედინოს. მაჭარის დადუღების შემდეგ ქვევრებს ადებენ კარახანისაგან დაწნულს საპირეს, მერე ბრტყელ ქვის სიას და ზედ აყრიან ბლომა მიწას. გახაფხულზე ღვინო გადააქვთ სხვა ქვევრებში, ხოლო თხლისაგან, როგორც ჭაჭისაგან, ხდიან არაყს — თხლი-არაყს.

აქ აღარ განვავრძობ სიტყვას ბაღის შესახებ. რადგან მახე ლაპარაკი გვკენება ცალკე თავში „აბრეშუმის მოყვანა საინგილოში“.

ბაღ-ვენახის ხეხილთაგან დიდი გამოჩინობა აქვს ინგილოს. ამ ხეხილთა შორის უმთავრესია თხილი, კაკალი, ჩურჩა-ქლიავი, შვინდი, ვაშლი, სხალი.

საამური სანახავია აქაური თხილის ბუჩქი, რომლის 10 — 15-დე ყლორტი მაღლა წასულა და სამზეურივით (ქოლგასავით) გადაბარდნილა ყოველმხრივ. ამგვარ ბუჩქებს ამწკრივებენ რიგზედ და ისე, რომ მათ შორის დარჩეს საკმაო მანძილი და ერთმა მეორე არ დაჩაგროს. თითქმის ყველა მამულში ამისთანა ბუჩქს ნახავთ. შეძლებულების მამულში ასამდე ძირი (ხან მეტიც) იქნება. ბუჩქი რამდენიც ძველია და დიდი ხნისაა, იძენად მეტს ისხამს. თითო მოსწრებულ ძირიდან 1 — 2 ფუთი ნაჩურჩი თხილი ჩამოდის და ფუთი ადგილობრივვე იყიდება არა ნაკლებ 2 მანათისა.

თხილს აშენებენ მისის ბოლქვებით (ძირებით). სათხილნარო ადგილში აღრე გაზაფხულზე ღრმა ორმოებს აკეთებენ მწკრივ-მწკრივად, მერე რომელიმე თხილის ბუჩქს დასთხრიან, დაშლიან მრავალ ბოლქვებად და ყოველს ორმოში თითო ბოლქვს ჩარგავენ, მიწას მოუტკეპნიან და მორწყვენ. ორ-სამ წლიამდის, ვიდრე კარგა იხარებს, რამდენიმეჯერ მორწყვა უნდება, აგრეთვე მოვლა, ე.ი. ძირის მობარვა და სასუქად ნაფოტის ნამუსრის დაყრა (სხვანაირი სასუქი არ უხდება, სწვავეს, ახმობს). თუ ბოლქვს დარგვისას

დიდი ძირი (ფესვი) და მაღალი ყლორტი შერჩა, მოსავალს მეორე წელსვე იძლევა, თუ არა და მე-3 — 4 წლიდამ.

თხილის მოშენება მით არის კარგი, რომ მას ვერც სეტყვა ვნებს, ვერც გვალვა. 1000 ბუჩქი რომ ქონდეს კაცს, ყოველ წლივ, სულ ცოტა, 2000 მანათს აიღებს, მერე ისიც თითქმის მოუვლელად, რასაკვირველია მოვლად ერთხელ-ორჯულ მორწყვას თუ არ ჩავთვლით. აგრეთვე ხაფანგის დაგებას გასაწყვეტად ციყვებისა და დედოფლებისა, რომელნიც თხილეულობასა და კაკლეულობას ემტერებიან.


ბოლოს ისიც უნდა ვთქვათ, რომ თხილი აქ სამნაირი იცის: ადრემულად — მოწითანო-მოწაბლისფეროა და ადრე შემოდის; ჰარული\* — სხვილი, მოწითანო; დუდრუნ-თხილი — ცნობილი ბერძნული თხილი და ტჰიშრად — (გარეული თხილი), რომელიც აქაურ ტყეებში ბლომად იცის.

თხილს ფულადაც ჰყიდიან და მარილშიაც უცვლიან „არაბებს“, რომელთაც შემოდგომაზე აქლემებით მოაქვთ მარილი ბაქოს მხრიდან, სოფელ-სოფელ დაიარებიან ძახილით: „აჲ ტუზ ალან! აჲ ტუზ ალან!“ („აი მარილის მყიდველი! აი მარილის მყიდველი!“) და ამ ძახილით მკვიდრთ აცნობებენ: — ვის გინდათ მარილზე თხილი გამიცვალოთ ან და ქლიავი.

ქლიავი აქ არის: წიშელად — მოწითანოა, მოგრძო, მეტად მუავე; ჰარულად — სხვილი, მოყვითანო; ისჰირი — ისფერი,\* სხვილი, ტკბილი; ციმად — სხვილია, მრგვალი, დაწიფებისას ცომივით რბილი, ტკბილი; ტჰიმად (= ტყემალი ანუ ტყემლის მსგავსი), რომლითაც სავსეა აქაური მინდორ-ველი, და ჩჰრჩად. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად ფასობს. მისი ნაყოფი მოყვითალო-მოგრძოა და იჩურჩება. მას ახმობენ ჩურჩად ან უჩურჩავად. დიდრონ ქვაბებში სთუთქავენ და ყავრის ჩაფრებსა და წნელის ლასტებზე ახმობენ და მერე საჭმელში ხმარობენ ან და „არაბებს“ მარილში უცვლიან: 12 ბაკან ქლიავში 5 — 8 ბაკანმდე მარილს იღებენ.

ქლიავზედ არა ნაკლებ ფასობს შვინდის ჩურჩი და შვინდის კერკი. აქ ხარობს: თეთრ-შუნდ, შავ-შუნდ, წითლა-შუნდ, ნელა-შუნდ (გვიან მწიფდება) ადრეულა-შუნდ, ტკბილ-შუნდ. ყოველ მოსახლეს რამდენიმე ძირი უდგია მამულში და ამას გარდა ცოტა არ არის შვინდი ტყე-ღრეშიაც და იმითიც ხშირად სარგებლობენ.

თუთას აქ არა თუ მარტო სჭამენ, მისგან კაი თჰთის-არაჰსაც



სოფ. მოსული. დარვაზა (გადახურული ჭიშკარი)

ხლიან. ვინც თითონ ვერ ახერხებს გამოხდას, ჰყიდის თითო-ხის თუთას რამდენიმე მანეთად. შეიდველი თითონვე მოდის, „აქანებს“ და მიაქვს.

არაყად აქციზის შემოღებამდე ხშირად იხდებოდა აგრეთვე ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი და სხ.

ვაშლი არის: თაშლა-ვაშლი\* — თეთრ-მოწითანო, რგვალი, ტკბილი, სურნელოვანი; ძვბა-ვაშლა\* — მომრგვალო, წითელი, მაგარი, მეტად ტკბილი და გამძლო, — ზაფხულამდე ინახება; წითელ-ვაშლი — სხვილი, წითელი, მომეყო; თეთრ-ვაშლა — სხვილი, სურნელოვანი და ჭირჭიმბა — მაყალო.

სხალი ხარობს: უბულღ\* — ყვითელი, ტკბილი, მსხვილი, უკურკო; კალოს — სხალი — ტკბილი; სურნელოვანი; ზამთრულა\* — ნაკვიანვე შემოდგომას მწიფდება, მომრგვალოა, მომწვანო, ინახება მთელ ზამთარს; მერახულა\* — მსხვილი, წყლიანი, მარახოში; მახარამი — სხვილი, ყელიანი, მეტად ტკბილი, სურნელოვანი; კვირიშტაპი\* — მოგრძო კვირისტავივით, მოყვითალო-მოწითანო, მეტად ტკბილი; ჩიტნი-სხალა\* — წვრილი და ტკბილი; ნარ-არმუტი\* — სხვილი ბროწეულა სხალი, წონით

ვირვანქამდე, დიდხანს შენახული სურნელოვნად შექრდება და ჰირჰიმამ\* — პანტა.

ბლის ჯიშებია: მინორი-ბალი, შავი-ბალი, შალღა-ბალი (ნამყენი) და გარეული ბალი ანუ ბალღუნჭი (= ბალღოჯი).

აქამთავან აქ უმეტეს პარკივშია საძენი, ვიდრე სახრავი. თუმცა აცმით აქაურობა საყვება, მაგრამ მას საზამთროდ არ ახმობენ. არ ახმობენ ლელსაც (ლეღეს); აგრეთვე ჭერაშს, ალუბალს (დიღბარს); წაბლს ინახავენ ისე საქმელად. ჭარიდგან კი, საცა წაბლის ტყეებია ზოგიერთ ლელში, ურძებით გააქვთ გასასყიდად სიღნაღს. თელავს და ტფილისს.

კაკალი იხრდება მაღალ დიდ ხედ. მისი ნაყოფი მოყვანილობით მრგვალია, მოგრძო, მომრგვალი: სიმაგრითა — მხალ-ნაჭუჭალად, მბბარ-ნაჭუჭალად და მირჰიმამ; სიდიდით — სხვილი, შუათანა და წვრილი, ლებნის სინიოყრით ზეთიანი და ფუიტი.

მოსავლიან წლებში — იხილგან 20-30 ფუთი კაკალი ჩამოდის, დიდრონ ხეებიდგან კი 50-60 ფუთამდეც. რომ დაკროლდება, ხესე ადის მარდი კაცი გრძელ ალატით (სართხამით) და ხრის (ბღერტავს) კაკალს, უსხარტულებს ტოტებს და დამწიფებული ნაყოფი გრიად იცვივა ძირს. ყმაწვილები და დედაკაცები აგროვებენ და მერე ხეებიან და წენგოიანს კანს აცლიან, აშორებენ და აყარხე ინახვენ. ან გოდრესში სადმე ხმელ ადგილას, რომ არ დაყაპდეს.

შემოდგომაზე კაკალს ჩაქუჩით კეჩენ (ამტვრევენ), ალებნებენ და ლებნის ზვისს ლასტზე ათხელებენ, ცეცხლზე მაღლა ჰკიდებენ, აჯალეებენ, დინგში ნაყვენ ისე, რომ თხლევედება. ამით ქოთნებსა და ქილებს აყსებენ და მერე ხმარობენ ლობიოს და ჭინჭრის შესანელებლად, საგირცედ (სახინკლედ) და ანუ ზეთის გამოსახდელად. ნიგვზის ზეთი მეტად გემრიელია, სურნელოვანი, ნოყიერი. მთელს დიდმარხვაში ნავვზი-ზეთიან ფლავს აკეთებენ. ზეთს რომ გამოხდიან, რჩება ჭენჭა, რომელსაც აქ „გაჭინტულს“ ეძახიან. ამას ლობიოს შესახავებ-შესანელებლად ხმარობენ ანუ პურს ატანენ.

კაკლის ხეს დაუცია აქაურობა. მის სიმრავლეს, კაცს გარდა, ხელს უწყობს უმიზნოდ მომეშავე ყვავ-ყორანიც. ამას უყვარს კაკლის ლებანი. დააჯდება დამწიფებულს კაკლის ხეს, მოსწყვეტს მის ნაყოფს, წაიღებს შორს და მაღლიდგან ჩამოაგდებს ძირს, რომ დაეცეს ქვას და გატყდეს, მერე ჩამოვიდეს და შეექცეს, მაგრამ

ხშირად ჩამოგდებული კაკალი სადმე ბუჩქის ძირას ეკარგება, იქვე ფესვებს იკეთებს და იზრდება.

კაკლის ხე, როგორც ვიცით, მრავალია არა თუ მარტო აქ, არამედ იმერეთშიაც, შავი ზღვის პირად. რომაელებმა აქედან გაიტანეს ეს მცენარე და მისი სახელი *nux-pontica* კარგად გვიჩვენებს მის თავდაპირვანდელ სამშობლოს. ლათინური *nux*-ი, რაღა თქმა უნდა, არის იგივე მეგრული ნიგოზი, რომელიც ინგილოურ ნათესს. ბრ. გამოითქმის ნუგზად (ნუგზი-ზირაჲ, წინკერენაჲ).

საბოსტნე ადგილს შემოდგომითვე კარგა ბარვენ და, თუ სააპისო ადგილი დიდაა, ხვნენ აჩენით. დაახლოებით მაისის 20 — 25-ს იწყებენ თესვას. თესვის წინად დაბარულ ადგილს ასუფთავებენ, გამოუსადეგარ ძირკვებსა და კლერტოებს ამრობენ, ჰყრიან ანუ სწვენ, თვით ადგილს კი იმდენ თახტად\* (კვალად) ჰყოფენ, რამდენიც საჭიროა დასათესად ხახვისა, პირპილისა (წიწაკისა და სხ. კვლები (თახტები) ხშირად 4 — 15 ალაბის სიგრძისაა, სიგანით კი — 1 — 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ისა. კვლებ შორის მომადლებულ თირების ჩაყოლება რიგზე სთესენ სიმინდს, ხანდახან ფეყის-ლობიოსაც (კუტ ლობიოს) სთესენ აქა-იქ სიმინდებთანავე. ხახვის კვლების გვერდით პირპილის კვალიც ჩაჰყვება, აგრეთვე კიტრისა და ასახვევ ლობიოს ჯერგებიც მიჰყვებიან. კიტრსა და ასახვევ ლობიოს გაბორჯდილ ჟავებს (ჯავებს) უყუდებენ და ამას გარდა ნაზირსაც (ფურცლის ხმელ ტოტებს), რომ ადვილად აეხვიოს. აქეთ-იქით არ გადაიზნეიქოს და მალა დაუბრკოლებრივ წავიდეს. იქვე სადმე ყარფუსს, ნესს და დასტამბოსაც თესენ, აგრეთვე გუგრას (გოგრას), ბოლოკს, ქინძს (ბლომად), ნიახურს, ტორახუტს (კამას), რეჰმანს, წიწმატს, ცოტაოდენ კომბოსტოსაც. აქ ნიგორს აღარ ვიხსენიებთ, რადგან იგი აპრილშივე ითესება ცალკე და მაისში უკვე შემოსულს ჰგლეჯენ, უინახე აქვთ და იქ ინახავენ, რომ გამოშრეს.

ბოსტანს ხშირად საჯამათოდაც სთესვენ სოფლის ახლო ნაუფერებზე. სათემოდ გადახნავენ ამისთანა ადგილს, დაიყოფენ და დაითესენ ყარფუსს, ნესს (ნესს), დესტამბოს (პუმპულას), აქეთ-იქით სიმინდის მარცვლებსაც გადააყრიან ხოლმე. ბოსტანი რომ შემოსვლას იწყებს (ივნ.-ივლ.), მის შუაგულ ალაგას მალალ ხესე აკეთებენ თარვალს (ფარდულს) და იჭერენ მებოსტნეს, ე. ი. ბოსტნის ყარაულს, რომელიც თარვალზე ბინავდება და იქიდგან თვალ-ყურს იჭერს, რომ სხვა სხვის წილში არ შევიდეს და ბოსტანი არ მოსწყვიტოს და არ მიითვისოს. მებოსტნეს თოფიც აქვს და თუ

ვინმე გაჯიბრდა და სხვის ადგილისკენ იწია, მებოსტნემ სამჯერ უნდა გააფრთხილოს და თუ არ დაუჯერა, უფლება აქვს ესროლოს. აგვისტოს გასულსა და ენკენისთვის დამდევს ბოსტანი რომ გამოიღვევ, მაშინ სათემო ჰურაა იმართება: დანიშნულ დღეს ყველა გამოვა საბოსტნეში და ვისაც სად ეპრიანება, იქ მოიკრეფს ბოსტანს და თავისს საქონელსაც მოაძოვებს. საზამთრო, ნესვი და დესტამბუა სხვა და სხვა ნაირი იცის, ქებულია უფრო ქერეჭა ყარფუში.\* დესტამბოები ფრიად სურნელოვანი მოდის ხოლმე და ყმაწვილების გასართობად იკრიფება.

კიტრი შემოდის ივნისში, თუმცა წილს და ყუყუქებს (მასრებს) აღრევე იკეთებს და ყმაწვილები არა ერთხელ დასწილავენ ხოლმე მის ჯერვას.

სიძინდს აქ მარტო საჭმელად ხმარობენ და მისი ფქვილი საჭადეთი არ იზილება.

გუგრა (გოგრა) იცის ჭრიანი და ბაღურნი. ტრიანს უშვებენ ჯაგებზე ანუ ხესა თუ ღილაკზე. იქ იკეთებს გრძელ ტრიან ნაყოფს, ისეთ გრძელს და დიდ თავიანს. რომ, ხშირად, აღლზე მეტი სიგრძე აქვს. ტრიან გოგრით სხვა და სხვა ნაირად სარგებლობენ: სჭამენ, როდესაც ჯერ ისევე ნორჩია: ფცქენიან, ჰკუწავენ. ცხვრის ხორცთან ერთად ხარშავენ და გემრიელი საჭმელი ბურანი (ბორანი) გამოდის. როდესაც გასმება, მიწიან აკეთებენ კოტოშებს\* (ღვინის ამოსავსებად), საღვინეებს, სხვა და სხვა თესლეულობის შესანახავებს, ფიალებს და სხ. ბაღურ გუგრასაც საჭმელში ხმარობენ.

ხახვი, ნიორი, ლობიო და სხ. იმდენი მოჰყავთ, რომ თითონაც ჰყოფნით და ნამეტსაც სცვლიან ყველზე; საბლებზე, ნინებზე, მატყლზე, ფაფხებზე, ან და აძლევენ საფასედ მკალავებს, მჭედლებს, ნეხვის ბაღვენახში გამტან მეგოდრე ლეკებს.

ამ ბოლო ხანებში კარტოფილის თესვაც ფეხს იკიდებს ნელანელა.







### III

#### მინდორ-ველი

მინდორის მოსავალი. პური. ჩალთუქი. ქერი. ფეტვი. კალო. დინგი.  
ჭენდი. სარწყავი წყალი. ციებ-ცხელების მიზეზთაგანი. თრიმლი. ხობობი. ფუტ-  
კარი.

საინგილოში მინდორად თესვენ ხორბალსა და ქერს შემოდგო-  
მით და ფეტვსა და ჩალთუქს — გაზაფხულზე. პირველისაგან  
აცხობენ „წმინდა პურს“ — შოთებს, მესამისაგან ჭადს (= ლეკ. ჭატ),  
ჩალთუქს ნაყავენ ბრინჯად, ხოლო ქერი იხმარება სატანად ცხე-  
ნებისთვის.

ხორბალი არის სამნაირი: სარუბულდა, ყარაბულდა და გჳრგა-  
ნა. უფრო მეტად ფასობს პირველი.

ფეტვი იცის ორნაირი: თეთრი-ფეტვი და შავი-ფეტვი. უკანას-  
კნელი ითესება მთიან ადგილებში და ტანს მაღლა ვერ იყრის.  
მეორე მოდის ბარ ადგილებში, ერთხელ-ორჯერ ირწყევა და მაღლა  
იზრდება. მისი თავთავი სხვილია და გრძელი. ითესება მაისში  
და მწიფდება აგვისტოში.

ჩალთუქი სამგვარია: თეთრ-წვერა, შავ-წვერა და ყვითელ-წვე-


რა. თეთრ-წვერას უღვაშები აქვს მოთეთრო და ყველაზე ადრე მწიფდება. მისი მარცვალაც თეთრია.

ხორბლისა, ქერისა და ფეტვისთვის ადგილი იხვენება ორჯელ: გარდიგარდმო. საჩალთუკედ კი მოიხვენება-რა ერთხელ, მერე ირწყვება წყლით ისე, რომ კარგად ატალახიანდეს, მერე მოაქვთ ტომრებით აყივებული (აღივებული) ჩალთუქი, თესვენ ამ ტალახში და ფარცხვენ. კარგი მოსავალი იცის მაშინ, თუ ჩალთუქს წყალი არ დააკლდა, ძირი მუდამ სველი ექნა. ამიტომაც, რომ წყალი თანაბრად მოხვდეს ჩალთუქის ყველა ნაბარტყ ძირს, ადგილს კვალავენ. ჰყოფენ წვრილ-წვრილ კოპებად (გუბებებად), რომელთა სიგრძე-სიგანე 1 — 2 საუ. არა უმეტესია. მაგრამ მეტი წყალიც ვნებს ჩალთუქს. უჩენს სენს „გეზანგუს“\*, რომლისაგან ძალე ჩალთუქი ყვითლდება და ფუჭდება. ამას გარდა, ჩალთუქს ვნებს აგრეთვე მცენარე ღორმუჯი და, რომ არ დაახიანოს, ძირიანად სჭრიან და თავიანთ შესაბამელ საქონელს აჭმევენ. ჩალთუქმა იცის აგრეთვე გაძალიანება თავთავ ამოღებამდე. გაძალიანება ის არ.ა.ს, რომ მცენარე სწრაფად იყრის ტანს, ღერო არ უსქელებდა და მერე თავითავს ვეღარ იმაგრებს, სუსტი ნიავიც ძირს აწვენს და აფუჭებს. რომ არ წახდეს, დაორსულების წინად ჩალთუქს აჭრიან წვერებს და მით ანელებენ ზრდას.

ჩალთუქი, ფეტვი და ქერიც ხანდახან დიდ მოსავალს იძლევიან: ერთი 15 — 30 და მეტსაც, ხოლო ხორბალი კი ერთი 4 — 5-ს და ხან მეტ-ნაკლებსაც.

პურეულს თიბავენ ღულით (კბილებიან ნამგლით), მომკილს ახელეულებენ, ხელეულებს აწყობენ ხეთეულებად ან ათეულებად და მერე მიაქვთ ურმებით კალოზე და დემენ ძნად. კალოები სოფლის პირას აქვთ სოფლელებს.

საკალოე ადგილს ჰკალავენ საკალავ ბარით და მერე შიგ აყენებენ წყალს, ატალახებენ ფარცხით და ფიცრით ასწორებენ. 2 — 3 დღეში ხმება კალო, შიგ შლიან ძნას და კვერებით ლეწვენ. კვერში აბმენ კამეჩებსაც, ხარებსაც და ცხენებსაც. ვიდრე გაიღწებოდეს, გაშლილ ძნას ორჯელ უქცევენ ორთითებით და ორჯერ კალოს-ნიჩბებით. შემდეგ აგროვებენ ორ ხოვად (ხოვ — ხვავი) და ნიჩბებით ანიავებენ, მერე ხორბალს ცალკე ხოვად აგროვებენ და აცხივებენ (აცხავებენ), რომ ნამკუდი გამოირჩეს თავ პურისაგან. ეს პური ტომრებით იზიდება აყარზე ანუ ცალკე კასრებსა და საკ-



• სოფ. თოფახი. თ. ნურაშვილის ერდოიან-აყარიანი ხის საცხოვრებელი სახლი.

ნებში, ნამკუდსაც ინახვენ ცალკე, ხოლო ბზეს საბზევეში ჰყრიან.

ჩალთუქისა და ფეტვის გასალეწად კვერის მაგიერ იხმარება გრძელი მრგვალი მორი, რომელსაც საუღლით მოუბმენ უღელს და ხარებს აგორებინებენ გაშლილს ჩალთუქსა თუ ფეტვზე, მარცვალს აყრევენებენ და ბურდოს ცალკე აგროვებენ და ინახავენ საზამთროდ. საქონელს ძალიან უყვარს ფეტვის ბურდო.

ფეტვს, ქერს და ხორბალს ფქვამენ წისკვილში, ხოლო ჩალთუქს ცალკე დინგში. დინგი იციან ორნაირი: ფუკის-დინგი და წყლის-დინგი. წყლის-დინგი დიდი მანქანაა, რომელსაც ამოძრავებს წყლის ძალიდან გადმოშვებული შადრევანი. მას 4 — 6 მკლავი აქვს ტალის სართხამით ბოლოში. მკლავები გამაგრებულია დიდ და გრძელ ზროში, რომელსაც ატრიალებს უშველებელი ფარი-ჩარხი. სართხამების სისწვრივ ხელოვნურად გაკეთებული ორმოებია, სავსე ჩალთუქით, რომელიც კარგა რომ დაინაყება (გაიცხვება), მაშინ მბღერტავი მოიტანს ტაბაკს და გატაბაკავს: ბრე (ზემო კანი) გადავა ცალკე და მარცვალი დარჩება ტაბაკში. ამ ხნიდან ამ მარცვალს უკვე ეწოდება ბრინჯი და არა ჩალთუქი. დასათესად, რაღა თქმა უნდა, ბრინჯი სრულიად გამოუსადეგარია.

საჩალთუქე და საპურე ადგილები, საზოგადოდ, ჰენდებად (მისადევრებად) დაყოფილია და ისე, რომ სათესიც დაითესოს და შინაურ საქონელს საძოვარი ადვილებიც დაშთეს. ხშირად რომელიმე ჰენდი ორ-სამ წელიწადს ზედი-ზედ ითესება ჩალთუქით და მერე მას ხვნიენ საპურედ.

რადგან აქ სარწყავი წყლები ნაკლებადია, ამიტომ ჩალთუქის

ქენდში წყალს ყველა მონაწილენი თანაბრად უნაკადულებენ და რომ არაინ არ მოიპაროს, არხის თავზე აყენებენ მერუჯეს, რომელსაც ნათესების თვალ-ყურის ჭერაც დავალებული აქვს ხოლმე.

ერთ-ურთის დახმარება აქ სანაქებო იციან. მკა, ჭიგოს და ფინხის მოჭრა-მოტანა, ჭიგოს გაჩხუტვა (გაწკვეტა), ვენახის გას-ხლვა, აგება (შესარვა), სახლის დადგმა და სხ. ნადით ემარჯვებთ: ხელი, ხელს ბანს და ხელი მობრუნდება, პირს ბანსო. ყოველს სოფელში არის ამა თუ იმ ხელობის ოსტატი კაცი და რომ მიიწვიონ საოსტატოდ, არ შეიძლება, არ წავიდეს და არ უხელმძღვანელოს. სამკლის ნაღში ხშირად ჰოოპუნასაც დააგუგუნებენ ხოლმე.

აქვე უნდა ითქვას, თუ რა ვნება და სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის ჩალთუქის თესვას.

ჩალთუქის ნათესებში წყალი გუბდება დიდხანს, ისიც ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში, და ამიტომ ეს წყალი შმორდება და უშვებს სიმრთელისთვის მავნებელ ხაშქს, რომელიც აავადებს ახლო-მახლო სოფლებს. ამ მხრით ჩალთუქის თესვა მავნებელია და საზარალო. მაგრამ, მეორეს მხრით, ჭაობიან-ხაშმიანი ადგილი რომ ითესება ჩალთუქით და ირწყვება მდინარე წყლით, იგი დროს განმავლობაში ჰკარგავს ხაშმიანობას და სახორბლე ნაფუძრადაც გამოიქნება ხოლმე.

## თ რ ი მ ლ ი

პარკხედ არა ნაკლებ კარგ შემოსავალს იძლევა თრიმლი\* (ფუ-შელი იმერულად, რუს. ра́й дере́во, ლათ. *Rhus cotinus*). ეს მცენარე ჩაის ხესაკით დაბალი იზრდება. იმის ფოთლებს საღებავად და ტყავის მოსაქნელად ხმარობენ. აქ უფრო ფასიანია ათაღრის (ათაღარი დიდი ტყვა ქურმუხის რიყეხედ კაკის ბოლოს) თრიმლი. ათაღარი სათემოა. თავის ნებაზე ვერვინ შევა შიგ და ერთ წკირსაც ვერ მოსჭრის. მარიამობისთვის დამდეგ სოფლის საზოგადოების გადაწყვეტილებით შეკრული ათაღარი გაიხსნება და ყველანი მიესევინან დაცულ ათაღარს. სჭრიან უწყალოდ თრიმლს, საცა ბუჩქად ამოსულა, იმას კიდევ ჰკაჭავენ (სჭრიან ნამგლით), იქვე კალო-კალოდ აგროვებენ, ახმობენ, ჰბეგვენ და ტომრებით მოაქვთ და ბაზარში ჰყიდიან. ფუთი თრიმლი იყიდება 1 -- 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> მან. ერთი კაცი დღეში 4 -- 5 ფუთს მოჭრის ხოლმე. ამ საქმის დასაწყის-დასასრულამდე (სულ 6 -- 7 დღე) თვითეული კაცი 30 -- 40 მანათის

თრიმლს მოჰჭრის. ვაჭრები იყიდიან-რა თრიმლის, მერე აქაურსა-  
ვე წყლის დინგებში (ბრინჯის სანაყ წყლის წისქვილებში) ნაყვენ,  
მტკვრად აქცევენ და მერე ჰყიდიან დაბლებსუ. რომელნიც მას ხმა-  
რობენ ტყავების გამოსაქნელად.

## ხ ო ხ ო ბ ი

ხოხობი საინგილოში ბევრია, ამ 20 — 30 წლ. წინად უფრო  
მეტე იყო. მას უჯვარს თბილი და ჩალიანი ადგილები. საინგილო-  
ში მისი საძყოფი არის ალაზნის პირები, ყარასავი<sup>2</sup> სასოგალოდ.  
ზაფხულობით და შემოდგომის პირას იგი ცსოვრობს გუნდ-გუნდად,  
10 — 20 ერთად. სამთრობით საჭმლის გამოლევისა გამო იქსაქ-  
სება, გამოზაფხულს დედალ-მაძალი ისევე ერთმანეთს პოულობენ.  
ზაფხულს მთის ძირობისკენაც მიდის, მაგრამ საძკალი რომ მო-  
იმკება, ისევე უბრუნდება ალაზნის და ყარასავის ჭალებს, საცა  
სამთარი გაჰყავ ჩალებსა, ბარდებსა და ღიჭნარში. სამთრობით  
იგი იკვებება კუნელის, ღიჭის, აკაკის და მისთანა კურკანტელით,  
ზაფხულობით კი უხვს საზრდოს პოებს ყანებში, საცა ამასთანავე  
აბუღებს მისი დედალი.

ხოხობის ბუდე ფრიად მარტივია. სადმე ყანაში ან ჩალებში,  
მაგრამ უეჭველად შშრალ და მზის-გულა, მისის ფიქრით, მტრის  
მიუდგომელ ადგილში. გაქეჟავს მიწას, მობუდავს და დასდებს  
10 — 15 კვერცხს, რომელიც ქათმისაზე მორჩილი არ არის. დებას  
იწყებს აპრილის გასულს და ასრულებს მაისის გასულს და მერე  
კრუხდება. ახის კვერცხებს თითქმის განუწყვერლივ 21-ს დღეში  
ინეკებიან ხოხობის წიწილები. კაი კრუხობისა გამო არც ერთი კვერ-  
ცხი არ ლაყდება, ასრეთი უბედურება ეწვევა მხოლოდ მაშინ, თუ  
მუჯის-მეტი ავღრიანობაა, თუ ხშირ-ხშირად გამოაფრთხო კრუხი  
რაიმე შიშმა, ან თუ წყალი შეუდგა ბუდეს და კვერცხები დაასველა.  
გამოჩეილ პაწიებს დედა იღებს ფრთებ ქვეშ, შუშავს, ალონიერე-  
ბს, მერე გამოშლის და პურისა და ქერის მარცვლებით ასაკენკებს.  
პირველ ხანს წიწილებს ასხია მოყვითანო გინგლი, რომელიც თან-  
დათან მიხაკისფერდება და ხოხობისფრად ხდება. რა წამს ცოტა  
მოფერვაზლებიან, დედას მიჰყავს იგინი საკენკად. სასმელად დილის  
ცივი ცვარიც ჰყოფნით ხოლმე. გამოშლის დროს დიდს სიფრთხი-  
ლეს იჩენენ. ფროებს იკრეფენ, კისრებს აყელყელავენ და დედის

უკან მიხტვიან ცქვიტად. ოდნავი ხმაურობა, ჩქამი და შრიალი მათ ელეთ-მელეთს გვრის: თუ ხიფათი ახლოა, დედა დაიკრინავს და ეცემა ბარდებს, შვილები იქვე გადაცვივიან და ისე გაინახებიან და მიიმალებიან, თითქოს აქ არაფერი ყოფილაო, თითქო ხოხბის მთელ ბუდემ კრუხ-წიწილიანად აქეთ არ შევლიპაო. ხოხობი სწრაფი ფრინველია. მის გინგლიან ბარტყსაც ვერ დაიჭერ, ისე მარდად გარბის ეს ჯერ ისევ სვლიკი ქმნილება. ხოხობი მეტად ქსუა.

კრუხი არ სტოვებს შვილებს, ვიდრე იგინი კარგად არ მოიხრდებიან, ვარიად არ იქცევიან და ვიდრე მის ბუდეს არ მიაგნებენ მომკლები. მერე კი მათთან ერთად გადაფრინავს ადგილიდან ადგილას უხვ საზრდოს საშოვნელად. ხოხობი ძალიან მაღლა არ მიფრინავს, დედამიწასთან მოკლე მანძილს იჭერს, რომ რაიმე უათერაკის დროს სწრაფად დაეშვას და ბარდანში\* ჩავარდეს. იგი მეტად მსუბუქია. მტერი რომ მოულოდნელად თავს წაადგება და დამალვა აღარ შეიძლება, უცბად ტყვიასავით ავარდება მაღლა და მერე ტყვიასავითვე მიტრიალდება რომელიმე მხარეს, გაჰკრავს და ღვენავს თავს ტყე-ბარდანში. იგი მეტად შშიშარი მიუყარებელია. „ხოხობს, რამდენიც უნდა ჰკვებო, მაინც ვერ გააშინაურებო“, ამბობენ აქ. მართლაც, აქ ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ხოხბის კვერცხიდან გამომჩვეილი წიწილა ვისმე გაეზღვეინებინოს ქათმის კრუხისთვის: ცოტა წამოიზრდება და გადიკარგება. ასეთი ველური აღლო აქვს ხოხობს დაბადებითვე.

მამალი ხოხობი თავის დედლებთან ერთ ყოფაშია ხოლმე: ღვერინავს, ყივის თავისებურად: ყიყლინწ! ყიყლინწ!

ხოხობზე ნადირობენ დღისით. დაგეშილი ძალი გამოაფთხვენს და მონადირე ჰკლავს ჰაერშივე თოფით. ან და ნაყანარში გააკეთებენ კალოს, ზედ გაჰშლიან ძნას და როდესაც დაესევა ხოხობა, იქვე დამალული მონადირეები მიუგებენ საფანტს და ერბაშად 10 — 15 გაყინტრავენ. ბევრი დაჭრილ-დაკოდილი კი იმალება და იხოცება სადმე ჩალებში. იჭერენ ცოცხლივაც: სადმე სახოხბო ბილიკებზე სთხრიან ორმოებს, პირებზე უკეთებენ ფიცრის ხაფანგებს. დაადგამს რა ხოხობი ფეხს ამ ხაფანგს, ორმოში ჩავარდება და ხაფანგის კარები ისევ ამოიხურება. ამისთანა უწყალო წყვეტა-ელეტამ ლამის მთლად ჩვენშიაც ამოაგდოს ეს ფრინველი. ბერძენ-რომაელთა მწერლების სიტყვით, თვით კოლხიდას დაერქვაო ფაზიანი ხოხბის სიმრავლის გამო, მაგრამ რომაელებმა მალე მთლად

ამოხოცეს ეს ფრინველიო. ვახუშტის სიტყვით, ხოხობი მთელს საქართველოში იცის, მაგრამ ყველაზე მეტი კი კახეთსა, საინგილოსა და ბორჩალოში. იმერეთსა და ქართლში ძალიან ცოტაა ხოხობი. საჭირო კია ჩვენმა ხალხმა მის გამრავლებას ხელი შეუწყოს, რადგან კაი ფასად იყიდება ყველგან. ხორციც ხომ ფრიად გემრიელი აქვს: ვის არ გაუგონია „ჩახოხბილი“!

სილამაზე ხოხობისა, მეტადრე მამლისა, ხომ ჩვენში შევნიერების ნასახად გამხდარა: „სილამაზისათვის ხოხობი თავსა წამონსვიანო“, „მოგვეყვას ოქროს ხოხობი და მოგვიხარიანო“.

## ფ უ ტ კ ა რ ი

ფუტკარი გარეულადაც ბევრი იცის და თავღს აკეთებს ტყის მყუდრო ადგილას გამოფულურულს ხეში. ვინც მიაგნებს ამისთანა საფუტკრე ხეს, დაუცდის: ფუტკარი რომ შელაგდება. ფულუროს ხერელს გასჭედავს, მერე ხეს მოსჭრის, თავსაც გადაუკვეთს, ტოტებსაც წააჭრის და შინ წაიღებს და დერეფანში, ან სადმე ღობის ძირას დასდებს, თავ-ბოლოს ამოუღებს ქვებს, რომ მიწას არ მიეხლოს და არ დაღპეს მალე. მერე, ჩვეულებრივ ღამე — საცობს გამოაძრობს და ფუტკარი იწყებს მუშაობას და გაშინაურდება.

ნაბარტე ფუტკრისთვის აკეთებენ გეჯებს, ერთს სდებენ გულანდ (გულ-აღმა=პირადმა) და მეორეს ზედ ასარქლებენ და შუაში კი ფუტკრის სავლელ კარს უხვრეტენ. ეს გეჯები (სკები) ზამთარშიაც გარეთ რჩება.

რომ უწინ თავლი უფრო მეტი ყოფილა, სჩანს იქიდგან, რომ ზოგიერთ დელეებს ჰქვიან თავლის-დელე და აგრეთვე არის თქმულება, რომ სპარსეთის ერთი ყენი, რომელიც აქ შემოვიდა, ისტუმრათ ჯანაშვილების წინაპარმა და მას და მის დიდძალ ლაშქარს თითო ჯამი თავლი და ოროლი შოთი მიართო, და ამისთანა სტუმრობით იხსნათ თავისი მამული დარბევა-აოხრებისაგან (იხ. ზემო გვ. 75).

თავლით განთქმულია სოფლები ყუმი, ჭარი, ბელაქანი და სხ. აქაური თავლი ტფილისის ბახარზე ცნობილია „ჭარულ“ თავლად.





#### IV

### აბრეშუმის მოყვანა-მრეწველობა

აბრეშუმის მოყვანა წინად აქ და საქართველოს სხვა კუთხეებში. პარკის ჭიის არ მოყვანის მისუთაგანი. ჭიის მოშლელნი. თესლი. მურის გამოსვლა და მისი პასაკები. ტოლები. კურტი. პევილა. ფახები. ძველი და ახალი ჯიშის თესლი. ნუგახი. მანჯანიკი და მემანჯანიკე. აბრეშუმი. ყაჭი. ძაფი. განაწილება თჯახის წულთა შორის.

წინათ მთელს საქართველოში სცოდნიათ ჭიის ყოლა და ამ კეთილშობილ მწერისაგან გაკეთებულ ყაჭ-ძაფის და აბრეშუმის მოხმარება. ჭიის ავადმყოფობისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში თანდათან გადაუვიწყნიათ ამ მწერის გაჩენა. ერთი ამ მიზეზთაგანი აღუნიშნავს ვახუშტის. იგი სწერს: ქართველები „ჰყოფენ აბრეშუმსა, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა: რამეთუ სასტიკად მქუხარებს და მის გამო მოსწყდების ჭიანი“ (გეოგრ., გვ. 32). ეს ცრუ-მორწმუნეობა დღესაც არ გადავარდნილა: საქართველოს ზოგიერთ სოფლებში ჭიას



არ აჩენენ, ღმერთი ვენახებს დაგვისეტყვავსო. დღეს მარტო აქა-იქ კახეთსა, სამეგრელო-გურია-აჭარასა და საინგილოში დაშთენი-ლა გულ-მოდგინე და ბეჯითი მრეწველობა აბრეშუმისა. მართალია, გარდა ამ ადგილებისა, კიდევ შიგა-და-შიგ საქართველოს ზოგიერთ სოფლებში მისდევენ ამ ხელობას (აბრეშუმის), მაგრამ მისდევენ არა იმიტომ, რომ კარგის თვისებისა და ბლომა გააჩინონ ყაჭ-პარკი, რომ საშინაო სახმარადაც ეყოს და გასასყიდათაც, არამედ იმიტომ, რომ საშინაოდ სახმარი ძაფი მაინც ჰქონდეთ... შესაკერ-დასაკერავად.

მთელს საქართველოში ამ 30 — 40 წლის წინად იყო გავრცელებული უწინდელ დროიდგან შემოდებული პარკი. ნაჩვენებ წლებს აქედან კი სამეგრელოსა და საინგილოში შემოვიდა ახალის ჯიშის თესლი.

1848 წ. სამეგრელოს მთავარმა დავითმა გამოიწერა პიემონტიდამ (იტალიაშია) ახალი, მთელს ევროპაში განთქმულის ჭიის თესლი. ამასთანავე მოიწვია შესანიშნავი მცოდნე ჭიის ხელობისა გრაფი როზმარდიუკი და მისცა მას სახსარი ამ თესლის გასავრცელებლად მთელს სამთავროში. ს. როზმარდიუკი გულმოდგინედ შეუდგა ამ საქმეს. მალე ახალმა ჯურის ჭიამ სრულიად განდევნა ძველი ჯიშის ჭია. სამეგრელოში დაიშროთა მრავალი ქარხნები აბრეშუმის ამოსახვევად. ამ ქარხნებში მუშაობა დაიწყო თვით მეგრელ ქალებმა, რომელთაც მაგალითი უჩვენეს როზმარდიუკისაგან საფრანგეთიდგან მოყვანილ ქალებმა — მარამ და სიუზეტმა. ეს ქალები ძრიელ დახელოვნებულნი იყვნენ აბრეშუმის ხვევაში და მეგრელ ქალებსაც მათ ასწავლეს ეს საქებური საქმე. პიემონტურის ჯიშის თესლიდამ ისეთი კარგი თვისების პარკი გამოდის, რომ ერთი-ორად სჯობია ძველებურ ჯიშისას და ამიტომაც კარგ ფასად იყიდება. წინად სტამბოლის ბაზარში მეგრულის აბრეშუმის ფუთი 30 — 40 მანათ ზევით არ იყიდებოდა, ეხლა კი, პიემონტური თესლის შემოდების შემდეგ, ფუთი 90 — 100 მან. გადის.

ზედ-მიწევნით არავენ იცის, რა შემოსავალი ჰქონდა სამეგრელოს აბრეშუმიდამ. ხოლო პიემონტურ პარკის გაჩენილამ კი აბრეშუმეულის მრეწველობამ იმატა და ზოგიერთ წლებში მთელს სამეგრელოში 600 000 მან. აბრეშუმი გამოდიოდა, ხან მეტისაც. ბოლოს უამს ამ ჭიას ავადმყოფობა გაუჩნდა და ეს სასარგებლო მრეწველობა, ცოტა არ იყოს, შეფერხდა და შეცოტავდა.



სოფ. ძაგამი. ერთი ძალიანი ძორისაგან დამზადებული კასრ-ბეღელი

საინგილოში აგრეთვე უხსოვარ დროიდან მოკიდებული აქამომდე მისდევენ ამ ხელობასა. სულ 40 წელიწადი არ არის, რაც „ქართულის“ ანუ მამა-პაპურის პარკის მაგიერ შემოიღეს ახალი ჯიშის პარკი — იაპონურის თესლისა, რომელიც ადგილობრივ „ჯაპუნად“ იწოდება.

მამა-პაპურის ჭიის პარკი იყო მსხვილი, თეთრისა და ყვითელის ფერისა, ძორგვის მსგავსი, კანი ჰქონდა ნაზი და ფომფლო, უხვად მოდიოდა და ჭიას ავადმყოფობაც იშვიათად ეწვეოდა ხოლმე, მაგრამ მის პარკისაგან ამოხვეული აბრეშუმი იაფ ფასად იყიდებოდა და ევროპის ბაზრებზედ სახელი გატეხილი ჰქონდა. ეს იყო მიზეზი, რომ „ჯაპუნმა“ სულ ორ-სამ წელიწადს სრულიად ამოაგდო „მამა-პაპური“ პარკი საინგილოდამ და მისი ადგილი თავათ დაიჭირა.

„ჯაპუნის“\* წვრილი პარკია, მწვანე ფერისა, მეტად მაგარი, რადგან სქელი კანი აქვს. მისი აბრეშუმი გამოდის სუფთა და კარგი. იყიდება ყველგან კაი ფასად. ადგილობრივ ფუთი პარკი (ნეღლი) 7 — 20 მანათამდეა, ხმელი კი 30 — 70 მანათამდე იყიდება. სიძვირე და სიიაფე დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებაზედ. ხანდახან ევროპული ფულიანი ვაჭრები არ მოდიან და ამის გამო

ადვალობრივი ვაჭრები ჩალის ფასად ყიდულობენ ხალხის ნაჭირ-ნახულეკს. პარკს ახმობენ ორთქლის საშრობში და ისრე ინახვენ იმ ჟამამდე, მინამ პარკის მუშტარი არ განჩნდება, შემდეგ თვითონ ერთი-ორად-საძად შეტად ასალებენ.

ამ ქვეყანაში, საცა დაბა და სოფლებში პა'სრებია, ვაჭრები პარკის შემოსვლის დროს ჰკვრენ პირობას ერთმანეთში, რომ ყველამ მათგანმა ყველგან ხალხში ილაპარაკოს პარკის უმსხანდობაზე, უფასობაზე, ავრცელოს ხალხში ცუდი ხმები პარკის ნიხრზე და ამგვარ, გლეხისათვის გულსაწვაე ამბებს, შეაჩვიონ „ხალხის კური“ იმ დრომდე, მინამ პარკი შემოვა და მერე „პარკის ჩამოვარდნის“ (ყასის გატეხა — შემცირება) შიშით ზარ-დაცემულ ხალხისაგან თითქმის მუქთად ჰხვეტონ პარკი. ამგვარ ხრიკებით წურბელები პარკს ინაღლებენ ფუთს (ნედლს) 7 - 9 მანათაღ. როგორც ვხედავთ, ერთი ფუთი პარკი ერთი წყვილი საშუალო ღირსების ლაფჩინის ფასად ძლივს ღირებულა!..

ხალხს თვითონ სახსარი არა აქვს, გაახმოს პარკი და შეინახოს. ამას გარდა ფული ეჭირვება ოღონდ ერთი-ორი თუშანი აიღოს ვალისა და ვახშის მოსაშორებლად, თორემ იგი იმას კი არ დაგიდევს, რომ შეინახოს პარკი და პირიან მუშტარის მოსვლას შეპყუროს.

ეს უფულობა, უილაჯობაც რომ არ იყოს, მაინც გლეხი ვერ შეინახავს პარკსა: შეიძლება შენახული პარკი ან სინესტემ გააფუჭოს, ან თავკმა დასჭრა-დახვრიტოს, ან ქურდმა მოიპაროს. პარკს ფაქიხად შენახვა და სათუთად მოვლა ეჭირვება და რომელ გლეხს აქვს იმდენი დრო და ისეთი მოწყობილება, რომ ყველა ამას გაუძღვეს. ამ მიზეზთა გამო, გლეხი არჩევს, დაბალ ფასად გაპყიდოს და ერთი ორი გროში ამ თავითვე აიღოს, მინამ შეინახოს, უცადოს პირიან მუშტარს, რომელიც ხშირად წლით-წლობამდე არ ჩნდება, და ამ მოლოდინში აბრეშუმის შემოსავალი საოუი, სახიფათო საგნად გახადოს...

ჯაპუნს ხალხი იმიტომ უფრო დახარბდა და იმიტომ უფრო გამოემშვიდობა მამა-პაპურს პარკსა, რომ იგი (ჯაპუნცი) პირველ წლებში ორს შემოსავალს იძლეოდა: ერთს აპრილ-მაისში და მეორეს — ივლისს-აგვისტოში. მაგრამ ამ გარემოებამ კინაღამ მთელი საფურცლე ბაღები არ გადაახმო.

აქაური ბაღჩა არის უთუთო ფურცლის ბაღი. ამ ბაღში ფურცლის

ბეები ჯარის-კაცებით რიგ-რიგად ჩამომწკრივებულა. ყოველი ხე ორ ადღსე მადალი არ არის, ყოველ ხეს გასაფხულის პირსე თავსე გაძებმის 10 — 15 ქობილ ღა ღა ხრალი (წვრილი და მომსხვილი ტოტები). აბრილ-მაისის ჭიისთვის ამ ქითილებს და ხრალს გადაჰკაფავენ და ბაღსა სრულიად გაშიშვლდება. ივნისში ბაღსა ხელ-ახლა შეიმოსება ნახისა და ნორჩის ქითილებით. ივლის-აგვისტოს ჭიისთვის ამ ტოტებს რომ მოჰკაფვენ, ბაღსა შემოდგომის სუსხებისა გამო ვეღარ ასწრობს ტოტების გამოშვებას და იარებ გაუძიებელი ხე ხშირად იყინება სამთარში და ხმება. ეს მოვლენა დროიანად შეაქმნიეს აქაურებმა და მალე მოსპეს შორედ გაჩენა ჭიისა ივლის-აგვისტოში.

გარდა ამისა, ჯაპუნს თუმცა კარგი გასაველი აქვს ყველგან, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ძლიერ ნახია და ავადმყოფობის ადვილად მიძლები. სოგიერთ წლებში ისრე წყდება ეს ჭია, რომ მთელი შემოსავალი ხათესღედ ძლივს ჰქმარობს. საზოგადოდ რომ ვსაქვათ. ჯაპუნისთვის სეკს საღის ხელი ჯერ ვერ შეუწყვია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აქნობამდე მრავალი ინგილო თუმცა ბევრ ჭიას აჩენს, მაგრამ შემოსავალი საიმისო არ გამოდის. პარკის გაკეთებამდის ჭია ეხოცება. ეს გარემოება ჭიის ავადმყოფობით კი არ აიხსნება, არამედ ხელ-შეუწყობლობისა გამო, რადგან იმავე წელიწადს იმისვე მეზობელს და მრავალს სხვებს ჭია არ ეხოცებათ და კარგი პარკი მოსდით.

ამიტომაც ჯაპუნის ავადმყოფობიანობისა, მისი ხელობის უცოდინარობისა და რთულის მოვლისა გამო, ბევრი ინატრიან ისეე მამა-პაპურ ჯიშის ჭიას, რომლის გადავარდნის შემდეგ შიგა-და-შიგ ხალხში შემცირდა ყაჭ-პარკი და აბრეშუმეული. მრავალნი დაეძებენ ისეე ძველ თესლს და ვერ მოუპოვნიათ, თუმცა ამგვარი თესლი ისეე არსებობს აქა-იქ ქართლ-კახეთში და, შეიძლება, იპერეთშიაც იყოს.

აბრეშუმის ჭიის მოვლა, ძიძობა და, თუ გნებავთ, ლაღობაც საინგილოში დედაკაცების ხელობაა. მათი აუცილებელი მოვალეობა. მთელს საქართველოშიაც, იმ თაკით ამ თავამდე, საცა კი დაშთენილა ეს კეთილ-მოზილური სუენობა (ჭიის მოყვანა), იგი ყველგან დედათა სქესის ხელობათ ყოფილა და არის კიდევაც. მრავალ გვარნი საქმენი გარეშე სახლის ანუ საოჯახო ბინისა: ხვნა-თესვა, საქონლის მწყესვა, ნადირობა, მტრის მოსაგერებლად

ლაშქრად გასვლა და სხ. და სხ. პამაკაცს ნებას არ აძლევდა, შინ დარჩენილიყო დიდხანს და შინაური, საოჯახო საქმისთვის ბეჯითად მოველო, პირ-იქით, დედანი, შინ დაშთენილნი, ზნეობითად მოვალენი იყვნენ გასძლოლოდნენ ყოველგვარ საშინაო საოჯახო საქმეებს: ყმაწვილებისათვის უნდა მოველოთ, თავდაპირველი სწავლა ჩაეგონებინათ, ლოცვები და ხანდახან წიგნიც ესწავლებინათ, საჭმელ-სასმელსა და ჩასაცემელ-დასახურისათვის ეზრუნათ და მებრვე სხვა საქმე გაეკეთებინათ. მაშასადამე, აბრეშუშის ჭიის მეურნეობაც, რომელიც აძლევდა ხალხს დიდს შედეგათს ცხოვრებისას, უნდა ყოფილიყო დედათა ზრუნვის და მოღვაწეობის საგანი. ასრეც იყო და არის 'ეხლაც საინგილოში.

მართალია, ახალმა ცხოვრებამ მამაკაცები გაანთავისუფლა ერთ დიდი გარეშე საქმისაგან — ლაშქრობისაგან და მისცა შეძლება, რომ დრო, რომელსაც ჰპარგავდნენ ბრძოლათა სარბიელზე, მოეხმარათ თავიანთ სახლ-კარ-ოჯახის მოსაეღელად, მაგრამ, რადგან შინაურის საქმეების ხელი არ იცოდნენ, ეს თავისუფალი დრო ჯერ-ჯერობით სასურველად ვერ მოუხმარებიათ; შინაური საოჯახო საქმე ისევ დედაკაცებს აწევს და მათ მოვალეობად ითვლება.

რიგიანი შესწავლა ჭიის მოვლის ხელობისა შესამჩნევად აღამაღლებდა ჩვენის ქვეყნის მეურნეობას და ერსაც დიდად გაუადვილებდა ცხოვრებას. ამიტომ აქ ავწერთ, თუ ინგილოები როგორ უფლიან ჭიას და როგორ მოჰყავთ აბრეშუში.

ვადის გაზაფხული, ბუნება იმოსება ათას ფერად, ჰაერი თბება. ინგილოს დედაკაცი შეუდგნენ ჭიისთვის ზრუნვას. აპრილიდგანვე დაიწყეს სინჯვა თესლისა, რომლის ერთი მარცვალი ღომის მარცვალზე უფრო პატარაა. ზამთარში ანუ ცივს ჰაერში ჭიის კვერცხებს უფრო ცის ფერი აქვს, თბილში კი ლურჯდება და ეს ნიშნავს, რომ ჭიის გამოსვლის დრო დადგა. ამიტომაც დედაკაცი ხშირად სინჯავენ თესლს, რომ უცხად არ გამოვიდეს მური და საზრდოს მიუცემლობისა გამო არ დაიხოცოს.

ზამთარში თესლს ინახავენ გრილს ადგილს, სხვენებში, ან დერეფანში, რადგან დიდი სითბოც და დიდი ყინვაც მავნებელია მისთვის. თუ თბილა, ჭია გამოვა და თუ ცივა — გაიყინება და შიგვე თესლში მოკვდება. ხეილი კვირტსა და კუკურს რომ გამოიტანს, მაშინ თესლს შეიტანენ სახლებში, დასდებენ ხის ხონჩებზე და სახლის ერთ კუთხეში აბოლებენ ნელ ცეცხლს და კარებსაც გა-

მოჰკეტვენ, ხერელებსა და სახლის ჭუჭრუტანებს გასჭედვენ, რომ ცივი ქარი არ შევიდეს. თესლის შეტანის დღიდგან სახლში ცხოვრება აღარ შეიძლება, არც ბევრი ფეხი უნდა ირეოდეს შიგ, ყმაწვილებსაც ხომ სულ არ შეესვლებათ. შედის ხოლმე მარტო უფროსი დედაკაცი, რომელიც ყველაზე მეტად დახელოვნებულია ჭიის მოვლაში და სედმიწევნით იცის ჭიის ცხოვრება. იგი დედაბერი ხელს უწყობს ცეცხლსა, რომ მეტი ან ნაკლები არ მოუვიდეს<sup>1</sup>. ამას გარდა, ყოველ ცის ამარა დღეს, მზე რომ აღმოსავლეთიდან ამოაშუქებს (თუ მზიანი დღეა), დედაბერი თესლს გამოიტანს გარეთ მზისთვის „პირ საჩვენებლად“; თავის კალთაში გაშლის თესლსა, თითოთ აურევს სამჯერ, დაუწრუწუნებს (ვითომ, გაიდვიძეთო) და ინატრებს კარგ მოსავალს; შემდეგ ისევ სახლში შეიტანს...

ორ-სამ დღეზე მარცვლების ერთი მხარე ანუ გვერდი გაყომრალდება. ეს ჰნიშნავს, რომ მეორე დღემდე ჭია გახვრეტავს თესლის კანს და გამოვა იმ გაყომრალებულ ადგილიდგან. ასრეც ხდება. მეორე დღეს დედაბერი ძლივ-ძლივობით თესლის ადგილას ამჩნევს ფრიად პაწია შავ ცხოველებს. ესენი არიან ნემსის წვერის ოდენი, „ბაქს-ესიანი“ (ბანჯგვლიანი) მატლები, სუსტნი და უჯანო მურები, რომელნიც ობადების დღეს უღონობისა და უძღურობის გამო ვერასა სჭამენ. მეორე დღეს კი დედაბერი ბაღში მოჰრეფავს კუკურს, ნორჩ ფოთლებს, მოიტანს, საბაღზე საკუწავით (წალდი) დაკეწავს და ამ დარბილებულ-დაწვრილებულ საჭმელს ჭიას ფრთხილად მოაყრის. ამ დღიდგან იწყობა ჭამა და ზრდა ჭიისა. დაბადების დღიდგან პარკის შექმნამდის უნდება 30 – 35 დღე. და ამ დროს განმავლობაში მეჭიეს უნდა ჰქონდეს დიდი გამოცდილება, ხელოვნება, რომ ჭია არ დაახარალოს ან უზომოდ მიცემულ საჭმლით, ან ჰავის შეტნაკლებობით, ან და სხვა რამ მიზეზებით.

მოკლე სიცოცხლე ჭიისა იყოფა ხუთ ხანად: ა) 1 – 7 დღე. ამ დროს ჭია შავის ფერისაა, ნაზი და სუსტი. საჭმელად ეძღვა კუკურის დაკეპილი ნორჩი ფოთლები. ხუთის ან ექვსის დღის თავზე ჭია ძილს მიეცემა, ესე იგი ცოტა წამოიწევს თავს და აღარასა სჭამს. ამ მდგომარეობაშია იგი ერთი ან ორი დღე; ბ) 7 – 14

<sup>1</sup> დიდს შემწეობას მისცემდა მათ ამ შემთხვევაში თერმომეტრი, მაგრამ რადგანაც ამისი ცოდნა არა აქვთ, ჰავას ვარაუდით, გამოცდილებით ტყობულობენ და, რასაკვირველია ხშირად სცდებიან და ზარალობენ.

დღეს ფერი მოყომრალო უხდება. სჭამს სხვილად დაკეპილს ფოთ-  
ლებს. იძინებს; გ) 14 – 21 დღის განმავლობაში ფერი გაუთეთრდე-  
ბა. სჭამს ქითილებს, ესე იგი ჭიას დაუდებენ საჭმელად ფოთლე-  
ბიანს ნორჩს ტოტებს ბაღისას. იძინებს; დ) 21 – 28-ჭია ნათელ-  
ფერს იღებს. აძლევენ საჭმელად ხრალებს, ფოთლიან ტოტებს.  
იძინებს; ე) 28 – 35-ჭიის კანი თხელდება, მჭირვალ-ნარნარი,  
მოყვითალო ხდება; სჭამს ხრალებს, ბოლოს ჭამას თავს ანებებს  
და „ქქმნის“ პარკს.

პირველ ძილს რომ შორჩება ჭია, ინგილოები იტყვიან „ჭია  
ერთისთუნ (ერთისთვინ) ამოვიდაო“; მეორეს – ორისთუნ (ორის-  
თვინ), სამისთუნ, ოთხისთუნ, ხუთისთუნ.\*

ხანებად დაყოფა ჭიის მოკლე საუკუნისა ინგილოებისაგან მო-  
გონილი არ არის. თვით მეცნიერებაში აღიარებულია ეს ხუთი ხა-  
ნა, იმ განსხვავებით, რომ პირველ ხანასთვის დადებულია 5 დღე,  
მეორესთვის 4, მესამე და მეოთხესათვის ექვს-ექვსი და მეხუთეს-  
თვის 9 დღე.

ფერის ცვალებას მეცნიერება ასრე ჰხსნის: ჭიას დაბადებიდ-  
გან პარკის შექმნამდის ტანზედ აქვს ნაირნაირი კანი: შავი ეცვლე-  
ბა ყომრალად, ყომრალი თეთრად, თეთრი ნათელად, ნათელი მჭირ-  
ვალად. ხუთ გზის ძილი აგრეთვე აღიარებულია მეცნიერებისაგან.

მაგრამ ჩვენ ისევ იმას დავუბრუნდეთ, თუ როგორ უვლიან  
ინგილონი ჭიას. საქმის უკეთ გასაცნობად შევიდეთ ჭიის სახლში,  
რომელშიაც საზოგადოდ დიდი სისუფთავე და სიფაქიზეა. რაც-კი  
რამ ავეჯეულობა, ჭურჭელი, ლოგინი და სხ. იყო სახლში, ესლა  
სრულიად გამოტანილია გარეთ ან და, თუ მეჭიეს მეორე სახლიცა  
აქვს, ყველაფერი იქ არის გადატანილი.

პირველ ორ ხანას სახლში ვნახავთ ჭერზე ჩამოკიდებულ ლას-  
ტებს და ჩაფრებს, რომლებზედაც გადაშლილია საფენი და ზედ  
ჭიის მატლები დაცოცავენ, სჭამენ, ან ისვენებენ გამძღარნი, –  
შემდეგს სამ ხანაში ჴნახავთ, რომ ჩაფარალასტები აღარ არის  
სახლში, მათ მაგიერ ჩარიგებულან „ტოლჭი“, ესე იგი სახლის  
მიწის იატაკზე<sup>1</sup> ჩამწკრივებულია ჭიის კვლები – ტოლ-ტოლად. ტო-  
ლების შუა პატარა ბილიკია დაშთენილი სავალ გზად, რომელიც

<sup>1</sup>სახლები საინგილოში მიწის პირად არის აშენებული და, რასაკვირველია, იატა-  
კიც დალოცვილის შავის მიწისაა.



სიფ. კახ-ისგილო. ვ. თამაზაშვილის საცხოვრებელი სახლი  
რეკონსტრუქციის შემდეგ

საჭიროა ჭიის დასახედავად და მისთვის ხრალების დასაყრელად. დღეში სამჯერ ხრალებ დაყრისა გამო ტოლები ამადლებულია და ჭიანი მასზე თეთრად ანათებენ. აი დაუწყეს ჭიებს ფოთლიანი ხრალები. ჭიანი აცოცდნენ ფოთლებზე და ხარბად დაუწყეს ჭამა. მთელს სახლში გაისმა შრიალი და ზღვა ჭიათა შეუდგა თავის საქმეს: ჰკვრეცენ ფოთლებს გაფაციცებითა და განქარებით, თითქო ერთმანეთს ეჯობებოდნენ — აბა ვინ უფრო ბევრს შესჭამსო.

ამნაირად ხუთ კვირაზედ პაწია მატლი ხდება სისქე-სიგრძით თითქმის კაცის ნეკის ოდენი და ხან უფრო გრძელიცა. ახლა იწყებს იგი პარკის შექმნას, მაგრამ, რომ შიგ „ნაზირში“ (ნაზირი=ნადირალი, ე.ი. უფოთლოდ დაშთენილი ბაღის ტოტები — ხრალები) არ შექმნას პარკი, ტოლებს სცხავენ, ზედ ტოლებზე ცახებს ჩაურჭობენ კარების მსგავსად. ჭიები ადიან ცახზე, აბმენ ქსელს (ბუდეს) და შიგ ამ ბუდეში აკეთებენ პარკებს. ქსელი ჭიას გამოსდის პატარა ხორთუმიდამ. ქსლის ქსელზე მისაკრავად პირიდგან ჭიას გამოსდის წებოს მსგავსი წვენი. სამ დღეზედ პარკი მზადა აქვს. უფრო ადრე დაამზადებდა, რომ წებოს გაშრობა არ იყოს საჭირო. ამიტომ ეს საკვირველი მწერი პარკის დასრულებამდის სამჯერ



ანუ ოთხჯერ იხვენებს. პარკს ჰქმნის შიგნიდან. ასე რომ, მუშაობას დაასრულებს და თვითონაც შიგ პარკში მოჰყვება და კუტად იქცევა.

კუტი ერთ კვირაზედ უჭმელ-უსმელია. მერმე ტანიდან გამოუშვებს ბაღდას (შხამიან წვეწვს), რომელიც სწვავს და ხერეტავს პარკს და კუტი, პეპელად ქცეული, გამოძვრება თვის მიერვე გაკეთებულ სატუსალოდამ. მას აქვს ფეხები, ორი რქა (სქელი უღვაში) და ფრთები, აქვს თვალ-პირის ნიშნებიც. გამოსვლისავე უმაღლესი დამალი დაეძებს დედალსა შესაერთებლად უკანა ტანიდამ. შეერთებულნი რჩებიან ერთ ადგილას მთელი დღე და ხან მეტიც.

განშორების შემდეგ მამალ პეპლებს გადაჰყრიან ხოლმე, დედლები კი უკანა ტანიდან სდებენ კვერცხებს (2 000 – 3 000-მდე მარცვალს ყოველი) და დაიხოცებიან. კვერცხები ჯერ ყვითელი ფერისაა, მერმე კი გაცისფერდება. აი ეს კვერცხები არის აბრეშუმის ჭიის თესლი.

ასრე გადახალისდება ხოლმე ყოველი მწერი და, მაშასადამე, აბრეშუმის ჭიაც: მატლი იქცევა ჭიად, ჭია – კუტად (პარკში), კუტი – პეპელად, პეპელა დაჰყრის 2 000 – 3 000 მარცვალ თესლს (კვერცხს) და თვითონ მოკვდება.

5 000 – 6 000 მარცვალი ჭიის თესლი იწონის ერთ მისხალს, მაშასადამე, ყოველი ორი ან სამი პეპელა იძლევა ერთ მისხალ თესლსა. და 192 – 288 პეპელა კი დაჰყრის 96 მისხალსა, ანუ ერთ გირვანქა თესლსა. საშუალო რიცხვით, ერთი მისხალი თესლი იძლევა 4 000 პარკსა. ერთი გირვანქა კი 384 000 პარკსა. და რადგან სადი, მაგარი პარკი იწონის  $\frac{1}{2}$  მისხალსა, ამიტომ ერთის მისხლის წონის თესლი აძლევს მრეწველს თითქმის 21 გირვანქა პარკსა და ერთის გირვანქის წონისა კი 2 016 გირვანქასა ანუ 50 ფუთსა. ფუთი პარკი სულ უკანასკნელი რომ თუმანი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ერთი გირვანქა თესლი გააკეთებს 500 მანათის საღირაღ პარკს.

სამწუხაროდ, საინგილოში ისრე უხეიროდ არის დაყენებული ამ სასარგებლო მწერის მოვლის საქმე, რომ ხშირად გლეხებს სრული ერთი გირვანქა თესლი ძლივ-ძლივობით აძლევს 10 – 12 ფუთს პარკსა. ხანდახან კი ბევრით ამაზედაც ნაკლებსა, მაგალითად, 2 – 3 ფუთსა.

წინანდელი, მამა-პაპური თესლი, თურმე, უფრო მაღლიანად

ასანუქრებდა ზალხსა, მინამ ახალი თესლი, ჯაპუნი. ეს უფრო აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ თესლის შემომღებლებმა ხალხს სრულიად არ შეასწავლეს ხელობა და მოვლის წესი და რიგი, საჭირო ამ მწერის გაჩენა-აღზრდისათვის.

ესენი, ვითომ-და კეთილის-მყოფელნი, იყვნენ ნუხელი მაჰმადიანები. ამ 30 — 40 წლის წინად მ. ი. უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნება-დართვით ნუხში ვიღაც ფრანგებმა მოიტანეს ჯაპუნის თესლი, დაურიგეს ხალხს „სანახევროდ“, ესე იგი, მსურველს თესლი ეძლეოდა უფასოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ თესლის „შექმნილი“ პარკი უშუახედ უნდა გაეყოს თესლის პატრონსა და მწარმოებელ-მომვლელსა. პირველ წელიწადს ჯაპუნმა ნუხის მაზრაში კარგად დაასანუქრა ხალხიცა და, რასაკვირველია, ის ფრანგებიც. მეორე წელიწადს რამდენმამე შექელმა ეს თესლი გადმოიტანეს ხაქათალის მაზრაშიცა და აქ აგრეთვე „სანახევროდ“ დაურიგეს. ესენი ძლიერ აქებდნენ ამ თესლსა და ხალხს არწმუნებდნენ, „ჯაპუნი“ დიდს სარგებლობას მოცემთ და დღეიდგან შეიქმნება ერთ უმთავრესს წყაროდ ცხოვრებისაო.

ამისთანა იმედებმა და გაზვიადებულმა დაპირებამ საგრძნობელიად შეარყია მამა-პაპურის თესლის სარგებლობის აზრი. როგორც ამერიკის აღმოჩენის დროს მთელი ევროპა — ოქროს შოვნის იმედით წახალისებული და მაღა-გაღვიძებული, მიაწყდა ამ ახალსა და უცნობს ქვეყანას და დაეძებდა ოქროთი სავსე კალიფორნიას, ისრე მოუვიდათ ინგილოებსაც. ყველანი მიაწყდნენ ჯაპუნის შემომღებლებს: ზოგი მამა-სისხლად ჰყიდულობდა, ზოგი სანახევროდ იღებდა თესლსა. შექელნი ორი-სამი წლის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათგან ნაყიდი თესლი არის ნამდვილი „ჯაპუნი“ და მხოლოდ მათ მიერ გამოყვანილ პეპელას შეუძლიან კარგი თესლი დაჰყაროსო. უმეცარი ხალხიც უჯერებდა მათ და ამიტომ, წარმოსადგენია, თუ რამდენ ზედმეტ პარკს გაიტანდნენ ეს წურბელები ამ ქვეყნიდან.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ამ დროიდგან აქამომდე სკოლებისა, თუ ნასწავლ კაცების გამრავლებისა გამო ჩვენი ხალხი ცოტა არ იყოს გამოფხიზლდა და ისეთი ამაღლარი (პოლიტიკოსი) შეიქმნა, რომ ყოველი მაწანწალა, კეთილის-მყოფელის ქურქით გამოცხადებული: ეგრე რიგად ვეღარ ატყუებსთ. მართალია, ესლაც მრავალი გაიძვერა ჩარჩები დაწანწალებენ, მაგრამ ისე ვეღარ ატყუებენ

ხალხს, როგორც წინად. თუ დიდმა გაჭირვებამ არ აიძულა, გლეხი ვერ გაიჩქერებს (გაიმეტებს), თავის ნაშრომი იაფ-ფასად გაყიდოს.

მაგრამ ამ ჟამად ჩვენ არ გავაგრძელებთ საუბარს ვაჭრობაზედ, ამას ჩვენ მოვახმართ სხვა დროს. ეხლა ისევ დავუბრუნდებით ზემოაღნიშნულს სასაგნოს — აბრეშუმის მრეწველობას საინგილოში.

— როგო ხართა, დე-კაცო?

— კარგა.

— ნუგან აგილიაყა?

— ჰოვ, ოგილი.

— ადრ არ არისა, ჟან გო!<sup>1)</sup> ხეს ჟერ კუკურ კარგა არ გომოჟდი, სიცივეიც არის.

— რაუმ (რა) უყოთ! შარსაც (შარშან) გუან ოილით. აიმიბეით (იმისთეის, იმიტომ) ნუგან მოგუცდა წელს ახლა ადრ ოილით. ნოხოთ (გნახოთ) რაჲ იქნებ. ღმერთი კარის ჭირიმე! ღმერთის სახელზე, ქურმუხის საყდრისა და ჩონ (ჩვენ) კურუხალისა თითო ფარაქალ ამილი და სამხტოჲ დავპირებივარ.

— მადლობაჲ ღმერთს! იმის კარის ჭირიმე, შეეწვეის ჩონებურ გაჭირებულს...

აი ნიმუში ინგილოს დედაკაცების მოკითხვა-მისაღმებისა ერთ-მანერთის შეხვედრის დროს ადრე გაზაფხულზე. მართალია, დედაკაცებს მრავალი საქმეც აქეთ ამ დროს, მაგ. ბოსტნეულის თესვა, შინაურ მეწველ საქონლის წველა და დღეება და მრავალი სხვა, მაგრამ ყოველთა სხვა საქმეთა შორის ერთ უმთავრესს საქმეთ ითვლება ნუგნობა, ამიტომ რომ ოჯახი უბოსტნეულოდაც, ურძეოდაც გზას წავა, მაგრამ ნუგანი კი თუ მოუცდა, რაღა გაისტუმრებს სახელმწიფო ხარჯსა, სასკოლოსა, რილათი იყიდიან სამოსელსა, ანუ უძაფოდ რილათი შეჰკერ-დაჰკერვენ ტან-საცმელსა, რილათი მოიქსოვენ საბნებსა და სხ. და სხ.

ნუშანდი, ნუგნის აღება ჰნიშნავს ჭიის მოვლას თესლის თბილს სახლში შეტანის დღიდგან მოკიდებული ვიდრე პარკის შექმნამ-

---

<sup>1)</sup> ჟან გო, ესე იგი ჯან გოგო. გოგო უდრის ქალოს, მაგალითად, დიდს დედაკაცს რომ მიჰმართავენ ხოლმე და ეტყვიან: ქალო, როგორა ხარო, ქა+ჯან, ვერე არ იქნებისო და სხ..

დის. მაშასადამე, ნუგნობა, როგორც ითქვა, გრძელდება 1 – 35 – 40 დღემდის. ჭიის თესლს რომ შეიტანს სახლში დედაბერი, ანუ ჭიის მოვლაში დაოსტატებული დედაკაცი, მაშინ ცოტაოდენს თესლს ცალკე დასდებს და ღმერთს შესწირავს და თანაც შეევედრება ამ სიტყვებით: „დიდებულო ღმერთო, კელ მოგჭმართ (მოგვიმართე) და კაი ნუგან მოგქც! რაიც გაჩნდება ამ თესლით (ცალკე გადადებულა), იმ ფასით სამხტოს ვიყიდი და შენ დაგიკლავ“. ამისთანა თესლს და მისგან გამოსულს ჭიას ქვეიან უზრატაქლი. ფარაქალებს აიღებენ ხოლმე გათხოვილ ქალების და ოჯახის წულების სახელზედაც. ქალებისა და სახლის წულების ფარაქლის ერთ-ერთ ნაწილს აჩუქებენ ხოლმე იმათ, ვის სახელზედაც იყო აღებული ფარაქალი. თუ ფარაქალის ჭია არ დაიხოცა და კარგი პარკი შექქმნა, მაშინ დარწმუნდებიან, რომ მისი (ფარაქალის) მოსახელე იდბლიანი ყოფილა.

ნუგნის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია დროზედაც. საზოგადოდ მიღებულია, რომ ჭია გააღვიძო მაშინ, როდესაც მცენარე კუკურს იბამს და იჩენს, რადგან ნორჩ მატლ-ჭიას ძალიან უყვარს ნორჩი ფოთლები. თუ ფოთლები დამსხვილდა, მაშინ იგი მაგრდება და ახლად გამოსული ჭია ძნელად ჰკვრეტავს და კუჭს ვერ იძღობს და, ხშირად ამის გამო კვდება.

საინგილოში ხშირად მცენარის დაკუკურებასთან ერთად არ აჩენენ ჭიას, რადგან პირველ სითბოს შემდეგ ხანდისხან დგება ყინვა-სიცივეები და ეს ძლიერ მავნებელია ჭიისთვის. შეიძლება ყინვამ სრულიად გასწყვიტოს ნორჩი მწერი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთს სრულიად შემოუა ხოლმე პარკი და სხვებს კი ჯერ დასაცახავიც არ შექქმნიათ.

შევიდეთ, მკითხველო, დაცახულს სახლში, ვნახოთ იქ 2 არშინის სიმაღლე ცახის კარვები ტოლებზე. თეთრის მატლების და იმათგან დაყენებულ შრიალის მაგიერ ეხლა საჭიე სახლში დიდი სიჩუმეა. ცახები ბოლოდამ თავამდის შეჭრელებულია მწვანე, ყვითელ და თეთრ პარკებით, რომელნიც, თუ კარგი მოსავალია, გადაბმულია მშვენიერის კელ-მანდილებით, ესე იგი ბევრ ქსლიან ჭიებს ცახზე ჯერ გადაუბამთ ბრტყლად მრავალი ქსელი, ანუ მოუქსოვიათ ხელის ტოლა ხელ-სახოცი და მერმე იქვე ახლოს „შეუქმნიათ“ პარკი, ან და ზოგიერთნი კიდევ ჰქმნიან. აი, ამ უანასკნელთ ჯერ ვერ გაუმავრებიან პარკი, რომელშიაც მუშა-ჭია მოკა-

კულა და ბეჯით ქარგალსავით განქარებით მუშაობს; ვხედავთ ჩვენ, როგორ იგი მუშაკი თავის პატარა ჩორთუმიდამ უშვებს ქსელს და აკრავს პარკის ბადეს შიგნიდამ, როგორ საცოდავი საათის ენასავით განუწყვეტილად იქნევს თავის ლამაზ თავს ყოვლის მხრისკენ და აწარმოებს თავის ბრწყინვალე საქმეს.

მესამე დღეს დაცახვის შემდეგ ნაზირს (ნაძირალს — ხრალებს) გადაჰყრიან, ესე იგი ცახებს ტოლებიდამ დააძრობენ, ცალკე დასდგამენ, ნაზირს კი გამოიტანენ გარეთ და ან ურმებით წაიღებენ და სადმე ხევში ჩაჰყრიან, და ან შეინახავენ ცალკე და მერმე თონეს გასახურებლად იხმარებენ. ნაზირის ქვემოთ რჩება წკლუნტი (ჭიათა განავალი, შავი ფერისა), რომელსაც აგროვებენ და ინახავენ, რადგან იგი შეენიერი სასუქია ხახვისა და სხვა ბოსტნეულისათვის. მეოთხე ან მეხუთე დღეს, თუ კარგი მოსავალია, პარკის სარჩევი ნაღი ანუ მამითაღი იმართება. ნაღში მოიწვევენ ხოლმე კაცებსა, დედაკაცებსა და ყმაწვილებს. მონადენი აძრობენ ცახებიდამ პარკებს, პუჭას\* (ხსენებულ კელმანდილებს და ქსელს) აცლიან, ასუფთავებენ და პარკს ცალკე ინახავენ, პუჭას ცალკე. მონადენი ლაპარაკობენ, მხიარულებენ, ხანდისხან ყურს უგდებენ სიმღერას რომელისამე მოხუცებულის კაცისას, რომელიც მღერის (თაბორშელად, რადგან ქართული სიმღერა მაჰმადიანთა მფლობელობის დროს სრულიად დაჰვიწყებიათ ამ ქვეყნის ქართველებს. მონადეთ უმასპინძლებიან ცხვრითა, პურითა, ფლავითა და ღვინით.

ჯაპუნის გავრცელების წინად პარკი პარკად კი არ ისყიდებოდა, როგორც ეხლა, არამედ პარკი იხვეოდა აბრეშუმად და მხოლოდ აბრეშუმი გაჰქონდათ ბაზარზედ გასასყიდად. ეხლა კი მრავალნი ჩარჩნი არა თუ ადროვებენ ხალხს, რომ პარკი აბრეშუმად ახვიონ, არამედ პარკის შექმნამდე ბეს ურიგებენ და პირობას ართმევენ წინაღვე, პარკი ნიხრზე დაგვითმეთო.

იმ მიზეზისა გამო, რომ ეხლა პარკი პარკად ისყიდება და საჭირო აღარ არის აბრეშუმის ხვევა, თითქმის ყველგან მოიშალა მანჯანიკი— ის სახილველად ფრიად სასიამოვნო შენობა, საცა პარკისაგან იხვეოდა ხოლმე აბრეშუმი. იქნება ბევრმა იცოდეს, რა არის მანჯანიკი. ამიტომ უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ მოკლე აღწერა მისი.

მანჯანიკს ჰმართავენ დერეფნებში, ან და ცალკე ფარდულში, რომელიც დანიშნულია მხოლოდ აბრეშუმის სახვევად. ამ შე-

ნობას გარშემო კედლები არა აქვს, ალბად სიგრილისა და ნი-  
ავის გულისათვის; შენობის ერთ მხარეს დადგმულია დიდი ქურა  
ქვისა და თიხისაგან გაკეთებული. ქურა ოთხ-კუთხიანია, სი-  
მაღლით 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ალაბი, სიგანით 1 ალაბი და სიგრძით 2 ალაბი.  
ზემო პირი დარგვალეული აქვს და იქ ჩადგმულია თიანი (ქარ-  
თული სპილენძის დიდი ტაშტი). თიანის ქვემოლამ ქურასა  
აქვს სამი ხვრელი: სიგრძეზედ მყოფ დიდი ხვრელიდამ ხურდე-  
ბა ქურა შეშითა, პატარიდამ კი გამოდის ბოლი; გვერდზედ მყოფ  
ხვრელიდამ იცლება ნაცარი და ნაღვერდალი. თიანის პირები  
მაგრად გალესილია, რომ ბოლი არ გამოვიდეს ქურიდამ. ქუ-  
რის თავის მხრიდან, თიანის ახლოს გაკეთებულია მემანჯა-  
ნიკეს დასაჯდომი. ამის მარჯვნივ, ქურისაგან 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ალაბის მან-  
ძილზედ, მიწაში ჩარჭობილია მაგრად ორი ბოძი, რომლებზედაც  
ჩამოკიდებულია სახვევი ჩარხი. იგი წააგავს ქართულის ურმის  
ოვალს, იმ განსხვავებით, რომ მორგვი აქვს უფრო წვერილი და  
გრძელი; მორგვზედ გრძელ-გრძელი სოლები ორ რიგობად არის  
ჩამორიგებული მწყობრად; ყოველ წყვილზედ გამაგრებულია თითო  
ფერსო. ხოლო სულ ექვსი წყვილია. მაშასადამე, ფერსოც ექვსი  
ცალი აქვს. მემანჯანიკეს მხრით ჩარხის მორგვზედ მიკრულია  
მოკაუჭებული რეინა; ამ რეინაზედ ერთის წვერით დანდობი-  
ლია გრძელი საფეხური (კეტი), რომელიც მეორე წვერით გა-  
დის მემანჯანიკეს დასაჯდომ ქვევით. ამ ხეს ოსტატურად ფეხი  
რომ დააჭირო, ჩარხი დაიწყებს ტრიალს, ჩარხის პირდაპირ ქუ-  
რის თავზე, მაღლა ჭურში გამაგრებულია ყავარ გაყრილი ორი  
მასრა (საძაფო კოჭი), ყავარზედ კარაქია წასმული, რომ კო-  
ჭებმა სწრაფად და თავისუფლად იტრიალონ. ეს არის შენებუ-  
ლება მანჯანიკისა. ეხლა ვთქვათ თვით ხვევაზედ.

აი მემანჯანიკეს ამხანაგმა დილის რიჟრაჟზედვე თიანში ნა-  
ხევრამდის სუფთა წყალი ჩაასხა, ქურა გამოწმინდა და შიგ ცეცხლი  
გააჩინა. მერე დაგავა და დაასუფთავა იქაურობა. დიასახლისმა  
ან იმავე მემანჯანიკეს ამხანაგმა მოიტანა ერთი ცხრილი პარკი,  
რომლიდამაც გამოვა ნახევარი ნობათი აბრეშუმი. ცხრილი პარ-  
კით დასდო მანჯანიკზე, თიანის ახლოს. ამასობაში ავიდა მე-  
მანჯანიკე და დაჯდა თავის ადგილას. გასინჯა წყლის ჰავა, შე-  
ატყო, რომ წყალი ჯერ ისევ გრილია და ჩაყარა თიანში მოტანი-  
ლი პარკის ნახევარი. მარჯვენა ხელში უჭირავს ნამგალივით მოკა-

კული კაკლის ტოტისაგან გაკეთებული მრგვალი ყაში (მოსასმელი), რომელიც მარჯვენა ხელში უჭერია მემანჯანიკეს და ხშირ-ხშირად და მსუბუქად უსომს და სცემს პარკებს, რომ იგინი კარგა დასველდნენ და ძაფი გამოუშვან. აი ხუთიოდე წამს ატრიალა, უსვა პარკებს მემანჯანიკემ მოსასმელი, ამასობაში წყალიც აღუდდა. მემანჯანიკემ მარდად წაუსო ყაში პარკებს, ამოსწია და მარდად მარცხენა ხელით ჩაჰკრა ყაშისა, უცბად ყაშიზედ ქსელით გადახლართულნი პარკნი ჩაეკიდნენ და ჩაცვივდენ თიანში. მემანჯანიკესაც ეს უნდოდა. პარკის ქსლის წვერები მარდად გამოაძრო მემანჯანიკემ ყაშიდან, ასწია, გადახლართა ყავარ-გაყრილ მასრაზე, მერმე გადიტანა და ქსლის წვერი მოაბა ჩარხის ერთ ფერსოსა, დააჭირა მარჯვენა ფეხი აღნიშნულს საფეხურს (კეტსა) და სწრაფად დაატრიალა ჩარხი. წრრრ... წრრრ, წრრრ...წრრრ! ტრიალებენ მასრები, ქსელ გამოშვებული პარკები დახტიან წყალში; რამდენიმე პარკის ქსელი, ძაფად ქცეული, მასრებიდამ გადადის ჩარხზედ და ეხვევა ზედ. მემანჯანიკე კი უსომს ყაშისა, ატრიალებს პარკებსა და აბამს ძაფს მეორე მასრაზედაც და ჩარხზედ ორ შულოდ ახვევს სუფთა, ნახს, ყვითელს და თეთრს აბრეშუმსა. მემანჯანიკეს ბევრი შრომა უნდა, რომ ერთბაშად ბევრმა პარკმა ქსელი არ ამოუშვას, რომ აბრეშუმის ძაფი სქელი არ გამოვიდეს და არც ცოტა, რომ წვრილი არ იყოს. რომელი პარკიც ამოიხვევა და ქსელს აღარ უშვებს, იმას მემანჯანიკე ამოურევს ყაშს, ამოიტანს და გადაადებს ძირს, ან ჩაადებს სადმე ჭურჭელში. ამისთანა ამოხვეულ პარკის გროვას ჰქვიან ყაშისბაში (ყაშზედ გამოსული).

ორ ცხრილ პარკს რომ ამოახვევს, მემანჯანიკე ჩამოვა დასასვენებლად და სასამხროდ. მაგრამ ვიდრე დაისვენებდეს და ისამხრებდეს, ნახვევ აბრეშუმს გადმოიტანს ჩარხიდან, სიგრძეზედ დაჰკეცავს, წვერებს ძუბუბად შეუკრავს და ორსავე შულოს ერთად, ერთ ნობათად გამოჰკვანძავს. დახელოვნებულ მემანჯანიკეს ყოველ დღე შეუძლიან ამოახვიოს ორი ნობათი აბრეშუმი, ანუ ერთის გირვანქა წონისა.

წინად, როგორც ვთქვით, თითქმის ყოველ მრეწველს ჰქონდა თავისი მანჯანიკი. მემანჯანიკეთ იწვევდნენ ხოლმე ნუხის მახრიდამ, საცა მანჯანიკობა მრავალთ ხელობად ითვლებოდა. თუ ხსოვნა არ მდლატობს, ექვსის თავი ერგებოდა თვით მემანჯანიკესა. ამას

გარდა, მემანჯანიკენი ძრიელ პატივცემულნი იყვნენ. მათ კარგად აჭმევ-ასმევდნენ და ეფერებოდნენ, როგორც ოსტატს კაცს. მანჯანიკის მოსპობამ მემანჯანიკობაც სრულიად გააუქმა ხალხში. წვრილ მანჯანიკების მოსპობაზედ დიდი გავლენა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ კაკსა, ნუსხა და ზაქათალაში ზოგიერთ ვაჭრებმა გამართეს ევროპიული სახის სახვევი მანქანები, რომელნიც ახვევენ უფრო უკეთესს აბრეშუმსა, ვიდრე სოფლის მანჯანიკი და ამიტომ სოფელში ხვეულ აბრეშუმს ისეთი გასავალი აღარა აქვს, როგორც ხსენებულს ადგილებში. და ამიტომ გლეხნი იძულებულ არიან, ხშირად, დაბალ ფასად დაუთმონ პარკი ჩარჩებს.

ახლა ვთქვათ, თუ რა ნაირად, საზოგადოდ, სარგებლობენ მრეწველნი აბრეშუმეულითა. პარკი ან აბრეშუმში ხომ ფასად ყვიდებათ, ამას გარდა ხალხს რჩება კიდევ: დომფალი, ყაჭი, პუჭა და ხაიათი.

პარკი, რომლიდამაც გამოვიდნენ სათესლე პეპელები, გამოიხარება საპონში, გათეთრდება თოვლივით — და ეს არის დომფალი. ამას გასწეწვენ და დაართავენ წმინდა კედად (ძაფი). ამ ძაფს მრავალ-ფერად შეღებვენ და მერმე დაჰქსოვენ ფერად-ფერად, ჭრელ-ჭრელ საპირეებს საბნისას, აგრეთვე ტოლადებს (პაჭიჭის მაგიერ წვივებზედ შემოსაკრავი), აბეებს და ხან საშარვლე-საწოხეებსაც. აგრეთვე დომფლის კუდი იხმარება ძაფადაც. ყაჭი დომფალზედ მდარეა ღირსებით, რადგან ცუდი, დამპალ-გაფუჭებულ პარკებისა და ყაჭიბაშისაგან არის გამოხარშული. ხმარობენ იმავე საგნებისათვის, რა საგნებისათვისაც დომფალსა. პუჭას ხმარობენ გამოუხარშავად. მისგან აკეთებენ თოკებსა, აპყურებსა, ქსოვენ ხონჯრებსა, ზორტებსა და სხ.


აბრეშუმის შემდეგ პირველი ადგილი ღირსებით უჭირავს ხაიათსა. ხაიათი იხვევა მანჯანიკზე, როგორც აბრეშუმში, იმ განსხვავებით, რომ მისი ძაფი უფრო სქელია. ხაიათს ახვევენ არა დაოსტატებული მემანჯანიკენი, არამედ თვით სახლის წულნიც. ხვევის შემდეგ ხაიათს დასჭრიან შულოებად, რამდენსამე წვერს ხაიათის ძაფს ერთმანერთზედ გადააგრეხენ და მერე იხმარებენ ძაფად. ხაიათს ხმარობენ შემდეგს შემთხვევაშიაც: ოჯახის წვერი, მეტადრე დავაშვაცებული რომ გარდაიცვლება, ერთი კვანძი ხაიათი მაინც უნდა გაიტანონ მკვდარზედ.

ჩვენში დიდრონი, მრავალ-წვეროვანი ოჯახნი ისევ ხში-



რია. ყოველი წვერი მამათ სქესისა: ძმები, ბიძები, პიძაშვილები და სხ. თანსწორად მონაწილენი და მოსაკუთრენი არიან ოჯახის მთელის წლიურის შემოსავლისა. თუ ქვრივი დედაკაცია, ოჯახში, შვილიანი ან უშვილო — სულ ერთია, იმასაც ისეთივე წილი აქვს საერთო შემოსავალში, როგორც ყოველ წვერს მამათ სქესისას. ამ კანონს ემორჩილება აბრეშუმის შემოსავალიც. განუყოფლად რჩება მხოლოდ პარკისა ან აბრეშუმის გაყიდვისაგან შეძენილი ფული, ხაიათი, დომფალი, ყაჭი კი იყოფება ასრე: უფროსი დიასახლისი, რომლის გამგეობასა და მორჩილებაში იყოფება მთელი ოჯახის შინაური საქმეები, მოიწვევს სახლის წვერთა ცოლებს და მათთან ერთად თანასწორად, წვერთა რიცხვის მიხედვით, გაჰყოფს ყოველივეს, რომ მიდგომილება, ან სიხარბე არ შესწამონ უმცროსებმა, უფროსი დიასახლისი ყველა ნაწილს ასწონს, გაათანასწორებს და ყველას ჩააბარებს ხვედრს. თუ რომელიმე წვერი უცოლოა, იმის ნაწილს აიღებს თვითონ დიასახლისი, როგორც მზრუნველი და მომვლელი იმ უცოლო წვერისაც, ან ჩააბარებს იმ დიასახლისს, რომელსაც უკისრნია აღნიშნულის პირის მზრუნველობა: საცქელ-საცვეთის შვეკერ-დაკერვა, სუფთად შენახვა. კაჲ ქალ კაცს დაამშვენებს, არვარგ — გააფაცულიებსო.





## V

### შინაური ყოფა-ცხოვრება

(დაბადებიდან სიკვდილამდე)

#### 1. შობა და აღზრდა

შობა. მშობიარე. ორმოცის გაყვანა. ბებიის სარგო. ნანა. მარილის შეშოვლება. აკვანი და ლალუჟი. ბერობა. „ზემთი ქნა“. სახელი. გვარები. სავაზირო. საგარეო მუშაობის დაწყობა.

- გამარჯობა!
- გაგიმარჯოს!
- შენ ცოლ დაწოლილავ ჰუა?<sup>1</sup>
- ჰოვ.
- შუღლ ჰყავავ, მართალია?
- მართალი.


---

<sup>1</sup>შენს ცოლს მოულოგინიაო, ჰო?

— მაშ მოგილოცავ, ღმერთმა გასარდოს...

ამ სიტყვებით მიეგვებიან ხოლმე ტოლ-ამხანაგები ვაჟის მამას. შუღს (შვილს) საინგილოში მხოლოდ ვაჟს უწოდებენ და ქალიშვილს კი ქალს. ცოლი რომ ლოგინად დაწვება, ქმარი იმ დროს შინ არ უნდა დაესწროს. თუ როგორმე შინ მოჰხდა, უნდა წავიდეს სხვაგან, გაეცალოს ოჯახს. ადათი და ჩვეულება ნებას არ აძლევს, რომ დედ-მამას დაენახოს: სირცხვილიაო. ახალგაზრდა კაცს პირველად რომ დაუწვება ცოლი ლოგინად, უფრო მაშინ უნდა მოერიდოს დედ-მამას, იმორცხვოს, და თუ როგორმე დაესწრო ოჯახში ახალ დაბადებულზე ლაპარაკს, ან უნდა ადგეს, გაეცალოს იქაურობას, ან თავი ჩაპღუნოს, შუბლი შეიკრას და ყური მოარიდოს ამგვარ საუბარს. უწინ ცოლისა და შვილის ნახვა ხომ დღიდგან მშობიარობისა „ორმოც გასვლამდე“ არ შეიძლებოდა. ორმოცის გასვლის შემდეგაც შვილსა და ცოლს მხოლოდ ღამ-ღამობით მიუალერსებდა მამა, დღისით-კი, დედ-მამასა და უფროს და-ძმასთან მამა ვერ გამოელაპარაკებოდა და ვერ მიეალერსებოდა თავის ახალგაზრდა ცოლსა და ნორჩ შვილს.

ფეხმძიმე დედა-კაცს მუცელი რომ წამოსტკივა, ცალკე ქოხში დააბინავებენ. „დიდს სახლს“ (ოჯახის საცხოვრებელს) გააშორებენ. ვისაც ქოხი არ აქვს და მარტო „დიდი სახლი“ აქვს, ამ სახლის ერთ კუნჭულში მოამშობიარებენ, ხოლო ამ დროს მამათ სქესი უნდა გავიდეს გარეთ, რაიმე საქმეზე წავიდ-წამოვიდეს. ქოხში საქონელს ინახვენ. ერთი კუთხე ამ სახლისა ხარიხეებით გაღობილი და გაყოფილია. ამ კუთხეში ორსული დედა-კაცი მიწურს იატაკზე გაიშლის ჯეჯიმს და მოილოგინებს. მოსალოგინებლად მოუწოდებენ ხოლმე ბებიას, რომელიც ყველა სოფელში მოიპოვება. მოლოგინების დღიდგან ორმოცის გასვლამდე არც ოჯახის დიასახლისი, არც სხვა ვინმე სახლის წულთაგანი და არც ნაცნობი ქოხში არ შევა, რომ არ გაუწმინდურდეს. თუ ვინცობაა დიასახლისი, ან სხვა ვინმე შევიდა მელოგინესთან, ვეღარც „ცომს მოზელავს“, ვეღარც „საკმელს ჩაპყრის“, ვეღარც „საყდრებს ინახულებს“. ამიტომ ტოლ-ამხანაგი და ნათესავი დედაკაცები, რძლები და გასათხოვარი ქალები ავადმყოფის სანახელა (სანახავად) რომ მოვლენ, ქოხის კარზე ჩამოსხდებიან, მოტანილ ხორავს კარზედვე დასდებენ, რომ მელოგინემ თავის ჯამ-ჭურჭელში გადაიტანოს. მელოგინეს თავის სახმარი



სოფ. მკორე თალა (ქვემო ფიფინეთი), „კაყურებიანი“ დელა-ბოძი ფან-ბაბა

ერთი-ორი ჭურჭელი აქვს. სხვა ჭურჭლებს ქოხში არ შეიტანენ: გაუწმინდურდებაო. გაუწმინდურებულ ჭურჭელს სხვა ჭურჭელში ორმოც გასვლამდე ვერ შეურევენ და საერთო კორთებზე (თაროზე) ვერ დააწყობენ. აქ ისიც უნდა ეთქვათ, რომ თუ მშობიარობა გაძნელდა და მშობიარე შეწუხდა, დიასახლისი მოიწვევს მამაკაცს, მისცემს თოფს და დააცლევინებს: მოუშვებს მშობიარეს და გაუადვილებს შობასაო. ყმაწვილი რომ იშვება, იმავე წაძს ნელ-თბილის წყლით აბანებენ, ჩვრებში შეახვევენ და იქვე ნაბაღზე დააწვენენ. ახალ-დაბადებულს ხშირ-ხშირად აბანებენ. წყალი ყმაწვილს ძალიან რგებსო და სწრაფად ზრდისო. ორ კვირამდე ბალღი ჩვრებშია გახვეული, მერე აკვანში ჩააწვენენ ხოლმე.

მშობიარობიდან მოკიდებული ორმოცი დღე მშობიარემ ქოხში უნდა გაატაროს. დამ-ღამე ყარაულს უყენებენ მას. ეს ორმოცი დღე „ორმოცეულს“ შეადგენს და ამ დროს განმავლობაში ალი ფრიად მტრობსო მელოგინეს: სულ იმის ცდაშია, რომ ავნოს დედას, დაარჩოს, ან მოჰკლას. ყარაულისა კი, ვინც უნდა იყოს იგი, დიდი თუ პატარა, ალს ძალიან ეშინიან. ამიტომაც მელოგინეს ყარაულებად ხშირად ყმაწვილი ქალები ან

ვაუები არიან. უყარაულოდ კი, რაც უნდა იყოს, მელოგინეს არ დასტოვებენ. ორმოცის გასვლამდე რაც კი რამ წესია საჭირო მელოგინესთვის: ქოხის დაგვა-დაწმენდა, რეცხვა-ბანვა და სხ., ყველა თითონ უნდა გააკეთოს და შეასრულოს. თუ დედაკაცი ოჯახში მარტოაა, ხშირად ორმოცის გასვლამდე აღარ იცდის. თუ ავად არ არის და ღონე შესწევს, მესამე-მეოთხე დღესვე სტოვებს ქოხს, გამოიდის და სახლის ყოველგვარ საქმეს თითონვე აკეთებს. ორმოცი კი ასე გაჰყავთ: მეორმოცე დღეს მელოგინე დარეცხავს თავის ყველა სარეცხს, ლოგინს, იბანებს და საცმელს გამოიცვლის. მერე გეჯაში ორმოც კოვხს წყალს ჩაასხამს, შემდეგ ბლომა თბილ წყალს მიუმატებს და ჩვილს აბანებს. ამის შემდეგ ადგება და ყმაწვილიანად დიდს სახლში გადასახლდება. ამ დღიდან მისთვის ხსნილია ყოველი კუთხე სახლისა (აღმოსავლეთი კუთხე საოჯახო სახლისა წმინდად ითვლება და უწმინდური დედაკაცი ვერ მიეკარება), ცომის მოზელა, პურის გამოცხობა და სხვა ყოველივე შეუძლიან. ბეზიას შრომისათვის ორი ბაკანი (პინა) ხორბალი, ან ერთი მანეთი ეძლევა. აქაური ბებიები შინაურობაშივე გამოცდილნი არიან: ზოგი საკმაოდ დახელოვნებულია, ზოგი კი თუშცა ბებიაობს, მაგრამ ყოვლად უვიცია და არა-იშვიათად მშობიარეს წუთისოფელს ასალმებს. ბოლო დროს ნასწავლი ბებიებიც გამოჩნდნენ და მათ იწვევენ.

ორსულს დედაკაცს საინგილოში არ ასვენებენ, საქმეს არ უმცირებენ, პირ-იქით, ბევრს ამუშავებენ: ადვილად შობსო. ძუძუ-მაწოვნებელ დედაკაცს კი უფრო ნაკლებ ამუშავებენ, საზოგადოდ ხელს უწყობენ, რომ შეილიც ადვილად გასარდოს და საქმესაც არ მოსცდეს.

ჩვილს ყველა სახლის წულნი, პაპა, ბებრა (დიდედა), ბიძები და სხ., ულოლიავენ, უაღერსებენ, ასე რომ ჩვილი ხელით-ხელსაგომანებელი ჰხდება. გახვიანებულსა და გაანჩხლებულს ყმაწვილს ხანდახან აშინებენ: დაჯინ, თუარ ტუარაჟ მოვ! (დაიძინე, თორე ტურა მოვაო), ხშირად კი ნანას ეუბნებიან. აქაურ ნანას ფრიად გულმოსაკლავი და მწუხარებით სავსე კილო აქვს. ბევრჯელ მომისმენია იხგილოური ნანა და ყოველთვის ამ ქვეყნის ბედშავი წარსული თვალწინ წარმომდგომია: მომგონებია დრო შაპაბახისა, მფლობელობა და ბატონობა ჭარ-ბელაქნელებისა, ელისოს

სულთნისა, ლეკებისა და სხ. და სხ., ერთის სიტყვით, ის დრონი, როდესაც ძლიერსა და ხალხით სავსე ჰერეთს მტრები სისხლის წვიმას აწვიმებდნენ, ხალხს სტყვენვიდნენ და ჟლეტავდნენ. მართალია, აქაური ნანა სიტყვებითა და შინაარსით ფრიად მარტივი და ღარიბია, მაგრამ მაგიერად კილოსა და ჰანგის მიხედვით კი თავზარ დამცემია და, როგორც ვსთქვით, მწუხარებით სავსე. ამ მცირე ლექსის ჰანგით კი ხალხს გამოუხატავს თავისი ბედშავი ყოფა-ძღვომარეობა, სიმძიმე თვისის უღლისა. აი თვით სიტყვები აქაურის ნანასი, რომელსაც უფრო ბებრები დამღერიან:

დაა-დაა, შულო, დაა!  
 კობტა ჟანი, დაა!  
 ჩემო გულო, დაა!  
 დააზინ, შულო, დაა!  
 დაა ქენ, თოლო, დაა!  
 შენამ შეპგველებ,  
 ტკილად დააზინ, დაა!  
 ჟანიჰ ჭირიძენ,

ვაშკაც გაჯდ, დაა!  
 დუშმან ბევრ გყავ, დაა!  
 საქმეა ბოლ გოქ, დაა!  
 შენ რუმ გააზღებ, დაა!  
 ხანჟალს მოგცემ, დაა!  
 მამულს მოუარ,  
 შემოამაგრ, დაა!  
 დაა-დაა, დაა, დაა-დაა!!!

თუ ბავშვი ნანამაც და დაშინებამაც ვერ დააძინა და ყმაწვილმა ტირილს უფრო მოკმატა, ძუძუც აღარ მიიკარა, მაშინ იტყვიან „თოლ მოჰხტომი“, თვალი სცემიაო და აიღებენ მცირეოდენს მარილს, ყრმას თავზე შემოავლებენ სამჯერ და ცეცხლში ჩაჰყრიან. მარილი ძლიერს ტკაცანს რომ მოიღებს, იტყვიან, სწორედ თვალ-ცემული ყოფილაო. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სინამდვილე ამ ცრუ-მორწმუნეობისა ბევრს აღარა სჯერა. ბავშვი რომ ცოტათი წამოიზრდება, ბრუნვას (ჩოჩვას) დაიწყებს, იმის შემდეგ ცოტ-ცოტაობით ყველაფერს აჭმევენ. ღვინოსაც კი აგემებენ ხოლმე. ზაფხულში ყმაწვილს ხანდახან აკენის მაგიერ ლალუში (ჭოჭინაში) აწვენენ. ლალუს რომ არწებენ და აქანებენ, დაა-დაა-ს მაგიერ იმავე სიტყვებით დაა-ლაა-ს დამღერიან ზედ. შობიღვან ორმოც დღემდე ჩვილს ყოველ დღე თითოჯერ აბანებენ, შემდეგ კი წლის გასვლამდე ორ დღეში ერთხელ. ყმაწვილს რომ თვალი არ ეცეს, ზედ მოლას მიერ დაწერილ წიგნსა — აგვაროხს, მძივსა და ღვინჭილას ჰკიდებენ. აკვანში, ან ლალუსა და ფართალში (ლოგინში) ჩაწვენილს ბავშვს, თუ მარტო უნდა დას-

ტოვონ ცოტა ხნით, თავით ნაღსა ან რკინის იარაღს დაუდებენ: მავნე ვერ მიეკარებაო. თუ დედას შვილები არა რჩება და ეხოცება, ღმერთს შეუთქვამს შვილის ბერობას. ბერობა მდგომარეობს იმაში, რომ ბერად შეყენებულს ვაჟსა თუ ქალს დაბადებიდგანვე თმას არ უკრეჭენ, თეთრსა და გრძელს საცმელს აცმევენ 5 — 10 წლის შესრულებამდე. შეიძლება მეტი ხნითაც ბერად შეთქმული ბერად დარჩეს. ეს დამოკიდებულია დედის სურვილსა და შეთქმულობაზე. ბერობა აიხსნება საღმთოთი. საღმთოდ სწირავენ ვერძსა ანუ ყოჩს. საღმთოს მიიყვანენ ქურმუხის წმინდა გიორგს (10 ვიორგობისთვის), შესწირვენ ღმერთს, ვაჟსა თუ ქალს თმებს გაუკრეჭენ, და ჩითეულსა თუ ფარჩეულს ჩააცმევენ. ამ დღიდან ბერად შეყენებული ბერობიდან გადამდგარია. ბავშვს, როგორც რომ რაიმე ავადმყოფობა ეწვევა, ან დასუსტდება, ან თვალების ჭყეტასა და ხელების ფათურს დაიწყებს. ინგილონი ამას ღვთის ნებას მიაწერენ: „ყმაწულ ზეათი (ზენას ძალით) იქნაო“, „ზეათი დაკრულიაო“, ან ბასმა იქნაო. პირველ შემთხვევაში ღმერთს საღმთოს შეჰპირდებიან, ან ძოლას მოიყვანენ, რომ „ღუვა“\* დაუწეროს (ავადმყოფობა შეკრას), ან „კითხავს“ აკითხვინებენ. ღუვას დაწერა ერთი აბაზიდან ერთორ-სამ მანათამდე ღირს, ხოლო მკითხავს კი ორ-სამ შაურსა ზნუ ერთ ბღუჯა ყაჭ-ღომფალს მიართმევენ ხოლმე. ბასმა ყმაწვილს ბევრის ჭამისა და სიცოვისაგან მოუვა. ბასმა ის არის, რომ ყმაწვილი ტანში შეიკრას, ფეხზე ვეღარ დადგება. მაშინ გულაღმა დააწვენენ, მოაწვევენ იმისთანა დედაკაცს, რომელსაც მარჩივად (ერთად ორი) უშობია, და ფეხს სამჯერ სუბუქად დაადგევიებენ მუცელზედ. დედაკაცი ყოველ ფეხის დადგმაზე მოუწრუწუნებს, კარგა გახდებაო. ბავშვი თუ დიდხანს ავადმყოფობამ არ დაადო, წაიყვანენ ხანჯლით მოკლულ კაცის სამარეზედ, აბანებენ წყალში ზედ სამარეზედვე და იქვე წყლის ჭურჭელს გასტეხვენ: კარგა გახდებაო. კიდევ ბევრ გვარი თავისებური წამლობა იციან. რასაკვირველია, აქ ჩვენ ყველას ვერ ჩამოვთვლით.

რაღა თქმა უნდა, ეხლა ბავშვს ქრისტიანი ინგილოები ნათლავენ და ქართულ სახელს არქმევენ. ამ რამდენიმე წლის წინად ქრისტიანი ინგილოებში ისეთი ბაღმთოებიც იყო, რომ სამ-ოთხს წელიწადს გაუნათლავები იყვნენ. ყმაწვილს რომ მონათლავენ,



ივან-ბაბა ბულუღაშვილი



ქრისტიანებრივ სახელს დაარქმევენ, მაგრამ შინაობაში, ხშირად, ნათლობის სახელს ივიწყებენ და ლაყაპ სახელს უწოდებენ. მაგალითად, ქალებს: სარა, ჩაჩაქა, დარიჯანა, ჯავარა და სხ, ვაყებს, რუსტამა, წიკრი, წუნკ, ყურა, ზორბა, ზურაბა და სხ. აქური გვარები კი წმინდა ქართულია: შიოშვილი, ხუციშვილი, ბეროშვილი, თაფლოშვილი, ოთარაშვილი, ოქროჯანაშვილი, როსტიაშვილი, საკნელაშვილი და სხ. ფეხის ადგმა რომ გაუადვილდეს ბავშვს, სამფეხიან ურემს გაუკეთებენ. უკან ურემს ხელით დასაჭერი მოკაკული ხე აქვს მომაგრებული. ურემთან ბაღღს დააყენებენ, ხეს დააჭერიან და ურემი ნელა რონინს დაიწყებს, ბავშვიც მისდევს და სიამოვნებით მიაგორებს. ამ საგორებელის შემწეობით ბავშვი მალე ფეხს იდგამს.

შვიდი-რვა წლისა რომ შეიქმნება შვილი, დედ-მამას უკვე საკმაოდ ჰშველის. ჯერ ამ დრომდისაც ხუთი-ექვსი წლის ბავშვი კარგ „სავაზიროდ“ ითვლება. სავაზირო ის არის, ვინც ნაბრძანებს აღასრულებს. საზოგადოდ, სახლში სავაზირონი პატარაები, რძლები, უმცროსი ძმები არიან, დაშვაზირებულნი კი დედ-მამაა, უფროსი ძმები. მკვირცხლი, მალხაზი და დედ-მამის საყვარელი ბავშვი იგია, რომელიც ნავაზირევს მსწრაფლ შეასრულებს. ამისთანა ბავშვს არც ცუდს სიტყვას ეტყვიან, არც აწყენინებენ. ხოლო „დავაზირებული“ თუ ნავაზირებს ნელა, უნდომლად ასრულებს, ან სრულიად არ მიდის ნაბრძანების შესასრულებლად, დედისაგან მკვახე-მკვახე სიტყვებსა, წყევასა და ხშირად სილებსაც აიკიდებს ხოლმე. შვიდი-რვა წლის ვაჟს სწვრთნის მამა, ქალს კი — დედა. მამას შვილი ხშირად თან დაჰყავს ურემზედ, სხვა და სხვა სამუშაოზე, ან შინ ასწავლის სავაშკაცო ხელობას. ბაღლი ბავშობიდანვე ეჩვევა ურმის, აჩეჩის და სხ. გაკეთებას. ქალს კი დედა ასწავლის ძაფის დართვას, წინდის ქსოვას, ნემსის ხმარებას და სხ. აქ, რასაკვირველია, მეიმას არ ვამბობ, რომ ვაჟი თუ ქალი შვიდი-რვა წლიდან მოკიდებული განუწყვეტლივ სავაზიროს ასრულებას უნდებიან, ან სამუშაოზედ დადიან. არა, განუწყვეტლივ კი არა, არამედ ხანდახან და ხშირად მაშინ, თუ ბავშვი თითონ მოწადინებულია მუშაობას. ბევრჯელ ყოფილა მაგალითი, რომ რვა-ცხრა წლის ბავშვი „სროხის ნამათზე“ წასულა და ასიოდე საქონელი დილით საღამომდე უმწყსია. „ზროხის ნაბათი“, ანუ ნობათი ყოველ მე-

კომურს დრო-გამოშვებით შეხედება ხოლმე. ისეთი სოფლები არის, რომ მენახირე-მეძროხე არა ჰყავს: ამ შემთხვევაში მთელის სოფლის, ან, თუ სოფელი დიდია, ერთის უბნის საქონელი ერთ ნახირად გადის საძოვარზე და ამ შემთხვევაში ნახირის მწყემსვა მეკომურთა შორის ჯერობით მოდის. ამ ჯერობას „ზროხის ნაბათი“ ჰქვია. ძროხის ჯერს, თუ საქონელი ნახირში ბევრია, ორ-ორი მეკომური ხდილობს, ე. ი. ორის სახლიდგან თითო კაცი მიდის საქონლის სამწყესოდ, და თუ ნახირი მცირეა — თითო მეკომური. მენობათე მოვალეა ფხიზლად იყოს, ნახირს კარგად მოუაროს და დაადლოს, მაგრამ თუ საქონელი დაეკარგა, ან მოჰპარეს, მოვალე არ არის გადაიხადოს. „ზროხის ნაბათის“ ხდილობის გარდა, ყრმას „ულაყებიც“ (შესაბმელი საქონელი) აბარია, მამა რომ ურემს მინდვრიდგან მოიტანს, ან სახნავიდგან დაბრუნდება, მაშინ ყრმამ ულაყები უნდა გალალოს (გარეკოს) საძოვარზედ. მესასა, სახნავის ხენასა და სხ. მძიმე საქმეს ვაჟს 13 — 15-ის წლიდგან დააწყებინებენ ხოლმე. ამ დროსვე ვაჟსაცა და ქალსაც ნიშნავენ. იშვიათად მოჰხდება, რომ ამაზე მცირე-წლოვანები, ამ ხანზედ გადაცილებულები დანიშნონ. აკვანშივე დანიშნულთა რიცხვი ხომ თითო-ოროლა ძლივს მოიპოვება.

## 2. ნიშნობა და ღატურწინების სამზადისი.

ნიშნობის წეს-ჩვეულება. მაჰანკალი. შხითვეი და სხვა ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს სანეფოს მამამ სასძლოს ოჯახის სასარგებლოდ. პატარა და დიდ ნიშნობის ხარჯები. ფარჩის ნიშანი. ქალის ქამარი. ნახუქის შემზადება და გამოცხობა. ალვა. ჯეჯიმების მოქსოვა. ძაფის დართვა, დაფერადება-შენახვა. მატყლისა და აბრეშუმის ჯეჯიმები. ჭრელები: კიჭკიჭამა, კიდბანა ჭრელი, სავალაძა, ექის ჭრელიანი და სხ. საქსოვის ნაწილები: ხმალი, ქუჟო, ტარი და სხ.

ოციოდე წლის წინად არც დასანიშნს ვაჟს და არც გასათხოვარს ქალს დანიშვნის შესახებ დედ-მამა არას ჰკითხავდა. დედ-მამა თავის შვილების საბედოს თვითონვე ირჩევდა. ვაჟ-ქალნი წინად, ხშირად, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერც კი იტყობდნენ თავის დანიშნულის ამბავს. ხოლო ეხლა და ეხლა დედ-მამანი ქალისა და ვაჟის უცნობლად აღარ ჰნიშნავენ თავის შვილებს. თუ შვილის ნება არ იქნება, დედ-მამა ვერც ქალს

ვათხოვებს და ვერც ვაუხს დანიშნავს. თუმცა იმის მაგალითებიც არის, რომ დედ-მამა ისევე ძველებურს წესს მისდევს და თავის უფლებას არა ჰკარგავს.

ქალის ვათხოვება და ვაჟის დანიშვნა მაჭკელის\* (მაჭანკლის) საქმეა. უმაჭანკლოდ იშვიათად თუ საქმე გარიგდება. ქალის მაჭანკლობა ეკუთვნის ოჯახის სიძეს. ვაჟის მამა და დედა დასანიშნავ ქალის ოჯახის სიძეს წარგზავნიან ქალის დედ-მამასთან და ქალს სთხოვენ. თუ ვაჟის ოჯახი ღარიბი არ არის, საქმე მალე რიგდება, მაგრამ ისეთი შემთხვევაც არის, რომ მდიდარი მამა თავის ქალიშვილს ღარიბსაც მიათხოვებს ხოლმე. დანიშვნა ქალ-ვაჟისა დიდ ხარჯს არ ითხოვს. ვაჟის მამა ქალის მამას გაუგზავნის: ერთ მანათ ფულს, ერთ კელმანდილს, ხუთ ჩაფ ღვინოს, ერთ ყონს. ხილეულობას, ერთ „ყაბ ჰალვას“ (ერთ ლანგარ ალვას). ხანდახან კი დანიშვნა მარტო ხელსახოციტა და ერთი მანათით თავდება. დანიშვნა თუმცა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს, მაგრამ ამ დანიშვნას სხვა ხარჯები მოსდევს საქმროს მამის მხრივ. საქართველოს სხვა კუთხეებში ყველგან ქალის ოჯახს მოელის დიდი ხარჯი, ხოლო აქ კი ვაჟისას. ყოველი მზითევი ქალისა, ქრთამი (ფულად) და წვრილმანი ხარჯი ვაჟის მამამ უნდა გადაიხადოს და არა ქალისამ, რადგან რძლის მოყვანით ოჯახს ემატება ახალი ძეგლავი — მუშა. ამ ხარჯს აქვე ჩამოვთვლით და, როგორც მკითხველი დაინახავს, ფრიად საგრძნობელია და მძიმე გლეხისათვის.

დანიშვნას ნიშანი მოსდევს. ნიშნისათვის საქმროს მამამ უნდა დაამზადოს: ერთი კელმანდილი (ღირს 1—2—3 მანათი), ბეჭედი (ღირს 1—2 მან.), 25 ნახუჭი (ღირს 5—6 მან.). 25 შოთი (2—3 მან.), 1 ყონი (2—3 მან.), 2 მან. ფული, 20 კვერცხი წითლად შეღებილი (ორი შაური), 1 ხურჯინი ვაშლი (1—2 აბაზი), 1 ბაკანი წაბლი (1 აბაზი), 1 ბაკანი (პინა) თხილი (20—30 კაპ.), 1 თაფტა (2—3 მან.). ვაჟის ნათესავებისაგან დანიშნულის წილი: 20—50 კაპეკამდე ფული. ყოველსავე ამ სამზადისს ვაჟის მამა ქალის მამისას მაჭანკალს წარატანს. იქ ქალის მამა მიიწვევს თავის ახლო ნათესავებს და კარგ დროს გაატარებენ. იმ ხურჯინში, რომლითაც მაჭანკალმა ნიშნის ხორაგეული წაიღო, დაბრუნებისას საქმროს ყველა ნათესავებისათვის დანიშნულ ქალმა თითო წყვილი მატყლის წინდა უნდა ჩააწყოს და საქმროსას



სპილენძის სურა „ყარყარა“, სოფ. კატეხიდან; სპილენძის ჭურჭელი „თუნგულა“, სოფ. კახ-ინგილოდან.

წარმოგზავნოს. ამით თავდება პირველი ნიშანი, რომელიც, უკანასკნელი რომ ვთქვათ, ღირს 25 — 30 მან. ამ პატარა ნიშნობას, რამდენისამე თვის ან წლის შემდეგ, დიდი ნიშნობა მოსდევს.

სადიდ-ნიშნოდ ქალის მამისას ვაჟის მამა წარგზავნის: ორ ყაბ ალვას, 2 ყოჩს, 20 ჩაფ ღვინოს, 50 ნაზუქს, 50 შოთს, ხურჯინ ვაშლს, 1 ბაკან წაბლსა და თხილს, 50 კვერცხს, 2 მან. ფულს, 1 თაფტას, 1 ყუნას\* (კისია), 1 თავ შაქარს, ცოტაოდენ კამფეტს და აგრეთვე ნათესავებისაგან ქალს საჩუქრად მისდის:

ვისგან აბაზი, ვისგან ექვსი შაური, ვისგან ორი აბაზი და სხვ. დანიშნული ქალი კი იმავე ნიშნის ხურჯინში ჩააწყობს და გამოუვზავნის: საქმროს წინდებსა და ქალამნის შესაკრავ ბალებს (ბაწრებს), აგრეთვე თითო წყვილ წინდას ან ბალებს საქმროს სახლი-კაცებისთვის. დიდი ნიშანი ფულად რომ ჩავაგდოთ, უკანასკნელი ეღირება 50 — 60 მან. სამწუხაროდ, ხარჯი ამით არ თავდება. დიდ ნიშნის შემდეგ, ქორწილის წინა დღეებში, საქმროს მამეული ქალის მამას კიდევ უვზავნის ფარჩის ნიშანს.

ფარჩის ნიშანში, იმის გარდა, რაც ჩამოთვლილია დიდ ნიშანში, კიდევ ივზავნება: ჩარღათი, კელმანდილი, 7 ტუნაჲ (კისია), 5 ნაჭერი ფარჩაჲ<sup>1</sup>), ერთი წყვილი ბაშმაყი (მაღალ ქუსლიანი ქოშები), ვერცხლის ქამარი, ჩაფრასტი, ღილები, ილგა.\* ყველა ამ ნივთებით დანიშნულს საცმელი და სამკაული უმზადდება. ამას გარდა იმავე ფარჩის ნიშანის ნაწილს ჩაჰბაკანიც შეადგენს. ჩაჰბაკანია: 25 პაკანი (პინა) ხორბალი, 1 მსუქანი ხარი ან ფური, 25 ჩაფი ღვინო. ჩაჰბაკანით ქალის მამა თავის ქალს გათხოვების დღეს მსუბუქ ქორწილს გადაუხდის.

აქედგან ვხედავთ, რომ საინგილოში დიდს გაჭირვებაშია მარტო ვაჟის მამა; ქალის მამა, პირიქით, სრულიად უზრუნველყოფილია: იგი არა თუ ქალისთვის მსითვისა და ქრთამის შესაძენად ჩალიშობს, არამედ ყოველივეს საქმროსაგან მოელის, თავის ქალის საქორწილო ხარჯსაც კი.

ზემოთ „ნიშნობის“ აღწერის დროს ჩვენ არ დავასახელებთ კიდევ მატყლისა და ყაჭის ძაფი, რომელიც დრო-გამოშვებით ევზავნება დანიშნულს თავისთვის ჯეჯიმებისა, საბნებისა, წინდებისა, ტოლალებისა, აბგებისა, ყოლანებისა\* (ცხენის გარ-საკრავი) და სხ. დასაქსოვად, ანუ დასაწნავად ქალამნის ბალებისა, მარაზისა (გრძელი და ფოჩებიანი თოკი, რომელსაც სახლში გააბმენ ხოლმე და ზედ ზოგი აბგებს ჰკიდებს, ზოგი რასა და ზოგი რას) და სხ. ქალს დანიშვნის დღიდან ყოველ წლივ ევზავნება ხვედრი წილი: ყაჭი, დომფალი, ნაიათი. ამ აბრეშუმის ძაფიდამ ქალი იქსოვს ვერღნებს (საბნებს) აბგებს, ქმრისთვის ჰქსოვს ტოლალებს, ჯეჯიმებს, მარაზს და სხ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს შევ-

<sup>1</sup>ფარჩას ინგილოები სავრთოდ ჩითეულსა და ფარჩეულს უწოდებენ.

ჩერდეთ და ავწეროთ ზოგიერთი დასახელებული საგანთაგანი, მაგალითად, დანიშნულისათვის წარგზავნილი ქამარი, ჯეჯიმების სახეები, მათი ქსოვა, ნაზუქის ცხობა და ალვა და სხ. და სხ.

ქალის ქამარი ფრიად განიერია, თითქმის ორი გოჯის სიგანისა. ქამარს კარგად მოქნილ ტყავისას აკეთებენ. ტყავს ზემო პირზე ორ რიგად ვერცხლის აბაზიანებსა. და ვერცხლისავე დუგმებს უკეთებენ. ხანდახან კი ქამარზე აბაზიანების მაგიერ ხუთშაურიანებს ჩაარიგებენ ხოლმე (უწინ ქართულს, ფულს ჰხმარობდნენ). ქამარის ბოლოებზე ხელის გულის სიგანე და სიმსხო ვერცხლისავე ყაშებს (შესაკრავებს) აკეთებენ. მდიდარი კაცი თავის რძლის ქამარის ყაშებს ოქროთი აფერინებს. ასეთი ქამარი ადგილობრივ ფასობს 15 მან. მოკიდებული ვიდრე 60 – 80 მანეთამდე. ქალს ქამარის გარდა ეგზავნება კიდევ ღილები, ილგა, ჟინყირი (ძეწკვი), თუნგები, ჩაფრასტი, ყოჩ ბოჯნუზი. ყველა ამ ვერცხლულს აკეთებს ხარგარი (ოქრომჭედელი), ოქრომჭედლებად ლეკები არიან. თუ საჭირო ნივთები ბაზარში ვერ იშოვა საქმროს მამამ, მიიწვევს თავისას ხარგარს, გააკეთებინებს ყველაფერს და ქალს გაუგზავნის. ამ დროს, ვისაც შეძლება აქვს, ვაჟსაც გაუკეთებინებს აშურმას (ვერცხლის ქამარს). ჩაფრასტი, ქამარი, ჯინჯილი, აშურმა და მათებრ ფასიანი სამკაული გადის ხმარებიდამ, რადგან ხალხის შეძლებამ იკლო ბოლო ხანებში.

ნაზუქებისთვის მაგარ ცომს მოჰზელენ. ბლომა ერბოში ხახვს მოხრაკავენ, მერე ცომს დააგუნდავენ, კეც-კეცად დააპტყელებენ და ყოველ კეცს მოხრაკულ ხახვიან ერბოს ბლომად წაუსმენ. შემდეგ მრავალ კეცებით შემდგარ გუნდას ასტამით დააპტყელებენ და თონეში ჩააკვრენ. ნაზუქი (=ნასუქი) თონეში იბრაწება და შვენიერ სუნს უშვებს. საჭმელად ფრიად გემრიელია, ნოყიერი და კაცს გულს მალე უსუყებს. შოთებს ისევე აცხობენ, როგორც ყველგან საქართველოში. ამას გარდა, აქ აცხობენ აგრეთვე თეთრსა და წითელ (კვერცხის გულ წასმულ) ლავაშებს.

ალვა დაფქვილ ბრინჯისა იციან. ბრინჯს ფეხის ღინგში (სანაყავში) დანაყავენ, მერე სუფთად გარეცხავენ, თიანში ჩაპყრიან, თაფლსაც ჩაასხმენ და მოშუშვენ, მერე ერბოსაც დაასხმენ, ისე რომ მოშუშული ბრინჯი გასქელდება, შემდეგ თიანს გადმოიღებენ და ალვა მზად არის. დამზადებულ ალვას ლანგრებ-

სა და სინებზე გადიდებენ, ზემოდან დასტკეპნიან, რომ სახე მიეცეს. ერთ სინს ანუ ერთ ლანგარ ალვას „ყაბი ალვა“ ჰქვია.

ჯეჯიშებსა და ყაჭ-ლომფალ ძაფს უაპრაზედ (ჯარაზედ) და თითის-ტარზედ ართვენ (ასტვენ). ჯერ მატყლს საჩქელზე დასჩეჩენ, დაჩქილს მატყლს ფარობად დააწყობენ, მერე ამ ფარობს ჯარაზედ, ანუ ტარზედ დაართვენ, დართულ ძაფს ორ-სამ-ოთხ წვერად (ტოტად) ჯარაზედვე დაჰძახავენ, მერე დაჰხვეწენ, დაჰკიფვენ, შეჰღებვენ და ძაფი საქსოვად მომზადდება.

ძაფს თითონვე ღებვენ წითლად, მწვანედ, ყვითლად, შავად, ცის-ფერად და იის-ფერად.

**წითლად ღებვა ძაფისა:** ბლომა შეინდს მოჰხარშავ და იმ წონის შაბსაც დაატან შეინდს, რა წონისაც არის ძაფი. მერე ქვაბში ძაფს ჩაჰყრი და ბლომად აღუღებ. ძაფს ისევ ამოიღებ, მზეზედ დაჰფენავ, გააშრობ, შემდეგ იმავე ქვაბში ბლომა ენდროსაც დაუმატებ და წყალში გარეცხილ ძაფს ისევ ქვაბში ჩააგდებ, აღუღებ შვიდ-რვა საათის განმავლობამდე. შემდეგ ქვაბს გადმოიღებ, ძაფს ამოიღებ, გააშრობ და გარეცხავ, მერე ქვაბში ძროხის შარდს\* ჩაასხამ და იმაში ძაფს დაჰტიტბავ (ჩაჰყრი და აადუღებ). ქვაბი რომ წამოდუღდება, ძაფს ამოიღებ, გარეცხავ, გააშრობ და მოიხმარ.

**მწვანედ:** მოიღებ „სამწონე ბალახს“ (ქართულად რა ჰქვია, არ ვიცი. ამ ბალახის სახელი არც რ. ერისთავის საბოტანიკო ლექსიკონშია მოხსენებული და არც ქართულ სხვა ლექსიკონებში). სამწონეს ჩაჰყრი ქვაბში და აღუღებ. ჩაჰყრი აგრეთვე ძაფსაც. მთელი დღე უნდა იდუღოს. მეორე დღეს ქვაბიდგან ამოიღებ და ძროხის აუღუღარს შარდში ამოავლებ, მერე გაფოთლილ ანწლს გაჰშლი, შიგ ძაფს ჩააწვენ და ზემოდგანაც ბლომადვე ანწლს დააყრი. ასე უნდა მოიქცე სამის დღის განმავლობაში, ისე კი, რომ ყოველდღე ახლ-ახალი შარდი და ანწლი უნდა იყოს.

**ყვითლად:** თრიმლის ღეროებს იმდენად გასთლი, რომ მარტო ყვითელი გული-და დარჩეს. ამ გულს წვერილად დასჭრი და დააპობ. რამდენსაც ბლომად დაამზადებ თრიმლის გულს, იმდენად კარგა შეიღებება ძაფი. დამზადებულ ჩხირებს კარგა მოჰხარშავ,

\* ამ შემთხვევისთვის ძროხის შარდი დილა ადრიან უნდა დაამზადონ, სხვა დროისა არ გამოდგება.


მერე ძაფსა და ძაფის  $\frac{1}{4}$  წონა შაბს ერთად თრიმლიან ქვაბ-ში ჩაჰყრი, ცოტას აღუღებ, ისევე ძაფს ამოიღებ და ძროხის აღუღებულ შარდში დაჰტიტბავ. შემდეგ ძაფს ამოიღებ, ცივ წყალში გაჰრეცხავ და გააშრობ და ძაფი შეიღებება. ამნაირის ღებვისაგან ძაფს სრული ყვითელი ფერი არ ეძლევა, არამედ მოყვითალო, ამიტომაც ინგილონი ამ ფერს ყვითელს კი არ ეძახიან, არამედ კაპრაშს. სრული ყვითელი ფერი ძაფს ეძლევა სვიისაგან. ბლომა სვიას წყალში მოჰხარშავ, შაბსაც შეურევ, ძაფსაც ქვაბში ჩაჰყრი და აღუღებ კარგა ხანს, მერე ძაფს ამოიღებ და ძროხის შარდში ერთ დღის განმავლობაში დაჰტიტბავ, შემდეგ დაჰრეცხავ და კარგი ყვითელი ძაფი დადგება.

**შავად შეღებვა:** თავშავას დაჰკლეჯავ ფესვიანად, ძირებს დაურეცხავ, მერე ქვაბში ბლომად აღუღებ ჟანგაროიანად, გაშავდება სრულიად, შემდეგ ძაფებსაც იმავე ქვაბში ჩაჰყრი და ბლომად აღუღებ, მერე წვეს ჟანგაროიანად ცალკე მენაში ჩაასხამ, შიგ ძაფსაც ჩააწვენ და ზე დაჰხურავ. ძაფს მთვარემ არ უნდა დაჰკრას, ფერი წაუვაო. ორ კვირაზე ძაფი მენაში სრულიად გაშავდება. ამ ორის კვირის განმავლობაში ისე უნდა მოიქცე, რომ დღე-გამოშვებით ძაფი მენადამ ამოიღო, გასწურო, მზეზე გააშრო და ისევე მენაში ჩააწვინო. ასე იმიტომ შერებიან, რომ ძაფი არ დაღპეს; ორის კვირის შემდეგ იმავე მენაში მყოფ წვეს აღუღებ, ძაფებსაც შიგ ცოტა ხანს ჩაჰყრი, შემდეგ ამოიღებ, გაჰრეცხავ ცივ წყალში, კარგა გასწურავ და მზეზე გააშრობ. ამით დასრულდება ძაფის შავად შეღებვა.

**ისფრად (ისფერად) შეღებვა:** კაკლის კაწახს ანუ კარწახს (წენგოს) ბლომად მოჰხარშავ და ძაფსაც შიგ ჩაჰყრი. კარგა ხანს აღუღებ. მერე ქვაბს ძაფიანად გაღმოიღებ და ბლომად სუფთა ნაცარს შიგ ჩაჰყრი და ჯოხით დაუწყებ რევას. ნაცარი იმდენი უნდა ჩაჰყარო, რომ სულ მთლად ფაფად იქცეს. ბერის რევის შემდეგ ძაფს შიგ ქვაბშივე მეორე დღემდის დასტოვებ, მეორე დღეს ძაფს ამოიღებ, ცივ წყალში გაჰრეცხავ, გააშრობ და ძაფი მზათაა.

ამნაირად, მომეტებულად, მატყლის ძაფს (ბაწარს ჩვენებურად) ჰღებავენ და ყაჭ-ლომფალის ძაფსა და ხაიათებს კი უფრო მეტად ბაზარში აღებინებენ.





სოფ. ხემო ჭარი. კოშკური ტიპის საცხოვრებელი

სიტყვით, ძაფს სულ ექვს ფერად ღებვენ. შეღებილს მაჭანკლის ხელით დანიშნულს ეგზავნიან და სახლში თითონაც ინარჩუნებენ შინაურ საჭიროებისათვის, შესაკერ-დასაკერად. მიტანილის ძაფით დანიშნული, როგორცა ვთქვით, ჯეჯიშებსა და საბნებს იქსოვს. სულ უნდა მოქსოვოს 8 — 12 ჯეჯიში, ყაჭის ორი ან სამი საბანი, 8 — 9 აბგა, ერთი ან ორი მარაზი, რამდენიმე წყვილი ტოლადა, წინდა, ყოლანი, ჯეჯიშების საპირე (ჟიჟიმი-პირ), ქალამნის ბაღები და სხ.

ჯეჯიშებსა და საბნებს ჭრელ-ჭრელებს ჰქსოვენ. სიტრელისა და ფერადის მიხედვით ჯეჯიში არის: თორჰამიანი (ბაღე-ბაღე, ანუ უჯრა-უჯრა), ექვს ჭრელიანი, ყირხ-ყინჟირი (ორმოც ძეწკოვანი),

ზარბაზ-ჰამიანი, აღილუი, ბემ-ყარდაში (ხუთ-ძმოვანი), ბულა-ბოჯნუხი, გეგ-ჰამიანი (ცის-ფერი); კიდბანა-ჭრელი, თექ-ჟინჯირი (ერთ-ძეწკოვანი), ალაყურთი, სავალაჲ, კიჭკიჭაჲ, წონე-თახტაჲ და თეთრ-თახტაჲ, სულ 14 ნაირი.

ჰქსოვენ კმლითა. ძაფს ჯერ გააბმენ პალოებზე და ქუჟოში გააძვრენენ. გასჭიმვენ მავრა და საქსოვის მხრით ქუჟოს სამ-ფეხა ტატოქელაზე საბლით ჩამოაბმენ. ქუჟოს უკანიდგან ვარანგელა აქვს გარტარებული, წინიდგან კი ვმალი მუშაობს. იქვე, ზედ გაბმულ ხანაზე (საქსოვიზე) ზის მქსოველი და ჰქსოვს. მქსოველს იქვე უდევს ჩხირი ან თითის-ტარი, რომლის მოსმითაც აწეწილი ძაფი ისევ თავის ადგილას ჩადგება ხოლმე; აგრეთვე იქვეა ერთი გორგალი „შიგ-სავალაჲ“ ძაფი. მქსოველი რომ ჩაპბეჭავს, მერე ვმალს გაატარებს, ყირაზე დააყენებს, რის გამო გაბმულ ხანას სემო კეცი ძაფი მალა წავა, ამ დროს „სავალა“ გორგალს გაატარებს, მავრა გასწევს და ძაფი რომ გასწორდება, მერე ვმალს გალაწვენს და მავრა ჩაპკრავს. შემდეგ მეორედ და მესამედაც ასე მუშაობს მქსოველი და ერთის დღის განმავლობაში ჯეჯიმს ერთ ან ერთ ნახევარ კმლის სიგრძისას ჰქსოვს (ვმალი ერთის ადღის სიგრძისა არის). ვერდანსა და შალს ორის კმლის სიგრძისას. ჯეჯიმსა, ვერდანსა და შალს სიგანე ორ მტკაველზე მომეტებული არა აქვს, უფრო კი ნაკლებია ყოველ ვერდნისა და ჯეჯიმის სიგრძე კაცზე გრძელი არ არის ხოლმე, ამიტომაც ხანას (საქსოვის) რვა „განის“ სიგრძისას აბმენ. ოთხის „განის“ ერთმანეთზე გადაკერებით ერთი ჯეჯიმი ანუ ერთი ვერდანი დგება. მაშასადამე, 12 ჯეჯიმისათვის საქსოვი ხანა უნდა გააბან ექვსჯერ და ერთხელაც ვერდნებისათვის. ჯეჯიმები რომ დაიქსოვება, ახლა მათი ნაბაღზე გადაკვრაა საჭირო. ნაბდებს ფეაქრებს აგებინებენ. 12 ჯეჯიმისთვის საჭიროა 12 ნაბაღი და ამდენივე ცალკე დაქსოვილი „უიჟიმი-პირები“. ჯეჯიმებს ნაბდებზე რომ გადააკვრენ, ახლა უიჟიმი-პირებს ჯეჯიმისავე ნაპირებზე მიაკერებენ. მერე ყოველს ჯეჯიმს ოთხად გადაჰკეცვენ და ჰუქად (წყობად) ლამაზად დააწყობენ. ვერდანებსაც სქელ ნაბდებს (ჩიგლამას) დაუდებენ, ჩიგლამას კიდევ ქვემოდგან მთლად ჩითის პირებს მიაკერებენ.

ქორწილი და მისთვის მზადება. ქორწილში მიმატიყება. შემზანაობა. შემკაზლები. საკლავისთვის გამოყვანა. გატანებულები. გამოტანებულები. ფართლის მოტანა. მკეურა და მისი სარგო. პატარძლის მოყვანა და დახვედრა. თხილის თავზე გაღება. პატარძლის სახლში შეყვანა და სამ-გზის კერიის გარშემო შემოტარება. დიდ ქორწილის დღე. „შახი“. ფეხუ-დგომელი. შაბაშის დღე.

ამგვარად, დანიშნულს ქალს მზითევი ორის-სამი წლის განმავლობაში უმზადდება. მზითევი რომ დამზადდება, ვაჟის მამა მაჭანკლის პირით ზახალს (მძახალს) ეკითხება, წლეულს ქალს მამდე, თუ არაო. მძახალიც ან პოს შემოუთვლის, ან არას. ხშირად ქალის მამა კიდევ ინაზება, ქალს ადვილად არ სთმობს. იგი ყურადღებასაც არ აქცევს საქმროს მამის ხარჯ-ხაჯალათს. მკვახე უარზედა დგება. რატომაც არა! საქმროდან ამდენი საჭმელ-სასმელი მოსდის და ყოველი მზითევი ქალისა, მოიძედა, რომ ბლომა ქრთამსაც აიღებს, ქალის საქორწინო ხარჯსაც გამოართმევს და ამას გარდა ერთის წლის განმავლობაში ქალს კიდევ თავის სახლში ამუშავებს თავის სასარგებლოდ. ჩვენში ხომ კაციცა და ქალიც ძვირფას მუშად ითვლებიან. და მამა რომ უარზე დგება, უფრო ამ მუშა ხელის დათმობა ენანება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გვარ უღმერთო დედ-მამას ხშირად ქალები სასტიკად სჯიან: ჩუმად გაიპარებიან საქმროსას და ჯვარს გადაიწერენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, ამასობაში ქორწინების დროც მოდის, დრო სავსებისა და ლხინისა, ე.ი. შემოდგომა. რაველის შემდეგ აქ ქორწილები იმართება. ქორწილისთვის წინა დღითვე საქმროს ოჯახი დიდ ფაცა-ფუცს შეუდგება. ქორწილის ერთის კვირის წინად სახლის პატრონი მოიწვევს ორ-სამს ნათესავ დედაკაცებს პურის საცხობად. ისინი შეუდგებიან თეთრის ლავაშის ცხობას. ქორწილის დღემდის დღეში 5 — 6 ცომს აცხობენ. თითონ ოჯახის პატრონიც სხვა თავდარიც შეუდგება: ორსა ან სამ საქონელს იყიდის ქორწილის ხალხის სამასპინძლოდ, ექვსიოდე ბათმან ყველს (ბათმანში 33 გირვანქაა), დაამზადებს  $\frac{1}{2}$  თადარ (15 ჩაფ) არაყს, ათიოდე თადარ ღვინოს, ორმო ვაშლსა (აქ ვაშლს ორმო-

ში ინახვენ, ორმო ვაშლი ორ-სამ ფუტს იწონს), ყურძენსა, თაფლსა და ერბოც უნდა ჰქონდეს შენახული.

ყველაფერს რომ დაამზადებს საქმროს მამა, წინ-დღითვე სოფელში სანდო კაცებს (ორს) გაჰგზავნის ნაცნობთა და ნათემავთა ქორწილში დასაძახებლად (მოსაწვევად). „დამზახნელები“ — კარდაკარ დადიან, ყველას ეზოში შევლენ, პირდაპირ სახლისაკენ გაემშურებიან, ხმა-ამოუღებელივით სახლში შევლენ, ცეცხლა პირზე\* (კერას პირში) ნაბადზე ჩამოსხდებიან; და სახლის პატრონს მიჰმართავენ ამ სიტყვებით:

„მავანმა (სახელი) გამოგვგზავნა, ხუალ ქორწილ აქოე, ვერ შენ გესახით, სახლი პატრონო, მემღან შენ ზალა (თუ სახლის პატრონის ცოლი ძალუათ არ მოუხდება, მის სახელს იტყვიან ხოლმე), თქვენ ქულფათს, ერ მინამ (არავინ) შინ არ დარჩეს, მღაფთ, თუ ყონად (სტუმარი) ყავაყ, ისიც მაყონით“.

სახლის პატრონი „დამზახნელებს“ პასუხად ეტყვის:

„ჰუმბარავ (ბედნიერი იქნეს, გეზი ადღინ (თვალ-ბედიან) იქნეს, თალაია (იღბლიანი) იქნეს, ღმერთმა კელ-მოგიმართასყ“.

ამის შემდეგ დამზახნელები ახლა სხვისას გაემართებიან და იმავე სიტყვებით მიიწვევენ ყველას. ბოლო სახლში მისაწვევად რომ მივლენ, იქვე დარჩებიან ვახშმად.

ქორწილის წინა დღეს, საღამოს, საქმროს სახლში ნათესავებისთვის იმართება „მემზანაგეს საღამო“ ანუ „მემზანაგობა“. იყრებიან ნათესავნი და საყვარელი მეგობრები და საქმროს ტოლ-აძხანაგები, შუაღამემდის ლხინობენ, ქეიფობენ და მერე თავიანთ სახლებში მიდიან. მემზანაგობის მეორე დღიდან იწყება ნამდვილი ქორწილი. ამ 15 — 20-ის წლის წინად ქორწილი 4 — 5 დღე იცოდნენ. დღეს კი ორიოდ-სამიოდ დღესაც ქორწილი აქ მხოლოდ აქა-იქ იმართება და უფრო ხშირად კი ერთ-ორ დღეს ლხინობენ და ამით ათავებენ ქორწილს. ჩვენ ისევ იმ ძველის დროის ქორწილს ავწერთ. ნამდვილს ქორწილს სამი სახელი ჰქვიათ: პატრა ქორწილ, დიდ ქორწილ და ფეყზე-ღგომელი ქორწილ. პატარა ქორწილი იციან პირველს დღეს, დიდი ქორწილი — მეორესა და მესამე დღეს, ხოლო ფეყზე მღგომელთა ქორწილი — მეოთხე დღეს.

პატარა ქორწილის დღეს დიდიდგანვე საქმრო ცალკე ჩაიკეტება თავის „შემკმაზავებით“ (მომრთველებით) და საცოლო აგ-

რეთვე ცალკე დაბინავდება მამის რომელსამე სახლში, ან ოთახში. ვაჟის შექმნაზავად ერთს ან ორს კაცს ირჩევენ ტოლ-ამხანაგ-ნათესაუთაგან, ქალის შესაკმაზად კი ამ გვარადვე ქალებს ირჩევენ. ქალისა და ვაჟის შექმნაზელებს ორ-ორ აბაზს აძლევენ.

ნეფე-პატარძალს დილა-ადრიან წაიყვანენ ეკლესიაში და ჯვარს გადასწერენ. მაჰმადიანი ინგილოები კი რძალს სახლში მოიყვანენ და ნიქას გაუჭრიან. ჯვარ-დაწერილები თავ-თავიანთს სახლებშივე ბრუნდებიან: ნეფე მამის სახლში და დედოფალიც თავის მამისავე სახლში. წავლენ სახლში და ისევ ცალკე ჩაიკეტებიან. პატარა ქორწილის საღამოსვე ერთ სახორცე საკლავს დაჰკლავენ და დილითვე საჭმლის მზადებას შეუდგებიან; ამზადებენ ხორცის წვეს საარაყე ქვაბებში, ცივად მოხარშულ ხორცს, კილანებში (თიხის პაწია ჯამია) ყველს და სხ. ვინც მოვა სტუმარი, იმას არაყს დააღვეინებენ და ვაშლს, ან ყურძენს მიართმევენ. შემდეგ ნადარა-ზურნით ნეფეს ქოხიდგან გამოსაყვანად წავლენ. კარი გაიღება და ნეფე, სულ მთლად ნაბადში გახვეული, მორცხვობით და ნელ-ნელა გამოვა. ნეფე ნაბადში ისეა გახვეული, რომ თვალების მეტი აღარა უჩანს რა. რაწამს ნეფე გარეთ გამობრძანდება, მისი დედ-მამა მოვალეა შვილის წინ იშუფროს (იცეკვოს), გადაჰკოცნოს და კისერზედ კელ-მანდილი მოახვიოს. აქედგან ნადარა-ზურნის კვრიით ნეფეს დიდ სახლში მიიყვანენ, სუფრას გაშლიან, ყველანი ჩამოსხდებიან და ღვინო გაჩაღდება. სტუმრებს მართმევენ ბლომა ხორცს, წვეს, ლავაშს, ღვინოს ჯელადებით და ორ-სამ კაცს ერთად თითო ნაჭერ სამწვადეს, რომელიც „ხორაგის ამხანაგობამ“ თითოსვე უნდა შეიწვას და შეექცეს. მწვადის შესაწვავად ხის შამყურებია დამზადებული და გარეთ ცეცხლი ანთია. სახლში იმართება დიდი ლაპარაკი, დიდი „მაშყულათი“, სიმღერა, ყაყანი, ღვინის სმა, თამაშობა და სხ. სახლის პატრონი იქვე ზის, ან სტუმრებს დასტრიალებს და ყველას აქეზებს, ყველას სთხოვს: „ძმებო, ღუნეა დალივით, ნუ გშურსყ, გაიხარით“. ამასობაში გარეთ „ჰენგებისთვის“ (მაყრიონი ქალები) ცხენებს ამზადებენ ნეფეს ნათესავები. მაყრიონში მონაწილეობას იღებს ოციოდე ქალი და შვიდი კაცი „გატანებული“. გატანებულებში ერთი მაჭანკალია და ერთი კაციც ვინმე წარჩინებულთაგანი. გატანებულებს შიაქვთ: ორი მოხარშული ქათამი, ერთი ჩაფი ღვინო, ორი სატუნეა



სოფიო ყულოშვილი

(ბარკლის ხორციანი, ძვლები), ერთი „კლავი“ (მხარი), ყახა-  
უი (ცხვრის ლორი). ამას გარდა მაყრიონში მონაწილე დედაკაცებს  
სხვა კაცებიც მიჰყვებიან, (ჟილაღვრები) ცხენების ჩამოსართმე-  
ვად. მაყრიონში ცხენოსანნი მხოლოდ ქალებია, კაცები კი ქვე-  
ითად მიდიან. მაყრიონს მიუძღვება ნაღარა-ზურნა. მამაკაცი თოფ-  
აარადით არიან. აი მაყრიონმაც მოატანა და დედუფლის ეზოს კა-  
რებს მოადგა. კარები დაკეტილია და იქვე მაღალ ხეზე (ალა-  
ტზე) მშხალაა გაკეთებული. გრძელი ალატი მიწაში დაურჭვიათ  
და მის წვერზე ვაშლი გაუკეთებიათ. მაყრიონს კარები გაედე-  
ბა მხოლოდ მაშინ, როდესაც თოფით ვაშლს ჩამოაგდებენ. კა-  
რებს რომ გაუღებენ, ყველანი შევლენ ეზოში. მიულოცვენ ქორ-  
წილს დედუფლის მამას, რომელიც ყველას მიიწვევს სუფრაზე  
და გამოტანებულებს „კაცის მარაქაში“ დასხამს და ქალებს  
„ქალების მარაქაში“ (სუფრაზე), მცირედე ხანს სჭამენ-სმენ, მერე  
აიშლებიან, პატარძალს ცხენზე შესმენ და წამოვლენ ნაღარა-  
ზურნის კერით. პატარძლის გამოსტუმრებამდე ნეფიონისას, ნე-  
ფიონის ურმითვე, მიაქვთ ქალის ფართალი (ჯეჯიშები, ვერღე-  
ბი, კიღობანი და სხ). ურემს მიჰყვება „მეკურტნე“, ქალის ნა-  
თესავი ყრმა. იმისი მოვალეობა ის არის, რომ ნეფიონისას  
მოტანილს პატარძლის ფართალს, ქორწილის გათავებამდე, ხე-  
ლი არეინ ახლოს. ამიტომაც იგი, საცა ფართალს დაალაგე-  
ბენ, იქ ახლოს უნდა იჯდეს და ყური უგდოს. გარჯისათვის იმას  
ერთი აბაზი უნდა მისცენ ნეფიონის სახლიდამ. პატარძლის მო-  
საყვანად ნეფიონის სახლიდგან იგზავნება კარგი ულაყი ცხენი,  
რომელსაც დედუფალმა უფოჩო მარაზი უნდა შეეხებას. თითონ პა-  
ტარძალი შემოსილია ისე, რომ სრულიად პირი არ უჩანს. იმას  
აცვია ფარჩეულის ტანისამოსი, ახალოხზედ აკერია ვერცხლის მო-  
სართავები, არტყია ქამარი, ილგავი (ფართო და განიერი ძეწკვი)  
გულზედ ჰკიდია და სხ. თავზედ ჰხურავს აბრეშუმის შავი კელ-  
მანდილი, კეც-კეცად დაკეცილი და შუბლისკენ ცხვირივით  
გრძლად გადმოშვერილი. ამგვარად მორთულ პატარძალს ზე-  
მოდგან ჩამოხურული აქვს აბრეშუმის დიდი ქალაღა. მამა ან ბიძა  
პორთულ პატარძალს შესვამს ცხენზე და გამოისტუმრებს. პა-  
ტარძლის ცხენი მოჰყავს ჯილაღვდარს. პატარძალს იმისივე ოჯა-  
ხილამ მოჰყვება მდადე (დად) და შვიდი გამოტანებული იმ გვა-  
რისავე სანოვაგით, რა გვართაც ნეფიონის გატანებულები წა-

ვიდნენ; პატარძალს მოიყვანენ ეზოს კარებზე. აქაც მაშხალაა, ხოლო ვაშლი კი არა, არამედ ცეცხლი, რომელიც მაღალ პალოს წვერზე ანთია. გამოტანებულები ცეცხლს თოფს მიარტყემენ, კარები გაიღება და ყველანი შევლენ ეზოში და ცხენებიდამ ჩამოხტებიან. პატარძალს კი ჯილავდარი საოჯახო სახლის კარებზე მიიყვანს. აქ სახლის სახურავზე კიბე აყუდია, რომელზედაც ნეფეა ასული. პატარძალს რომ კიბის ძირში ჯალავდარი მიიყვანს, ნეფე ერთ ჯამ თხილს თავზე გადმოაყრის. რას ნიშნავს თხილის გადმოყრა პატარძალზე, არავინ იცის. შემდეგ მამამთილი მივა ცხენთან და პატარძალს გადმოსვამს. პატარძალს მხარში ამოუდგებიან მდადე ერთის მხრით და ნათესავი ქალი მეორეს მხრით და შინ შეიყვანენ. კარებზე დაუხვდება დედამთილი, აუწევს ქალაღას და პირზე თაფლს წასცხებს, მარჯვენა ხელშიაც ცომს ჩაუდებს და კარის თავზე მიაკვრევენებს. მერე წაიყვანს და ფქვილის კასრებში ხელს ჩააყოფინებს. პირზედ თაფლის წაცხება ქალის სიტკბილეს, სიტკბოებით დროს გატარებას პნიშნავს, კასრებში ხელის ჩაყოფინება — ახალ-მოსულ პატარძლის ხელის ბარაქას მოასწავებს. ფქვილის კასრში რომ პატარძალი ხელს ჩაჰყოფს, შიგ ჩააგდებს „კოკოს“ (კვერს), რომელიც მამის სახლიდან გამოატაქს. შემდეგ პატარძალს მიიყვანენ და კორთეში (სახლის ჩრდილოეთი კუთხე) დასმენ და მუხლებზე მცირე წლოვან ვაჟს ჩაუსმენ — ვაჟიშვილები მოგეცესო. რძალი ამ ყმაწვილს ერთ წყვილ წინდას აჩუქებს. რძლის დასასვენებელი კორთე ჩარჩავით (ფარდით) გაღობილია. რძალთან ახალგაზრდა ქალები და მდადე სხდებიან ფარდას ქვემოთ, კერას მარცხნივ, დედაკაცების მარაქაა გამწკრივებული, კერის მარჯვნივ კი კაცებისა. ნეფე კაცების მარაქაში ზის. იმასთან ერთად მარჯვნივ და მარცხნივ იმისი შემკმახელები სხედან, ლხინი, თამაში და სიმღერა კარგა შუადამემდის არა სწყდება. შემდეგ კი მეზობლად მოსახლე ხალხი თავიანთ სახლებში მიდიან დასაძინებლად, შორეულები კი იქვე რჩებიან. პატარძალი პირველ ღამეს ქმართან არ იძინებს. ამ ღამეს იგი სახლის სტუმარია და ცალკე უნდა მოისვენოს ქალებთან. ხოლო მეორე და მესამე დღე დიდი ქორწილის დღეებია.

ნამდვილი ქორწილი ამ დღეებში იმართება. დილიდანვე ეზოში გრძელ სუფრას გაშლიან, სუფრის მიყოლებაზედ ორივე მხრივ



ნეტებს დაალოკებენ. მამაკაცებისა და დედაკაცების მარაქისთვის სუფრა ცალ-ცალკე იშლება. სუფრას რომ დააშაღებენ, პატარაძალს თამაშობითა და ნალარა-ზურნით გამოიყვანენ და დედაკაცების მარაქაში ბალიშებზე დასვენ. შემდეგ ნეფესაც მამაკაცების მარაქაში დასვენ და ყველა ხალხი დალაგდება. ნეფის წინ სამს ჩხირზედ სამყეხად, „შახს“ აკეთებენ. „შახის“ ჩხირებზე წითელი ვაშლებია ჩამორიგებული. „შახი“ სინზედ არის დაყრდნობილი. იმავე სინზედ აწყვია: შაქრის ნატეხები, კვერცხები, შოთები, ლავაშები, ხორცი, ქათამი და სხ. ნეფე ზის სუფრის შუა ადგილს. მენადარე და მეზურნე სუფრის ბოლოში სხედან. წარჩინებული და ხანში შესული ხალხი სუფრის თავს მოექცევიან, ხოლო ახალგაზრდობა და „ღარიბ-ღურბათნი“ კი სუფრის ბოლოს. ამგვარადვე სხდებიან დედაკაცები. მათი მარაქა კაცების მარაქაზე მოშორებით არის და იქ არც მენადარე-მეზურნეა. ხალხი რომ დალაგდება, მოართმევენ შაჭმელს. „ვარცლზე ძღვოქელ“ ხალხს პურს „ჩამოყურის“ (ძიართმევს), „ქობებზე დგომელ“ — გორცს, შწვადს, ყველს, „ქევრზე დგომელ“ — ჩაფებიტა და კოტოშებით ღვინოს. ქევრზე, ქობზე, ვარცლზე დგომლებს ბევრი თანაშემწენი ჰყავთ. იგინი სტუმრებთან დგანან, ზოგი ხალხს ღვინოს ასმევს, ზოგი პურს აძლევს, ზოგი ყურს უგდებს, ვის რა აკლია, ან ვინ რას მოითხოვს, რომ მიუტანოს. სტუმრები შეექცევიან ნელ-ნელა. დრო-გამოშვებით ნალარა-ზურნას აკვრევენებენ და ხალხს ნეფის წინ ათამაშებენ. დროგამოშვებითვე ვაჟის ნათესავი ქალები მოდიან და ნეფის წინ შუფრობენ. ნეფე ამ დროს ფეხზე ადგება. ქალი შუფრობას რომ მორჩება, მივა ნეფესთან და კისერზე ორ-სამ შაურიან ხელსახოცს შემოაკრავს, აკოცებს შუბლში და ისევ ქალების მარაქაში წავა. ამნაირად ნეფეს მრავალი ხელსახოცი უგროვდება. სტუმრების გასართობად კარგ მომღერლებს მოიწვევენ ხოლმე და ერთს ვისმე ხუმარად (ოინჩიდ) ამოირჩევენ. ხუმარას საქმე, როგორც იმის სახელწოდებიდამვე სჩანს, სტუმრების გართობა და გამხიარულება არის. ამიტომაც ხუმარა გაიკეთებს სხვა და სხვა ცხოველების სახეს, დათვისას, ტურისას და სხ. და დაჯდება სუფრის ბოლოზედ. დაიწყებს ოხუნჯობას, ღმეჭვა-გრეხვას, თამაშობს და ასე ართობს ხალხს, ხშირად კი იტყვის რასმე მახვილაკ სიტყვას, მიიქცევს მთელის ხალხის ყურადღებას. თუ ვინმემ გა-

მოჯავრება დაუწყო, აღება და „დაპსრემავს“ (წააქცევს და ბლუჯავს). ამ სეირის მაყურებელი ხალხი იცინის, იცინის. კვდება სიცლითა. ხუმარას გამოტანებულიც პშეელის. ვინმე ნეფეს ნათესავთავანს რახედმე შარს აუტეხავს და დაჯარიმებს ერთის ჩაფის ღვინითა, ცხერის ლორითა და სხ. დაჯარიმებულმა განაზვა თუ დაიწყო; გამოტანებული უბრძანებს ბიჭებს, რომ იგი „დაბან“ (ხელ-ფეხი შეუკრან და ხეზედ მიაბან). ხეზედ მიბმულს ფეხებში ჯოხით ცემას დაუწყებენ, სცემენ. რასაკვირველია. ხუმრობით იმ დრომდე, მინამ დაჯარიმებული თვითონვე არ შეეხვეწება. „ოღონდ გამიშვით და ყველაფერს მოგიტანთ“. აუშვებენ და მართლაც მოაქვს ღვინო, ქათამი და სხ. ამნაირად ნეფის სტუმრებს ნათესავეებიდამ დიდძალი ხორავი მისდით ქორწილშივე ახალგაზრდა თოფოსანნი მიზანში სროლას იწყებენ, თამაშობენ. მღერიან და ლხინობენ. ქორწილში მოწყენა დიდი სირცხვილია. ვინც მოვა, უეჭველად უნდა იმხიარულოს.

მესამე დღე შაბაშის დღეა. ნეფის ოჯახი ერთ სანდო კაცს ამოირჩევს ხოლმე. მეშაბაშე აიღებს ერთ ვაშლს. შიგ დაურჭობს აბაზიანს, შევა კაცების მარქაში და დაიძახებს:

— აჲ ჯამათო. ყურ დამიგდით, ახალ ხაბარ მოსულ!

— ხეარ იქნეს! — ერთხმად დაიძახებენ სტუმრები.

— ხეარი, მადლობაჲ ღმერთს! მავანმა (სახელი რქვი) ვროია მანათი ბეგისთვის (ვითომ ნეფისთვისაო) ხალათის საფასურად გამოგზავნა!

— ააშენოს, ააშენოს, პურაჲ, პურაჲ! — გრიალებს ხალხი და ნალარა-ზურნაც უკრავს. ამგვარ სიტყვებით მეშაბაშეს ეგებებიან ყოველ შაბაშის შემდეგ. შაბაშს სწირავს ყველა, ვინც კი ქორწილში დაესწრება. შაბაშად იწირება ზოგის ოჯახისაგან მანათი. ზოგისაგან  $1/2$  მან., ორი აბაზი და სხ., ასე რომ ზოგიერთ ბედნიერ ნეფეს რამდენიმე თუმანი უგროვდება.

მეოთხე დღის ქორწილი ფეხზე მდგომების ქორწილია. ამიტომაც „ფეხზე დგომელი ქორწილ“-ი ჰქვია. ამ დღეს, ფეხზე-მდგომელებს გარდა, ნათესავეებიც მოვლენ და საღამომდის იღბენ. მერე სახლი-პატრონს გამოემშვიდობებიან და წავ-წამოვლენ თავ-თავიანთსას.

ნეფე-დედოფლის პირველი შეხვედრა მდადეს დასწრებით. ფეხის-ბანა. მუ-  
შაობის დაწყება პატარძლისაგან. ქალის ჩაცმა-დახურვა. კელმანდილი. საქორ-  
წილო ხარჯების ჯამი. დავალიანება. უღიერი სარგებელი და ვაჭრების ალაგმვა.  
„სიზის დაზახება“. ტკბილეულის მოტანა. დასიება და მისი „წამალი“.

ზევით თავის დროზე ვერ აღენიშნეთ ქორწილის შესახები ზო-  
გიერთი წვრილმანი გარემოება, რომელიც ასურათებს ხალხის ყო-  
ფა-ცხოვრებას. ქორწილის მეორე ღამეს, სტუმრები რომ სახლში  
კერას გარშემო დალაგდებიან და ჭამა-სმასა და სიმღერა-ლა-  
პარაკს გააჩაღებენ, ნეფეს გააპარებენ სახლიდგან და „აყარზე“  
(სახლის სხვენზე) აიყვანენ. იქ იმისთვის გაშლილია ლოგინი.  
შეპკმაზელები ლოგინში ჩააწვენენ და ჩამოვლენ. მცირე ხნის შემ-  
დეგ დედუფალსაც გააპარებენ და იქვე აყარზე აიყვანენ ქმართან.  
დედუფლის გაპარება რომ სტუმრებმა ვერ შენიშნონ, ოჯახის  
მამა (ან უფროსი) ფეხზე წამოდგება, სხვებიც აიშლებიან და  
შიპრობას სთხოვენ. იგიც ნება-უნებლიედ იწყებს შიპრობას.  
ყველანი ტაშს უკრავენ. ამ არეულობაში პატარძალი ადვილად და  
შეუმჩნევლად გაჰყავთ. პატარძალს ლოგინამდე მდადე მიუძღ-  
ვის. მდადე მიიყვანს და პატარძალს ქმარს „ჩააბარებს“.

— „უანი“, ეუბნება იგი ნეფეს, „ე ქალ ეხლა შენი, ექამდინ  
ჩონ გოგინდი, მოგჭულუ, ხათირ (ხათირი) არ დოგიკლი, ეხლა კი  
შენ იც, როგორც შეიანახავ“.

ნეფეც, რასაკვირველია, ჰპირდება, რომ კარგა შეინახავს. შემ-  
დეგ მდადეც ჩარდახილამ ჩამოვა. ამ წუთამდე ნეფე-დედოფალს  
არასოდეს ერთმანეთი არ უნახავთ. არც ერთმა არ იცის არა-  
ფერი შესახებ თვისის მეუღლისა: ან როგორი ხასიათისაა,  
ან როგორი პირი-სახე აქვს, როგორი ტანისა, ან გამრჯეა და  
გამგონი, თუ კერპი, ზარმაცი, ანჩხლი და სხ. აქ პირველად  
გაიცნობენ ერთმანეთს და ისიც არა დიდხანს: დილა-ადრიანად  
ორივე ჩამოჰყავთ და ისევ სანეფო-სადედოფლოდ ჰრთვენ და მა-  
რაქაში სხმენ.

მესამე დღეს, საღამო ჟამის შექცევის წინად, „ფეყის ბანა“ იმარ-  
თება. ხალხი რომ ჩამოსხდება კერის გარშემო, ახალგაზრდა ქა-

ლები გადმოვლენ მარაქაში და უფროსიდან მოკიდებული უმცროსამდე „ფეყს გაჰხდინან“, ესე იგი ყველა კაცს შემოხსნიან და გააძრობენ ფეხილამ ტოლალებს, ქალამნებსა და წინდებს. ამავე დროს გადმოიყვანენ პატარძალს და იგი ყველას ფეხს დაჰბანს. ფეხს პატარძალი ლავანში ჰბანს თბილის წყლით, რომელიც წუმწუმათი (სპილენძის მაღალ-ყელიანი და ლულუკიანი ჭურჭელია) პატარძლის მოახლე ქალს მოუტანია და საჭიროებისამებრ პატარძალს უსხამს წყალს, დაბანილს ფეხებს სუფთა ტილოთი პატარძალივე ამშრალებს. ფეხის ბანისთვის ყველანი პატარძალს აჩუქებენ: ზოგი აბაზს, ზოგი 30 40 და 50 კაპიკს. საღამოსაღამოობით ფეხის ბანა გრძელდება ქორწილის გათავებამდე და შემდეგაც ორი-სამის წლის განმავლობამდე. პირველ ხანში, თუ გაყრილი ბიძა ახლო მოსახლეობს, იქაც უნდა წავიდეს პატარძალი და ფეხი დაჰბანოს, ყველას თუ არა, უფროსებს მაინც.

რამდენისამე დღის შემდეგ, დღისით, პატარძალი ისევ „ჩარჩავს უკან“ (გაფარდულში) ზის და საქმეს არ აკეთებს. შემდეგ კი პატარძლურადვე კელმანდილით მორთული და პირ-აფარებული მუშაობას შეუდგება. პირზედ, ცხვირს ქვემოდ, აფარია თეთრი ქუნა (კისია), თავზედ კელმანდილი ისე აქვს გაკეთებული, რომ შუბლის სისწვრივ მაღლა ამართულია კელმანდილისავე ცხვირი. ეს მორთულობა ზოგიერთს ძლიერ უხდება, მაგრამ ქართულ ბუნებრივ ჩაცმა-დახურვას ვერ უდრის. უფრო ის აუშნოებს აქაურ ქალის ჩაცმა-დახურვას, რომ აქ ქალებს ჩითისა და ფარჩის ფრიად განიერი ორ-ტოტიანი ნიფხვეები აცვიათ. პერანგი მუხლამდე ძლივს სწვდებათ. პერანგის ზემოდგან იცმენ მოკლე ახალოხს, ან ჩაფკან-ლაბადას. ჩაფკანი და ლაბადა ახალოხზე ბევრით მოკლეა და მოკლე სახელოებიცა აქვს. პერანგის გულის-პირზედ მძივის „იახა“ აკერია, ახალოხისა და ლაბადას სახელოების ქვემო მხრივ აკერია ვერცხლის „სარმა-დუგმა“ და აბაზიანები ან ორ-შაურიანები. წინიდან ჩაფკანი და ლაბადა ვერცხლის ჩაფრასტით იკვრის. წინ გულის-პირზედ, კოჭებამდე განიერ „მაჯარს“ (ფიშტამალს) იფარებენ. მაჯარის ნაპირებზედაც, უფრო კი ბოლოზე, „სარმა დუგმასა“ და აბაზიანებს აკერებენ. მაჯარის ზემო პირზე, გულის სისწვრივ, ფარჩით დააჯვარედინებენ ხოლმე და ჯვრის შუა გულში ხანდახან აბაზიანს ჩააკერებენ. ტანად რომ ჩაიცმენ, ახლა ზემო აღწერილ ქამარს შემოირტყმენ.

პატარძალი წლის თავზე კელმანდილს იხდის და „პირსაც ჩამოიხდის“. ე.ი. პირს აღარ აიხვევს. მაშინ იგი ჩვეულებრივად თავს დაიხურავს. დედაკაცებს 14-15-ის წლილამ ჩიქილა და ლენაქი ჰხურავთ. აქაური ლენაქი ქართულს არა ჰგავს, იგი უფრო მოგვაგონებს იმერულ ფაუნაკს. ლენაქი ჩითისაა, იგი ვიწროა ზოლად. ერთის ყურიდან მეორემდის იკვრის და უკან კუფამდე ვიწროდ გადადის. ზედ შუბლის მიყოლებასუდ, საფეთქლიდან საფეთქლამდე, მძივი აკურია. ამას გარდა საფეთქელზე ჰკიდია ყონ-ბოძნუხი. ეს ყონ-ბოძნუხი მცირე ნაღსა ჰგავს, ვერცხლისაა და ზედ ვერცხლის წვრილი ფული აკურია, რიცხვით სულ ექვსი. ლენაქს რომ თავზე გაიკეთებენ, ყონ-ბოძნუხი თითქმის წარბებამდე ეკიდება. ლენაქის ზემოდგან თავზე ჩიქილას იხურავენ. ჩიქილა სამ-კუთხიანია. რომლის ერთი წვერი უკან ჩამოშვებულია. ზოგიერთნი ჩიქილის მოხვევის შემდეგ თავს იკვრენ ჭრელის კელმანდილით. რომელსაც სიმაგრისათვის თავის გარშემო ვერცხლის პტყელ უნეირს (ტყვეს) შემოახვევენ ხოლმე; ფეხზე იცმენ წინდებს და ქოშებს. პატარძლებს წულებს ან ლაფინებს უყიდიან. შეძლებულები თავიანთს ცოლებს ლაფინებითაც ატარებენ, ხოლო ღარიბთა დედაკაცთ ხშირად ქალამნებიც ენატრებათ. აქაური დედაკაცი, თუ სიღარიბემ არ აიძულა, ფეხშიშველა იშვიათად ივლის. გასათხოვარ ქალებსაც ასეთივე ტანისამოსი აცვიათ, ხოლო თავსუდ მარტო ლენაქი არა ჰხურავთ. ყველა ეს ტანისამოსი ჩითისაცა კეთდება და ფარჩისაც. თითო ხელი ფარჩეული თითქმის ყველასა აქვს, ღარიბსაცა და მოვალესაც. მდიდარ გლეხების ცოლ-შვილს ხომ ორი-სამი ხელი საცმელიც აბადა. საყურეებს აქაური ქალები სრულიად არ ატარებენ, ხოლო საღტეები (სამაჯური) აქვს ზოგიერთს. ბეჭედს მარტო პატარძალი ატარებს. ისიც ორიოდ წელს, ნეფე კი ქორწილის შემდეგვე წაიძრობს და შეინახავს.

ამით თავდება დაქორწინების ამბავი. ეხლა ვიანგარიშით ამ დაქორწინების ხარჯი.

ქალის მამას ვაჟის მამისაგან ეგზავნება: 1) ქრთამი ფულად გასათხოვარ ქალში: ეხლა 30 – 120 მანეთამდე, უწინ – 200 – 300 მ.; 2) ქერივში ეგზავნება: ეხლა 50 მან., უწინ – 100 – 200 მ.; ა) სახორცე (ხარი ან ფური) ქორწილში დასაკლავად 10–15 მ., ბ) სამისავე ნიშანის ხარჯი 50 – 100 მ., გ) მაჭანკალი 1 მ.,



სოფ. ბახთალა (საგემი) ღვთისმშობლის ეკლესიის საერთო ხედი.

დ) მღაღეს 2 მ., ე) ქალის დედას „სადედო“ 1 მ., ვ) გატანებულებს ორ-ორი შაური, სულ 70 კ.; ზ) ვაჟის შემკაზმელს 40 კ., ც) მენადრე-მეზურნეს 3 მ., თ) მეკურტნეს 10 კ., ი) საზმო (საძმო) 10 კ., კ) ეკლესიას 2 – 3 მ., ლ) ქევახს (მამასახლისს) 1 მ., მღაღეს ხელის დასაბანინებლად 20 კ., ნ) ქალის წილი 12 მან. სულ: ეხლა 273 – 450 მან., უწინ – 500 – 800 მან.

ვაჟის მამა სარძლოს მამას მზითევის მოსამზადებლად უგზავნის: ა) 10 ჯეჯიმის ძაფს, ან დაქსოვილ ჯეჯიმებს (ჯეჯიმი ღირს 3 – 4 მან.) სულ კი 30 – 40 მ., ბ) ორი საბანი 15 – 20 მ., გ) 1 – 2 სასტული (ბალიში) 1 მ., დ) 6 – 2 აბგა და 2 – 5 მ.,

ე) წინდები, ტოლადები და სხ. 3 – 4 მ., ვ) ქალისთვის „ფარჩა“ (ჩითეულობა და ფარჩეული, 30 – 60 მ., ზ) ქამარი 20 – 50 მ., ც) ილგა 20 – 30 მ., თ) სარმა-ღუგმა 12 მ., ი) ჩაურასტი 6 – 7 მ., კ) თინური (პტყელი ძეწკვი) 10 – 20 მ., ლ) ქოშები 1 მ. 20კ., მ) კიდევ წვრილანი ნივთები 3 – 4 მ. სულ 173 – 254 მან.

ვაჟის მამას თავის შვილის ქორწილში ეხარჯება: ა) ორი ან სამი სახორცე 30 – 40 მან., ბ) ორიოდ თადარი პური 8 – 10 მან., გ) ორი ბათმანი ყველი 2 – 3 მ., დ) ღვინო 4–5–6 თადარი 16 – 30 მ., ე) წვრილმანი ხარჯი, ვითარცა: შეშა, სანათი (ჭრაქები-ჩირადი), ხახვი, ხილი და სხვ. 10 – 12 მ., ვ) არაყი 10 მან., ზ) შვილი ქათამი, ერთი ყახაჯი, ბრინჯი, ერბო და სხვ. 10 მან. სულ 88 – 127 მან.

სამივე ხარჯი ერთად შეადგენს: ეხლა 594 – 901 მ.-მდე, ხოლო უწინ 700 – 1000 მანეთამდე.

ამ ანგარიშში ვაჟის მამისთვის პირველი და უკანასკნელი ხარჯი დაკარგულია, ხოლო მეორე კი უკუ მოსაბრუნებელი, რადგან მზითვეი ვერცხლის იმართიანად (მოსართავი) უკანვე მამის ოჯახში შემოდის, პატარძალს მოჰყვება. ამას გარდა, „ილგას“ ეხლა რძლისათვის ბევრი ადარა ჰყიდულობენ. ყველა ეს ხარჯები რომ გამოვიდეთ საზოგადო ჯამიდან, წმინდა ხარჯი ვაჟის დასაქორწინებლად დარჩება: უწინდელ დროსთვის 600 – 700 მან.-მდე, აწინდელ დროსთვის 380 – 570 მან.-მდე.

მივა-და-შიგ მოიპოვება საინგილოში ისეთი ოჯახი, რომელსაც თავისუფალი ფული აქვს და ყოველსავე შვილის დასაქორწინებლად ნაღდ ფულზედ ჰყიდულობს. სხვები კი საქორწილო ჩით-ჩუთსა, ფარჩასა და სხვ. ბაზრიდამ ნისიად ეხილებიან. ყოველ ინგილოს ბაზარში თავისი „ყონალი“ ჰყავს, ე.ი. რომელიმე ვაჭარი. ყონალი თითქმის შინაურ კაცად ითვლება. როდესაც უნდა, მაშინ მივა ყონალი ინგილოსას, მიივლ-მოივლის, საცა სურს, პურს შეჰჭამს, ღვინოს დაღევს, დაბრუნებისას მწვანილეულსა და სხვ. წაიღებს და წავა. ინგილო თავის მონაგარს არავის მიჰყიდის, თუ არა ყონალს. მაგალითად, პარკს, ღვინოს, თუ პური აქვს, პურს, ბრინჯს და სხვას. ყონალსვე ინგილო ყოველ წლივ ფეშქაშად მიუტანს ერთს ურემ ბზეს, ხანდახან შეშასაც და სხვ. მაგიერად ინგილოს ყონალისაგან ნისიად მიაქვს „ფარჩა“ და როდესაც დასჭირდება, ფულ-

საც სესხულობს. აქაური ვაჭრები ერევნის გუბერნიიდან არიან. უმეტესი ნაწილი მათგან მოსვლის ეამს ლუკმა პურის მონატრულია, მაგრამ მალე დაყონალების შემწეობით მდიდარი და შეძლებული გამხდარა. როგორაო, იკითხავთ. ყოველ ვაჭარს რამდენიმე ყონალი ჰყავს. ამ ყონალებისაგან თითქმის ყოველ დღიური საზრდო მოსდის, აგრეთვე რამდენიმე ურემი ბზე, შეშა და სხ. თითონ კი სულ მცირე ფასად შეიძენს დამპალ-დამპალ ჩით-ჩეთს და მამა-სისხლად აძლევს თავის ყონალებს. თანაც ყონაღს ეუბნება: „ოჰ, რა ჩითებია, რა ამირიკოა, რა ნაშური! იცი პირდაპირ მაკარიიდან დავიბარე, ეხლახან მომივიდა. ამ ჩითის ადლი თავის ადგილზე ექვსი შაური ღირს, მაგრამ შენ ყონალი ხარ, მაგ ფასად როგორ მოგცემ, ხუთ შაურად მიირთვი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. დეე, მე ვიყო წაგებაში, ოღონდაც კი ოქვენ ნასიამოვნები დამრჩეთ. ამას გარდა, ჩემი ხათრი და ყადრი გქონდეთ. თუმცა დიდი ზარალი მომდის, მაგრამ მაინც ნისიად ვითმობთ პარკობამდე (ან სთველამდე)“. სრულიად გამოუცდელ და გულ-უბრყვილო გლეხს ეს მაცდური სიტყვები სჯერა. თავის უზაკველ გულში როგორ გაიტარებს ყონაღის ღალატს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს სიეშმაკით გატენილ-გაბერილი სულიერი ჯვარსა და ხატს ჰფიცულობს, სამას სამოცდა სამ წმინდანს იმოწმებს, რომ მისი ნათქვამი ყოვლად მართალია. ყონაღი, რასაც მისცემს გლეხს, იმას თავის დავთარში სწერს (ხშირად წაღებულზე მომეტებულსა სწერენ), შემდეგ გამოიანგარიშებს წაღებულ ნივთების ფასს, წლის სარგებელსაც ზედ დაეცავს და ერთ ჯამად ჩასწერს. სარგებელიც ყონაღის საკადრისი იცოდნენ, ე.ი. 20 — 30 მანეთამდე და მეტიც. მეტი იმიტომ, რომ ვაჭარი, თუმცა წლის სარგებელს მაშინათვე თავნს ზედ აეცავს, მაგრამ გლეხი წლამდის არ იცდის და როცა კი რამ შემოუვა, ყონაღს აძლევს, მაგალითად პარკს იენისში, თხილს ენკენისთვეში, ღვინოს ღვინობისთვეში, ხილს და სხვ. და სხვ. ამას გარდა, რასაც ვაჭარი წაიღებს, იმას თითქმის უფასოდ ანგარიშობს, მაგალითად, პარკის ფუთს 7 — 8 მან., როდესაც თითონ შემდეგ 12—15—24 მან. ჰყიდის. აგრეთვე ნაკლებად აფასებს ღვინოს და სხვ. ერთხელ თუ გაება გლეხი ყონაღის ქსელში, ძნელად და იხსნის თავს. უწინ ქორწილის ხარჯი თურმე სრულიად ჰლუპავდა აქაურ ხალხს. ეხლა ეს ხარჯები, თუმცა შემცირებუ-



ლია. მაგრამ მაინც გლეხისათვის ფრიად სამძიმოა. უწინ ხარჯიც თუმცა დიდი მოსდიოდათ, ბარაქაც დიდი იყო. მინდორი. ჭია, საქონელი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ხალხი დიდს ოჯახებად სცხოვრობდა, თითქმის არა ეხარჯებოდათ-რა გზებისა, სკოლისა. მწერლის და სხვ. შესანახად. ეხლა კი მინდორიც დალატობს, ოჯახებიც ნამცეც-ნამცეცად იყოფებიან და ათას გვარი ხარჯ-ხაჯალათიც აწვება კისერზე. ამიტომაც მცირეთლენი ხარჯიც, თუნდაც ისეთი აუცილებელ საქმისათვის, როგორც ვაჟის დაქორწინებაა, გლეხს წელსა სწყვეტს და ვალში აგდებს. აქაურ ვერაგ და უღმერთო ვაჭრების წყალობით გლეხი ყოველ წლივ ყონალს აძლევს თავის მონაგარს, მაგრამ წლის ბოლოში რომ იანგარიშებენ, თავნს ვალს არა თუ არაფერი აკლდება. პირ-იქით, კიდევ ემატება. ამ 20-ოდე წლის წინად ინგილოს მამულები ცბიერ ვაჭრებს თითქმის სულ მთლად დაესაკუთრებინათ. ყონალი გლეხები სრულიად განედევნათ მამა-პაპეულ ნაშენ-ნაღვაწ მამულ-დედუღილამ და ან იქვე მამულში დაენარჩუნებინათ და მოსავლის სანახევროდ ამუშავებდნენ. მაგრამ მათი უკანონო საქციელი ადგილობრივმა მთავრობამ შენიშნა. მაზრის უფროსმა სერაფიმოვიჩმა ვაჭრებს გლეხების მამულები ჩამოართო და ისევე გლეხებს დაუბრუნა, ზოგი სრულიად უფასოდ, რადგანაც ვაჭარს უკვე ერთი-ათად თავისი ფული ამოეგო და ზოგი კი თავნი ვალის წვრილ-წვრილად მიბრუნებით. სერაფიმოვიჩის წყალობით მრავალმა ინგილომ დაიბრუნა მამული და ვალიდამაც გამოვიდა. მაშინ დაშინებული ხალხი ეხლა უფრო ფხიზლად იქცევა და ყონალს დიდის ეჭვით ეპყრობა...

დაქორწინებისა და ჟორ-დაწერის (ჯვარის-წერის) შემდეგ, ორი-ოდ-სამიოდე თვე რომ გავა, სიმამრი „სიზეს დაუხახებს“, თავის სახლში მიიპატიეებს თავის ქალითურთ. „დაზახებამდის“ არც გათხოვილი ქალი და არც სიძე სიმამრისას ერთხელაც არ წაველენ: წესი არ არის თავის ნებით, მიუპატიეებლად ესტუმრნენ. მიწვევის დღისათვის სიმამრი შეპყრის თავისას თავის მეგვარეულებს, კარგს სადილს, ანუ ვახშამს გაჰმართავს და ქალისა და სიძის მისვლის შემდეგ, ლხინი დაიწყება. სიძემ თან უნდა მიიტანოს ქიშმიში, ყანდი და სხ. ტკბილეული ყმაწვილებისათვის. ლხინობენ თითქმის მთელი დღე, ანუ მთელი ღამე. აქაც კაც-ქალნი ცალ-ცალკე სხედან, სიძეს მარაქას ბოლოში ჰსმენ და თუ

ჩონგური იცის, ჩონგურს აკვრევენებენ, თუ სიმღერა იცის, სიმღერას ათქმევენებენ. ჩონგური ამგვარ ლხინის აუცილებელი კუთვნილებაა. ლხინის დროს უსათუოდ კარგს მეჩონგურეს მოიწვევენ ხოლმე, აგრეთვე კარგ მომღერალსაც. სიძის სტუმრობა შუჭრობით თავდება. ამ დღიდან ქალისთვის, მამისა და სიძისთვის სიმამრის სახლის კარი ღიაა და როდესაც უნდათ, მაშინ ეწვევიან.

როდესაც შვილი ეყოლებათ, მაშინ ქალი დედამ უსათუოდ უნდა ინახულოს და თან ხორაგი მიართვას, უფრო კი ფლავი. თუ დედამ არ ინახულა, სასიძონი მძახლებისას აღარ გაივლიან, შემოსწყრებიან. ხშირად შშობიარე დედის მოლოდინში „დასივდება“ ხოლმე და იავადმყოფებს. „დასიება“ ტანის დასიება კი ნუ გეგონებათ. ამ შემთხვევაში დასიება ის არის, რომ კაცი რამე საჭმელს, ან ვისამე მომზადებულს ხორაგს მოინდომებს და მოილოდინებს, მაგრამ მოლოდინი კი არ შეუსრულდება. ეს მოლოდინის შეუსრულებლობა „დასიებას“ გამოიწვევს. ქართულად რომ იტყვიან: „კაცს საჭმლისთვის თვალის წყალი წაუვიდაო“, დასიებაც ეს არის. „ჰეემ ყმაწულს ჰე სხალ მეეც, თუარ დასივდებ“ და ქართულად „მაგ ყმაწვილს ეგ მსხალი მიე, თორემ თვალის-წყალი წაუვაო“, ერთი და იგივეა. ამიტომაც, თუ შშობიარე ქალი დედამ დროზედ არ ინახულა და ქალი დასივდა, შეატყობინებენ და დედაც გააკეთებს კარგ ხორაგს, ჯამში ამოიღებს ფლავს და ზედ ცხენის კორკალს (განავალს) დაადებს. ქალი გახსნის სუფრას, ფლავს ზემოდგან დაფარებულ ჯამს აჰხდის და კორკალს ხელში აიღებს-რა, იქ მდგომარეთ ხარხარი აუტყდებათ. კორკალს შორს გადაავდებს და ფლავს შესჭამს. ამით დასიების მიერ გამოწვეული სნეულება გადაივლისო. დასიება ყველამ იცის. დასიებულისთვის ხანდასან ვახშმის დროს შვიდ კარს მოივლიან, ვისაც რა აქვს ვახშმად. ითხოვენ ყველა ხორაგს, ზედ კორკალს დაადებენ და ავადმყოფს მიართმევენ. აქაც იგივე ხარხარი იციან. დედ-მამა, თუ არა ხორაგს, სხვა საჩუქრებს არ მიართმევენ თავის ქალს. იშვიათად მოხდება, რომ მდიდარმა დედ-მამამ დარიბ სიძეს ან ქალს აჩუქოს შესაბამელი საქონელი, საწველი, საცმელი და პური.

სიკვდილი. შვილის მოვალეობა. ჭირისუფალი. ტირილი. მკვდრის ბანება. შესუდრება. საკაცე. მისი მორთულობა. გასვენება. ქვის ჯუჯღება და „მკვდრის გაცილება“. საფლავის მოხრელები. ქელები. ტაბლობაჲ და მისი წესები. სულის პური და მისი წესები. სამარიებზე ვასვლაჲ. საკმელ საყრაჲ.

ინგილო იმიტომ ესწრაფის თავის შვილი თხუთმეტის წლისა დააქორწილოს, რომ „სუკდულ-სიცოცხლეს, შულ მალე მეესწრას, ღროზე ქომავ იქნეს მამიბეთ“. შვილებიან (ვაყებიან) მამას ის უხარის, რომ საქმიდგან განთავისუფლდება, შვილები იმის მაგიერობას იზამენ.

ოჯახის თავის გარდაცვალება თავზარსა სცემს სახლის-წულთ, მეტადრე ვაყიშვილს, რომელსაც ოჯახის მოვლა კისერზე აწევება. შვილი თავის ავადმყოფ მამას თავს დასტრიალებს, არას იზოგავს, ოღონდ რამე უშველოს მშობელს, ანუ თუ სულთ-მობრძავია, იქვე მამის სარეცელთან გაშეშებული დგას და პირში შეჰყურებს, რომ მამის უკანასკნელი სიტყვები აჰკრიფოს, მისგან დარიგება რამ მიიღოს. აი მოხუცმა სული დალია. იმავ წამს შვილი მშობლის თბილს გვამს „ასწორებს“, პირაღმა აწვენს, გულზე ჯვარედინად მკლავებს უწყობს, ფეხებს ერთმანეთზე უკრავს, რომ აქეთ-იქით არ გადიხნიქნენ, თვალებს „უხუჭავს“, რომ ღია არ დარჩეს, თავით ერთ არაწ ღვინოს, ერთ ჯამ ხორბალს, ერთ ჯამ წყალს და ტანთ-საცმელს ულაგებს და ამ ჯამზე ერთსა თუ სამს სანთელს უნთებს. სულთმობრძავ დედაკაცს კი ხელში ერთი კიფკედს (ძაფს) უდებენ. სულის ამოსვლისთვის იტყვიან, რომ კაცის სული პეპელას მიაქვსო. ყოველსავე ამას რომ შეასრულებენ, სახლის-წულნი მკვდარს მცირედ დაიტირებენ და კაცს გაგზავნიან სოფლად, რომ ყველას აუწყონ გარდაცვალების ამბავი. ვინც შეიტყობს, ესა და ეს კაცი მოკვდაო, იტყვის: „ღმერთმა აცხონოს, კაჲ კაც ეყო“. თუ მოსაწონი კაცი არ იყო, მარტო „ღმერთმა აცხონოს“ იტყვიან. კაცის გარდაცვალების ამბავს სახლში ხმა მალღა არ იტყვიან, არამედ ცოლ-ქმარნი მარტო ერთმანეთს შეატყობინებენ: მავანი (სახელი რქვი) დაიხარჯაო. იმავე დღეს ჭირისუფლებისას ხალხი შეიყრება. ჭირისუფლად უნდა იყოს გორში (გვარში) წლოვანებით უხუცესი კაცი. დედაკაცები რომ შემოდიან ეზოში, პირდაპირ სახლში შედიან. იქ

დედაკაცები მკვდარს გარს არტყიან და დასტირიან. ახლო ნათესავები, კაცი თუ ქალი, ჭირისუფალთან არ მივლენ, არამედ სახლში შევლენ და მკვდარს დაიტირებენ. ძმები და დები ხანდახან ალაქაფის კარებიდგანვე დატირებას მოჰყვებიან. მკვდარს ყველა დედაკაცი და ნათესავი და ნაცნობი დაიტირებს, ხოლო კაცთაგან მარტო ნათესავები. ტირილის დროს ნათესავი დედაკაცები ხამუშ-ხამუშ გულში ზედი-ზედ მუშტს ჩაიკვრენ ხოლმე. ახლად დაქორწინებულ გარდაცვალებულ ვაჟს ასე დასტიარის დედა: „ნეფე შულო, სანეფოებ ვერ გაჰცუთ, დაგრჩა პატარხალ დუშმნიბეათ, ერ სასტული პირ ვერ დაჰგლიჟ, ერ ვერდანი პირ ვერ გამოიჭოდ; შენ წილ დაგრჩა, ვერ შტამ, ვერ დაჰლივ... ვაჟ, პარაჟ ჰეჟ, ვაჟ, პარაჟ ჰეჟ!.. შენ პატარხალს ვერ მოჰბრუნდორჟელ ვერ შეჰზრახ, გიტირას შენ ნეფე წილ მამულმა, გიტირას შენ პატარძალმა, ვაჟ, პარაჟ, ჰეჟ! ვაჟ, პარაჟ, ეეჟ! დამტირებელს ყველა დედაკაცები პანს აძლევენ: „ჰეჟ-ზედ ხმას აგრძელებენ დიდხანს. დედა ვაჟიშვილს დასტირის: „აჟ შულო, ჟან შულო, ჩემ სახლი იხტიარ შულო! კაჟ მოგიგი, კაჟ მამულ აგიშენები, კაჟ შეტმელ-დაალეველ დროზე ვერ გიჭამი, ვერ დაგილევო; გზაჟ საფარ დაგვარდნი, დაგრჩომი შენ ცოლშულზე თოლ, მიჰდიხარ, შულო ჟან... ვაჟ პარაჟ ჰეჟ!“ და სხ. გათხოვილი ქალიშვილი მამაზედ მოსთქვამს: „მამაო, ეჟ ჩემო სარქარ მამაო! ჩემ ოჟადი დიდ ხარ, როგორ-ღა ჰუმ მოვდე მე აჟ, რაღა პატივ მექნება მე. ზმებ ყავ (მყავს), მართალი, — ზმებიც თელ იქნენ თავიანთ ადგილზე: სხოთა (სხვების) ქალებ დედ-მამის პატივს ჩონ არ ღოგადებენ (ე.ი. რძლები, სხვათა ქალნი ჩვენ ისეთის პატივით არ მიგვიღებენ, როგორც შენაო, მამავ), ვაჟ პარაჟ ჰეჟ!..“

დასაფლავების დღეს, ადრიანად, დედაკაცები გარდაცვალებულ დედაკაცს და მამაკაცნი — მამაკაცს აბანებენ. გაბანილს სუდარაში ახვევენ და კერას პირას გაშლილ ჯეჯიშზე აწვენენ, თავითაც ბალიშს უდებენ. სუდარა ჯერ შეკრული არ არის. კვდარს სუდარის შეკვრამდე მუშამბას დაადებენ. მუშამბა სანთელწასმული ამიროკოს ნაჭერია. ერთს ადებენ პირზე, ერთს გულზე, ცხვირში საკმეველს დაუცობენ, მარცხენა ხელში ჩაუდებენ ორ შაურს, მარჯვენაში ორად გადაკეცილ სანთელს დააჭერინებენ, მოუკიდებენ, ცოტას მოსწვამენ და გააქრობენ... და ორ-კეცად ამიროკოს სუდარას თავ-ბოლოს ამიროკოთივე შეუკრავენ...

შესუდრის შემდეგ მღვდელს (ქრისტიანები) და მოლას (მაჰმადიანები) ანდერძს ააგებინებენ და მერე ტირილით გამოიტანენ და სალაჟაზე დაასვენებენ. აქ კუბოს მაგიერ სალაჟას ჰხმარობენ. ტირილით სალაჟას, კიბეს მსგავსად, აკეთებენ ტირიფის ხისას მომეტებულიად. კუბო ეხლა და ეხლა შემოდის. მკვდარს ზედ გადააფარებენ ორ-სამ ადლიან თაფტას, ერთ ნაშირს და ორიოდ ადლ ჩითს. ყველა ამაზედ სალაჟიანად ხაიათის გრეხილს გადაუჭირებენ. აქვე უკანასკნელად ნათესავნი დაიტირებენ მკვდარს და სასაფლაოზე (სამარებზე) წაასვენებენ. წასვენებაში დედაკაცები მონაწილეობას არ იღებენ. სალაჟას რომ ასწვევენ და ალაჟაფის კარებიდგან გაასვენებენ, ერთ დედ-მამიან ბიჭს ზურგს შეაქცევინებენ, მკვდარისკენ წინიდგან უკან ქვას გაასროლინებენ და თახაც ათქმევიანებენ: „შენ წილ რაჟმ აქ აღარა, შენ წილ მიგილი, წაჲ, ჩონ ემას იქი ღჳგუხსენ“. ამას გარდა, შესუდრის უამს ერთის მტკავლის ტოლა ამირიკოს სუდარიდამ მოჰხვევენ და ხელ-უკუღმა კორთეს (ჭურჭლის საწყობი თახჩა) მიაკვრენ. მესამე დღეს მიმკვრელივე ამ ამირიკოს მოჰგლეჯავს და მდინარე წყალში ჩააგდებს, მკვდარზე ვაყოლილ ნაშირს შესაფლავენი იყოფენ, ჩითი და თაფტა ქრისტიანებში მღვდლისაჲ, მაჰმადიანებში მოლისა. მკვდარ დედაკაცის ხელში ჩადებულ ძაფს კი შესუდრის დროს დედაკაცები იყოფენ, სამარეს ორსა ანუ სამ კაცს ათხრევიანებენ. საფლავის მთხრელები მკვდარს მთლიან ყავრით გაზომავენ და ამ ზომაზედ საფლავს ამოსთხრიან. საფლავის ზემო პირს ადლ-ნახევრამდე ფართოს აკეთებენ, ხოლო შემდეგ კი ავიწროებენ. ამ ვიწროში მკვდარს ჩაასვენებენ; ზოგნი ჯეჯიმს გაუშლიან ქვეშ, თავით ბალიშს დაუდებენ და შიგ მისსავე საცმელს ჩაატანენ. დედაკაცებს წინად ვერცხლის სამკაულით ჰმარხავდნენ. ეხლა კი ამისთანა შემთხვევა იშვიათია. ჩასვენების შემდეგ განიერად ჩათხრილ საფლავის პირებზე სიძ ქვებს დააწყობენ და მიწას მიაყრიან. სალაჟს ხეებს — ტირიფებს<sup>1</sup>) იქვე დაჰყრიან. მერე

<sup>1</sup> ტირიფის ხით საკაცს ვაკეთება ფრიად საყურადღებოა. ამ ხის შერჩევა საკაცდ უნდა იყოს ნაშთი იმ დროისა, როდესაც კოლხნი, როგორც გადმოგვცემენ აპოლონ როლოსელი (მე-III ს. ქრ. წ.), ნიმფადორ სირაკუზელი (IV ს. ქრ. წ.) და სხ., მკვდრებს კი არ მარხავდნენ, არამედ ტირიფს ეხებენ და კვადლებდნენ ტყავებში შეხვეულებს. ვახუშტის დროსაც აფხაზები მკვდრებს კი არ მარხავდნენ, ხეებზე აკიდებდნენ თურმე დღეს კი, როგორც გადმოგვცემს პეტრე ჭარაია, აფხაზეთში ხეებზედ აკიდებენ არა ყველა მკვდრებს, არამედ მხოლოდ მეხისაგან მოკლულებს.

„ღმერთმა აცხონოსო“ იტყვიან და ჭირისუფლისას დაბრუნდებიან. აქ ქელახის (ქელეხის) დღეს ზოგი ჰკლავს ერთ მოზვერს, ან ერთს ყოჩს, ეს შეძლებაზე ჰკილია. აკეთებენ ფლავს, ხორცის წვენს, აცხობენ ლავაშებს, სატანად ყველს ჰყიდულობენ, აჭმევენ ხალხს, ასმევენ და ისტუმრებენ. ღვინის სმის დროს, მსმელი ჭიქიდან ღვინოს ცოტათი გადმოდანქრევს ლავაშებზე, იტყვის „ღმერთმა აცხონოსო“ და დალევს. ხალხის გასტუმრების დროს ორ-ორ შაურსაც ურიგებენ ზოგიერთნი, მეორე დღესაც დედაკაცები იყრებიან ჭირისუფლის სახლში, მკვდრის საცმელს გამოშლიან, გარეშემო მოუსხდებიან და ტირიან. ამ დღეს მკვდარს საკლავი არ „უვარდება“ (ერგება), მოსულ ხალხს ყველითა, პურიითა და სხ. ისტუმრებენ.

**ტაბლობაჲ.** ტაბლობა იციან მესამე დღეს. გამოაცხობენ ლავაშს, გააკეთებენ ფლავს. რძის შეჭამანდს, მოიტანენ ხილს, ამოიღებენ ღვინოს, ხოლო ამ დღესაც საკლავი არ ერგება მკვდარს. ტაბლაზე მოსულ დედაკაცებს მოაქვთ პური, ფლავი, კუჭულა ღვინო (თუ აქვს), ან კვერცხი, ხილი, ცარიელი კი ვერ მოვა. ყველანი რომ შეგროვდებიან და ყოველივეს დაამზადებენ, მერე კერას ერთ ნიღბად გრძელს სუფრას გაშლიან, სუფრაზე დაალაგებენ: ვარცხლით პურს, ქვაბებით ფლავს, შინ გაკეთებულს, თუ მოტანილს კლავს აკრეფენ ბადიებით იმავე სუფრაზე ჩამოარიგებენ, დაალაგებენ ხილსაც (ყოველ გვარს), მოხარშულ სიმინდს, ჯამის წყალს, ჩაყ-არაწებით ღვინოს, ხილებში (ერთ-ორში) დანას დაურჭობენ, თუ ნესვია — ნესვში, თუ საზამთროა — საზამთროში. ამას შემდეგ ჭირისუფალი (დიასახლისი, ან გვარში უფროსი დედაკაცი) ღვინის-ჩაფის, პარაწისა და წყლის ჯამის პირზედ ხუფს სანთელს მოუკიდებს, ჩამჩითა თუ ქაფქირით ნაღვერდალს მოატანინებს, შიგ საცმელს ორის თითით ჩაჰყრის და ასე წაიბუტბუტებს თავისთვის: „ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა ჟანნათში (სასულეთში ანუ სამოთხეში) შაფყონას“. შემდეგ სხვა დედაკაციც ჩაჰყრის და ამ ქაფქირით სამ გზის ტაბლას უკმევენ, გარეშემო შეატრიალებენ. სუფრას ორი დედაკაცი უკმევს. ერთი მათგანი აღმოსავლეთის მხარეს დგას და მეორე დასავლეთისას. კმევა იწყება აღმოსავლეთის მხრის ქვემო კუთხიდან მარცხენიდან მარჯვნივ. ამ მხარეს რომ უკმევს, ახლა მეორე დედაკაცს გა-

დასცემს და ისიც კმევით ისევ აქეთ გადმოსცემს. ბოლოს ქაფქი-  
რი დასანელებლად ისევ აღმოსავლეთის მხრივ კუთხეში უნდა  
დასდონ. საკმეველის განელებაჲმდე დედაკაცების მარაქა გაიმა-  
რთება. ჩამომსხდარ დედაკაცებს სულზე სამ პურს ჩამოუყრიან:  
ორს მეტაბლის მოტანილს და ერთს სახლისას. აგრეთვე მომზა-  
დებულ ხორაგსა და ღვინოს მიართმევენ. რასაც შეშჭამენ, შეშჭა-  
მენ, რასაც არა, იმას ჭურჭელში ჩაიყრიან. თავიანთ ღვინის  
ჭურჭლებსაც სახლის ღვინით გაივსებენ და შინ დაბრუნდებიან.  
არც ტაბლობაზე და არც მეორე დღეს კაცები არ დაესწრებიან.  
კვირის თავამდის ყოველ დღე მკვდრის დატირება იციან.

**თავ-საპარსი.** კვირის თავზე თავ-საპარსი იციან. ამ დღეს ნა-  
თესავები და მეზობლები — კაცი თუ ქალი — შეიყრებიან ჭირი-  
სუფლისას. დალაქსაც მოიწვევენ. თავ-საპარსი დაიწყება მას შემ-  
დეგ, როდესაც პირველად თავ-პირს მოიპარსავს სახლის უფროსი.  
შერე ყველანი მოიპარსვენ ან წვერსა და ან თავს. აქ მაჰმა-  
დიანობაში თითქმის ყველანი (რასაკვირველია, დედაკაცებს  
გარდა) თავს იპარსავენ, ხოლო ზოგიერთნი სპარსულად წიწი-  
ლებს (გრძელ თმებს) კეფიდგან მოკიდებული საფეთქლებამდე  
ინარჩუნებენ. ბოლოს ეს ჩვეულება გადაუარდა და ყველამ თავის  
სრულად გაპარსვა იწყო. ხოლო ამ ოციოდე წლის წინად ქრის-  
ტიან ინგილოებში თმის შენახვა შემოვიდა. იპარსვენ მარტო  
კისერსა და წვერს. თავ-საპარსის აზრი სამართებელს არ იკარებს.  
საკვირველი ის არის, რომ დედაკაცები არც ერთ სამგლოვიარო  
ნიშანს არ ატარებენ: თუნდა ქმარი გარდაეცვალოს, ან ძმა,  
ან მამა და სხ. დედაკაცი სამგლოვიაროდ არ შეიმოსება არც  
ერთ დღეს, პირ-იქით, რაც ახალ-ახალი და წითელ-წითელი  
საცმელი აქვს, იმაში გამოეწყობა, თითქო ქორწილში წასვლას  
ემზადებო, ისე ირთვება. მძიმე მგლოვიარობითა და მეტის-მეტ  
ტირილით ჩვენის მკვდრის სულს შევაწუხებთო. თავ-საპარსით  
მგლოვიარობა თავდება და უქმდება. მოსულ სტუმრებს ფლაჯითა,  
რძის შეჭამაღითა, ღვინითა და სხ. ისტუმრებენ. საკმეველსაც  
ხორაგზედ უყრიან, სანთელსაც ანთებენ, აქაც სწორედ ისე იქცე-  
ვიან, როგორც ტაბლობაზე.

**სულპურ.** სულის-პურის დრო განსაზღვრული არ არის, ზო-  
გმა თავსაპარსისავე დღეს იცის, ზოგმა უფრო გვიან. სულის-  
პური მკვდარს ჩაუვარდება (მიერგება) მხოლოდ სამშაბათს, ხუთ-



მანდილიანი



შაბათს, ან შაბათს. სულის-პურში, როგორც ქორწილში, წინა დღითივე იწვევენ იმ ოჯახს, რომლის წევრ დედაკაცმა ტაბლობაში მონაწილეობა მიიღო. ნათესავეები ხომ აუცილებლად უნდა მოვიდნენ. სულის პურში ოჯახები ყველა სახლის წულიანად უნდა შეიკრიბნენ. ამოირჩევენ და დააყენებენ. ფეხსედეგომლებს პურის (ლავაშის) საცხობად, საკლავის დასაკლავად, ხორაგის მოსამზადებლად და სხვ. ამ დღეს სამი საკლავი უნდა დაჰკლან უსათუოდ, ან სამივე ყოჩი, ან ორი ყოჩი და ერთი ქათამი (მაშალი), ან ჭმეული მოზვერი და ორი ყოჩი, ან ერთი ყოჩი და ორი ქათამი. სულს რქოსანი პირუტყვი არ ერგება, ხოლო ქათამი და ყოჩი — კი. მოზვერი სულისთვის კი არ იკვლის, არამედ ხორცისთვის. სულისაა მხოლოდ ყოჩი და ქათმები, ან ყოჩები და ქათამი. დაკვლის წინად ყოჩს ნაკურთხს მარილს მოალოკებენ (ხოლო მაჰმადიანობაში უკურთხებელსაც ალოვინებენ); ქათამსაც სანთლით თავის ბუმბულებს მოუტუსვენ. დანის გამოსმის დროს დამკვლელი იტყვის: „ღმერთმა აცხონოს (სახელი სულ“. შემდეგ საჭმელებს გააკეთებენ: დიდ-ქვაბებში (არაყისაში) ფლავს, წვენს და სხვ., მერე ხორაგს ქვაბებიანად შინ მიიტანენ, ლავაშსაც ვარცლიანად. სუფრაზედ დააწყობენ ყველაფერს და საკმეველს ჩაჰყრიან. აქ ჩაყრამდე საკმეველს ჯერ კორთეში ჩაჰყრიან მცირე ხონჩაზე, რომელზედაც ალაგებენ: ერთ მკლავ ხორცს, სამ ლავაშს და ერთ არაწ ღვინოს. ეს ხონჩა აქვე დარჩება მეორე დღემდის და მერე სახლის-წულნივე შეშჭამენ. ქრისტიანი ინგილოები საჭმელს ნაკურთხის მარილით ამზადებენ და ტაბლასაც მღვდელს აკურთხინებენ. სულის პური სამჯერაც იციან. პირველ სულის პურზე მკვდრს საფლავზე დაიტირებენ, ხოლო მეორემესამეზე — შინ. საფლავზე რასაც სანოვაგეს წაიღებენ, შინა აღარ დააბრუნებენ: გამვლელსა და გამომვლელს აჭმევენ. დამტირებელნი შინ რომ დაბრუნდებიან, ჯამაათი ჩამოსხდება — დედაკაცნი ცალკე და მამაკაცნი ცალკე. სტუმრებს მთავრებენ: ორ-ორ ლავაშს, ჯამით წვენს; რამდენსავე ნაჭერ ხორცს, ღვიძლის ნაჭერს, „ბარს“ (ფურტსფილტვს წერილად დაშჭრიან, ნაწლავებს მოახვევენ და მოჰხარშვენ. ამას ბარი ჰქვია). ამის შემდეგ სტუმრებს ფლავს მთავრებენ ორ-სამ კაცზე თითო ლანგარს. ფლავს აყრია ხიწიწი (ხოხობიკი). დედაკაცები ამას გარდა კორკოტსაც შჭამენ. ჭამა-სმის შემდეგ ყველა სტუმარს ორ-ორ ლავაშს, თითო ლუკმა

ხორცს ჩამოურიგებენ. ხალხი რომ აიშლება, ეს ლავაშები და ხორცი ყველამ თან უნდა წაიღოს. დედაკაცებს კი მიაქვთ ფლავიც, ღვინოც, კორკოტიც, ხილიც და სხ. საზოგადოდ იმ ჭურჭლებს ივსებენ, რომლითაც სულის-პური ხორაგი ან სასმელი მოიტანეს. პირველი სულის-პური წლის თავზე ადრე იციან, ხოლო მეორე — წლის თავზე და მესამე — მეორე წლის თავზე.

ამითი არ თავდება მკვდრის ხსენება და რიგები. ორმოც გაუსვლელ მკვდარს (მინამ ორმოცი დღე შესრულდება დღიდან გარდაცვალებისა) მეოთხე დღიდან მოკიდებული 40 დღემდის საკმეველს უკმევენ, მარხვა დღეს მარხულზედ, ხსნილ დღეს — ხსნილზედ. ამის გარდა, წითელ პარასკევს სამარხო საჭმელებს გააკეთებენ: ჭინჭრისა ანუ არჟაკლის, გირცსა, ნიგვზითა და ხახვით შენელებულ ჭინჭარსა და არჟაკელს, ლობიოს, წითელ კვერცხებს. ყველა ამას ყოველ ოჯახიდან კაცები წაიღებენ სასაფლაოზე და თავ-თავიანთ მკვდრების საფლავზე დასდებენ. თუ სამარე ახალს მკვდრისაა, საფლავის ზემოპირს გაასწორებენ. სამარეზე წაყრილ მიწას გაშლიან, ოთხ-კუთხიან სახეს მისცემენ და ზედ ბალახიან ჭიმებს დაადებენ. თავ-ბოლოში კი ბრტყელსა და მაღალ ქვაბს და ხილის ხეებს ჩაუდგმენ, მერე ხორაგს სამარეზედვე გაშლიან, საკმეველს დააკმევენ და სანთელსაც აანთებენ. ქრისტიანები მღვდელებსაც აკურთხინებენ საფლავებს. ამ დღეს ძველს მკვდრებსაც არ დაივიწყებენ და თავის წილს ხორაგს მიუტანენ. შემდეგ ამისა ხორაგს ისევ ჩაალაგებენ ხურჯინებში და ფართო ველობზე გავლენ. ჩამოლაგდებიან ყველანი და წინდაწინვე არჩეული ფეხედგომლები ხორაგს ხურჯინებიდან ამოალაგებენ, გაანაწილებენ და ჯამათს მიაართმევენ. ჭამა-სმა დიდხანს გრძელდება. ხალხი რომ აიშლება, დიდები, მოხუცებულები შინ წავლენ, ხოლო უმცროსები ბურთაობას დაიწყებენ. თამაშობენ დიდხანს და ნასიამოვნები შინ ბრუნდებიან. საფლავზე მოტანილს წითელ კვერცხებს არა შჭამენ. ახალგაზრდანი აჭიდავებენ კვერცხებს (კვერცხს კვერცხზე უკვრენ), ვისიც ვატყლება, იმის კვერცხი წაგებულაია. ამ კვერცხებს შინვე აბრუნებენ და გახსნილებისთვის ინახავენ. ასე იქცეოდნენ ინგილოები მაჰმადიანობაშიაც. გახსნილებით დღეს ძველ მკვდრებს საკმეველი არ ჩაუვარდებათ, ხოლო ახლებს — კი.

სამარიებზე გასვლა. საფლავებზე გასვლა მარიამობის მარხვის — გასსნილების მეორე ან მეოთხე დღეს იცინან. ამ დღეს მთელი სოფელი სასაფლაოზე იკრიფება. ახალ მკვდრებს (ერთის ორის წლისას) დაუკლავენ ყოჩს და ვინც ვერ შესძლებს ყოჩის დაკვლას, ქათამს დაუკლავს, ხორცს კი ბახარში იყიდის. გააკეთებენ რძის შეჭამადს, ფლავს, ტომბას, მოხრაკულ ქათამს, მწვანე ლობიოს, მოაქუჩებენ ხილსა და ნესვ-სახამთროს. შინვე სუფრაზე ყველა მკვდრისთვის ცალ-ცალკე ჯამებში წილს ამოიღებენ, სუფრაზე დააწყობენ და საკმეველს ჩაუყრიან. ახალის მკვდრის წილზედ კი საკმეველი სასაფლაოზე იყრება. საკმეველს რომ ჩაჰყრიან, ჩამოსხდებიან და დანაყრდებიან შერე ცხენებს აჰკიდებენ საწოვავს და სასაფლაოზე წავლენ. იქ ყელანი თავ-თავიანთ მკვდრების საფლავებზედ ჩამორიგდებიან. სოფლის სამარხი თუმცა ერთადაა, მაგრამ საფლავები გვარეულობაზეა ჩამორიგებული. საფლავებზე მკვდრების წილს ხორაგსა და ხილს დააწყობენ. ახალის მკვდრის საფლავებს ნაცნობნი და ნათესავნი დედაკაცნი ჩამოიტირებენ, საკმეველს ჩაჰყრიან. ამ დროს მამაკაცნი გვარეულობის მიხედვით იქვე ხილის ხეების ჩრდილში სხედან, ნესვ-სახამთროს მიირთმევენ, ღვინო-არაყსა სმენ და მკვდრების ამბავს მოუთხრობენ ერთმანეთს. ქრისტიან ინგილოების საფლავებს რომ მღვდელი აკურთხებს, ხალხი იქვე ველობზე გავა, დედაკაცნი და მამაკაცნი ცალ-ცალკე ჩამოსხდებიან და „ფეყსე მდგომელები“ ხორაგს გაანაწილებენ და ჩამოურიგებენ. შექცევა დიდის ყიყინითა და სიცილ-ხუმრობით იცინან, თუმცა ყოველ ღვინის დაღვეის დროს „ღმერთმა აცხონა“-საც არ ივიწყებენ.

## 6. გორი (საიქიო)

საიქიო. საგვარეულო სამარხავის საჭიროება. ცხოვრების წეს-ადათები საიქიოში (- გორში). „გორში“ მინასულ-მონასულთა ნაამბობი. რძის ტბაში ამოსულ ხეზე მცხოვრები ბაეშობა საიქიოში. მაჰმადიანების ყოფა საიქიოში. იქაური ევლები. მკვდართ გაცოცხლება. მეტამორფოზა. მარვა.

ყოველი გვარი თავის მკვდარს ცალკე საგვარეულოში იმიტომ ჰმარხავს სასოგადო სასაფლაოზე, რომ საიქიო თავისებურად აქვს წარმოდგენილი. იქაური მოსახლენი, როგორც აქ, გორებად (გვარებად) დაყოფილნი არიანო. ყოველი გორი ერთ ოჯახს

წარმოადგენსო. ამიტომაც კაცის შორს, უცხო ქვეყანაში გარდაცვალება და დამარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მოაჩნია. ყოველ გორს იქ თავისი უფროსი ჰყავს, ყოველ ოჯახს აგრეთვე – თავისი. იქ მკვდრები სადილ-ვახშამზე გვარ-გვარეულად დალაგდებიან. ყველა გვარის წინ სუფრაზე ისა ჰშლია, რითაც ცოცხლები იხსენიებენ. ის ხალხი იქ გახარებულია, რომელსაც აქაურები არ ივიწყებენ, ხშირ-ხშირად იგონებენ. უბედურად, მოწყენით და ყელ-გადაგდებულად ისინი არიან, რომელთაც აქაური ნათესავები სიღარიბისა გამო ვერ იხსენიებენ. ამისთანა კაცი საზოგადო მარაქაში ვერ ერევა. ერთმანეთისათვის ლუკმის მიწვდენა და განაწილება იქ არ არის. ქვის უკან განმარტოებით ზის ამისთანა კაცი, ყელი გაღუგდია და ჩივის: მშიერი ვარ, ნათესავებმა არა გამომიგზავნეს რაო (არ მომიხსენიეს). სანოვანე მკვდრების წინ თუმცა ბევრი ჰშლია, მაგრამ ისინი არ შტამენ, მხოლოდ ჭკრეტით (ხილვით) ძღებიან და ამით გზას მიდიან.

ინგილონი ამბობენ, რომ საგორეულოს ნანახიც ქნილაო, ე.ი. საგვარეულოს მნახველი და დაბრუნებული კაცი ყოფილაო. ამგვარ კაცებს რამდენიმეს ასახელებენ. ქიტთანთ წუნკი დიად ავად გახდაო. ჭკუა და გონება ერთხანად დაჰკარგაო. მერე გონს მოვიდა და ასრე ილაპარაკაო: „გორში წვეელ. იქ გორი-პირში ერ დიდ წყალ ეყო. მითხრეს: „გოდმოხტ“. ჩემ ბებრამ (ბებიამ) კი დამარიგა: „წყალში ფეყ არ ჩასცე“. გადავხტენ, გედველ, გორში შეველ. ნოხ, რუმ სხედან, დიდ მარაქაჲს. ჩონებიც ისხდნენ. სუფრაზე ამთონ რაჲმ ეყო, კაც პირი ვერ მოჰთლჷს. ღერობენ, ნაღრა-ზურნას ჰუკრუნ, შუფრობენ...“

ერთს ქალს კიდე ელაპარაკნა: „იმ დუნიაში წაველო. ყველანი ტკბილ მასლაათ-საუბარში იყვნენო. ვნახე პაპა, ბებია, ბიძები. ძმები, ძმისწულნი, ჩემი პატარა ძმა პაპას გულში ჩაეკრა და ეთამაშებოდა. უცბად სამხიარულო ნაღარა დაუკრეს. ყვიროდნენ: პატარძალი მოჰყავთო. მთელი ხალხი გავიდა სეირის საყურებლად. მეც წაველ; ვნახეთ, ციჰკუებიანთ (გვარი საინგილოში) ქალი მოჰყავთ. მაშინ ჩემმა ბებიამ მითხრა: „შენ რაჲ გინდა აქ, ჟერ შენ დროჲ არ არის, წაჲ, წაჲ, აქაჲთია? კელ მკრა, გამმაგდა. იქ კაჲ ლამაზა დახატულ სახლებ-ოთახებ არის, ზეჲ მუდამ ანათებს...“

ამასაც ამბობენ, რომ სამოთხის კარზედ კუპრის ტბა არისო, ზედ ხიდია გადებული. მართალნი მარდად გადიან და სამოთხეში შედიან, ცოდვილნი შიგ ცვივიან და საუკუნო ცეცხლში იტანჯებიან. ცოდვილისა და კეთილის გამოსაცნობად მიჯნაზედ სასწორია გამართული, სამოთხისა და ჯოჯოხეთის პატრონი სწონავს. რომელი თვალის დაიწევს, ის ჯოჯოხეთში წავა, რომელიც აიწევს, ის სამოთხეში. მართლებს იქ ყორულები აქვთ. იქ მწვანედ ბიბინებს ყანა, იქვე სძოვენ ყოჩები. ვენახები და ხილი ბევრია. ყანა იმ პურისა ამოსდით, რომელსაც გარდაცვალების ჟამს თავით დაუდგმენ. ყოჩები ისინი არიან, რომელთაც ცოცხლები უკვლენ.

ერთი-ორის წლის ყმაწვილს საკმეველი არ ერგება. საიქიოს ერთი რძის ტბა არის. იმის შუაში თეთრად გაფოთლილი ხე დგას. ამ ხეზედ სხედან ეს ნორჩი ბალები, ეივქვივობენ, იცინიან, როცა კი მოჰშივათ, ხე ჩაწვება ტბის პირამდე, ყმაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ხე ისევ აიმართება. ასე ატარებენ დროს ყოველ დღე. ისინი უცოდონი არიან და სამოთხეში ნეტარებენ<sup>1</sup>.

ღეკები იქ ტანტალიკონი (შიშველნი) არიან, რადგან შიშველი იმარხებიან. ერთი ჩვარი წინა სასირცხოზედ უფარიათ, ერთი — უკანა სასირცხოზედ. არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი. დადიან აქეთ-იქით, დატანტალებენ, შიმშილით გული მისდით, მოვლენ

<sup>1</sup> ამ საიქიოს წარმოდგენას შედარეთ საზოგადო ქართული:

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,

ედემსა ვა: ექ შეში: უარე:

ოთხი წყარო დის, ოთხის მხრით მოდის,

მითი მოირწყვის ყოველი არე. —

სიზმრითა ენახე ედემი აღმოსავლეთის იაკშიო.

არის მზე, არის მთოვარე, მრვალ ვარსკვლავი ცაშიო.

მივდივარ სანუკვარადა წმინდა ედემის ბაღშიო:

მიველ და ხეხილთ გადვხედე: ჩარიგებულა რიგშიო,





'სოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა მკუხენი ასხია,

ერთი რამ კუპრის ტბა არის აქედგან მისავალშია.

ზედ წერილი ბეწვის ხიდი ჰქვს, ვინ გადაზომავს თვალშია!

მართალნი მარდად გადიან და მკვიდრდებიან ბაღშია,

ცოდვილნი ძირსა ცვივიან, იღუპებიან ტბაშია.



კორთეს (თაროს) საპირეების დამუშავების ნიმუშები .

ქრისტიანებთან ყელ-გადაგდებულნი და მათხოვრობენ, მაგრამ იქ ქონების გაღება და მიცემა არ არის. ქრისტიანებიც არ ამ-  
ლევენ. ამიტომაც მაჰმადიანები ქრისტიანებს სანოვაგეს ჰპარა-  
ვენ. თუ შეამჩნიეს, გამოეკიდებიან. სანოვაგეს წაართმევენ და  
შორს გასდევნიან.

ცული კაცი, ბევრის „ფინთობის“ ჩამდენი მკვდარი დასაფლა-  
ვების შემდეგ გახორტაგდება (განხორციელდება, გაცოცხლდება)  
ხოლმე და ან გაღორდება, ან გაქაფტრდება (აფთარი). გაღორე-  
ბა ასე მტკიცდება: ალიაბათელი მოლა რამაზხანა ამბობდა, რომ  
ერთი ღორი მოგვკალით და წინა ფეხის მაჯაზედ ქალის სალტა  
ქონდაო. გახორტაგდება ხოლმე მხოლოდ ლეკი (მაჰმადიანი) და  
არა ქრისტიანე. ასეთი რაიმე სულიერად გადაიქცევა და ტყე-  
ლრეში გადავარდება, ან სოფელში დაეტარება. მუხტარ-აღა გა-  
ცოცხლებულიყო, შინ მისულიყო, ცოლს ეცნა და ყვირილი და-  
ეწყო. შეყრილიყვენენ მოლები და სოფლელები და ისევ სა-  
საფლაოზე გაეცილებინათ და ეთქვათ: „შენ ადგილ ჰეგი, აღარ  
გომოხუდქ. ერთი ბილაჯუგელი გაცოცხლებულა. მისულა სახლ-  
ში, ასულა აყარზედ და რაც ნაშრომი ყოფილა საკომლედგან  
სულ ძირს ჩაუყრია. ჯამათს ესეც სასაფლაოზე გაუცილებია.  
გაცოცხლებული ცოცხალ კაცს არ ერჩის. პირველად რომ გამო-  
ვა საფლავიდგან, კაცსა ჰგავს, მცირე ბალანი აქვს, მერე კი  
ბანჯგვლიანი გახდება და რასმე ცხოველს დაეგვანება. რომელ  
სოფელშიაც კაცი გაცოცხლდება, იმ სოფელში ბევრი ხალხი და-  
იხოსება. ზოგჯერ კაცი გაცოცხლდება, მაგრამ სამარიდგან  
ვერ ამოვა. იმის დასარწმუნებლად, რომ კაცი მართლა გაცოც-  
ხლებულა, თუ არა, ჯამათი იყიდის შავ ულაყ ცხენს, წაიყვანს  
და სამარეზედ გადაახტუნებს. თუ მკვდარი გაცოცხლებულია,  
ცხენი გადახტომის უმაღვე მოკვდება, თუ არა, არა დაუშავ-  
დება რა. თუ ცხენი მოკვდა, საფლავს ახდიან და მკვდარს იქვე  
ჩაჰკლავენ. მოჭრილი თავი შიგვე არ უნდა დასტოვონ, თორემ  
მკვდრის ტანს რომელ ადგილსაც მიეხლება, მიეკვრის და კაცი  
გაცოცხლდება. ამიტომაც თავს ამოიდებეს და ცალკე დამარხა-  
ვენ. გაცოცხლებული კაცი მარტო ღამ-ღამე ამოდის, ხოლო  
დღისით ისევ თავის საფლავეში ძვრებაო.

ყველა ეს აღწერილობა საიქიოსი და რწმენა, რომ გარ-  
დაცვალებულის სული პეპელად იქცევაო, რომ მკვდარი რაიმე

ცხოველად გახორტებო, ცხადად მოგვაგონებს სხვა და სხვა უწინდელ ხალხების რწმენას შესახებ მკვდართა სულის მეტამორფოზისა და მათსავე ცდას გარდაცვალებულთა გვამები უხრწნელად (მუშიად) შეენახათ, რომ მათში სული ისევ დაბრუნებულ იყო თვისის სხვა და სხვა ცხოველად გარდაქმნის შემდეგ. რომ ქართველებსაც თავდაპირველად ჰქონიათ ასეთივე რწმენა და მკვდართა გვამების უხრწნელად შენახვაც სცოდნიათ. ამას ცხად ჰყოფენ არა თუ მარტო ზემო აღნიშნული ზეპირ-ხალხური გადმოცემანი, არამედ თვით ქართულს ენაში დარჩენილი სიტყვებიც: „განსვენება“ (გან-სვენება), „გარდაცვალება“ (გარდა-ცვალება), „მიძინება“ (მი-ძინება). ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ, — თანახმად ინგილოების წარმოდგენისა, — მკვდრები საიქიოს სანეტარო სვენებასა და მიძინებაში არიან და სააქაო ჭირ-ვარამი საიქიო სამარადისო ნეტარება-განცხრომად გარდასცვლიათ. ასეთი წარმოდგენა ჩვენშიაც დაბადავდა მკვდართა გვამების შენახვა-დაკრძალვის საჭიროებას, და მართლაც ამას ცხად ჰყოფს სიტყვა დამარხვა ანუ, უკედ ვთქვათ, დამარვა, რომელიც ნიშნავს შიჩახვას, დაფარვას, დაკრძალვა-დაცვას. „მარვა“ დღესაც ისძის ხალხის ენაში: „საყდარი ღეთის ამარად დარჩა“<sup>1</sup>), „პერანგის ამარ იყო“, „ცის-მარე დღეს“ და სხ. მისგან წარმოებული სიტყვები: მარხვა (постъ), მარხვა=შენახვა, (хоронить=хранить), მარანი (погребъ — ზმნიდამ погребать — დამარხვა), სამარე (სა-მარე), სამარიები (ინგ.)=სამარეები, სამარვანი (ინგ.)=სამაროვანი. „მარვის“ მიმღობად მიგვაჩნია, თვით მკვდართ დაკრძალვის მოსაგონებელი მარული=მარულა. ამავე ძირის სიტყვაა მალვა და ორთავეს (მარვა-მალვა) მნიშვნელობისა კი ფარვა=ფალვა (შენახვა, დაცვა, დაფარვა), რომელსაც უდრის მეგრ. ფულუა (მალვა, ფლვა) და მისგან წარმოებული ოფულარი=სამალავი, ოფულე=საფლავი.

<sup>1</sup>ის. ვახუშტის გეოგრაფიაში.



ცრუმორწმუნეობა. მკითხავეები და ავგაროზების დაწერინება. ალი. მაჯლაჯუნა. თელის ხეები. ავი თვალი, შელოცვა და შეკრა. დაპენვა (დაძლევა) სხვა და სხვა ფრინელისა, პირუტყვისა და მნათობისა. მნათობთა მოძრაობაზე დამოკიდებული შედეგები. ყვაილი წმინდაა. შაკიკი.

ამგვარის ცრუმორწმუნეობის ნაშთი საინგილოში ბევრია. თუმცა თანდათან ხალხს ყოველივე ეს მაგდენად აღარა სწამს. ცრუმორწმუნეობათაგან კიდევ უნდა ავლნიშნოთ: მკითხაობა, ღუვა, საყდრები, ბებრების სამარიები, ალი, მაჯლაჯუნა, ღევი (არღევა), თვალის-კვრა, მოჯადოება, შელოცვა და სხ. მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, ყველა ეს ცრუმორწმუნეობანი ისე გატაცებით არა სჯერათ ინგილოებს, როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ჩვენში მაგალითი არ ყოფილა, რომ კუდიანობისათვის ვინმე დაეწვათ, ან წყალში ჩაეგდოთ. ღუვა რომ ერთსა სწამს, მეორეს აინუნშიაც არ მოსდის მისი სიტყუმარიტე, იღებს და ფხრეწავს. ან-და ვინმე ძრიელ რომ ავად გახდება, ბებრები დაიჭინებენ სამოლე გამხდარაო, ესე იგი მოლის წიგნი (ღუვა) უნდა დაეწეროსო. სახლის პატრონს არა სჯერა არც მოლისა და არც მისის ღუვასი, მაგრამ რომ დაარწმუნოს ყველანი რა სისულელელს აბობენ, გაჭირებული წავა და მოლას მოიყვანს. მოლამ რასაკვირველია, ავადმყოფისა არაფერი იცის. ზოგმა მოლამ წიგნი სრულიად არ იცის. რომელსამე საგალობელს დაჰბღაჯნის ერთ ფარატინა ქადალღზე და, თუ ქრისტიანია ავადმყოფი, ხშირად წყევა-კრულვასაც დაუწერს და მისცემს გლეხს, თანაც ეტყვის: ისეთი ღუვა დაეწერე, რომ ყმაწვილი თუ კუდიანს ძრიელ არ შეუბყრია, ღმერთია მოწყალე, მალე მორჩებაო. აიღებს თავის სასყიდელს ერთ-ორ აბაზს, ან მანათს და წავა.

მაგდენად არც მკითხავეებისა სწამთ-რა. მკითხაობა ერთი რამ განსაზღვრული ხელობა არ არის, მკითხავი კიდევ მკითხაობს, ყოველგვარ სხვა საქმესაც აკეთებს. აქაურ მკითხავეებს იმის მესამედი გავლენაც არა აქვთ ხალხზედ, რამდენიც ქალაქში კოდელ ნინოს ჰქონდა. განთქმული მკითხავი კაკში იყო ქ. მარიამი, გულ-კეთილი, ალალმართალი და სათნოიანი ადამიანი. ხალხს ჯერ გამოათქმევინებდა ყოველივეს: ან რას დაჰპირებიან ღმერთს,

ან რა აღუთქვამთ საყდრებისთვის, ან რა მიზეზით და როგორ ავად გამხდარა ავადმყოფი, და მერე ისე დასდებდა თავის განაჩენს. ხშირი მისი სიტყვა იყო: საღმთოს დაჰპირებიხართ, არ დაგიკლავთ. საკითხავისა ორ შაურსა და ერთს სანთელს, ერთ ნაგლეჯ ამირიკოს და ხან კი ერთ ნაგლეჯ ღომფალსაც მიუტანდნენ. ყველაზე დიდი მკითხავი (ე.ი. განთქმული) ყოფილა ნახლუ-ხანუმა სარდარაშვილი მკითხავებს უფრო დიდი მნიშვნელობა იმიტომჲ ჰქონიათ, რომ იგინი წმინდად იქცეოდნენ. ცუდ სიტყვას არ იტყოდნენ, ცუდ საქმეს არ ჩაიდენდნენ. დაქვრივების შემდეგ აღარ თხოვდებოდნენ. იგინი უფრო მოხუცებული დედაბერები იყვნენ. ამიტომაც ინგილოებს ბებერ დედაკაცებისა დიდი ხათრი ჰქონდათ და აქვთ კიდევ.

აღსა და მაჯლაჯუნაზედ ისეთივე მოთხრობებია აქ, როგორც დანარჩენს საქართველოში. ალი გრძელ-თმიანი, ფრიად კობტა ქალიაო, მინდორსა და ველებში, წყლის პირებში იმყოფებო. ცხენზედ ჯდომა და ჭენება უყვარსო. შეჯდება ცხენზედ და ფაფარს ისე აუწეწავს, რომ კაცი ველარაფრით დაუვარცხნის. ცხენზედ პირ-უკუღმა ჯდებაო. ცხენზედ ალი ბევრს უნახავსო. ალი თუ როგორმე კაცმა დაიჭირა და ერთი თმა გამოაგლიჯა, თავის სიცოცხლეში მისი ყმა იქნებაო და, რასაც მოისურვებს, უსრულებსო. მაჯლაჯუნას კაცის სახე აქვსო. ვინც პირ-აღმა დაწვება, იმას ისე დააწვება, რომ ყოველი მისი ასო კაცის ტანის ნაწილებს მოეწყოსო. ამნაირად დააწვება, სულს შეუგუბებს და დაარჩობსო. მაჯლაჯუნასაც და აღსაც ღვთისა ემინიანთ, და კაცმა წმინდა გიორგი, ან ღმერთი უნდა ახსენოს და მავნე მაშინათვე გადაიკარგებაო.

გზის პირას, საღმე განმარტობით თელის დიდი ხეებია, ეს ხეები საღმერთოდ მიაჩნიათ და ჰქონიათ, რომ იგი ჰკურნებს სხვა და სხვა ავადმყოფებსაო. მაგალითად, კბილის ტკივილს და სხვ. ამიტომ გზად გავლის დროს მგზავრი რამე ნიშანს მიაკრავს ამ ხეს, ან კალთიდგან მოჰხვეს კარკატანს (ჩვარს) და ზედ მიაკრავს. ან ჩხირს დაურჭობს ხის ქერქში, ქვას დაჰკიდებს და სხვ. საქონლის ჭირის დროს პირუტყვის ნახირს ფირზე (ხის საყდარზე) წაასხამენ ხოლმე. იმ ხეების ქვეშ ვინმე მაჰმადიანი წმინდანი მარხია, ან-და იგი ადგილი ნაეკლესიარია. ფირზე საქონელს მარილს მოალოკებენ; შესაწირავად ერბო-კვერ-

ცხიანი ჭლავი მიაქვთ. მაჰმადიანები კი საღმთოსაც ჰკლავენ.

ზოგი ისეთი ადამიანია, რომელმაც თუ ავის თვალითა და გულით შეჰხედა სხვის ულაცს (შესაბამ პირუტყვს), სხვის ცხენს და შვილსაც, თოლ მოხტებაყ (თვალი ეცემა). რომ თვალის ცემა ააცილონ, ძაღლის განავალს პირუტყვს წაუსმენ, ძაღლისა ან ცხენის თავის ძვლებს სახლის თავებზედა და ეზოს ღობეებზე ჩამოაცემენ, ან ღვინჭილასა და თვალის მზივს დაჰკიდებენ.


შელოცვა და შეკვრა შეიძლება ნეფესი, პატარძლის შვილიერებისა და სხვ. და სხვ. ნეფეს ნაბდის ბეწვებს მოუგრებენ ჯვარის წერის დროს, ან უხანგს გადაუტრიალებენ. ამით შეიკვრის ნეფის კაცობა და პატარძლის შვილიერება. შეკრულის გასახსნელად მოლას იწვევენ, მაგრამ ამოდ: ზოგნი ისე იხოცებიან, რომ კაცობა არ ეხსნებათ! შელოცვა და შეკვრა ცოცხალის მძივითაც იციან. ეს მძივი მრგვალი და გრძელია. ერთი პირი მწვანე აქვს და ერთი წითელი. მტერი მიიტანს ვისიმე მამულში, გარს შემოატრიალებს და ისურვებს, რომ მამულის პატრონი ვერ აშენდეს, გაოხრდეს და გავერანდესო. ამის შემდეგ იქვე მამულში დაჰმარხავს. შეკრულის კაცის მამულში არაფერი აშენდება, აშენებული გაოხრდებაო. პარკის ჭია, საქონელი, შვილები დაეხოცება. ჭიას ავადმყოფს, მელოგინეს და სხვ. ვნებს ალმასი, თვალი და ოქრო. ამიტომ ჭიისა და კაცის ავადმყოფობის დროს ამგვარ ნივთებით უცხო კაცს სახლში არ შეუშვებენ. თუ ვინიცობაა შევიდა, მის ნივთებზე წყალს აჰკურებენ. მელოგინესთან შეტანილი ძვირფასი თვალი, ალმასი, ოქრო და სხვ. ჩვილს ჰკლავსო. თუ თითონ მელოგინეს აქვს იგივე თვლები და ოქრო, გარედამ შემოტანილი ვედარას დააკლებსო.

გაზაფხულზე სამხრეთიდან გადმოფრენილ ფრინველებისა და ახლად დაბადებულ პირუტყვების დაჭეკვა (დაძლევა), აგრეთვე ლეკებისა ამგვარად იციან.

კ უ ჰ კ უ ჯ (გუგული) რომ დაჰქეჩო, უნაწილო არ უნდა იყო, ერთი ლუკმა პური მაინც უნდა ინაწილო. მის „კუჰკუს“ პირველად რომ გაიგებ, უნდა მიაძახო: „კუჰკუ, დაგქეჩ!“

მ ე რ ც ხ ა ლ ს დასძლევე, თუ ღვინო შეგისვამ, ან ძმარი და ძმრის წნილი გიგემნია დაძლევის დღეს.

წ ყ ა ლ - წ ყ ა ლ ა ს დასაძლევეად ორი კაცი ერთად უნდა იყოს. თუ ორი წყალ-წყალაა და ერთი კაცი, მაშინ კაცი დაჭეჩილია (დაძლეულია).



ბათლომე ხუციშვილი

ყ ა პ-ყ ა პ ი ს დასაძლევად პირში წყალი უნდა გამოადურდნო (გამოივლო).

კ უ რ კ უ რ ა ა (გვრიტი, დოია) დაიძლევა, თუ ფეტვის ამოსული ჯეჯილი გინახავს.

თ უ თ ა-ბ ა ლ ი ა ს (ბიჭო-გოგია) დაძლევა ახალის ყველით უნდა. თუთა-ბალია პატარძალი ყოფილა. ერთხელ ტანი უბანია. ამ დროს მამამთილი მოულოდნელად და უცაბედად პატარძლის საბანებელთან მისწრებია. პატარძალს შერცხვენია და ღვთისთვის უთხოვნია: ღმერთო, მამამთილს როგორღა ვეჩვენო, ფრინველად მაინც მაქციეო. ღმერთსაც შეუსმენია და თუთა-ბალიად უქცევია. ამიტომაც თუთა-ბალიას ყვითელი ბუმბული ასხიაო, რადგან პატარძლები ყვითელ პერანგს იცმენო. თუთა-ბალია იმიტომ ჰქვია, რომ, როდესაც მოფრინდება, იძახის: თუთა-ბალო, მააწიო! (მოიწიე, დამწიფდი).

ჰ ო პ ო პ ი ს დასაძლევად თავის დაბანაა საჭირო. თუ თავდაუბანავ-დაუვარცხნელი ჰნახე, დაძლეული ხარ. ეს პატარძალი ყოფილა და ბანების დროს მაზღს მიუსწვრია. პატარძალს ფრინველობა უთხოვნია და ჰოპოპად ქცეულა. საწყალს თავშივე სავარცხელიც ისევე დარჩენია.

ჭ ო ტ ი ს დასაძლევად რაზედმე ხელით უნდა ჩამოეკიდო. თუ ფეხზე დასდექი, ფეხის საცმელი მალე გაგიცვდება.

ლ ე კ ი ს დასაძლევად ადდგომის საღამოს ღორის ხორცი უნდა დაძლეჭო და გააფურთხო. ღორის ხორც დაუღეჭავი რომ ლეკმა გნახოს, დაძლეული ხარ. ხორცის დამღეჭავები ლეკს რომ პირველად დაინახვენ, მიამახებენ: „ლეკო, დაგჯენ!“

ტ ა ნ ა ს (ხბოს), ჭ უ ჭ უ ლ ს (წიწილა), კ უ ც ს (კვიცი) და ზ ა ქ ს პურიტ დასძლევ.

ბუნების მოვლენათა დაძლევა:

გ უ რ გ უ რ ი ს (ქუხილის) ხმას პირველად რომ გაიგებ, უნდა გაჰკორდე.

ჰ ე ლ ვ ა ს (ელვას) რომ დაინახავ, რკინას უნდა კბილები დაადგა.

„თ ო რ ე ა (მთვარე) დანახვაში“ ფეხზე უნდა წამოდგე და მოუწრწუნო (სამ გზის).

მთვარეს დაჭერაში (მთვარე რომ დაბნელდება) თოფების სროლას იწყებენ. მთვარე გელაშაპას შეუპყრიაო და თოფებით ამი-

ნებენ, რომ მანათობელი ქვეყნისა იხსნან იმის პირიდან.

მიწი-დანზრევასი (მიწის ძვრა) იტყვიან, კარგი მოსავალი არ იქნებაო, ჭირი და ომი ატყდებო.

მ ა ს კ უ ლ ა ა ჩუშუარდნაში (ვარსკვლავი რომ მოსწყდება) აგრეთვე ომს, ქვეყნის უბედურებას იტყვიან. ხანდახან ვარსკვლავი ერთის მხრიდგან მოსწყდება და მეორე მხრისკენ გადაივლის. ამასვე იტყვიან: მავან საყდრიდამ მავანისაკენ ანგელოზი გადაფრინდაო.

ყოვილაა (ყვავილი) და წითელაა წმინდაა და წმინდად შენახვა (მოვლა) უნდა. ყვავილი თავისითაც ჩნდება და ამოჭრითაც (აცრით). ყვავილი ან წითელი რომ შემოვა სახლში, ხონჩაზე დააწყობენ წითელ ღაუაშებს, წითელ კვერცხებს და ერთ ჯამ ბაქმას ანუ თაფლს, კორთეში მადლა ხონჩას დასდებენ და წითელა-ყვავილის გასვლამდის იქ დაანარჩუნებენ. ამას იმიტომ სჩადიან, რომ წითელის, თუ ყვავილი კი დედა ხონჩაში დაიბუდებსო და ავადმყოფს არ შეაწიებებსო. ავადმყოფობა რომ გადაივლის — მორჩება, ხონჩას ჩამოიდებენ, ვახავედ გაიდებენ და დასდებენ. გამვლელ-გამომვლელი ხორავს წაიდებს, ხონჩას კი ისევ შინ დააბრუნებენ. ყვავილი და წითელა არ უნდა გააჯავრონ. გაჯავრება კი შეიძლება სხვა და სხვა ნაირად: ქვაბი თუ ააღუდეს შინ სახლში, ან ადღებული ქვაბი გადაიყვანეს, ქათამი დაჰკლეს, ხორცეული მოჰხარშეს, — ყველა ამით ყვავილი და წითელა გაჯავრდება. ამას გარდა, ცუდი სიტყვა, ყბელობაც ეჯავრება, აბრაზებს. ტკბილი სიტყვა-პასუხი უნდა იყოს სახლში, ჩონგურის დაკვრა და სხვ. ავადმყოფს კარგად უნდა მოუარონ, არ შეაცინონ, აჭამონ: ქინძიანი შეჭამანდი, ფლავის წვენი, ღვინო არ დალიოს, ხორცეული არ ჭამოს, არც ფლავი. უნდა სვას ცხენის რძე: აგრეთვე ძროხისა და ვირისა.

ს ა კ ე კ ი -ქ ა რ (შაკიკი). შაკიკი კაცს თავში უჩნდება, თავის ერთი მხარე ასტიკვა ხოლმე. ეს ტკივილი გადაუვა. თუ შეულოცესო. გოგრის თასში ნაცარს ჩაჰყრიან, ზედ ამირიკოს დააფარებენ და შეულოცვენ:

ალი, ალი,  
საფარ ალი!  
გეთ დაღა დეგ:  
ჩოუღუნა დეგ,

ალო, ალო,  
საფარ ალო!  
წადი მთას ეცი,  
ქარ ტეხილს ეცი,

ხობანა დეგ,  
ხოლინა დეგ!

მწყემსს ეცი,  
მინდორს ეცი!

კიდევ აღსანიშნავია ინგილოების მოწიწება და შიში ძველ ვადაშენებულ საყდრების ეზოში დაშთენილ წმ. ხეების წინაშე. „ერ წკირ რუმ მოვჭრათ, გოგიწყრებავ“.

## 8. ღვთობები და ბაყრა

1. ახალ წელს მიიწურა ძველი წელიწადი. მზე ჩაესვენა. შებინდა. ინგილოების სოფლებში ასტყელ<sup>ა</sup> თოფის სროლა, ხმაურობა, ძაღლების ყევა. მთელი სოფელი ხმად გადიქცა. რა ამბავია? ნუ თუ ღვიკის შემოსევამა და სისხლის ღვრამ ასტეხა ესრეთი ღრიანცელი, ჭექა-ქუხილი?.. არა, არა, ინგილონი არც მტერს შეუშინებია და არც სისხლის ღვრას! ინგილონი ეგებებიან ახალს წელს.

\* \* \*

შუა ღამეა. ყოველივე მიწყნარდა. აღარც თოფის გრიალი ისმის, აღარც ხმაურობა. მხოლოდ ხანდისხან კანტი-კუნტად ჰყეფს გლეხის ერთგული დარაჯი და ყვირიან სოფლის მამლები. შრომის შვილნი მისცემიან ტკბილს ძილს.

არა სძინავთ სახლის დედაბერთ და ოჯახის მეთაურთ.

დედაბერი თითის-ტარზე გაჩქარებით ართავს ბამბის ძაფს. სახლის მეთაური ელაპარაკება დედაბერს და ართობს ტკბილი სიტყვებით. აი მორჩა დედაბერი თავის საქმეს. ადგნენ ორთავენი და ჩუმად მივიდნენ ნამძინარევე ყმაწვილებთან, მკლავები გამოუდეს საბნებიდამ და მაჯებზე შემოუტარეს დართული ძაფი, გაკვანძეს და მოშორდნენ. ძაფი შემოახვიეს დედაბოძსაც. ოუნგსაც და ყოველსავე სხვა ჭურჭელსაც.

ეს ძაფი მოგვაგონებს რგოლსა, რომელიც ძველადგანვე ცნობილია, როგორც სიმბოლო ღვთის დაუსაბამობისა და ერთ-არსებობისა; ამ ჩვეულებით ინგილო გამოსტქვამს თავის სურვილს, რომ ერთ-არსმა და დაუსაბამო ღმერთმა ოჯახის ყოველი წევრი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად,

დაუსიანებლად და დაურღვევლად. ამ ჩვეულებას ინგილონი თათრობაშიაც მტკიცედ ასრულებდნენ. ძაფის რგოლს მაჯიდან სამ დღემდის ვერ შეიხსნიდნენ.

\* \* \*

გატყდა ღამე. აგერ მამლები მესამედ აყივლდნენ. ცისკარმა აღმოსავლეთი წითლად შეღება. სახლის უფალთ დაადვიძეს ოჯახის წევრნი. ყველას უხვრიან, უკვირს და კკითხება თავის თავს: ისრე ჩუმიდ ბებრამ (დიდედამ) როგორ შემაბა მაჯაზე ძაფი, რომ ვერ გავიგეო. იბანენ ხელ-პირს, იცმენ ახალს წინდებს, ქალამნებს, ახალუხს და სხვ. კერაზე ცეცხლს ღუღღუდი გააქეს. ერთმანეთს ემუსაიფებიან, იცინიან... უცბად გარედამ ვიღაცამ კარები დააკაკუნა: კაკ-კაკ, კაკ-კაკ! მყისვე ყველანი სძენად გადაიქცნენ.

— კარ გამიღით?

— რაჲ მოგაქა? — მიაძახებს დიასახლისი.

— წყალი, წყალობა.

— რაჲ მოგაქა?

— წყალი, წყალობა.

— რაჲ მოგაქა?

— წყალი, წყალობა.

— შომოჲ (შემო), კოლი (კვალი) შენი — კოლი ანგელოზისა.

კარს გაუღებენ და შემოვა მკვლე. თვით სახლის უფროსს უკისრია მკვლეობა. როდესაც სახლში ყველამ გაიღვიძა და ერთი აღიაქოთი შეუდგათ, უფროსი ადგა და გავიდა სახლიდამ, თან წაიღო თიხის ჩაფი და აბგით საკენკი. უფროსი მივიდა მდინარე წყალთან, ხელ-პირი დაიბანა, ღმერთი ახსენა, ჩაფი გაავსო წყლით, საკენკიანი თვალი აბგისა წყალში ამოასველა, თხილის კინკილოიანი (ყვავილიანი) ტოტები შემოამტვრია, აბგის ცარიელ თვალში ჩააწყო და დაბრუნდა შინ.

სახლში შესვლისავე უმალ ჩაფი დასდო კორთეში (ჭურჭლის საწყოები თარო), თხილის ტოტები საკანზე<sup>1</sup>) დააწყო და

<sup>1</sup> ხისაგან გაკეთებული დიდი ბელელი, რომელშიაც ინახვენ ყვირისა და ხან ხორბალსაც და სდგამენ შიგ სახლშივე.



საკენკი კი გადააბნივ-გადათესა სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში და ამასთანავე რამდენჯერმე წარმოსთქვა: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურსა და სარჩო-საბადებელს“.

საკენკის „დათესვის“ შემდეგ ყველანი მოუსხდებიან კერას. სახლის-დიდი (უფალი) ჭერიდამ ჩამოიღებს წინა დღითვე დამზადებულს ერთ კონა ლარტას (ნაკაფ კაკლის ტოტებს), ყველას თითო-თითო ტოტს ჩამოურიგებს, ერთსაც თვითონ აიღებს და კერას შეუტყლაშუნებს. ლარტის ნორჩი კანი სიცხისაგან ერთბაშად დასკდება და ტკაცო-ტკუცს დაიწყებს. სახლის უფალი კი ამ დროს შესთხოვს ღმერთსა: „ღმერთო, გაგვაბრავლე ყველას-ფრით, გაგვაბედნიერე“. დანარჩენი სახლის წევრნი აგრეთვე „დაატყლაშუნებენ“ თავის ღერ ლარტას. ერთ ან ორ ლარტას (ტოტს) ისევ ჭერში შესდებენ... ამასობაში კიდეც გათენდება.

ახლა დაამზადებენ ხონჩას: დააწყობენ ზედ პურებს, ლავაშს, დასდგმენ ჯამით თაფლს, ერბოს, არაწით ღვინოს, ბამბის წითელს და თეთრს ძაფებსა და სახლის-დიდთან (უფალთან) ერთად წავლენ ვენახის საკვლევად. მივლენ და ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან დადგებიან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზს, მერმე ააგებს, ჭიგოების ჩარჭმის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაჰკლავს წითელ ფრთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოჰკლეჯავს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზედ მიაკრავს და თანაც იტყვის: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელს ღვინოსა“. თითო ლუკმა პურს ამოაწობენ თაფლსა და ერბოში, შემჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ. და შინ დაბრუნდებიან...

ბოსელს უკვლევენ ყმაწვილები. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ წინა დღესვე გამოაცხობენ ხოლმე საკლავ პურებს: სახლის უფლისათვის — წალდსა, ვაჟთათვის — ღულებსა (ნამგალი), ქალებისათვის — ჯარებსა, შესაბამე პირუტყვთათვის კოკოებს (კვერებს), აგრეთვე ერთ კოკოსაც სირთათვის. ვენახიდან რომ დაბრუნდებიან, ყველა თავის პურს აიღებს და დანაყრდება. სართა კვერს შეაგდებენ უინაზედ (ბალკონი სახლის მეორე სართულისა) და პირუტყვებისას კი, როგორც ვსთქვით, ყმაწვილები მიიტანენ ბოსელში, ყველა პირუტყვს თავ-თავის კვერს ჯერ რქებზე წამოაცმენ და მერმე გასტეხენ და შეაჭმევენ, თანაც მიეაღერებინ: „იცოცხლე დიდხანსო“.

ახალ-წლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვენსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოულიან გარეშე მკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისაგან დაუნაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მინამ მკვლე არ ეწვევათ, სხვა ვისმეს არ მიიღებენ სახლში. მკვლე რაწამს მოვა, ჩამოიღებს ჭერიდგან ზემორე ხსენებულს ლარტას, შეუტყლაშუნებს ცეცხლში და ოჯახისათვის ისურვებს კარგ მოსავალსა, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

პატარა სადილობისას (საუზმის დროა) გაიმართება პურობა, ლხინი და სიმღერა. მღერიან თათრულად. ქართული სიმღერა, როგორც ვთქვით, მაჰმადიანთა მფლობელობის დროს სრულიად აღმოფხვრილა. აქ გავრცელებულია უფრო ქოროლლის სიმღერები. მღერიან ოთხ-ხუთ სიმიან ჩონგურზედ.

2. დ ი ღ ს ა ყ დ ა რ თ ბ ა ს ვ ლ ა. უდიდესი დღესასწაული ქურმუხის საყდრის დღეობაა — 10 გიორგობისთვე. თვითონ ქურმუხის საყდარიც, როგორც ზემო ითქვა, წმ. გიორგის საყდარია. მას იხსენიებს ბატონიშვილი თეიმურაზი 366 წმ. გიორგთა შორის. დღეობისთვის დიდის ამბით ემზადებიან. ყველა თავის საღმთო მოვალეობად სთვლის, არ გამოაკლდეს დღეობას; არ იქნება არ დაუნთოს ქვეყნის პატრონს წმ. გიორგის სანთელი, არ დაუკლას საღმთო. ყველა იქით მიეშურება ურმით, ცხენებით, მთელის სახლობით, საღმთოებით. იყრება ჯარი ხალხი ყველა სოფლებიდან. საყდარი ფერდობის წვერზეა. შარა გზიდან, საცა ფართო ველობაა, საყდრამდის ვიწრო ბილიკია, რომელიც ამ ბოლოს დროს საკმაოდ გააგანიერეს ოთარაშვილებმა იასემ და მისმა ძმა სეიტალიამ. ურმებს ველობაზე მთის ძირში სტოვებენ, თვითონ ადიან მაღლა საღმთოებით, მოწიწებით ლოცულობენ, საღმთოებს საყდრის წინ ქოჩორს უტრუსვენ (მღვდელი ლოცავს და ანთებულ სანთლით უტრუსავს), მერე ბრუნდებიან და ძირს ბინაზე (ველობაზე) საღმთოებს ჰკლავენ, იქვე ქურმუხიდან ჩამონადენს ანკარა ხევში რეცხვენ, მის წყლითვე ხარშვენ. მალე იმართება დიდებული შექცევა, ჭამა-სმა, მხიარულება, ერთ-ერთის მიწვევ-მოწვევა, დალოცვა, დაკვრა, მღერა. დალაგებულ

მლოცავთა ჭერება საამურია, დიდებული: ურმები წყება-წყებად, ხალხი გროვა-გროვად, ჯგუფად. იქ პატარძლები, აქ გასათხოვარი ქალები, ახალგაზრდა ჭაბუკნი, მოხუცნი, ხარ-კამენ-ცხენები. და სხვ. ისმის საერთო გუგუნი, ზრიალი. ბოლოს იმართება ცხენთა ჭენება. თქრიალი და ხალხიც იფანტება, მიდი-მოდის თავთავიანთსა. ამას ჰქვიან დიდ საყდარზე გასლვად.

3. ა ღ ღ ბ ო მ ა. ამ დღესასწაულისათვის ინგილოები ვნების პარასკევიდამვე ემზადებიან. ამ დღეს წითელ კვერცხებით და სამარხო საჭმელ-სასმელით (მხოლოდ მამაკაცები) გადიან სასაფლაოზე, ასწორებენ ახლად განსვენებულთა საფლავებს; ერთად, ძმურად იხსენიებენ მკვდრების სულს, მერე ბურთაობენ და სადამოს ჟამს შინ ბრუნდებიან. შედებილ კვერცხებს ინახვენ აღდგომისათვის. აღდგომის დღეს, მამლის ყივილისას, მთელი სახლობა იღვიძებს და პირს იხსნილებს ღორის ხორციით. გაღვჭვენ ერთს ნამცეცს ღორის ხორცს, გამოაფურთხებენ და თანაც იტყვიან უკვე ცნობილს: „ლეკო, დაგკე!“; ამ სიტყვებს აღდგომის შემდეგ იმეორებენ, მაშინაც, როდესაც პირველად დაინახვენ ლეკსა ანუ მაჰმადიანს სასოგადოდ.

დილით ყველა სახლის-წულნი იმოსებიან ახალ ტანისამოსით, თავს ერთად იყრიან და სახლის აღმოსავლეთ კუთხეში ანთებენ სანთლებს. იქვე დგას დიდი ხონჩა, რომელზედაც აწყვია სხვა და სხვა სახსნილო საჭმელები. იქ შევედრებიან ღმერთსა და ქურმუხის საყდარს ამ სიტყვებით: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, გახსნილებას (აღდგომას) მუდამ დოგასწარ“ (დაგვასწარიო).

შემდეგ პირის გახსნილებისა, ჰკლავენ „სამხტოს“: ყოჩს, ბატკანს, ან მამალ-ვარიას (წვრილ-ფეხა მამლებსა და სადედლე ვარიებს). მერე სხვა და სხვა საჭმელებს დაალაგებენ ხონჩაზე და მიდიან საგვარეულო საყდრებზე სალოცავად. ეს საყდრები მაღალ ხეების ჯგუფია. ხშირად აქ სრულიად აღარც კი ეტყობა კვალი ძველის შენობისა. ხეების ქვეშ სადმე დევს ქვა (ფშავ-ხევსურების ნიშის მზგავსი); მახედ დაანთებენ სანთლებს, აკმევენ საკმეველს და შევედრებიან ღმერთს მხურვალედ. შემდეგ ამ საყდრებს დაუკლავენ სამხტოებს, ერთად ისამხრებენ ნათესავები (გვარეულობა) და თავიანთ სახლებში წავლენ. სადილობის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთმანეთს ულო-

ცავენ აღდგომას. „ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად!“ აქ არ იცინა, მის მაგიერ ერთურთს ეგებებიან ამ სიტყვებით:


— მოგილოცავ გახსნილებას!

— მეც შენ მოგილოცავ. ღმერთმა მრავალ გახსნილებას დაგასწროს, ცოლ-შულ გიცოცხლას.

1849 წლიდან ქრისტიანობა რომ მიიღეს ინგილოებმა, მაინც თავისი აღდგომის ღმერთის წესები არ დაივიწყეს. ეხლაც მაჰამადიანად დაშთენილი ინგილოები შიგა-და-შიგ ასრულებენ ხსენებულ წესებს. ქრისტიანი ინგილოები, თუმცა ეკლესიებში სალოცავად ბეჯითად დაიარებიან, მაგრამ ძველ წესებსაც წმინდად ასრულებენ.

4. ბ ა შ რ ბ. წინად, როგორც უკვე ვთქვით, დიდ-დიდი ოჯახები იცოდნენ, ხოლო ბოლო დროს გაყრა გახშირდა, დიდი ოჯახები დაქუცმაცდა, დაწვრილდა. წინად როგორ შეიძლებოდა, რომ შვილი მამის სიცოცხლეშივე გაყრილიყო, მაგრამ ეხლა ამის მაგალითები მრავალია.

გაყრა-განაწილების მსურველი იწვევს სოფელში პატიოსნებით წარჩინებულ კაცებს, ერთს, ორს ან სამს. ეს კაცები ყოველივეს უწილადებენ, რაც იმას ერგება. პური და ღვინო სულსედ იყოფება. თუ რომელიმე დედაკაცი ორსულად არის, იმას, ორი წილი ერგება. საქონელი, ჭურჭელი, მამული ძმახედ იყოფება. თუ სახლში ერთ ძმისწულს ქალი შეადგენს, იმას ფულს გაუღებენ, ფულით დააკმაყოფილებენ. უძრავი დამ კი წილი არ ერგება. აგრეთვე ქვრივსაც ფულს აძლევენ. დასაქორწინებელ ანუ უცოლო ძმას, გარდა წილისა, 200 – 300 მანათი „საქორწინო“ უნდა გაუღონ. დედ-მამას უძრავი დამ წილს არ გაუღებენ, ისინი რომელსამე შვილთან უნდა დასახლდნენ. დიდი სახლი უმცროსი ძმისაა. სხვა ძმებისათვის კი საერთოდ უნდა ააშენონ სახლი, ან გაყრის დროს ცალკე ფასი გაუღონ. საწოლი არ იყოფება. ყველა ძმის ცოლის მოტანილი ან გაკეთებული ფართალი (საწოლი) არის საკუთრება იმით, თუ რომელისამე ძმის ცოლს ჰყვანდა საკუთარი ძროხა ან ფურ-გამეჩი, გასესხებული ფული და სხვ. ისიც მისია. არ გაიყოფება. დედ-მამის წილი ჭურჭელი, მათი საწველი, იარაღი და სხ. სიკვდილის ღმერთს რჩება იმ ძმას, რომელმაც დამარხა ივინი.



## VI

### ინგილოური ზღაპრები და თქმულობანი

(ზოგი ადგილობრივს კილიოს. ამ და წინა (მე-V-ე) თავის ნაწერებაში გვშეუვლოდნენ განსვ. ვაცა ოთარაშვილი და თოხანა ჯანაშვილიცა).

#### 1. კოსალა და მელაღ

კოსალას მადალ ხეზე ერ<sup>1)</sup> ბუდეა. გაუკეთები<sup>2)</sup> (=გოუკეთები). შიგ სამ კერცხ დაუდები<sup>3)</sup>, სამ ბაკალაა გამოუყონი<sup>4)</sup>.

კოსალას ჰუფიქრი (=ჰუფიქირნი): გავზდი, დავაფრენ, გომხარებავ. ამმა (=მაგრამ) იმიზეთ (=იმისთუნ) სიხარულ არ დაწერულ ყოფილ.

ერ მელავს კოსალა ბუდე ხეზე დაუნახი (=დოუნახი), ხი ზირში მოსულ, კოსალაბეთი დაუნახნი (=დოუნახნი):

— კოსალა, აა კოსალა?

— რაჲსა!<sup>5)</sup>

— ერ ბაკალაა მამ?

— რაბეთ (=რაბსთუნ) ჰუმ მოგცე, არ მოგცემ!

— მაშ არ მამცემა?

— აარ!

— მაშ კაჲს<sup>6)</sup>, შენ არ იცი, მე ცულ მაქ, ეროჲ მაქ, ცუნ-

<sup>1)</sup> ერთი.

<sup>2)</sup> გაუკეთებია.

<sup>3)</sup> დაუდვია.

<sup>4)</sup> გამოუყვანია.

<sup>5)</sup> (=ხვეს.: რაჲს (=რა არს?).

<sup>6)</sup> =ხვეს.: კაჲს (=კაჲ არს, კარგია).

ცურიკ მაქ, წალდიც მაქ; ხის შიტოებსაც გადმოვკაფავ, ხესაც მოვჭრი, ხი ზუურკსაც მოვთხრი, უმუაგდებ, შენც შეგჭამ, შენ შულებსაც!

ეემ სიტყვებე კოსალაა დიად დაღონებულ, დანაღვლიანებულ, დიად ჰუწუხნი. რააღა ჰუმ<sup>1)</sup> ექნა. აჭლი, ერ ბაკალაა მელააბე (=მელააესთუნ) ჩამოუგდი.

მელაა მუცლი ტკივილიც ეეს ყოფილ. დოუვლი (=დაუვლი) ბაკლიბეა ყბაა, აუყონი, წაჰყონი ბრულებში, შეუჭამი, მემდან კიდემ მოსულ, ამ სიტყვებითავ დოუზახხნი, მოჭტყუები, მეორე (=მეერე) ბაკალაა ც გომოურთომ, წაჭყონი; ჰჭჭამი, მემდან<sup>2)</sup> მესამე ბაკლიბეთაც (ბაკლისთუნ) დაბრუნებულ, კიდემ კოსალაა მოტყუებაა ნდომი. უჭკო კოსალაა ეხლა კი თავში ჩავარდნილ. ჭკოზე მოსულ, ზეათი მელააბე ჩომოუზახხნი:

— ტყუეხარ, მელა! შუღს კი არ, ქუვასაც არ მოგცემ. აასიც. გეყოფ, რუმ მამატყუე, ოორ შულ წამართ, წააყონ ბრულებში, გომოჰხარ, შემიჭამ (ავღუა იქნეს შენ ნაჭამ, ხაშკალამ იქნეს, ზმრად, შხამად გექცეს!) შენ არც ცულ გაქ, არც ეჩოა გაქ, არც წაღღ გაქ, არც სატეხ გაქ, არც ჩორკ გაქ, არააფერიც არ გაქ. ვერც ხეს მოშჭრი, ვერც დაჰკაფავ. წაა, დააქარგ!  
— შენ მინ<sup>3)</sup> გითხრა, მე არააფერ არ მაქავ? არც ცულ, არც ჩორკ, არც წაღღ, ერ რაამიც არ მაქავ?

— ყოვმა მითხრა, ყოვ წირინამ,

ნუგზი ზირამ, წინკერენამ.

— მაშ ყოვმა გითხრა.

— ჰოვ, ყოვმა მითხრა.

— მაშ კაას! მელაა წასულ, ერ ნაკვნავში დაწოლილ, თავი თავ-კდარვი ჰუნჩენები. პაშტა ხან აამაგრ ყოფილ.

ყოვსაც აამ ნაკვნავში ტრიალ ჰყვარები. მოსულ, ჰუნახი — მელაა მამკდარ; აქათიანი დოჭოთორიალები<sup>4)</sup>, იქითიანი: ცოცხალ ჰუმ არაავ<sup>5)</sup>. ჰუნახი — კდარი. მელაა კუდთან, გადამხტარ, ერ ჩაუკენკი (=ჩაუქეხი), მასკან კენკი-კენკი, კჭხი-კჭხი, ქუშუაჰა-


1) რაღა ქვე ექმნა.

2) მემრელა.



3) =მეგრ.: მინ (=ვინ).

4) დაუთვალეიერებია.



5) =ცოცხალი ხო არააო.




I



II



III



ქუშუპა მელაა ყბამდინ გაეწევი; ერთ ჰუმ ჩაუყეხია, მელას ჰამფავ ჰუქნია, ყბაი გაუხომ, ყოვ დაუჭერი. მემოან ჰუკითხნი.

— ჰუმ ყროლ ყოვო, შენ ეყავ კოსალაბე თქმული: — მელას ცულ არ აქავ, ჩორკ არ აქავ, წალდ არ აქავ? ეებლა დედექ, შენ რას გიყება?

— ამან, მელა, ჟან მელა, ჰუც (=ვიც), შემჭამ. ერ ქქყანაში ხაზნი ადგილ ვიც. მოა, აა ადგილიც დაგასწავლო, მემდან რამც გინ (=გინდ), აას მიყავ.

მელას დიად გაჰხარები. ყოვ გაჭმუ (=გოჭმუ), ჰუთქომ: ჰაბა, ჰერ, წაჭდეთა?

ყოვ გაჰზლოლი, მელაა ც გაჰყოლი.

ყოვს მელაა ჰუტარები, ჰუტარები, ამთონ ჰუტარები, რუმ (=ჰუმ) ერ ფინ ზაღლებიან კაცისა წაუყონი.

კერკლებთან ჰუმ მისულანა, ყოვს დაჭჩხავლნი:

— ყა! ყა! ყა!

ყოვი ეხმაზე ზაღლებ გამოჰცუვნიან, მელაა მოხეტულ, გადახორწნაა ნდომები; ზაღლებ გამოჰკიდებიან, მალე აულიაყ, დაუჭერიაყ, ბრული ზირზე ორდობეში წაუქცევიაყ, დაუგლვიეყ.

ყოვ კი გაფრენულ, შუღობით წასულ.

ემშაკ ქურდ მელააბე ემგე საქმეა ქნილ!

## 2. ბერ გელ

ერ ბერ გელ ყოფილ.

წაულ. ერ ყონ დახტომი.

— გამარყობა!

— გაგიმარყოს! ხეარ იქნეს. რააბე მოსულხარა?

— შენ შესაჭმელა!

— ექ დედექ, ააქათყენ წავალ, ცოტა საქმეა მაქ, გავაკეთებ, მემდან გამოარბენავ, მუალ, შემჭამ.

— კაას, წაა?

— ყონ უკან-უკან (უკანაყ-უკანაყ) წასულ, წასულ, მემდან ნაგახტან გომორბენულ, აგე აპყყნტები, აგე ჰუგრეში, რომ ბერ გულბრული ზირზე გადაკუნტულებულ, გაგორებულ. ყონ თუთან კი გადახორწნილ.

ბერ გელ ზლივ ამდგარ, გასწორებულ.

ამდგარ, კიდემ წასულ.

წასულ ბერ-ცოტაა, ერ კუც დახტომი.



— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! რა გინდა, რაღებე მოსულხარა?

— შენ შეკმელა!

— დიად კაა ფეყებში ნალებ მაქ. ჟერ ე ნალებ გამმილ<sup>1)</sup>,  
მემლან შემჭამ.

გელს ნალები აყრევენებაა. გომოდება დაუწუნ. სამ ნალ გომოელი, მეოთხე გომოდებაში კუცს გელიბეა აგე<sup>2)</sup> წიხლ ჰუკრავ, რუმ კილებ ჩაუყრევენები, თუთანაც ააქავ წაუქცევი. კუც კი მოხეტულ, გადახორწნილ.

ბერ გელ ზლიე ამდგარ, გასწორებულ.

ამდგარ, წასულ. ახლა ჰურ (= ვირ) შომოჰყრი.

— გამარჯობა, ჰურო!

გაგიმარჯოს, გელო! რა გინდა, რაღებე მოსულხარა?

— შენ შესაჭმელა!

— რაღა ჰუმ ქნო. ჰუც, შემჭამ. შეკმამდინ ნებაა მამ სამყერ დოყროყინო, ამ ღუნის გომოვეთხოვო.

— დაყროყინ, შენ ნათქომ ეყოს.

— ვირს (= ჰურს) ერთხელ რუმ დაყროყინნია, გერც ყოფ<sup>3)</sup> სოფლი ზაღლებს ყურებ დოჭეკქეტიყ. მეორე დაყროყინებაში ჰური გმაა კარგა გაურჩევიყ. მესამე დაყროყინებაში ზაღლებ გომორბენულან. გელს გამოჰკდომიან, შემორტყმიან, წაუქცევიყ, ჰურემიყ, გაუფლეთიყ.

### 3. კატაღ ღა ლომ (= ასლან)

მესაგნავეს კატაღ წაუყონი, საგნავზე წასულ.

კატას იქ ნაგნავი და ტყი პირებზე ჰუტრიალნი, ჰუნადირნი, ჩიტებ, თაგებ რამ ჰუჭერი. ნაგახტან ტყი წარაფიდგან და პრულები შიგაითი ასლან გამოვარდნილ (= გემუარდნილ).

— ხოშკელდი, ზმაო!

1) გამომიღე.

2) აგეთი.

3) ახლოს მყოფი.

- გაგიმარჟოს!
- როგო ხარა, კაა ხარა?
- მადლობაა ღმერთს! როგო ჰუმ ვეყო, ვარ ჩემთუნ, ვცხოვრობ, როგორც შეეფერებ ჩემისთანა კატა-მატას.
- მიკურს, მე მიმგაეხარ, ბილებ, წყურებ, სახეა ჩემ გაქ, ამა რააბე ჰემაგრ პატრაა დარჩომილ ხარა?
- ჩემ ბატონ რუმ გეცნა, გაიგებდი, რააბეთაც ემაგრ დაბალ ვარ!
- მინაა შენ ბატონ, ჟავრ ომოფარო?
- ჩემ ბატონ – კაცი.
- ვერ მაჩენება?
- რააღსთუნ ვერ გაჩენება, გაჩენებ.
- სა არისა?
- ოგი<sup>1)</sup> (= ოვგი)!
- ასლან კაცთან წასულ.
- გამარჟობა!
- გაგიმარჟოს! სააფთი მოჰდი?
- ჰემანდ ტყეში ჰყევე (= ვეყევე), თქენ ემაა მამივდა, გუმშუელ, მშუელ, ე ჩემ ბიზიშულ დამიხტო, ექ შენთან მამიყონა.
- ბედნიერ იქნეს შენ მოსულაა, კაა იქნეს!
- მადლობაა ღმერთს, ჩემ ფეყ კარგა მოუტიდების შენ საქმეს. მე გემეგო, კაც ფანკაცა რაამიავ, დიდ ღონეა აქავ, შენ კოთოლში პატრაა მქჩენებ, ღონეა ც პიწწაა ჰუმ გქონდეს!
- დოაბასოთ, აამაშინ ნოხავთ, მენ და შენში მინ ღონიერი, მინ ზალიანი!
- კაას, ჩემ ნანდომიც ჰეგ ეყო.
- ამა ჩემ ღონეა შინ დამრჩომი, ექ დედექ, შინ წაჟდე, ღონეა მოატანო, აამაშინ დოაჭიდნოთ.
- კაას, წაა.
- ჰემაგრ არ იქნებ; ჩემ მოსულამდინ ჩემ შიშით შენ გადაახორწებ<sup>2)</sup>, ჟერ გამშუმ ექ ხეზე დაგამბოა!
- არ გოდოიხორწებ!
- მეროვ<sup>3)</sup>, ჟანის ჟანი, იქნებ მაახეტო, მემლან რააჰუმ კნო?
- თუ ჰემაგე ფიქრი გაქ, მაშ დამაბ!

1) = ავე, ანგე.

2) გარდაიხვეწები.

3) რა ვიცი, რა ვრქუა.

კაცმა ასლან ხეზე მაგრად მიაკრა საბლით, მემლან საკრემ ადლა, გაახივა და გაახივა ასლანს, აგე ჟეკა, თავ-პირში, თო-ლებში ამთონ ტეპა, რუმ ასლან აქავ წაქცა. კაცმა დამბულ ნადირ გაუშო.

პაშტა ხანს ნადირები კემწიფე უგონო ეგდო, რუმ მახე-და და მობრუნდა, წამაფივა, კატას შექხედა, ამადოკრა, ამადჯნე-შა, ციცოჲ კი იყდა თავისთუნ, მრპა-მრპს იზახდა. ასლანმა კატას ჰუთხრა:

— ზმაო, შენ ბატონ მართლაც ღონიერ ყოფილ. მაგი კელში შენწორიც ვერ გოაზდებოდი!

— მაშ როგო გეგონა, კაც ჰემგე რადმი ჰიგი! ღონეზედ მეტ ჭკოჲ აქ, მოგერეებაჲ აქ.

— მოგერეებაზე მეტ მოტყუებაჲ ცოდნი, უნამუსოჲ ყოფილ! ამასთან რად დამაყენებსა! შუდობით!

ეს თქო ასლანმა, წამოხტა, ტყეში შეჰვარდა.

ციცოჲ კი ამმაგრავ იყდა, მარჟენა ფეყით ბილებს ისწორებდა, თავისთუნ ლილის უკრავდა.

ს ხ ( ) ო ქ მ ო ო): ნაფნავში მოჭრილ ხეჲ ეგდო. კაცმა ჰუთხრა ასლანს: მე ჩემ ღონეთი ემ ხეს გოვხეთქავავ. დაჰკრა ცულ, სოლ ჩაჭგდა, კიდემ დაჰკრა, ხეჲ შუამდინ გაფხრიწა. ასლანს ჰუთხრა: ჰაბა ახლა დანარჩომ შენ გახეთქივ. ასლანმა თითებ ნა-ხეთქში ჩაყოფა. კაცმა სოლს ომოჰკრა, ამადგდა. მემლან საკრემ ადლა, უშხივლა, ამთონ ჟეკა, რუმ ასლან იხეწებოდა: გამუშ, ჩემზე ღონიერ ყოფილ ხარავ. კაცმა შეიბრაღა. გაუშო.

#### 4. ქ ა ჩ ა ლ

ეყო<sup>1)</sup> ერ ქაჩალ ჟეილ კაც. აგე ქაჩალ, წურუან, ჭიპლიან, კერკლიან, რუმ თელ სოფელში დასცინოდნენ და კეკრუხს ეზა-ხდნენ (კეკრუხს ჩონში იმგე კაცს უზახიან, რემენსაც (ჰემენსაც) სიქაჩლით თავზე აღარც ერთ ბეწ აღარ დარჩომი, სიქაჩლით გაცრილ, გაქუცულ). ემისთანა კეკრუხმა კემწიფი ქალ თხოვნად მაინდომა.

<sup>1)</sup> იყო.

აღლა პაგუბაჲ, პურებ შიგ ჩაღლაგა, კარზე გადაადლო, კელში ეოხ დაჲჭირა, წაჲღა.

ეტარა ბევრ-ცოტაჲ, ერ მინდორში ნახა, კაც ცნავს, ჭიმებს აბრუნებს, კელში იღებს, ყბაში იღებს, თქამს, კიდემ ამბოვს: „ვაჲ, შიმშილი (= შიმშილით) მოკედ!“

— გამარუობაჲ!

— აჲ გაგიმარუოს! სა მიჰდიხარა?

— მიკდ კემწიფესთან, საქმეჲ მაქ.

— მეც შენთან წამიყონ?

— წაგიყონავ კი არა, ზმად გაგიხდი. მოჲ წაჲღეთ!

— ჰერ!¹)

ორივ წასულან.

წასულან, წასულან, ერ კაც დახტომიყ. იმ კაცს კელებზე, ფეჲებზე წუცქაქულუ (ცუცქაქული) ქუებ აცმულ ჰქონი, ბრულებში პაურბენი ყურდღელ დასაჭერელა (= დააჭერელა).

— გამარუობა!

— გაგიმარუოსე! სა მიჰდიხართა?

— მივდივართ (= მივდუვართ) კემწიფი კარამდინ.

— მეც თქენთან წამიყონით!

— რაჲბეთ არ წაგიყონავთა, წაგიყონავთ. მო!

სამნივ წასულან, ტყეჲ, მინდორ გადაუვლუჲყ, ერ ღღელ დახტომიყ: საყდარ აჲკიდები, მოღის ცნუში-ცნუში.

— გამარუობა, ღღელო!

— გაგიმარუოსე, შულებო! სა მიჰდიხართა?

— კელმწიფესთან მივდუვართ.

— მეც ვამიყოლით.

— მოჲ!

ბევრ-ცოტაჲ ჰუელუჲყ, კემწიფი კარზე წასულან. ნაზირ-კეზირებს ჰუეთხნიყ:

— რაჲ გინდაყა, რაჲბე მოსულხართა, რაჲსა თქვენ გაჭირებაჲ?

ქაჩალ კეკრუხ წინ წამამდგარ, სალამ-ქალამ ჰუთქომ, მემდან კემწიფი ქალ მოჲუთხონი. კემწიფეჲ გაჲყავრები.

— შენ რაჲ ხარა, რუმ ქალ მოგცე?! დაჲკარგ!

¹ იარე.

— მაშ არ მამცემა?

— აარ, არ მოგცემ.

კეკრუხს ღღლიბეჲ ჰუჲაზირები:!) „ღღლო, აჲკიდ კემწიფი სახლი?“ (= ღღლო, კემწიფი სახლ აჲკიდი?).

ღღლს აუკიდნი სახლ კემწიფე-ღეღუფლიანა, იმათ შუღლებიანა, ნაზირ-ვეზირებიანა, მოჯამაგირე-სავეაზიროებიანა და გასღგომი გზას. ქაჩალ-კეკრუხ და იმი კაცებ უკან გაჲყოლიან.

ღერიად (= ზღუ) პირზე რუმ მისულანა, კეკრუხ ღაჲკითხები კემწიფეს:

— მაშ არ მაზღევ ქალსა?

კემწიფეს შაჲმინები, ჰუფიქრნი, ღერიადი ჩამაგღებსავ, ქალი მიცემა დაჲპირები. დაპირებაზე კეკრუხს გაჲხარები, ღღლიბეთ სახლ აუკიდები, უკანაჲყავ<sup>2)</sup> მოჲტანიანიები.

თავი ადგილზე კელმწიფეჲ რუმ მისულა, კეკრუხიბეჲ ჰუთქომ: „ქალს არ გაზღევ“. კეკრუხს უკანობლივ წაუღებინები. კემწიფეჲ შეჲხეწნები: „წინანღელ ადგილზე წამიღ, ქალს მოგცემაჲ“. რუმ მოჲღიაჲყე, კემწიფეს ჰუთქომ:

— აგე კაცებ მჲყავ, სირბილში მინამ ვერ ეწეგ. თუ შენ კაცებმა გაუღწრეს, ჩემ ქალ შენი<sup>3)</sup>.

— კაჲსავ, ჰუთქომ კეკრუხს და წუცქულუ ქუებიით გამრბენელ გომოჲყონი.

გარბენულან.

წუცქულუ ქუებიან აგე გარბენულ, რუმ კემწიფი კაცების კეგზე გაწევენამღინ იმას წყალიც მოუტანი.

— სირბილში შენ წინ ხარ, კეკრუხ ჰაბა ახლა პურ ჭამაში (= ჭმუაში) ნოხოთ მის კაც ბევრ შეჲჲჲამსა!

— კაჲს, ნოხოთ!

მოჲტანიად ორას-ორას ღაჲვაშ თითო კაციბეთ, ჭიმენ ჭამიას (= ჭმელს) თითო ღოკმაზე თითო ღაჲვაშ ერთა გაღაუყლაპი.

მეორეთაც კემწიფეჲ უკან ღარჩომიღ, იღღაჲჲ გაჲწყეტი, ქალ მიჲტი.

გახარებულ კეკრუხს კემწიფი ქალ მოჲყონი, კაჲ სახლ და-

1) უბრძანებია

2) = უკანაჲყე, უკანე.

3) შენია.

უდგამ, შიგ დასახლებულ, ავე ქორწილ ჰუქნი, რომ იქაურ ვაშკაცების თუნ გადაქსწრე, მისთანა ერ კაც აღარ გამოჩენულ იმ ჰანდევარში<sup>1)</sup>, კამ ბალი-მარცოლ შუღლებ გაჰჩენი და ტკბილა ჰუცხოვრიაყ.

## 5. წიკოებ ღა ბელ

ერ ქერაჲ ყოფილ, სამციკოჲ ჰყოლი (=ჰქონი). ანწლი ქოხ გაჰქეთები, შიგ წიკოებ დაჰყრი, თუთან ტყეში წასულ ბალახ მანზოვნელა, შუღლებიბემთ კი ჰუთქომ:

— შუღლებო, წავალ, ბალახს მოვზოვნი, დავბრუნდებ, ზუზუ-ებით ზეს მოგიტანყ, ქებით ბალახს, ჩემ მოსულინყა (= მოსულამდე) კარ მინამს არ გაჰლოთ.

ქერაჲ საზოვნელა წასულ.

წიკოებს ქოხი კარებ, ქენებ მაგრა დაუკლექიაყ, შიგ დამდგარან.

პიწწა<sup>2)</sup> ხან არ გასულ, რუ! გელ მოზუზუნებულ, ქერაჲ კმით წიკოებიბემთ დაუზახნი:

ანგულუმო, შან ულუმო, კარ გამილით, მენგულუმო!

ზუზუდთი ზეჲ მოგიტანყ ქებით ბალახ მოგიტანყ!

წიკოებს კმაჲ ვერ ჰჸცნჸაჲ კარ გაჰლიაყ.

გელ ქოხში შაკვარდნი, ერ წიკოებე ყბაჲ დაჰველი გამოსულ, წაჰყონი, გადაკარგულ.

დანარჩომ წიკოებს დიად შეჰმინებიაყ, კარ შიგნიითი მაგრა დაუკლექიაყ, ცოტა ხანს უკან იმათ დედაც დავბრუნებულ, შუღლები ზახნაჲ დაუწყჸ. ბევრ ჰუზახნი, კარ არ გაჰლიაყ, აგრ გონებიაყ, ესიც ჩონ დედაჲ არალის, გელიაყ.

საწყალ ქერის ამთონ ჰუზახნი, ჰუხენწნი, ჰუცოდინნი, რუმ წიკოებიბე-თ თავ ჰუცნობები, კარ გაჰლებინები.

ქერაჲ რუმ ქოხში შესულა, ბაკლებს შეუჩივლიაყ ტირილით:

— გელმა მოგატყუა (= მოგვატყუა), კარ გაჰლით, ჩონ ზმაჲ წაჲყონა-წაჰ.

<sup>1)</sup> მისადევარში.

<sup>2)</sup> პაწაწა, პაწია, პაწა.

დედას ავე შეებრალა შულ, რუმ თოლები ცრემლი კოლა<sup>1)</sup> წინწკლებ ვოდმოყარა. კარში გომოუდა, დააწყო ჩხავილ, ბლავილ, ბევრ ეზახა თავი დაკარგულ შულს, ამმა ემაჲ ვერ მიაწდუნა. დატრიალდა იმ ჰანდევარში და წყლი პირზე დაინახა თავი ტერ. წიკოჲ დეეკლიჲ, შეეჭამა, დაწოლილიყო, დეეზინა. მიეპარა, ავე ჰუგრუმ<sup>2)</sup>, რუმ წყალში ჰდგუნა ძალიდგან.

წყალმა წაძლო, ტალახში მოლურტა, ღურღურში ჩააგდა, დაახნო.

ფინოობაჲ ერ მინამს არ ააშენებს!

## 6. ლოყმან კაქიშ

ლოყმან ჰაქიმი დამჭერელ<sup>3)</sup> ჰაქიმ ქეყანახე არ ყოფილ. ლოყმანს რაც წამალ არის, სუ ცოდნი, არ ცოდნი მარტოჲ კაცი არ მიაკდომელ წამალ, ინსნი<sup>4)</sup> გააცოცხლებელ წამალ. ემგე წამალ კი გელეზი გემწიფეჲ თაში (=თახე) დიად ბევრ ყოფილ. წამალ გელეზს ჰუცავეყ. წამლიბეჲ წასულ კაც ერთიც ცოცხალ აღარ დაბრუნებულ.

ლოყმანს ემ წამლი გომოტანაჲც მოუნდომნი. აძგარ, წასულ, გელი გემწიფი თაში გასულ, წამალ ბალახებ ბევრ დაჰკრეფი, ქალმებში ჩაჰყრი, ფეყზე ჩაუცომ, დაბრუნებულ. ეზაში გელეზ დახტომი.

— ლოყმან, ექ რა აკეთებდი? ჰუკითხნიყ.

— არაჲფერს, სანადიროთ ჰეყავ<sup>5)</sup>, ერ რაჲმ ვერ მოვკალ, ეხლა შინ ცარიელ მივდივარ.

— შენ სანადიროთ არ ყოფილხარ, წამალ დაგიკრეფი!

— არ დამიკრეფი!

გელეზს დაუჩხრეკიყ იმი ეუბებე, უბეჲ, არხოლოო. ჩოყაჲ წამალ-ბალახ კი ვერ ჰუპოვნიყ.

1) = კვალად, მაგოურ.

2) ურქინა.

3) თანატარი.

4) აღამიანის.

5) ვიყავი.

ლოყმან შინ მოსულ, ბაღახებ დაუნაყი, წყალში აურევი, ოორ შუშაში ჩაუსხამ: ერთში კაც მამკლქელ, მეორეში კაც გამცოცხლებელ.

ბევრ კაც ლოყმანს სუქულოზგან დაუხსნი. უკანისხან<sup>1)</sup> თუთანაც ავად გამკდარ. თავი დედაკაციბეჲ პუთქომ:

— ჩემ მბაკდომელ დროზე ეემ მარყენა შუში წამალ დამალე-ვინივ.

კაცი სელ დაღევი საათში დედაკაცს შეცდომით იმერ შუში წამალ დაულევენები, ამმა მოჰგონები, აული, ახლა მარყენა შუშაფთი დაულევენები. ორივ წამალ ჰუმ დაულევენებია, წამლებ შეჭიდებელან, წოორ გომოჩენულან, ამისთუნ ლოყმან ამბაგრავ დარჩოძილ, აღარც კაჲ ქნილ<sup>2)</sup>, აღარც მამკდარ.

ეხლაც ლოყმან ჰაქიმ ცოცხალიავ, ამბოვენ.

## 7. დედინაცოლ და ქალბ

ერ კაცმა მეორე დედაკაც (= ცოლ) მბაყონა. წინანდელ ცოლიზგან სამ ქალ ყოიდა (= ჰქონდა), მეორიზგან ერთ.

დედინაცოლმა გერ ქალებ მბაზულა, შეფაყერა, მალმალ თავი კაცს ებნებოდა:

— შენ ქალებ ფინთნი, სახლში ერ რამე აღარ დააგდეს, ქონს, წელას იპარენ, შჭამენ. ჰეეგენ მამაშორ, სადაც გინ, აქ წაყონ, მე ჰემვათთან ცხოვრებაჲ აღარ შემიზლიან.

ქალებ კაჲ ეყნენ, დედინაცოლ კი ემგე ფინთ, განარებულ რამე ეყო!

ერ დღეს მამაჲ ზროხი ნაბათით მოვდა. ქალებს ჰუთხრაყ — ქალმებ გამგადითავ. დიდ ქალმა არ გაჰჯადა, შუალმაც არ გაჰჯადა, ჰატარამ კი გაჰჯადა.

რუმ ვდიდაჲ, მამას ტოლახით ერთ წითელ ვაშლ გადმოჰვარდა.

ბტარა ქალ დასწდო, ადღა. იჰო! როგო ლამაზ ვაშლიავ, თქო.

ის ქალებიც მამას შეეხეწნენ:

— „უჲნ, მამა, ამან, მამა, ვაშლ ჩონც მოგუტანო“!

<sup>1)</sup> უკანისხანს, ბოლოს, უკანასკნელად.

<sup>2)</sup> „კაჲ ქნილ“ მორჩენილი.



მამამ პუოხრაყ:

— ხუვალ მაჟყევითა! ტყეში ერ ვაშლ არის, ბევრ ასხი, დავაქანებ, თქენ აკრიფით.

შეორე დღეს მამას გაჰყენენ.

ვაშლ ქემ ღრიმე ორმოჲ ეყო. იმ ორმოზე მამამ ხალიჩაი დააგა, მეძღან ვაშლ დააქანა.

ვაშლ ქემ ჩამოცუწვდაა, ქალებ ხალიჩაზე გადახტნენ, ორმოში ჩაცუწვდნენ.

მამაჲ შინ დაბრუნდა.

ორმოში დარჩომილ ქალებს შეეშინდათ. ჰომობდნენ ომოსულიყენ; ვერ მათკერკეს, აერ ომოვიდნენ.

პატრა დას ერ საგულავ-დანაჲ ჰქონდა ყიბეში. ემ დანათი ფეყ დაადგმელ კრელემ გამოჩიჩქნა, გამოხრუტა. ემაგრ ჩიჩქნი-ჩიჩქნი, კრეტი-კრეტი ზლივ ომოვდნენ.

რუმ ომოვდნენ, დუნიაჲ დაათორიაღეს. ნახეს ერ ადგილით კომლ ომოდის. კომლს მიატანეს, წაუდნენ. ერ კაჲ სახლ ნახეს. შიგ შევდნენ, დაძმაღნენ. საღმოზე ნახეს, ერ არღევაჲ მოღის.

შომოვდა არღევაჲ, ცეცხლა-პირში დაჟდა, თქო:

კაცი სულ მამღის! ეზება, მინამ!) ვერ იპოვნა. ფართალ?) დააგა, დაწო დასახინებლა. თქო: „გოღნაო, არ შემარცხუნო, თუარ დაგდაღავ“. თქო, თოღებ დახუჭა, დაძინა.

შუაღამში დიდ ქალ გომოვდა, ფქულ გაცრა, ცომ მოზიღა, არღევას წასცხო, თუთან კიდემ დაძმაღა.

არღევაჲ დიღლაზე ჰუმ გამაღღუზაა, ნახა, უკანა ტან გაჰსრუ, თქო: „მაშ კაჲს, ნახ როგო დაგდაღავა!“ თიანში ბევრ ქონ მაღღუღა. კარგა რუმ აღღუღა, აღგა გოღნაჲ შიგ ჩაყოფა. ემ დროს ქალებ გამოვდნენ, შამფურებ ღევს დააჭირეს, აღღუღებულ თიანში დამღღურეს.

ღევ დაწო, მოკღო. ქალებ სახლ-კარს დაჭუპატრონდნენ.

ემ ღევს ბევრ ღვეღეთ ქონდა: ბევრ თეთრ, ბევრ ცხორ, ბევრ საქონელ. ემთონ რაჲში პატრონ თუთან გაყდნენ.

1) ვინმე.

2) ლოგინი.

გაჭდა ექს-შუდ თჷმ, მამამ წაჭდა ქალები სახეობნელა. ამთონ ეხება, ამთონ ეტარა, რუმ შულქებ იპონა.

მამი ნახუამ ქალებს დიად გაჭხარდაყ. მამას კამ აჭამეს, კამ დაალევინეს, ერ გუდა თეთრიც აჭვიდეს, შინ გააცილეს. დედინაცოლს გუდით თეთრ მოტანამ გაუხარდა.

გაჭდა ორ-სამ წელ. მანადებ თეთრ გემეველივაყ. დედინაცოლ კაცს<sup>1)</sup> შეეხეწა:

— ამან, ჟან კაცო, ჩემ ქალიც ტყეში წაყონ, ერ გუდა თეთრს ესიც მოგუტანს.

კაცმან წაყონა, ერ ხი ზირზე დააგდა, თუთან შინ დაბრუნდა.

ღამი ტურამ გამოვდა, ქალთან მოვდა, იმი შეჭამამ ჰუნდოდა. ქალმა ჰუთხრა:

— ტურაო, დამეხსენ, მეზინზილებ (=მეზინების)!

ტურამ ყურ არ დაჭგდა, გერც-გერც ქალთან წაჭდა. ქალმა კილემ ჰუთხრა:

— ტურა, დამეხსენ, მეზინზილებ!

ტურამ არ შეიბრაღა, შეჭამამ, მარტოკა ზოლებ დააგდა. პაშტა ხანს უკან დედამ კაც გუდით თეთრ მათანელა გაგზავნა (=გაზგავნა). კაციც წაჭდა, ზოლებ გუღაში ჩაყარა, დაბრუნდა.

დედინაცოღმა რუმ ნახა კაც მოღისავ, გაუხარდა, დეეკითხა:

— რა მათქა?

— რინკ-მინკ! დაჭყურა შორითავ.

— რას ამბოვა, რა მათქა?

— რინკ-მინკ!

— მართღა ამბოვა?

— მართღა!

გუღამ გამათართო, დაჩხრიკა; მართღა შიგ გომოხრულ ზოლებ ეყარა...

ფინ დედინაცოღი ბოღოღ ემგეთი!

-----  
1) ქმარს.

ერ წარაბაკანამ ყოფილ. ეკალზე დამედარ, ეკალ ფეეში შერჭმი. აფრენულ, ერ ეზეში წასულ, ჰუნახი, ერ ბებერს ვარცლში ცომ მოქსელი, თორნემ გააჯურებელ ფიჩხ კი არ აქ. ბებრიბემ ჩიტს ჰუთქომ:

ამან, ჟან, ბებერო, ე ეკალ ფეევი გამმიდ, მადლი.

ბებერს მაშინავ გამოუღი. ჩიტ კიდემ შექხეწნები:

— ბებერო, შუდ თას უკან საქმეა მაქ, წავალ, საქმეს გოვაკეთებ (=გავაკეთებ), ჩემ მოსულინუა ეკალ შემინახ!

— კაახს, მაჲლ, შეგინახავ!

ეკალ მივცი<sup>1)</sup>, თუთან გაფრენულ, წასულ.

ბებერს აამ ეკლით თორნემ გაუჯურები, პურ დაუკრავ (=გომოვცხუ). ვარცლ შინ რუმ შეუტანი<sup>2)</sup>, წარაბაკანა-ჩიტიც დაბრუნებულ, ბებრიბემ ჰუთქომ:

— ჰაბა ახლა ჩემ ეკალ მამი?

— შენ ეკალ თორნეში დავწ წაჲ!

წარაბაკანამ გაუჯურებულ, ჰუთქომ:

— ჰე<sup>3)</sup> ეკალ მამ, ჰე ხუთ პურ მამ!

რაჲლა ჰუმ ექნა. ხუთ პურ აჲლი, ჩიტობემ მივცი.

ჩიტს აჲლი, წასულ. ერ მინდორში ჰუნახავ: ხუთ მეცხრეს პური კოლა<sup>4)</sup> ერ ბადია ზეში ცხრუ კორკალ ჩაჲყრიავ, შჭამენ. იმათთუნ დაუზახნი:

— ეჲ, ჰემგას არ შეჭამენ, ეემას შეჭამენ, აი! პურებ ჰუნჩნები, მემდან<sup>5)</sup> კიდემ ჰუთქომ:

— შუდ თას უკან საქმეა მაქ, პურებ შემინახით, ვისაქმებ, დავბრუნდებ, ამაშინ ერთა პურ ვჭომოთ.

— კაახს, მაჲლ, შოჲნახავთ.

პურებ მივცი, თუთან გაფრენულ. წასულ.

1) მიუცია.

2) შეუტანია.

3) ან.

4) მფიერ, კვალად.

5) პურები უჩვენებია, მემრელა.

იძი მოსულინა მეცხორეებს პურებ პუჭამიაც.

პურჭამუა — დახწვენასუკან წარაბაკანაჲ, მოსულ, პუკითხნი:

— პაბა ჩემ პურები?

— ვჭომით, წაჲ!)

— ჰე ჩემ ხუთ პურ მამეცით.

ჰე თქვენ ხუთ ყოჩ მამეცით?

აულიაც, ხუთ ყოჩ მიუციაყ. ჩიტს გომოურთომ, გაულალი, წასულ. ერ სოფელში მისულ. ჰუნახი ქორწილ გაუჩაღებიაყ, ამმა საკლავ არ აქოყ, საკლავი კოლა ზაღლებს კლენ. პუთქომ:

— სახლი პატრონო, ჰემგათ არ დაჰკლენ, ემათ დაჰკლენ, აი! შუღ თას უკან საქმეჲ მაქ, ე ყოჩებ შემინახ, პიწწახან საქმეს მუარჩენ, დავბრუნდებ, ყოჩებს წოფყონავ.

— კაჲს, მამყონ, შოჲნახავ.

ჩიტს ყოჩებ დაუყრი, გაფრენულ, წასულ. იძი მოსულინა ყოჩებ დაუკლავყ, ქორწილ გადაუკლდაყ. ჩიტ მოსულ, ყოჩებ მოუთხოვნი.

— დოეკალით წაჲდავ, პუთქომე.

— ჭემაგრ როგო იქნება! ჰე ჩემ ყოჩებ მამეცით, ჰე პატარხალ მამეცით!

რაჲლა ჰუმ ექნასე! გა (ჰჭირებიაყ თავ 2), პატარხალ მიჲციაყ. წარაბაკანას წაჲყონი, წასულ.

წასულ ერ წყლი პირზე მენონგურეჲ ჰუნახი. ჰუკრავს, აგე ჰუკრავს რემ სმენელს ატირებს. ჩონგურ მოჰწონები, პატარხალში გაჲცლჲ, ჩონგურ აული, წყალს იქითიან გადაფრენულ, ერ მალალ ხეზე დამყდარ, ჩონგურ დაჲკრავ, სიმღერეჲ მოჲყოლები, თე-ყანაჲც მაგრა-მაგრა ჩაუკრავ:

ეკალ მჲეც, პურ გუმუართ,

წინტლი, წინტ, წინ!

პურ მჲეც, ყოჩებ გუმუართ,

წინტლი, წინტ, წინ!

ყოჩ მჲეც, პატარხალ გუმუართ,

წინტლი, წინტ, წინ!

პატარხალში ჩონგურ გუმუართ

წინტლი, წინტ, წინ!

1) ეჭამეთ უკვე.

2) თავი გასჭირებიათ.

ეგ ქართულზე<sup>1</sup> ჩონგურ კელი დახწვენი, ზირს ჩუმუ-  
არდნილ, მიწახე დაპცემი ფახავ! გამტყროლ, ლოკმა-ლოკმა დაფ-  
რეწულ-დაკეწულ. წარაბაკანაჲ აგე შეწუხებულ, რუმ იმ ადგი-  
ლებში დარჩომაჲ აღარ მოუნდომი, აფრენულ, გადაკარგულ.

## 9. პარ რადმი<sup>2</sup> ენი ნაცოლნ კაც

ერ საწყალ დარიბ კაც, გზახე წასული დროს, ნახავს, რუმ  
ოთხ შაჟ (= შავ) გელს ერთ თეთრ გელ დაუჭკერიაყ, აწოლე-  
ბენ, კმენენ, იმი მოკლეუჲჲ ჰუნდაყ. კაცს ჰუფიქრნი:

— ე თეთრ გელ ჰოგო (= როგო) ლამაზ გელია, მაღაჲ<sup>3</sup>,  
ჰემგა შავ გელეზს გავაგდებინებაჲ! ერ ქევაჲ ჰუსროგნი, ერ შავ  
გელი კუდში მოუხედრები, კუდ ერ ტკეველზე მოუწყეტინები.  
შავ გელეზს შეჰშინებიაყ, გაცორებულან, ბრულებში ჰუდგენიაყ  
თავ. თეთრ გელ კი არ გადახორწნილ, მოსულ, კაცს შემოჰხევი,  
მისბეჲ დაჟყუები<sup>4</sup>, წინ გაჰზლოლი, წაჟყონი, წასულ.

გზახე გელს თავი დამსხნელ დაჟრიგები, ჰუთქომ:

— მე გელი კემწიფეჲ ქალ ვარ. ჩემ მამაჲ დიად დეველე-  
თიანი, ჩემ დახსნიბეჲ შენთუნ ბეკრ ხახნა მაცემელი, ამჲჲ შენ  
სხო რადმს ნუ ადლებ, ნუ გამაართომ, მოჰთხოვ, ერჲჲ<sup>5</sup> ყბაში ჩა-  
გაჟუბტას.

წასულან, წასულან, გელეზი კემწიფი კარს მიჰდგომიან. კაცს  
შეუხედნი, ჰუნახავ, ჩირადებ, სანთლებ ანთი, კიბის ორივე პირ-  
ზე დუდრუნ გელეზს გაწოლილ-გამხლართულან, კარს ჰუყარაულე-  
ბენ, საყარეველზე დგანან, სახლში შაასლელა მინამს<sup>6</sup> არ ჰუ-  
შებენ. თეთრ გელს კაციბეჲ ჰუთქომ:

— ნუ გეშნიან, მამყეჲ! თუთან წინ, კაც უკანით, შესულან,  
წასულან, ყარაულ გელეზს გზაჲ მივციაყ. ჰუვლჟაყ, ჰუვლჟაყ,

1) სიტყვაზე.

2) ყოველი რაჲჲს, ყველაფრის. პარ= მეგრ.: ირ.: პარ-ადგილს= ირ დიხას.

3) მოდი.

4) დაუყვავებია.

5) მხოლოდ.

6) ვისმეს.

ერ ლამაზ მოწყობილ ბუდრუგანაში შესულან. აქ გზელ ლო-  
გინზე ზროსვი სქელ გელ წოლილ. ე თეთრ გელი მამაჲ  
ყოფილ, გელქებისიც კემწიფეჲ. ქალიბეჲ ჰუკითხნი:

— სა ეყავი, ე მინ მოგიყონია?

— ემაგრ-ემაგრ<sup>1</sup>, მამაო, ეემ კაცმა სუკდულს დამახწიეჲ,  
შავ გელქებ კლაგდენენ (=მკლაგდენენ, ემამ გამაგდებინა).

— ნიშან რამდ ჰუმ არ დაადევით შენ მამკლელ გელს?

— ემ კაცმა ქუადთი ერ შავ გელს კუდ მააწყეტინა.

გელმწიფემ თავი დუდრუანებს<sup>2</sup> დაუზახაყ, ჰუვაზირაყ; რამც  
ქეყანაზე გელ ეყო, დეგრუებინაყ. მაშინავ ჰარამზე კაცებ გაგ-  
ზავენეს. ამათ ჰარ ადგილზე ჰარამ დაიზახეს:

— ჰარამ ჰაჲჲ! მოჲთ, მოგროვლით ჩონ გემწიფი კარზე, ღიად  
საჭირო საქმეჲ არის, ერ მინამ შინ არ დარჩეთ!

ერ წამში მოვდა, მოქუჩდა რაც სადამ<sup>3</sup> გელ ეყო, კუდ  
მოწყეტულ გელ კი დამძალა, არ გამოჩნდა.

გემწიფეჲ გამოვდა, დაათორიალა თელ ჯამათ, უკუდო გელ  
ვერ დამახა, თავი დუდრუანებს კიდემ ჰუვაზირაყ — ერ გელ  
არ მოსულ, ახსიც მაყონითავ.

დუდრუანებმა ქევებს<sup>4</sup> ჰუვაზირეს, ქევებმა ჩოვშებ<sup>5</sup>) გაზ-  
გავენეს (=გავზავენეს).

წაუდნენ, იპოვნეს, მაყონეს.

გემწიფემ თავი შულს ჰკითხა:

— ესია<sup>6</sup>

— ჰეგი.

კუდ მოწყეტულ გელ აქავ გააგლეყინაყ, მეძღან კაცს ჰუთხრა:

— აჲლ ე ხაზნაჲ, წაჲლ, შენბეჲ მამიცი!

— შენზგან მე ხაზნაჲ არ მინდ, ერჲა ყბაში ჩამაუუტ, ახსიც  
მეყოფ!

— ჰეგე შენბეჲ ემ არ გასაჩენელს ჰუსწავლები, თუარ შენ

1) ასრე და ასრე.

2) დიდებულებს.

3) სადამე, სადმე.

4) მამასახლისებს.

5) გზირები.

6) ეს არის?

სადთი გეცოდინებოდა ჰემგე რადმ! თუ გინდ ჩაგაუჭტებ, ამმა, პუც, შენ თავს ვეღარ შეენახავ, დადღუებ!

— არავშავს, ფანჩაო. შენ ერუა ჩამაუჭტი!

გემწიფემ ჩააუჭტა, მემდან გამააცილა, თქმითაც ჰუთხრა:

— ერ მინამს არ გაჩავო შენ თავზე მანასულ-მანაკლომ, თუარ მაშინავ მოჰკდებ!

გელი სახლით რუმ გომოვდაა, ნახა, რუმ რაც დუნიაზე რადმ არის, ამი ენაჲ იცის: გზის აქათიან ბალახებ ლაპარაკობენ, გზის იქითიან ხეებ, ბუთქებ ჩურჩულობენ, პეპელებს, ფუტკრებს, ჟინჭოლაებს, ბზიკებს, კალიებს, გოგაინებს მასლაათ დაუწყუაჲ, ზროხებ არეულან, ერთმანეთს ეხახიან, ბღავიან, ბოდრილობენ, როყინებენ, ცხენებ ხუხუნებენ, ფრინებელ ერთმანეთს ჰუმღერის. ჰუყვივის, კურკურაჲ კრ! კრ!-ს იხახის, კუჰკუჲ თავი კუჰკუ-ს მოჰყოლი, თუთაბალია<sup>1</sup> თუთა-ბალს აწევს, გაჰკივის: „თუთა-ბალია, მაღწიო!“, ყაჰყაჰ ყაჰყაჰაებს, ჰოჰოჰ ჰოჰოჰს აყოლებს, წყლებ მიდიან, ხუჯიან, არხებ ჩადარდნაში ჩადიან, წიკწიკობენ, ხმაურობენ, ხევში ქუებ ატრავუნებენ, ლაპარაკობენ, თევზებ წყლით ომოდინ, ჭიჭყინობენ. რაჲ ჰუმ მოვთოლო, ჰარ რადმ თავი ენაზე ლაპარაკობს, მასლაათობს, ზრახავს, ჰარ რადმი ნათქომ კაცს ესმის, ეყურებ.

ამთონ რადმი ლაპარაკმა კაც გააშტერა, შინ რუმ მოვდაა, დედაკაცს არაფერ არ ჰუთხრა.

გაუღა პაშტა ხან.

დედაკაცმა ერ დღეს ჰუთხრა — დედაანთსა გამაცილივ.

კუციან ცხენ, ჰემენიც მამბალ<sup>2</sup> ეყო, შეუკმანხა, ზედ შააჲდუნა, წინ-უკან ოორ წრულ შულუც შემოუჲდუნა. წაუღნენ.

გზაზე კურიკაჲ (=კუც) უკან დარჩა: გზი პირებზე კაჲ სამყურა ბალახ ეყო, ამმა ზოვნიდა, მოვგუანდა.

კაჲ მანხილ რუმ გააჩრესა, კურიკამ დახუხუნა: — ჰიჰი! ჰიჰი! დედას დაუხახა. ჭაკმაც აქაფთი გჰაჲ მისცა — გაუხუხუნა. ამ გახუხუნებაზე კაცს გეეცინა. დედაკაცმა ჰკითხა:

— რადბე გაეცინი, კაცო?

— ჩემ გაცინებას რადბე ჰკითხულობა, შენ შენ გზაზე გააჩრ!

<sup>1</sup>) შალაღური.

<sup>2</sup>) მაკე.

- ჟან, მითხარ!
- არ გეტყუ!
- გამაჩავ?
- არ გაგაჩიებ!
- რააბეთა?
- არ იქნებ, არ გამოდგებ!
- მაშ არ მებნები?
- აარ.

- თუ არ მეტყუა, შინავ დავბრუნდებ!
- დაჰბრუნდევ, არ გაგაჩიებ, არ გეტყუ.

დედაკაც გამწყრალ, ცხენ მოუტრიალები, შინავ დაბრუნებულ. კიდემ ბევრ შეჰხეწნები, ამმა კაცს ყურ არ ჰუგდი, არ გაუჩიქნი. დედაკაცს ჰუთქომ:

— თუ არ მეტყუა, გეგეყრებ, შენთან აღარ დავდგებ! ამთონ შეჰხეწნები, ამთონ რუმ ზაჰლაა წაჰლი, კაცსაც ილლაჟ გაჰწყეტი, ჰუთქომ:

— გეტყუ, ამმა თქმითავ მააკდომელ ვარ. კუც და იმი დედაე ემძას ელაჰარიკებოდნენ ერთმეთს.

— დედა, ჰოგო ჩქარა მიჰდი, ველარ დეგეწივ, ჟან დავრ?

— ჰატა ჩქარა მოხედე, გასაქრომელო, ფეყებ ჰუმ არ დავგეჩი! სამ ზედ ამიკიდები, ერთიც მუცელშია, კიდემ მივდივარ, გზას წყეტიავ, შენ კი შენ თავსაც ვერ ატარებ!







ეეს რუმ თქოა, კაც მაშინავ მოკდო: — გელი-კემწიფი ან-დერზი არ შენახისთუნ.

## 10. ნადირი პატრონ

მინ არ იცისა, რუმ ნადირებსაც თავი პატრონ ჰყავავ, რუმ ნადირებს ნაბათ-ნაბათ დაა და ზმაა იცენ! ერ წელს რუმ ზმაა იცავსა ახლა მომავალ წელს დაა ჰყურობს. და ნაბათი წელს ნადირ სუქან კეთტების, ზმი ნაბათი წელს კი — ჭლემა. რააზგანაა ეს?

ამიზგანავ, ამბოვენ, რუმ დაა კარგა ვერ ჰყურობსავ, ნადირს ლილია კრუ-კრუ დაჰდევსავ, ნადირიც იფანტებავ, სადაც კაა ბალახი, იქ მიდის, ზოვსავ; ზმაა კი ნადირებს არ ასუნებსავ,






დარვაზის კარების შაბაქა — ჩუქურთმების ნიმუშები.

აგროვებს, დააწეწელა არ ჰუშებსავე, ნადირიც მუცელს ვერ იბ-  
ღობს, ჭლევდება.

რამსა ნადირი პატრონ რაჲ სახითაა?

ერთხელ აგია (მისტანა მუნადირეჲ მინ იქნებისა!) ტყეში  
სანადიროთ წასულ. ჰუნადირნი ჩალიანზე, ჩომოხეთქულეებში და  
ბევრგან, არსად ნადირ არ დახტომი. საღმოზე ერ სალოკზე შეღმო-  
ქლაგ. აქავ დაჰლამები. ჰუფიქირნი:



მხატვრულად დამუშავებული აივნის ხუროთმოძღვრული ელემენტები.

— ბლენ ღამეას, შინ ვეღარ წავალ, აქავ დავჩებ.

დარჩომილ. შელ გაუკდი, ცეცხლ დაუნთი, წოდებ აუგი, ცეცხლა-პირში დამყდარ.

ღამეა რუმ გატეხულა, ერ თეთრ ტონიან, მალალ, ლამაზ კაც მოსულ. აგიმ არ შანაშინებ ვაშკაც ყოფილ; გაპკურები, გულში ჰუთქომ:

— ღმერთო, ნეტა მინუმ იქნეს ე კაც, რუმ ეემ დროს აქ მოდის!

თეთრ ტონიან კაც მოსულ, ცეცხლა პირში უჩუმრა დამყდარ, კამარყობაჲც ეყო არ ჰუთქომ.

აგის წოდ წაუყრი, შეჴწდი. იმას არ აუღი, არ გომოურთომ. პაშტა ხანს უკან თეთრ-ტონიან ამდგარ, გაჩქრალ. აგია წამამხტარ, ტყეში შეჴვარდნი, დამალულ. შორით ჰუმზერნი, ნოხოთ, რაჲ იქნებისაჲ.

პიწწა ხანს უკან შელი დანაკალ ადგილში ერ ბღავილ, ერ ნადირი ჟრიაძულ, ბოღრიალ ამდგარ, რუმ შიშარ კაცს აჲქავ გულ გაუტყრებოდა. აგიჲცა კაცი, ისიც იქ აღარ დამდგარ, აჲქათი მოხეტულ იქითა სირითთ ჩამოსულ, დილლაზე შინ მოუწევნი.

აჲ თეთრ-ტონიან კაც ნადირი პატრონ ყოფილ, ამას შეუგრუბი თავი ზროხაჲ აგია მააკლელა. ეეს ზმაჲ ყოფილ. დაჲ კი პატარზლი სახეათითა.

ბევრს სმენი ტყე-ღრეში პატარზალ ეტარებაჲ.

რემენ ტყეშიაც პატარზალ გამოჩენულ, ამჲ ტყეში წანასულ მენადირეჲ აღარ დაბრუნებულ. მინამმა არ იცოდა, სა იკარგებოდნენა ე მენადირეებ.

ერ ღღეს მუსტჴკაჲ სანადიროთ წასულ. ირემ მოუკლავ, ღამით ტყეშიგ დარჩომილ. წოდებ რუმ შეუწოვა, პატარზალიც გომოჩენულ, მოსულ, ცეცხლთან ნავდლიანა დამყდარ, მემღან შამფურ აუღი, ზედ ფოთოლ აუგი, ცეცხლზე დაჴდები შააწელა. ფოთოლ დამწორ. მასკან ჰუთქომ:

— მუსტჴკაჲ წოდ შეჲწო, პატარზლი წოდ დაჲწო!

მემღან დაწოლილან: ერთ აქათიან, ერთ იქითიან.

მუსტჴკას გაუფიქრნი:

— მაღაჲ, არ დოჲზინებ, ჰუყარაულებ, ჰეეგ კაჲ სული რაჲმ არა, ჰუმ<sup>1)</sup> ეემ დროზე ტყეში ეტარებ.

პატარზალს რუმ დაჴზინებია, ამდგარ, პატა იქითყენ წასულ, დამალულ.

დილლი ხანებში პატარზალს გაჴდუბები, მუსტჴკაჲ ზებნაჲ დაუწყუ. აქაჲთყენ დატრიალებულ, იქიჲთყენ, ვერ ჰუპოვნი, დიად დანავდლიანებულ, წასულ, გამქრალ. მუსტჴკას ჰუთქომ:

— კოლს უკან წაველ, ნოხავ, სა არისა მაგი ბინაჲ, როგო რაჲმია ჰე პატარზალ.

1) ჰუმ=რუმ, რომე.

წასულ, კოლს გაპყოლი, ერ ქუერიანში შასულ, დამდგარ, პატარზლიბე გ'ხაა შეუკრაე.

პაშტახანს უკან პატარზალ გამოსულ.

მუსტუკას თოფ ჰუსროენი, მოუკლავ. მემღან ქუვილში შასულ, ჰუნახი, პატარზლი ოთად თოფებით სავსემს.

თურმენი<sup>1</sup> ნადირები პატრონ ქალს მენადირეებ ჰუხოცი, იმათ თოფებ კი თავი ოთადში ჰუგრუები.

## 11. ოღუხუბ – შანაპაა კაცუბ

ოღუხუბ უწინ ქნილან.

ოღუხ მალალ ფანკაცა კაცუბ ყოფილან, სამ-ოთხ ეხლანდელ კაცის წორაა. იმათ საქონელიც, შესაყდომ-შესამბულიც მალალ ყოფილ. ჭკოა კი ბევრ არ ჰქონიაყ.

აგე უჭკუოა, მოუქერკებელ ყოფილან, რუმ ახურ მალლა ჟინაზე ჰუდგმიაყ: დაბლა მიწაზე რუმ დაუდგათ, ცხენ ვერ დასწდებავ, ჟინაა კი ცხენი სიმაღლეზე არისავ.

ერთხელ ოღუხუბს საჯნავ ჰუკნავე. ეხლანდელ დაბალ კაცი გამნასულ ზამანაა ყოფილ. ერ დაბალ კაცს აამ მანაჯნავ აღგილი პირში ჰუტრიალნი. ოღუხუბ რუმ დაუნახია, ჰუთქომ:

— ე როგო დევ კაცებია, რუმ დევებ შეუბამყ, კნენ! ჰუსროენი, ერ ოღუხიბეა ისარ ბარკალში დაუსომ. ოღუხს ფუტკარი ნაკმენვი დაპწუ გორც, ისარ გამოუდი, გაუშინყავ, გაპკურები, ჰუთქომ:

— აა დმერთო, ე ჩონ ნანახ რაასა, ე როგო რაამია! ნეტა საათო გუდმუარდა ეეს, მინ მესროენა!

შაუხედნი, დაუნახი, ერ დაბალ რაამ ზეზნებში მირბის. ოღუხ გომოპჯდომი, ბრუოლები ზეაზეა ორ-სამ ფუყ გადაუდგამ, დაბალ კაცს დაპწვენნი, დაუჭერი. დაბალ კაც შეპხეწნები:

— ამან, ჟან, ბევრ ტერ მყავ, ჩემ მოკლუაა ჰუნდაყ, დამმალ, მადლი.

ოღუხს თავი ლაფჩინი ყელში ჩაუხრენი, დაუმალი. მემღან თავი ულაყებთან წასულ, პატააფ მოუკნავ, ულაყებ გომოუშუ, უდელ,

<sup>1</sup>) თურმე:

ჰაჩინამ ააქავ დაუყრი, კამმეჩებ გომოუყრი, შინ მოსულ, დე-  
დააბე პუთქომ:

— დედა, ერ გააკურებელ კაც მამიყონი. ჩონსვი ბილებ, წე-  
რებ აქ, ჩონსვი ცხურ-პირ, ჩონსვი ქართულ-სიტყვა, ამა თუთან  
პიწა რაამი.

— ჰაბა, მაჩნენ?

— აი! ლაფჩინი ყელით ომოყონი დაბალ კაც.

— ჰუმ, მეამ მამიკდებ თავ, ჰეგუმ<sup>1</sup> პატრა კაცი! დუნუას  
ჩონსუან ჰეგენ შეჭმელნი. ეხლა ჰემგე დაბალ კაცები ზამანა  
გომოდის, მაგათსუკან ქონდრი-კაცები ზამანა დადგებ.

— დედა, ვერ ჰეგ რაასა, რუმ ქონდრი-კაც რაა ეყოს!  
ჰემგათ რუგრუმ<sup>2</sup> გააკეთან საქმეა, რუგრუმ იცოცხლან, რუგრუმ  
გხას წაჭდენ?

— ჭკუთ ჩონზე მეტ იქნებიან, შულო!

— ეემ წორა ცხენს ჰემგამ რუგრუმ მოუარას, ქერ რუგრუმ  
აჭამას?

— როგო აჭმებსა, მოყერებით აჭმებს! ჰაბა თორბაათი ქერ  
მეეც, თუ ვერ აჭმებსა?

შულმა თორბაში ბზედ ჩაყარა, შიგ ქერ გაურივა, პატრა კაცს  
მიჰცა. ამამ (=ამან) ადლა, ცხენს ქერ-ბზეა დაანახა, დაუზახა:

— თფრუშეა! თფრუშეა!

— ცხენმა გაახუხუნა, პატრა კაცთან მოულა, თავ ჩამაგზელა,  
ქერს დაჰწლო, დაწლომაში პატრა კაცმა თავზე თორბაა ჩომოჰკიდა.  
ცხენმა თავ ადწივა, თორბაა მაღლა წააღლა. ხრამა-ხრუმით ქერ  
ჭმუა დააწყო.

— ჰემგა გებნებოდი, ჰიგი!<sup>3</sup> პატრა კაცს ჰემთონ<sup>4</sup>) ჭკოა,  
მოყერებაა აქ, შულო! ჰეგენ ოლუხებს ამაადგებენ<sup>5</sup>), მაგათ კი —  
ქონდრი-კაცებ!

1) ჰეგუმ = ჰეგ-ჰუმ, ეგ ხომ.

2) როგორ.

3) ე მაგას გეუბნებოდი, ეგე!

4) ე მაგდენი.

5) ამოგეფდებენ.

ერ დიდ ტყი პირზე დიად შენიერ ადგილში ოორ მუშებელ (=მესებელ) ცხოვრობდა. კამ წყალ, კამ სარწყავ, კამ ჰავამ, კამ სათეს-საზოვრებ ქონდა იქავრობას.

ერ მუშებელ ჯვეი ზომოათიან ესახლა, მქერეა — ქომოათიან.

ზომოათიანაჲ დედულ-მამულ ავე მოვლულ ეყო, რუმ კაცს იმი დანახახე თოლ ჩებოდა. პატრონს სამ-ოთხ თაღრი ადგილიბეჲ ტყრუშულ ღობეჲ შექეველო, თელ ადგილ ოთხ წილად გეეყო: ერთში მენაჯ ჩეყარა, ერთში — ბაღჩეჲ, შესამეში — თხილ, მე-ოთხეში — მამულის შუაში — ეზუჲ ჰქონდა. ეზუში სამ სახლ დედვა, დიდში თუთან იდვა. შუათანაში საქარელს ინახავდა, მორჩილში ელაგა ნაშრომის შაანახელ კასრებ, გუთან-ჰაჩინაჲ და სხო პარადებ. ეზუჲ ოთხკუთხ ეყო, იმგურგლით ქუტიკირი კედლებ შემეველო. ამ კედლი ო, ზეზა, დიდ სახლი თავში ქვერებ ჩეყარა. თელ ეზუჲ გეეჲ, სხო და სხო ხეებით — ვაშლით, კაკ-ლით, წაბლით, სხალი, მქეს, თ, აქ-იქ იყო ბიჲჲ, თუთი ხეებ, ბაღ, დილბარ, კ ხეებ კად გრილოს აყენებდნენ ზაფხულში, ეზუჲ ირ-წყოდა, თელ ზაფხულს წონეთ იყო. იქ ნავავ რამდ ორ ჩანდა: პარ დღი პატრონობებ, ძალებ ეზუს გუდნენ, ნავავს ბაღჩეში ყრიდნენ ქვერკი აქრდზე ოს გომოდიოდა, აქავ ჩაღარდანაჲ ეყო, წყალ ზირს ვარც კობდა, ჩხრიალებდა. მენაჯ სრელ-სრელ ჩეყარა, ამაგრაჲც ბაღჩეჲ, თხილი ბუთქებ. აქ-იქ წარაფებში თესავდა სახს, ფაყლას, სმინდს, კიტრს, სხო და სხო წონილს. დანარჩომ რამდა-ჰუმ მოვთოლო, ორ შეგაწუხებ მოთლუთ, მოკლეთ ჰუტიყუ: — ემ კაცი მამულ თავი დროზე ათასფერად ყოოდა, მის ოჯად სავსეჲ ეყო პური, ღუნი, ჩალთუქ-ბრინჯით, ქერით, ფეტით, ცხენ, ზროხაჲ, კამმეს, ცხორ ბევრ ჰყონდა, თეთრ, ჩააცმელ, დაახურელ არ აკლდა, ქათამ, საჯორცეჲ უღვეველ ჰქონდა, იმი ფუტიკარ რუმ გამაჲშლებოდა, თავი გრილოათი აბლენებდა ეზუ-ყურეს. სიტყუთ, ამ კაცს პარ რამდ ბევრ ქონდა, მამულიც, მინდორიც ბარაქათიან ქონდა, იმი ზაღლიც მახღარ ეყო, ყმა-წულუც სუქან.

ექ რუმ ემვე ბარაქათ ეყო, ქომოათიანა მუშებელს თავ-პირ ჩომოპტიროდა.

იმი მამა-პაპი სახლ დაფუშულ, წასანაყებულ<sup>1)</sup> ეყო, ჩალაა ჩომოპცუვნოდა, ზოგან კედლებ დაპრდოდა, ღობეებ წაქცეულეყო, არხებ ომოვსულ, დაბრიმავებულ, მენაჯ აუგებელ, ბაღჩეა გა-  
დაუკაფელ; თხილებ გადამემარ, კასრებ ცარიალ, ფქულუ საკან  
გამოფხეკულ, თორნეა გაციებულ. იმი ეზუში არც საწელ ჩანდა,  
არც შააქლომელ, არც ქათამ, იმი აღილში ერ წყულ შაამბელ  
ულაყ შედიოდ-გადიოდა.

საღმობე მეზებლემ მუდამ გომოდოღნენ ზროხა-წინ, გიმგაზე  
სხდებოდნენ, თავიანთ ავ-კარგზე, თავიანთ კაა-ფინთზე ლაპა-  
რიკობდნენ. ქომოთიანა მეზებელ მოჰყებოდა ლაპარიკს, გა-  
აწრიაპებდა სიტყეს, მინ იცის, რას-რას არ იტყოდა, დაჰკე-  
ხებდა. ზომოთიანა მეზებელს სწყინდა, რუმ იმი მეზებელ მარტო  
შბამს, საქმეა კი არ აქ, ამმა ხათრით არააფერს არ ებნე-  
პბოდა, ერთხელ კი აღარ დეეროდა, კოხე-კოხე<sup>2)</sup> სიტყეა ჰუთხრა,  
ტურას დაადარა. ეეს ემაგრ ეყო.

ქომოთიანა მეზებელმა თავისებურა ტყელ-ტყელ ლაპარიკ და-  
იწყო. თქო:

— ხუთ თაღრი მამულ მაქ ჰოპირებ მაგარ ღობეა შემუავლო,  
ღობი ზირ-ზირ იფნი ხეებ ჩაყარო: ჭიგოასთუნ გამომადგებ.  
ორას-სამას ზირ თხილ ჩაყარო, ბაღჩეა, მენაჯ კააგორა გავ-  
სხლა, შეყველო, ახალ სახლ ოაშენო, ზროხაა, ქათამ გოაჩი-  
ნო, მინდრეი გადავცნო; ჩემ მამულ დიდი, დიდ შემოსავალს  
მამცემს, ღუნეს, პურს, ბრინეს, თხილს, აბრეშუმს ბაზარში  
გავგზავნი, იქ კაა ფასში გავყიდი. უმუდ მაქ, მეც მალე დევ-  
ლეთიან კაც გავკდებ. კმარ ამთონ სხოთა კელში ჭრეტაა,  
სხუზგან თეთრ სესხებაა. ემწო<sup>4)</sup> და ემგე მამული პატრონ  
შერა) რააბეთ რუმ ჰყუო!..

— შენზგან რამთონეერ გამიგია ჰე სიტყეა! სიტყუთ ამბოვ,  
საქმით არ შჩედ. ნუ გეწყინებ, ზმაო, შენ ნალაპარიკ ჩონ  
ტურაა ნალაპარიკს გავს. ამას სიცივემ რუმ მოუჭირაა, ახტა-  
დაახტა, მოაგონდა თხილ სახლ-კარ, დააყურა:

1) წაგვერდებული.

2) მკვახე-მკვახე.

3) ამსწორ, ამოტელა.

4) შშიერი.

პაუ! პაუ-პაუუუ! როგო ყინავსა, როგო სიცვიემსა! ხუალ, რუმ გათენდებისა, სახლს ოაშენებ, კაა სახლს, თბილს, ბუხრიანს, თახტ-ლოგინებს დოადგამ, პატარხალს პუთხოვ, მოაყონავ, იმას-თან ცეცხლა-პირს პუქეიფებ, შეჭმელსაც სოფლით ბევრს გომოზიდავ, გომოაზოგავ, ყინეაა, შიმშილ ვერაფერსაც ვედარ დამაკლებს. პაუ-პაუ! დმერთიმა, ხუალ დილლითავ პემგას პუქ, ხუალავ სახლიც მექნებ, სახრაავიც, დედაკაციც მეყოლებ! პაუუუ!

ამმა გათენდა თუარ, ზემ გომოაჭყიტა, ტურაა ბრულით გომოვდა, გადახტა, გოდმოხტა, ზურგ ზეს შეშურა, გააბო, დააჩხავლა, სხო ტურებს დაუხახა, იმათთან ჟერ ითამაშა, მემლან შეჭმელზე იფიქრა, სახლი დადგამაც დაამირწყდა; ცოლი თხოვნაიც, თბილ ბუხარაიც. საღამომაც მოაწივა, კიდემ აცივდა, გაჰყინა. ტურაა ბრულშიავ შეზრო, ხელ-ფეყ დეეზრა, თავ-ტან გეეყინა, წომოხტა, კელ ჯელს შომოჰკრა, გუშინდელი დამჩხავლა:

— პაუ! პაუუუ! როგო ყინეაა! ე რაა მამივდა, სახლი აშენებაა როგო დამძირწყდა! აი ხუალ კი გათენებითავ კაა თბილ სახლს ოაშენებ, მაზღარ ოჯადს გოაჩენ! მეყოფ სხუ<sup>2)</sup> კელში ჭრეტ<sup>3)</sup> ა, სხუ მანაგები ჭამუაა! გოაყეთებ, დმერთიმა, კაა მაგარ სახლს გოაყე...ებ! პაუუუ!..

შენ ნათქომიც, კიდჲ გებნებ, ჩემ კაა მეზნებლო, წოორა ამ პაუუუ!-ს გავს, ნუ გეწყინების, პაუს თავ გაანებ, იმუშავ, განისარჟ, დმერთიც დაგლოცავს, გაგახარებს...

ეემ პარაკიმ<sup>3)</sup> ქომოთიანა მეზნებელ ჭკოში ჩაავდა, საქმეს კელ მააკიდებინა, დიდ ქონებიან კაც გაჰვადა.

### 13. ყინუალად (ძალის ცხიხე)

კაკის თავს მიწრო დელეში გენახებაყ ქალიციხეა, მალდა თი<sup>4)</sup> ფერდობზე რუმ მოჩანს, იქითყენ მიხეე-მოხევით მინასულ ცალ-ფეყა გზადც თი დაქანებაზე.

1) დაუიწყდა.

2) სხვის.

3) არაკმა.

4) მთის.



გზაზე გაფუჩიებული. იქ ანასულ, ჩაშნასულ, კაც ეხლა არა-  
ლის.

დიდ კონცხში ერ ოთად გომოგრეტულ თავი საკომლეთი,  
ღირაებით იმგურგლივ კაც დააწოლელა, ფართალ დააკეცლა, ჩხე-  
ბით პარად დააკიდებულა. წინ პატრა კარიპირ (=ქსქა) აქ, ამ კა-  
რიპირამდინ თი კალთაჲ აყუდებულ. თუ იქიდგან კაცს ფეე  
ლაჭეცორდა; დაქსხლტა, ფრიალ-ფრიალ მოვ, ზირს დეეცემ,  
ქიუნაყად იქცევ.

მანდ უწინ თორდას ჰუცხოვრიაჲ.

დიახ კაშკაც კაც ყოფილ, ბატონიბეჲ თავ არ ჰუდრეკი,  
ჰქმანდ თავიბეჲ სახლ გომოვგრეტი, შიგ დამდგარ, ერ ლამაზ ქალ  
ჰუსხოვნი, ამამსთან ჰუცხოვრი.

ე ქალიც დიდ ვაშკაც ყოფილ. თორაღაჲ სანადირო წასულა-  
ში ამას აქ ამამსლელ გზაჲ ჰუცავ, საყარეველესე დგომილ.

ბევრ ტერ ჰყოლი თორაღას ბატონიზგნი. ამას თავი დუდრუ-  
ანებიბეჲ ჰუგაზირები: თორაღაჲ შე არ მიყერებსავ, თავს არ  
მიდრეკსავ, ღარიბ-ღურბათ ხალღს ექომავგებისავ; დამიჭირით, მა-  
მიყონით, თოლკბ დოვწოდოვ, თავ გაუხეთქო, ტუნ უმუაზრო,  
ზადღებს გადაუყარო, შევაჭამუაჲ.

ბევრს ჰუნდოდა თორაღაჲ მოკლუაჲ, თავი თავ გომოხენაჲ,  
ამმა მინც ამ გზაზე წაუღდა, ერთიც ცოცხალ აღარ დაბრუნდა:  
თორაღაჲს და იმი ცოლი ნასროვნ ერ მინამს არ სტებოდა<sup>1</sup>,  
ზირს გზაშიაჲ ხდებოდა, კლავდა.

თორაღა დაშლევველ კაც რუმ არ გამოჩნდაჲ, ბატონ დად  
შეწუხდა, გაჟავრდა; დაუხახა დუდრუანებს, იმათთან დაჟდა მს-  
ლაათხე, ებნებოდაჲ:

— ჰე კაც ვერც დაჭირით, ვერც მოვკალით, რაჲ ქნოთა,  
რაჲ მოგონოთა, რუმ ჰე ხალღი ამსტენელ<sup>2</sup>) დავდუპოთ.

მინამმა არ იცოდა, რაჲ ეთქო, რაჲ ერჩივა. ემ დროს ეწე-  
ჲთი ყურული კმაჲ შეესმათ: ბატონი მვეირეჲ ბატონი ნახუას ამ-  
ბოვდა. ბატონმა ესიც დაუხახა, ჰკითხა:

— რაჲსა, რაჲბე, მოსულხარა?

1) სცდებოდა.

2) ამცდენელი.

პუთხრა:

— ბატონო, შენ ვირები დამცემლი სიტყმეც მახსმინ. ჩონში თორაღა მამკლელ კაც არ იქნებ, იმისთუნ, რუმ ის ხალღს იცავს, ხალღიც იმისყენა, იმი კარეხედა. ვაშკაცობით იმას ერ მინამიც ვერაფერს ვერ დააკლებს, კერკით კი იმი დაღუპუაჲ პადული<sup>1)</sup>, თუ ჩემ უჭკო ჭკუ განაჭერს დაიჟერებთ.

— პაბა, როგორა?

— ამაგარ, რუმ ქალიციხეჲ ზირმი, კვეი პირზე არის წრულჴან, იმი შუაში კაჲ საბალახეჲს. თორაღას ჰუყვარს აჲქ ჩომოსულაჲ, ნადირობაჲ, ყურადღები, ნადირები კოცაჲ. იმი მათყუებელა ემაგრ ქნოთ: ვირს ირმი ქებებ გაჴეთოთ, ირმი ტყავ გოდვაცოთ, სამ დღე მოვამშიოთ, შემღან დამი წოყონოთ, აჲმ წრულჴანში საბალახეზე გოუშმოთ, ერ კა მეთოფეჲ აჲქ დაღმალოთ. დილლითავ იმას თორაღაჲ დაჲნახავს, ირემ ეგონებ, ჩომოვ მაკლელა, ჩონ მეთოფეჲც ნავახირებს შაასრულებს.

ბატონს, დჴდრჴანებს დიად მეეწონა მევირეჲ ნათქომ, ამაშინავ საქმეს შეჴდგენ.

მესაჲმე დღი დილლაჲ თენდებოდა, რუმ ბატონი მეთოფემ ირმად გადაცმულ პჴრ წრულჴანი საბალახეზე გამაჲგდა, თუთან კი ხეებს უჴან დაჲმალა.

ამაშინსუჴან თორაღამაც აღარ დაჲგჴანა, პატა ხანს უჴან სახლიკარ გააღა, კარიპირზე გამოვდა, იქავრობაჲ დაათორიალა. ირემს რუმ ბალახებში თოღ მოჴკრაჲ, სიჩქარით სახლში შებრუნდა, თოფ აჲღა, გარეთავ გამოვდა, ცალფეჲჲ გზას დაადგა, ვაშკაცურა გაღმააბიჭა, ქომოჲთყენ დეემო. ირემსაც თოღს არ აშორებდა.

აქ ეესიც ჰუმ თქოთ, რუმ ამაშინ თორაღას თავი ცოლიზგან ერ შულ ჰყონდა, ჲრ პატრაჲ ეყო, აკუანში იწო, ჲამას, ბალიმარცოღ რაჲმ ეყო. თორაღაჲ რუმ გოამოვდაჲ, ცოლიც გოამოჲყო, ყმაწულიც კარი-პირზე გამაჲყონა აკნუთავ. დედაჲ აკუნსაც არწებდა, თავქმ მანასულ თორღასაც ჰუჭრენტდა, თოღსაც არ აშორებდა დიდ ირემს, რემენიც ქმწრულჴანში ზოვდა-კაჭავდა ცრჴან ბალახს.

ის იყო გომოზაფხული ზეჲ ომოდოდა, თი წწრეზს წითლა

<sup>1)</sup> ადვილია.

ანათებდა, ჩვენ ქვეყანას აღუწებდა, რუმ წრულუანი აქათიანა წარაფით თორაღს თოფ გაპვარდა... იმი კმაე კობალაჲს და ქურ-მუხი მიწრო დელეებში კუვილად წაჲდა. ირემ წაჲქცა. თორღაჲ იმისკენ გამოპვარდა. ცოლ მალლით აქებდა თავი ვაშკაც კაცს. ესიც აქაჲთი პუჭრეტღა, ჰუყუებდა თავი ნანდომ საყორელ დე-ღაკაცს. ამ დროს ჭახავ! აქათიანა წარაფით თოფმა დაჲჭეხა. თო-რღაჲ უსულოდ მიწაზე დეცა.

— გუღალატესავ! გაუქელვა თავში ქალს, აკუანში ყოფ ყმა-წულს აკოცა, აკუან არტახებით ზედ მიიბა, მალლიდამ ყმაწულ-ანუანა გოდმოეშო დაქანებულში სიტყუთ:

— ვაშკაც მოკდენს — ქალ დარჩეს!?

#### 14. კახეთი ღერიად (ზღუჲმე)

უწინ თელ კახეთ, ამპირ-იმპირ, თუშეთით ნეხიმდის წყალს შუქერი, ერ დიდ ზღუჲჲ ყოფილ აქ. კაცს მაშინ თებში ჰუცხოვ-რი, ამმა წყალს იქაც არ მოუსენეზი, მალლა-მალლა ომოსულ, თებში საცხოვრებელსაც მოპწდომი. ცხოვრებაჲ გაპჭირებიაჲ; აღარ დარჩომილ მაჲცნელ, აღარც საზუბებელ, ხალღს ჰუფიქირნი: ეემაგრ როგო იქნებისა! ეემაგრ თუ წაჲდა საქმეჲ, წყალ მალალ თებსაც დაჲვარავს, დოგღუჲავს, ცხოვრებაჲც აღარ იქნებ. შეგრუებულან ერთა, ერთმერთიბეჲ თავი დერდ ჰუთქომე, თავი ჭირ, გოჲჩიებიაჲ, ჰუწუხნიაჲ. ეემ წუხილი, ვაჲშუანი დროზე ერ მენახშირეჲ წინ წამამღგარ, ხალღიბეჲ ჰუთქომე:

— ჯამათს გამარუბოჲ! მალლა თებში ნახშირ რუმ მიწოვა, ბევრეღ ზღუბეჲ გადმიხედნი, შემიმჩნევი, რუმ იმი წყალ არ დგას, არანისყენ მიიწვეის, იქითყენ იწურების, თავი გაასლელ-კაწს ეხებს. ჩემ ჭკუთ, საჭიროჲს ე კაწ ჰუპოვნოთ, ვხაჲ გოვჭროთ, წყალ გოდოვშოთ.

— ჰემაგრ ჩონც გუფიქირნი. საქმეჲც ჰეგი, რუმ კაწ პოვ-ნუჲჲ მინამს არ შეუზლიან! ეს თელ ჟამათი სიტყუჲ ეყო.

— ჰე აი რას გირჩევე, კიდემ დაიწყო მენახშირემ. ერ გოდორ კარგა ვავხიზოთ, ნახშირით ავაგსოთ, წყალში ჩავაგდოთ. საჲთ-ყენაც წყალი სავალ არის, იქითყენ წაჲღებს, კაწს მიაყენებს, აჲ

ადგილ გოდოვჭროთ, გოვთხაროთ, წყალ თუთანავ სავლქელ კაწს ჩაფლრიმიებს.

ხალღს მეეწონა მენახშირი ნათქომ.

ნახშირით სავსქ გოდორ წყალში ჩაავღღს.

გოდორ წყალმა პირზე მაავღღა, ატარა-ატარა, წაფლა იქ, საღაც ღღღს ალაზნი გაღნაშობ არის. იქ თუშეთით სიღნაღზე მანასულ თაფშეკრულ ყოფილ ნქხიფსყენ მინასულ თასთან. მოგრუებულ თელ კახეთი ხალღ, გაუჭრიაყ თაფ, წელიბეა კაწ ჰუქნიაყ, გაღაშუშუყ. წყალ დაზრულ, წასულ, გაწურულ აგე, რუმ ალაზანში ჩაწურულ. მემღან ლამაზ შენიერ კახეთიც აშენებულ, აქავრ ქართქლქბი ცხოვრებაფ აყუქებულ<sup>1)</sup>.

### 15. ძიჭვის გუჩი ორ სავარეს შუა

გაჭირღა წყლის გაყვანა მღინ. ქურმუხიღამ ქურმუხის მღღალ ფერღობზე, საცა თვით წმ. გიორგის ქურმუხის საყღარია. ძრიელ კი საჭირო იყო წყალს ეღინა იქნობამღე, რაღგან უწყლოღ არა ხეირობღა-რა ერის წმ. სალოცავის ეზო-კარმიღამოში ღა თვით მლოცველებსაც აწუხებღა უწყლობა. სცაღღს ბევრჯერ რუვის გაყვანა, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა ღა მიატოვეს მუშაობა. სწორეთ ამ ღროს, მოგვითხრობს გაღმოცემა, „კაქში ცხოვრობღა ღღღელ ხუციშულ: ღიად ლამაზ გასათხოვარ ქალ ჰყონღა. იმი სიღამაზეფ გაავო ერ შორელ თათარმა, მოვღა, ღღღღს შეებქწა: „მაგი სიყვარულით ვიწქებ, მე მამათხოვივ.“ ღღღღმა ჰუთხრა: „მაჰმადიანს როგო მოგათხუება ქრისტიანს ვაქარგივ“. თათარიც ლამაზ ვაშკაც კაც ეყო, ღღღიქალს მეეწონა, იმაზე გათხუებაფ მაინღომა. ღღღღმა რუმ თავიღგან მაფშოროს, შეუზღებელ საქმის გაკეთებაფ ღაავაღა, ჰუთხრა: „თუ ქურმუხი საყღარზე წყალს გაავონავ, ქალს მოგათხუებ, თუარ თოლქქშადარ მეჩქნო, წაფ საფთაც მოსულხარ“. თათარ შეუღღა საქმეს. გაჭრა თაფ, ღელიეფ, ღღღს თუ ხუალ წყალსაც გაღაშუობღა. ღღღღ ღაღონღა, ეგონა არხს ვერ გაავონავსავ, ჩემ ქალსაც

<sup>1)</sup> აფავებულა.

ვერ ითხოვსავ. ღღელ რუმ წუხდა, ერ კუდიან ბეებერმა ჰუთხრა: „თუ ქალი დახსნაჲ ვინ, ცხორს მამორ ბატკნებ, ზროხას ტანებ, სამ ღღეს ცალკ-ცალკ შეჲსახ, ნურც აღაფს აჭმებ. რუმ კარგა დამშვეიანა, მე წავალ თათართან, შენც საქონელ გომოუშ, ერთმერთში დარივ, დამწყებენ ბლაგილს: დედაჲ შულუ ზებნას დამწყობს, შულ დედის. აუბღავღებთან ერთმეთს. თათარს ტირილით ვეტყუ: „ნონ ღღლი სახლში ხეღაჲ რა ვამშუანი, ტირილ-ჟრიამული: ღღლი ქალ შენმა მოლოდინმა მადნო, ღღეს დამხარაჲ<sup>1)</sup>, ამახე არის ემგე ცეცხლ, ემგე ვამჰარაჲ, ტირილ, ბოღრიალ“! ღღელს მეწონა ბებრი ქართულ: ეგრე ქნა. თათარმა რუმ გაგო ღღლი ქალი დამხარაჲ, არხი თხრას ჯელ გაანება, ერ ამამკნესა, ქლუნგ<sup>2)</sup> დამკარა თავში, არხშიჲ დეეცა, სულ დალივა. ღღლი ქალმა ეს რუმ ქურმუხის აქეთა პირით დამხახა, მუკლებ ამქავ ჩეეკეცა: იმ ვამკაცი სიყვარულით ესიც მოკდო. ორნივ დამარხეს ქურმუხი თავზე: ერთ თათრი განათხარ არხის აქეთა პირს, მეწრეჲ იქითა პირს. ამათ სამარიებზე ომოვდა ვარდ-ყოვილ. თელ ხალღს აგე შეეცოდა ეს ჟუანებ<sup>3)</sup>, რუმ იწოდნენ იმათ უღროვო სიკდულუთ და ემჟრებოდნენ კუდიან ბებერს — შენ ქენ ე უღმერთო საქმიე. სებერსაც შიშით გულ გაუტყრო. წაიდეს, იმ ქალ-ვაჟი სამარიებ შუა არხში ჩაფლეს, ზედ მიწაჲ წააყარეს. ბებრი სამარეზე ზეზ-ეკალ ომოვდა, გამხარდა, შეყვარებულები ვარდ-ყოვილებ შუვა ჩადგა. გამოზაფხულს ე ყოვილებ ერთმერთს წედებოდნენ, იკოცნებოდნენ. ახლა კი ზეზ გეეჩხირა შუვაში, ერთმერთის გადახვეენა-კოცნაჲ მიუშალა. წოორ თქმულ: ფინ ინსან აქაც ფინთი, იქაცავ<sup>4)</sup>.

1) გარდაიცვალა.

2) წერაქვი.

3) უცოდვო დასაქორწინებელნი.

4) საიქოს.

მოლა მასრაღინაზე ანუ ნასრედინზე ხალხში დაშთენილა მრავალი გადმოცემა და იგავი. თუშცა თვითონ მასრაღინი მასხარად, სულელად ეჩვენებოდა ხალხს, მაგრამ ამბობენ ფრიად განათლებული და ბრძენი კაცი იყოო. რამდენად მართალია ეს თქმულება, ღმერთმა უწყის. მოლა მასრაღინას ავ-კარგიანობა ცხადად გამოიხატვის იგაევით, რომელსაც მრავლად მოგვითხრობენ ინგილოები. ლეკები, თათრები და, სასოგადოდ, საქართველოს მკვიდრნი.

ჩვენ შევკრიბეთ ბლომი გადმოცემები ამ ფრიად თავისებურს კაცზე. ამ გადმოცემიდან, სხვათა შორის, ვტყობულობთ ზოგიერთს ცნობას მოლა მასრაღინას სამშობლოს შესახებ. იგაევებში მასრაღინა მოქმედებს, მოგზაურობს, ან ვაჭრობს აღმოსავლეთ დაღისტანში. მაგალითებრ, იგი რამდენჯერმე მიდის დარუბანდს, რომლის ახლოსაც მდებარეობდა მოლას სამშობლო სოფელი და ქვეყანაო. ვისი შვილი იყო, ან როდის, რამდენი ხანი ცხოვრობდა, ვერც ეს შევიტყუეთ დაბეჯითებით. აი თვით იგაევები მასრაღინას შესახებ, რომლის სახელიც საზოგადო სახელად გარდაიქმნა იმამთოყის, ვისაც უყვართ ტყუილი, ბაქი-ბუქი და მასხარაობა. ამისთანა კაცს ეტყვიან ხოლმე: „აი, შე მოლა მასრაღინა, შენა!“ მოგვეყავს რამდენიმე.

## ა. მასრაღინა და ეშმაკი

1. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოლა მასრაღინას ვერაფერს მოატყუებსო. მაცდურმა ეშმაკმა თავი გამოიღო, მე მოვატყუებ მასრაღინასო. სატანა გაეშურა მოლას სახლისაკენ. მასრაღინამ დაინახა—რა მომავალი მაცდური, მიუხედა განზრახვას, მიირბინა კლდესთან, რომელიც იქვე მის სახლს მადლობიდან დაჰყურებდა და მიებჯინა მხრებით.

ეშმაკი მივიდა და ეუბნება:

— მასრაღინ, მე შენ გამოსაცდელად მოვედი, თუ გსურს, გავეჯიბროთ. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

— ხომ ხედავ, ეხლა მე არა მცალიან. ამას გარდა, ჩემი ტომარაც აქ არა მიაქვს, უიძისოდ კი მე გაჯიბრება არ შე-

მიძლიან, აყუდუდუ ამ კლდეს, მინამ წავალ და ტომარას მოვიტან, — უთხრა ეშმაკს მასრადინამ.

— კლდეს რა ამოყუდება უნდა?!

— ისა, რომ თუ არ მივეყუდეთ, ჩამოვარდება და სახლს დაშინგრევს.

სატანა დათანხმდა და მიეხრია კლდეს. მოლა მასრადინა წავიდა შინ. სატანამ იფიქრა: „ის არა სჯობია, რომ კლდეს გამოვეცალო, ჩამოწვება და დაანგრევს მოლას სახლსო, ამითვე მოლა დაძლეული და მოტყუებული იქმნება, რადგან კლდის დაჭერას დაუპირდი და ახლა კი გამოვეცლებიო. გამოვეცალო, მაგრამ კლდე არ ჩამოწვა.“

— მოტყუებული და დაძლეული ხარ, სატანავ, უთხრა მასრადინამ. ათასი წელიწადია, ეგ კლდე მანდა ჰკიდია და არ დაგორებულა!

2. მასრადინა გამარჯვებული და მხიარული წავიდა სალაყოზედ. აქ ბევრი ხალხი იყო და ულოცავდნენ გამარჯვებას. ეშმაკიც მივიდა მათთან.

მასრადინამ დაცინვით უთხრა ეშმაკს:

— შე საწყალო, შენა, ჩემთან გაჯობრება როგორ შეგიძლიან! ყმაწვილიც კი გაჯობებს. გნებავს, მდინარეზე ისე წავიყვანო და მოგიყვანო, რომ წყალიც კი არ დაგაღვეინო!

— სცადეო, უთხრა ეშმაკმა.

წავიდნენ. მივიდნენ მდინარეზე. მოლამ მიიხედა ხალხისაკენ და გაკვირვებით უთხრა ეშმაკს:

— რა იქმნენ მოწმები?

— რომელი მოწმები?

— როგორ თუ რომელი მოწმები! უმოწმებოდ როგორ იქნება. ვინ გვიმოწმებს, რომ შენ მართლა წყალი დალიე. შენ იტყვი, დავლიეო, მე ვიტყვი, არაო. აქედგან არა გამოვინა-რა.

— მაშ წავიდეთ, მოწმები მოვიყვანოთ!

მივიდნენ სალაყოზე. მასრადინამ დაიძახა:

— ეშმაკო, მდინარესთან ვიყავით?

— დიაღ!

— წყალი დალიე?

— არა!

— მაშ დაძლეული ხარ!

## ბ. მასრადინა და ქურდები

ბნელი ღამე იყო. მოლას თავის სახლში ტახტზე ეძინა. ქურდებმა გამოუწერიეს სახლის კედელი და შეიპარნენ. მოლამ ეს გაიგო, მაგრამ სული გაიტრუნა და ხმა არ ამოიღო. ქურდებმა ყოველივე მოხვეტეს, რაც კი რამ მოლას, ებადა და სახლიდამ გამოპარვას აპირებდნენ. ამ დროს მოლა ტახტიდამ გადმოგორდა და ძირს იატაკზე დაეცა. ქურდები გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ ნახეს, რომ სახლის პატრონი ხმას არ იღებდა და იფიქრეს, სძინავსო. წავიდნენ. ქვეშაგებიც აიღეს და გაიპარნენ. ქურდები მეიდანზე მიდიოდნენ. მოიხედეს, ნახეს ვიღაცა კაცი მოსდევთ. მიამახეს:

ვინა ხარ, ან სად მიდიხარო?

— მე ვარ მაგ ნივთების პატრონი, მიუგო მასრადინამ. სად მივდივარ?! მუშებს ჩემი ბარგი სხვა ბინაზედ გადააქვთ და მეც თქვენ მოგდევთ. სად არის ახალი ჩემი სადგური, პა!

ქურდებს შეეშინდათ, ნივთები იქვე დაყარეს და გაიქცნენ.

## გ. მასრადინა და ნალი

მასრადინამ ცხენის ნალი იპოვნა. ძლიერ გაუხარდა, სთქვა: სამსაც ვიპოვნი, ცხენს ვიყიდი, დავაჭედინებ და ქაბას წავალ, მოვილოცავო.

— შენ რომ ქაბიდგან დაბრუნდები, უთხრა ცოლმა, მეც შეეჯდები ცხენზე და დედაანთსა წაველო.

— აი, შე უგუნურო დიაცო, შენა, ცოდო არ არის მაშვრალი ცხენი, შეჯდე და შეაწუხო! დაუწყო მასრადინამ ყვედრება ცოლს და ერთი-ორი მუჯლუგუნიც წაჰკრა.

## დ. ქ ვ ა ბ ი

მეზობლისაგან მასრადინამ ქვაბი ითხოვა და მოიხმარა. შემდეგ გარეცხა სუფთად, შიგ სხვა პატარა ქვაბი ჩასდო, მიაწოდა მეზობელს და თანაც მადლობა გადაუხადა.



— მოლა, შენ ხო ერთი ქვაბი გამოგვართვი, ეს მეორე ქვაბი რაღათ მოგიტანიაო? უთხრა მეზობელმა.

— როგორ რაღად! შენმა ქვაბმა ჩემთან მყოფობის დროს მოიგო ეგ ქვაბი და შენ გეკუთვნისო, უპასუხა მეზობელს მასრადინამ.

გაუხარდა მეზობელს და გამოართვა.

მეორედაც მოლამ იმავე მეზობლისაგან ისევ ქვაბი ითხოვა და ახლა კი აღარ დაუბრუნა. უცადა, უცადა პატრონმა, ნახა, რომ მოლას ქვაბი აღარ მოაქვს, მივიდა თითონ და ჰკითხა: მოლა, ჩვენი ქვაბი რა უყავიო?

— თქვენმა ქვაბმა, მეგობარო, თქვენი ჭირი წაიღო, გარდაიცვალა.

— რას ამბობ, კაცო, ქვაბი როგორ გარდაიცვლება?

— თუ შეიღს მოიგებდა, გარდაცვალებას რაღა დაუშლიდაო, — უპასუხა მოლამ.

## ე. ვ ი რ ი

მოლას კარგი ულაყი ვირი ჰყავდა. ერთი კაცი მივიდა და შეეხუწა:

— მოლა, ვირი მათხოვე, წისქვილში ხორბალი მაქვს წასაღებო.

— შინ არა მყავსო, მიუგო მოლამ.

გამოეთხოვა ის კაცი მოლასა და წავიდა. ჯერ ორღობეც არ გაველო, რომ ვირმა ძლიერად დაიყროყინა.

— აკი ვირი შინ არა მყავსო, დააყვედრა მოლას მთხოვნელმა.

— აი შე მართლაც ვირო, ვირის სიტყვა გჯერა და ჩემი კი არაო?!

## ვ. პ უ რ ი

მასრადინამ აჩეჩით მთელი რიყე გადახსნა. მერე ხორბალი დათესა და დაფარცხა.

— შენ, ოჯახ-ქორო, მანდ ხო არაფერი მოვაო, ჰკითხეს გამვლელებმა.

— ალლაჰს თუ კუჭი არ ეტკინა, აქაც მშვენიერი ყანა გაჩნდებაო, უპასუხა მოლამ.

## ზ. ს ტ უ მ რ ე ბ ი

ერთმა კაცმა მოლა მასრადინა მეჯლის'ში მიიპატიჟა. მოლა დაძინებულ-დაკონკილი ტანისამოსით ყველაზე ადრე მივიდა და საპატიო ალაგზე, ცეცხლის პირას ჩამოჯდა. რამდენიც ახალი სტუმარი მოვიდა, იძღუნჯერ მოლა წამოაყენეს, ადგილი დააცლევინეს და ქვემოდ დააწევინეს. ასე, მოლა თანდათან სუფრის ბოლოს მოექცა. ეს დაიხსომა.

გავიდა რამდენიმე ხანი. მასრადინა შეორედ იმავე კაცმა დაიპატიჟა. მოლამ მდიდრულად ჩაიცვა და ეწვია მასპინძელს. წარმოიდგინეთ იმისი განცვიფრება: იგი დიდის თავაზით მიიღეს, მიიწვიეს და პირველს ალაგას დასვეს. ხელზე წყალიც პირველად მიართვეს. მოლამ წყალის მომტანს თავისს ძვირფასის საცმლის კალთები მიუშვირა და უთხრა:

— აი, გარეცხეთო!

— რას ბძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლებაო!

— თქვე სულელებო! ძველის ტანისამოსით მოკვდი, სუფრის ბოლოში მომაქციეთო და ახლა მე კი არ შემსახურებით და პატივსა მცემთ, ამ ჩემს ძვირფასს საცმელსაო.

## ც. ქ ე ლ ე ხ ი

გარდაიცვალა ერთი დიდებული ბეგი. ჭირისუფლებმა ქელეხში დიდძალი ხალხი მიიწვიეს. შეიყარა ხალხი და ბეგის ეზოში ჩამოსხდა. ყველა დაღრეჯილია, დაღონებული. ბევრნი ტირიან. მოლა მასრადინაც ამ დროს ბეგის კარებზე შივიდა. ხალხმა იფიქრა: ეს მასხარა რასმე იტყვის, გაგვაცინებსო და სირცხვილს გვაჭმევსო. მასრადინას უთხრეს: ოღონდაც აქედგან დაბრუნდი და კომლზე თითო პინა ხორბალსა და ბრინჯს მოგცემთო.

— კარგი, წავალო და პირობა კი შემიხსრულეთო.

წავიდა შინ მოლა. იფიქრა: თუ პირობა არ შემიხსრულეს, ზრმ ქელეხსაც დაეკარგავ, პურსა და ბრინჯსაცო.

მოლამ გამოიყვანა თავისი მწკარი და აბრეშუმის შშენიერ მოსართავით და უნაგირით შეეკაზა. აბრეშუმის ხურჯინიც ვადაჰკიდა. ერთი კურდღელი სადღაც იშოვა, უბეში ჩაისო, მწე-

ვარს ლაგამი პირში ამოსდო. გასწია და წავიდა. ქელები ხალხი ის იყო სუფრაზე დამჯდარიყო. მოლა მარდად შევიდა ალაყაფის კარებში და თავისი რაშიც შეიყვანა. დანახა თუ არა ხალხმა, ეს მოჩვენება, დაიწყო ხარხარი. რამდენიმე კაცი მივიდა მასრადინასთან და უთხრა:

— კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, რას შერები?!

— თქვე სულელებო, ვგრე ადვილად ვერ მომატყუებთო, უპასუხა მასრადინამ.

გაიგო ეს ამბავი სახლის პატრონმა, ფქვილითა და ბრინჯით მასრადინას ხურჯინი გაუვსო. მასრადინამ მაღლობა გადაუხადა და დაბრუნდა. ალაყაფის კარებთან რომ მიაწია, მოლამ მწვევარს კურდღელი დაანახვა. შეხტა მწვევარი, წკმუტუნის და ხტუნვა დაიწყო.

— აი, შენ გიყო რაშო, რა დაგემართა, ამ მათრახს ხედავ! უყვირის ძაღლს მოლა. ამ ღროს უბიდგან ძაღლის წინ კურდღელი გამოახტუნა. გაიქცა კურდღელი, მწვევარიც გამოეკიდა. მწვევარს რომ ფქვილი ეკიდა, სულ განიავდა.

მოლა მასრადინა კი დგას და იძახის:

— ერთი შეხედეთ ამ ჩემს რაშს, ბუქი და კორიანტელი არ დააყენაო!

ხალხი იცინის, კვდება სიცილით.

## თ. ხ ბ ო

მოლას ორი ხბო სახბორეში ება. ერთი აეშვა და გაექცა. შვეიდა სახბორეში და დაბმულს ხბოს ცემა დაუწყო.

— კაცო, მაგას რათა სცემ, მაგისა რა ბრალიაო! ჰკითხეს მეზობლებმა.

— ესეც რომ აეშვას, გაქცეულზედ უფრო ჩქარა გაიქცევაო, მიუგო მოლამ.

## ი. ს ა ხ ბ ო რ ე

მოლას საწველი ძროხა არ გააჩნდა, მაგრამ სახბორე კი გააკეთა. მოლას ცოლს როგორღაც მოუხდა და სახბორისკენ მუგუზხალი გაისროლა. მასრადინამ ცოლს ცემა დაუწყო, — შენ ოჯახ-დაქცეულო, ხბოს ხომ თვალი გამოსთხარეო!

მოლამ ფეტვი დაითესა. ღვთის სახელზედაც ფარაქალი (წილი) დათესა. შემოვიდა ფეტვი. მომკო და გალენა. ღვთის წილი მეტი გამოვიდა. იქიდან მოიპარა ფეტვი და თავის წილს დააყარა. ამ დროს იქუხა. კოკიპირული წვიმა მოვიდა და ნიღვარმა გალენილი ფეტვი სულ მთლად წალეკა.

— დიდო ალლაპო, შენი სახლიც დაღუპე და ჩემიცაო! დაიძახა მასრადინამ.

### იბ. მასრადინას სიკვდილი

ერთხელ მოლა მასრადინა შეშის მოსატანად თავისის ვირით ტყეში წავიდა. ავიდა ერთს ხეზედ და იმ ტოტზედ დაჯდა, რომელსაც ძირში შჭრიდა.

მგზავრმა დაინახა და ეუბნება მასრადინას:

— მოლავ, უსათუოდ ძირს ჩამოვარდებიო!

მოლა მასრადინამ ყური არ ათხოვა, ალბად მეხუმრებაო, და ხეს ისევ ჭრა დაუწყო. მართლაც ტოტი მალე მოსტყდა და მასრადინიანად ძირს ჩამოვარდა. გაკვირვებული მასრადინა გაიქცა, დაეწია მგზავრს და უთხრა:

— ჩემი ხილამ ჩამოვარდნა შენ იწინასწარმეტყველე და კიდეც აღსრულდა. ჩემის სიკვდილის დღეც გეცოდინება, გაფიცებ გამჩენს, მიწინასწარმეტყველე სიკვდილის დღეცა.

მგზავრს სულელის თავიდგან მოშორება უნდოდა და ხუმრობით უთხრა:

— მოკვდები მაშინ, როდესაც შენი ვირი სამჯერ დაიყროყინებსო.

უფრო გაკვირვებული მასრადინა დაბრუნდა ვირთან, აპკიდა შეშა და შინ წავიდა.

გზა-და-გზა ერთი აღმართი უნდა აველოთ. რაწამს შეუდგნენ შეღმართს, ვირმა, ალბად საპალნე იმძიმა, ერთი დაიყროყინა:

— ეს ერთი! დაიყვირა მასრადინამ. ჩემი სულის შესამელი კიდეც გაფრინდა.

შეღმართის შუაზედ ვირმა მეორედ დაიყროყინა.

აღმართის თავს ვირმა მესამედაც დასძახა.

– ეს ორი! სულის მესამედი-ღა შემრჩა.

– ესეც სამი და მე მოვკვდი! წარმოსთქვა მოღამ, გავიდა გზის პირას დაიწყო და დაწვა მიწაზედ. ვირიც შორი-ახლო გაჩერდა და ძოვნა დაიწყო.

ამ დროს საიდგანლაც გაჩნდნენ მგლები და ვირს მისცვივდნენ.

– ეჰ! ეჰ! ნეტავი ცოცხალი ვიყო, ამბობდა მიწაზე შწოლარე მასრადინა: მაგ მგლებს ვაჩვენებდი სვირსა! ეხლა კი რა კენა! მკვდარი ვარ! როგორღა გამოყადგები ჩემს საწყალს სახედარსა. შჭამეთ, შჭამეთ, მგლებო, ეგ ვირი! ღმერთმა შეგარგოთ!

## 16. თამარ დედოფალი და ალექსანდრე მაკედონელი<sup>1</sup>

თამარის მეტი შვილი იმის შშობლებს არა ჰყავდათ. თამარი ჯერ ისეუ ათი-თორმეტი წლისა იყო, როდესაც იმისმა დედამ საკვირველი სიზმარი ნახა. მორე დღეს დედამ შვილს უაპბო: „წუხელ, საყვარელო ჩემო შვილო, მესმანა, რომ ვითომ შენ მაშიშენის ტახტზე იჯექი, მეფურად შემოსილი იყავ და ხელში სამეფო გვირგვინი და სფერო გეპყრა. ბჯერა, მალე გახელმწიფდები. ეს მით უფრო სარწმუნოა რომ უფალმა შენს გარდა სხვა შვილი არ მოგვცა. ღმერთმა მაჩვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდება. იყავ, ჩემო თვალის სინათლევ, მოწყალე, წყნარი, მართლ-მოყვარე, ღარიბ-ღატაკთა ნეკეშინის მცემელი“. სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინად მამამ თავისი ქალი სამეფო ტახტზე დასვა და მეფობა დაულოცა. ამას შემდეგ ბევრი ხანი არ გავიდა, რომ თამარს დედ-მამა დაეხოცა. თა-

<sup>1</sup> ჩაქვრეც: სოფ. აღმატკლამში მოსიკო თამაზაშვილის სიტყვით. პირველი ცოტა მეტი-ნაკლებობით ჩაუწერია აგრეთვე ნიკო ჯანაშიას სამეგრელოს სოფ. ამკოლოს, ხილდო მეორე პ. პრინსის გარის მხარის სოფ. ქიწნისში. ალექსანდრე მაკედონელი ისკანდარად იწოდება აღმოსავლეთში.

მარი გახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპყრა. თამარს ისა სწყინდა მხოლოდ, რომ მარტო კასპიის ზღვა იმის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, მთელი კასპიის ზღვა ნამჯით მოეფინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. აბა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საყვარელ პატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს. შეწუხდა კასპიის ზღვა, გალაღებული ქელი თამარის წინაშე მოიხარა და ვითარცა მონა, ისე შემოიხვეწა ურჩობა ეპატიებინა. თამარი მოწყალე იყო, დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა, და დიდი ხარკი თავს იღვა. კასპიის ზღვა თამარს ხარკად ყოველწლივ აძლევდა დიდძალ ოქროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარგალიტ-იაგუნდსა და ცხენ-კაშპენს. ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზე და განაგებდა მთელს ქვეყანას, მალრუბიდგან მაშრუჟამდის.

ეს გადმოცემა უნებლად გვაგონებს ხალხშივე დარჩენილ ამგვარსავე ლეგენდას ალექსანდრე მაკედონელზე.

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. დაუპყრობელი დარჩა მარტო ერთი ზღვა. ეს ზღვა შავი ზღვა იყო. ერთ დღეს ძლიერის ჯარით აღქსანდრე ამ ზღვასაც მოადგა და დამორჩილება შეუთვალა. მაგრამ ზღვამ წარბიც არ შეიხარა. ალექსანდრე სიბრაზისაგან გაცეცხლდა და თავის ლაშქარს უბრძანა, შავი ზღვა ნავთით გაეკსოთ, ზედ თივა მოეფინათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. დაუხანებლივ შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება. შავი ზღვა კიბით-კიბემდე გადაიქცა ერთ დიდ თორნედ. შეწუხდნენ შავის ზღვის მკვიდრნი და მეფეს მოციქულად ერთი ციდა კაცი გაუგზავნეს და მოახსენეს: დიდო ხელმწიფევე, რას გვემართლები, დაგვეხსენ და დიდს ხარკს მოგცემთო.

— რას მომცემთ, ბრძანა ალექსანდრემ.

— ციდა კაცმა ხორბლის სამი მარცვალი მიართვა და უთხრა: „ეს არის ჩვენი ხარკი. თუ პირველ მარცვალს მიირთმევ, ახალგაზრდა ჭაბუკად იქცევი, თუ მეორეს — დიდი ბრძენი იქნები, თუ მესამეს — ყოველის ავადმყოფობის წამალი გეცოდინება და ამასთანავე შენის სიკვდილის დღეცაო.“

ალექსანდრემ ხარკი არ იცოტავა. სამი მარცვალი ციდა კაცს გამოართვა, ცეცხლი ჩააქრო და თავის სამეფოში დაბრუნდა.

გავიდა კარგა ხანი, ალექსანდრე კიდევ მოხუცდა. ერთ დღეს მოაგონდა ის სამი მარცვალი და სთქვა: „აბა, ვცდი, რა ღირსებისაც არის შავის ზღვის მოცემული ხარკი“. სტუმრად მიიწვია დიდძალი ხალხი. ის სამი მარცვალი კი თავის ხაბაზს გადასცა და უთხრა: „სამი კარგი ქადა გამოაცხეო. სტუმრები შეიყარნენ. როცა კარგად სვეს და ჭამეს, ალექსანდრემ ქადეები მოიკითხა, ყველანი უნდა გაეკვირვებინა სასწაულით. მიერთვა ერთი ქადა და ცვლილება არა დაეტყო—რა, მეორეც ჭამა, მაინც არა შეემჩნია—რა, მესამე ქადამაც ალექსანდრე ვერ გადაახალისა. ალექსანდრემ მუცელი გაიძლო ქადეებით, მაგრამ ვერც ახალგაზრდა გახდა, ვერც ბრძენი და ვერც ექიმი. გაუკვირდა და დანადვლიანდა. იფიქრა, ალბად ზღვამ მომტყუაო.

სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, დაიბარა ხაბაზი და ჰკითხა: მონავ, მართალი მითხარ, ქადეები სწორედ იმ მარცვლები-სა გამომიცხე, რომელიც მე შენ მოგეცით?

გულუბრყვილო მონა-ხაბაზმა ყოველივე აღიარა მეფის წინაშე და ასე მოუთხრო ქადეების ამბავი:

—სამის მარცვლის ქადა რომ გამოვაცხე, ნაცარში ჩამიცვივდა. აბა ამისთანა პურებს როგორ გაკადრებდი, ხელმწიფეო. იმათ მაგიერ სხვები გამოვაცხე. წინანდელები კი ერთ საწყალ ბებერ გლახას მივეცი შენ სადღეგრძელოდ.

შეწუხდა ალექსანდრე. უბრძანა შეეყარათ იმის სახელმწიფოს ყველა გლახები. ყველანი რომ მივიდნენ, ხაბაზს უბრძანა, აბა იცანი ის კაცი, რომელსაც ქადეები გადაეცით. ბევრი ათვალიერა ხაბაზმა, მაგრამ ვერც ერთს ხელი ვერ დაადო. მაშინ ალექსანდრემ იქ შეკრებილ გლახებს ჰკითხა:

—სხვა გლახა ხომ არავინ დარჩენილა მოუსვლელიო.

—როგორ არა, ბატონო,—შეჰდალადეს ერთ ხმად გლახებმა: ამა და ამ სოფელში ერთი მოხუცი გლახა იყო. ძლივს დადიოდა. მაგრამ ამ ბოლოს დროს რაღაც სასწაულის გამო უცებ სრულიად ახალგაზრდა შეიქნა და ამასთანავე დიდი ბრძენი და ექიმიცა.

ალექსანდრემ მიაყვანინა და თავის შინაურ ექიმბაშად გააშწესა. გავიდა კარგა ხანი და ალექსანდრემ ჰკითხა:

— რა დღეს მოგეკვდებიო?

— იმ დღეს, რა დღესაც ცა და დედამიწა სპილენძად იქცევაო, უპასუხა გლახად ნამყოფმა ექიმმა.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ალექსანდრე ავად გახდა და თავის სპილენძის ტახტზე დაწვა. ფიქრებმა გაიტაცა. აიხედა სვეით და სპილენძის ჭერი სპილენძის ცად მოეჩვენა, დაიხედა ქვევით და სპილენძის იატაკი სპილენძის დედამიწად დასახა. ამოიოხრა და წამოიძახა:

— ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული!

მართლაც იმავე დღეს სული განუტევა.







## VII

### ინგილოთა ლოლათი

#### 1. წინასიტყვაობის მკვირ

ჯერ ისევ 1895 წელს ვწერდით „ივერიაში“ (№ 200): „ყველანი იმას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდიდარი ენააო, მდიდარიაო არა თუ მარტო თავისის საგრამატიკო ფორმებით, არამედ ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არავინ არა ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვაცნობოს მისი შვენიერება, თვალწინ გადაგვიშალოს ის საუნჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებაში და ჭკუაში. უეჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქართველთა წარმატებისა და წინსვლის საქმეს. რომელიმე ენის სულისა და გულის შემეცნება დიდი ღვაწლია, ვინაიდან ამ შემეცნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი და მუჟაითი შრომა, ფიქრი, განუწყვეტელი ჩხრეკა-ძიება, ბევრთი შესწავლა ძველის ხელნაწერებისა, შედარება და შეთანხმება სხვა

და სხვა კუთხის სიტყვებისა და ამავე კუთხეებში დაშთენილ სიტყვა-ფრაზების გამოშვება.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თვისის წინმსვლელობის დროს, მრავალი სიტყვა არ გააქვეავებოდეს და ამ გაქვეავებულ-გაუქმებულ სიტყვათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად, უცხო ენის) სიტყვა არ შემოედოს ხმარებაში. ხოლო შემჩნეულია, რომ მრავალი სიტყვა, რომელიც შემდეგს თაობას აღარ ესმის, წინანდელ თაობისათვის ყველა ესეთი სიტყვები გასაგები ყოფილა და მაშინ არც ერთი სიტყვა, აღმნიშვნელი რომელიმე ცნებისა, გაუგებარი და ანუ გაქვეავებული არ ყოფილა. თუ ეს ითქმის სასოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით უმეტეს ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორც ქართული ენაა, რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2300 წლის ისტორია.

სიტყვების გაქვეავება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე; უადრესი ამ გარემოებათაგანი არის: ერთისა და იმავე ტომ-მოდგმის წარმომადგენელთა შორის მისვლამოსვლის სიძნელე და მწერლობის უქონლობა. მისვლა-მოსვლის სიძნელე დამოკიდებულია გვარ-ტომის ადგილ-სამყოფელს გეოგრაფიულ შენობაზედ: მაგარი და შეუვალი ხევები, ღელეები, დიდი მთები, უგზოობა, პოლიტიკური დამოკიდებულობა დიდად აბრკოლებენ ცივილიზაცია-კულტურის მოფენას ქვეყანაში და აფერხებენ აგრეთვე ენის ძლევა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულში. ამისთანა ყოფაში სიტყვების გაქვეავება, ენის კილო-კავებად დაყოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია თავისი აზრისა, ფიქრისა და მისწრაფების გამოსახატველი ნიშნები — ანბანი და ვერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე. ამ ყოფაში არის დღეს ლეკური ენა, რომელიც მისვლა-მოსვლის სიძნელისა და მწერლობის უქონლობისა გამო გადაშლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის დაღისტნის ახალს ჰომიროსს თუ ჰეროდოტეს, რომ ეს ლეკური კილო-კავები ისევ შეიკრას დაზავდეს, შეილიოს და აღჩქუფდეს საერთო ლეკურ ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქვეავებულ სიტყვათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერთო ენისათ; როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემწეობით, ისე ენაც, თავისის წინ სვლის

დროს. უნდა პრაკლად იღებდეს სასრდოს თვისის კილო-  
კავებიდამ: უიმისოდ იგი დიდ მანძილს ველარ გაივლის, სა-  
ფანელი შემოაკლდება, გალატაკდება და სწორედ ის დაემართება,  
რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს, რომელიც, სათავეებში წყა-  
რო-ნაკადულების სიცოტავისა გამო, ზღვამდის ველარ უწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ადრითგანვე ქეო-  
ნია წერის ნიშნები და მერე დაუარსებია თავისს ენაზედ  
უმდიდრესი ლიტერატურა, მაინც ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა,  
ჩვენის სამშობლოს სოგიერთ კუთხეში ამირანისებურად და ხელ-  
უხლებლად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა,  
აუარებელი საუნჯე, შექენილი ჩვენთა ღვაწლით-შემოსილ მამა-  
პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი,  
მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი,  
აჭარა, ლაზისტანი, სამცხე, ქიზიყი და კაკ-ელისენ-ჭარი (სა-  
ინგილო) და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარ  
კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-  
ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იხმარება და საერთოდ კი აღარა.  
საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევკისწავლოთ,  
ავნუსხოთ და ეს შრომა რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც  
მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდება, ხოლო ენა-  
მზებობაც ჩვენი ენისა იმატებს, და უფრო გაბრწყინდება და შარა-  
ვანდოსანი შეიქნება.

თუ როგორ უნდა შესრულებულიყო და ვის უნდა ეთავა ეს  
დიდი საქმე, ამის შესახებ ჩვენ იქვე ვწერდით:

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-  
კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმეში  
უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვიო, წერა-კითხვის სა-  
ზოგადოებას არ ექნება არც შეძლება და არც მატერიალური  
ძალა გაუძღვას ამ ძნელად შესასრულებელ საქმესო. მართა-  
ლია, არ ექნება არც ძალა და არც შეძლება, რასაკვირველია,  
თუ დავივიწყეთ, რომ ამ საქველმოქმედო საფუძველზედ დამყარე-  
ბულ საზოგადოებას დამხმარებელნიც ქველმომქმედნი უნდა  
ჰყავდეს. განა ცოტანი არიან საქართველოს კუთხეებში განა-  
ულებულნი და საზოგადო საქმისათვის თავდადებულნი, რო-  
მელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექსიკონი და  
მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილა მათს სამშობლოში და

საყოველთაო ლექსიკონში კი არ არის! ყველგან საქართველოში გვეგულებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეს გული დაუდონ და ნება-ნება, ახალ-ახალ სიტყვა-ფრაზების მოგონების დაგვარად ჩასწერონ თავიანთებური სიტყვები ცალკე რვეულებში და მერე გამოუგზავნონ წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც მისდამი გამოგზავნილ მასალას შესაფერ ადგილს მიუჩენს ლექსიკონის დასტამბვის დროს. თუ რა ფასი აქვს ამგვარს შრომას, ეს სჩანს თუნდა იქიდან, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ პროვინციალურ სიტყვების ჩამწერლებს ყოველ-ახალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია ორ-ორი შაური! მაგრამ ჩვენ გვეგონია, რომ — თუნდაც წერა-კითხვის საზოგადოებას შეძლებაც ჰქონდეს, — აღნიშნული დეაწლი ისეთი წმინდაა, რომ ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა უსასყიდლოდ დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიჰბაძოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სუნნელებას თავლად აქცევს და მერე თავისს ნაყოფით თითონაც სარგებლობს. კაცსაც უმტკბარუნებს პირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს...

კერძოდ, მით უფრო საჭიროა განზრახულ სიტყვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი განდევილთა და გარეწართა. ეს წინდაუხედავნი, იპოვნიან რა თავის კუნჭულში ასიოდ ადგილობრივ სიტყვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, ყვირიან: „არიქათ! აი სად ყოფილა ახალი ენაო! ჩვენ თურმე სხვა ენა გვექონია!“

დიად, ასრე ეწერდით 15 წლის წინად. დღეს კი ამ საპატიო საქმეს ხელი მოჰკიდა ჩვენმა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ და, იმედია, კიდევ დაავიკრავინებს მას. ჩემის მხრით საზოგადოებას მე აქ გავაცნობ ინგილოთა კილო-კავს ანუ, ინგილოურადვე რომ ვთქვათ, ლოლათს<sup>1)</sup>, და ლექსიკონს იმ სიტყვებისას, რომელნიც ადგილობრივ იხმარებიან და საზოგადო ენაში კი — აღარა.

<sup>1)</sup> ლოლათი არის იგივე ბერძნული *Λογος* — სიტყვა, ლაპარაკი, საუბარი და იმავე ძირისაა. ვუიქრობთ, ქართული რქუმა = მგერ. რაგადი = სვან. (ლი)-რგადი (= ქართ. რქუადი. რქმადი). შუად. რქუა = ქრქო

1 ა ნ ბ ა ნ ი

ინგილოურში არის შემდეგი ხმები:

ა, ბ, გ, დ, ე, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ძ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, უ=ვ, უ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ჭ, ხ, ჯ, ჯ, პ, შ\*).

ხმოვნებია: ა, ე, ე (= ფრანგ. eu), ი, ო, უ, უ (= ფრანგ. u).

ნახევარხმოვნები: ჟ, ძ.

არ არის ძ და ჯ თუმცა ჯ სიტყვებში „ჯანი“, „ჯამათი“ მკაფიოდ გამოისმის, ამბობენ აგრეთვე ჯანაშვილი=ჟანავიშვილი.

სიტყვებს აბოლოებენ უხმოები და ნახევარხმოვანი ძ. უხმოები ჩნდებიან იმ სიტყვებში, რომლებიც ქართულში ბოლოვდებიან ხმოვანით ი, მაგ., კაც, ღმერთ, წიგნ, ქარ, საყდარ; ი-ს შეირჩენენ მხოლოდ რამდენიმე სახელები და სიტყვები, მაგრამ ისინიც უ-ძ-ოდ არ იხმარებიან, მაგალ., ნეხიძ (ნუხი), აგიძ (სახ.), კაციძ (სახ.), ჰარაკიძ (არაკი) ტრიძ (უღუმო ცხვარი), ქენიძ. დანარჩენ ხმოვანებსაც უეჭველად ებმება ძ, მაგალ., მამაძ, ნებაძ, მახეძ, ხეძ, სოკოძ, ეჩოძ, ჭკოძ, ციჰკუძ, კუჰკუძ, ეშეძ, ღუნეძ, სავსეძ.

2. ხმათა ცვლილება

ა. ასო ა გამოითქმის მკაფიოდ. ხანდახან გაგრძელებულად. ამბობენ: აარ. მის მაგიერ ისმის: ო, უ, ე, ი: ჩამო — ჩომო, წადან (წედან), აგე (=აგი) — ოგი (=ოგი), ვნახავთ — ნოხავთ, ლაპარაკი — ლაპარიკ, მაჭანკალი — მაჭეკალ, ყანყრატო — ყერყანტუძ, ამოვადებ — უმუავდებ, თუთან (თითონ=თუითან).

ბ=ვ, პ, ფ, მ, გ: ამბოვენ (ამბობენ), ამბოვ (ამ-

\* რამდენიმე სიტყვაში ისმის რუსულის ა-ს თანაბარი ხმა: ილაჟ — ალი, ინზ — განზე, აფ — იაფი.

ბობ), შაბ (შაბი), ნიჩაფ, დაკმენაჲ, კამმენ (კამმენი), გორგოლაჲ=ბორბოლაჲ, კმენა (კმენა), დარწებაჲ (დარწევა. რწევა).

გ=ქ, კ: ქუქურღ (გოგირდი), სუნაკ (მსუნაკი), კუჰკუჲ (გუგული).

ღ=ტ, თ: დააცდინა, დაასტინა, ასტა (ასცდა), დახტო (დაჰხვდა), თოფანჩაჲ (ღამბაჩა).

ე=ი, ა, ე, ო, უ, შიშაჲ, ჰაჩიჩაჲ, წაღან (წეღან), ფეტ (ფეტვი), ეშეჲ (ეხო), ეყო (=იყო<sup>1</sup>), ექს (ექესი), ცარიალ (ცარიელი), შომოვდა (შემოვიდა), საბზუჲ (საბზვეე), ჭერხილ (ჭირხლი), გერგალ (ხირხალი), ისენ (ისინი).

